

14
1957/2



მედიკალი

10

მედიკალი



1957



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
დასაზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 34-ე

№ 10

ოქტომბერი, 1957 წ.

სამართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უ ნ ა ა რ ს ი

გიორგი ლეონიძე — ილია ჭავჭავაძის ანტილიტ., ლექსი	23
-ლექსანდრე ქუთათელი — წიწმური, ლექსი	3
მუხრან მაქაფარიანი — უსათაურო, ლექსი	4
ნიკოლოზ ზამლოცვა — სიგურამო, ლექსი. თარგ. არჩილ სულავერისა	5
ელადიმერ სოსიურა — შენ საქართველოს გულში ცოცხლობ. ლექსი. თარგმანი უკრაინული-დან გრიგოლ აბაშიძისა	6
ნიკოლოზ ლორთქიფანიძე — აგულ გულს იცნობს*	7
ნიკოლოზ ტახონოვი — დიდი მწერალი — პატრიოტი	8
ელადიმერ იარღვი — ილია ჭავჭავაძის კითხვისას	11
ირაკლი ანდრონიკაშვილი — პოეტის დაბადება	18
მიკოლა ბეჯანი — სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი	21
ოლეკს ნოვიცკი — ჩვენი ილია	23
აიბეკი — დიდი მხატვარი და გაბედული მოაზროვნე	28
მირზო ტურსუნ-ზადე — ილია ჭავჭავაძის იუმორისტული	29
რასულ რზა — მგზნებარე გულის ადამიანი	31
საირი ზარბანი — სიმეზ-ქართველთა მშობის დიდი ქომაგი	33
სტეფანე ზორიანი — დიდი ილია	34
ამოტ გრამი — თავისუფლების მომდგომი	35
ანტანახ ვენცლოვა — ილიას სიდიადე	39
კოტას კორსაკაი — მარად უცვლელი	40
ვაცის რეიგერისი — მისი პოეზია უცვლელი	42
ვლიბ ლაცილი, იან სუდრახალნი, მირზა კვმე, ვალდის ლუკსი — ბედნიერი ხალხი	44
იარომირ იედლიჩკა — ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა გმირები	45
ტიციან ტამიძე — ილია ჭავჭავაძე (ნაწყვეტი)	49
შალვა ჯაფარიანი — ილიას გარემო	51
ლუი ქიანელი — დიდი ილია	53

იხ. მე-2 გვ.



კონსტანტინე გამსახურდია — Pater patriae
 გიორგი ნატროშვილი — ეპი სიკოტლისა და ეპი სივედილისა
 ნინო აბაშიძე — ილია (მოთხრობა)
 ლევან ახათიანი — წიწამურის გზა, პიესა



ქართული და პუბლიცისტიკა

სიმონ ჩიქოვანი — ილია ჭავჭავაძის პოემები	127
გიორგი ნადირაძე — იდეალური აღამიანის სახე ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში	140
ილ. თაყაი, გრ. კალანდარიშვილი — ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ	150
ლელია თაქთაქიშვილი-ურუშაძე — ილია ჭავჭავაძე და მისი ინგლისელი მეგობარი	155
ვ. ვახანია — ილია ჭავჭავაძე და ლიტერატურული პაექრობანი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში	158
მ. ზარქუა — ნებისყოფისა და ემოციური განცდათა ადგილი პიროვნებაში ილია ჭავჭავაძის ნააზრევის მიხედვით	162
პლატონ კეშელავა — ილიას იუბილეს ჩაშლა	166

პუბლიცისტიკა

ილია ჭავჭავაძე — ძვირფას კოლხიდელთ. პუბლიცისტიკა და შენიშვნები ს. ხუციშვილისა	169
ილია ჭავჭავაძე — სალექსიკონო მასალა. პუბლიცისტიკა და შენიშვნები შოთა ძიძიგურისა	172
ილია ჭავჭავაძე — ასტუდა ომი. პუბლიცისტიკა და შენიშვნები პლატონ კეშელავასი	183

წიგნების მიმოხილვა

შალვა აფხაიძე — მონოგრაფია ადამ მიცკევიჩზე	184
გურამ კლდიაშვილი — აფხაზური პროზის ანთოლოგია	185
ირაკლი არაბული — გ. ჯაბუნაერის ლირიკა	189
გ. დოლიძე — ზანგური ხალხური ზღაპრები	191
ახალი წიგნები	გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
 გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12, შვევთა № 543.
 ტუ 03257. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზობოლოგრაფიკამოცემლობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5



ილია ჭავჭავაძის



დაბადების 120 წლისა და
გარდაცვალების 50 წლისთავი

გიორგი დონიძე



ილიას აჩრდილს

დიდო აჩრდილო,
 რას დაგვიბარებ,
 წარბშერქმით მდგარო, სევდით
 მღიმიარო,
 შუბლსა და მკერდზე ხელებს იფარებ,
 ალბათ გსურს წყლული რომ
 დაგვიმალო!
 წყლული, რომელიც უყვიის კრწანისს,
 ჩვენი ვაება, ჭირი, ნაღველი!
 ვერ გარეცხს სირცხვილს ჩვენი
 სიმწარის
 თვით წარღვნის წყალი
 გადამწარღვენელი.
 ბევრი უნახავს შენს ნაბაღს წვიმა,
 ქარი და ყინვა, დრტყინვა და ზარი...
 ტვირთი მაგ მხრებმა არ დაიმძიმა,
 და არც მაგ შენს გულს დაეტყო ბზარი.
 ქართლის აზრი და სიმღერა იყავ,
 დროშა მღელვარი, ტარჯკრთომელი,
 მისთვის სიცოცხლის ბეწვი გაიყავ,
 და უფრო მეტის იყავ მდომელი!
 კლდეკაცი იყავ, კლდეს შეედღე,
 უკვდავებასთან ხარ წილდებული,
 შემარყეველი სინედრიონის,
 სალიტანიე, სანატრიონი,
 თავი ერისა, რა დიდებული!
 ქუხილის ენით მოლაპარაკე,
 ნათლისმდებლო, იცნ, ვინა ხარ?
 რუსთაველის სიმს,
 კრწანისის საფლავს,
 თამარის ნათელს —
 შენთან ვინახავთ.

დროშა ხარ სისხლში ამოვლებული,
 უღელდებული ხალხის იმედად,
 ხმალი ხარ, მტრის წინ ამოღებული,
 შარავანდედი შენ ხარ ივერთა!



მდინარეებზე ბაბილონისა
 ცრემლით ტიროდა შენი თაობა,
 სწყუროდა შუქი ალიონისა,
 სძულდა ცხოვრება მდგარი ჭაობად.
 მდინარეებზე ახალ ქართლისა,
 სამშობლოს სულის სიცოცხლეს
 ვმღერით,
 და წინამორბედს დიდ სიმართლისას
 მღულარ ცხოვრებით გადიდებს ერი!
 ჩვენ გვზრდიდა შენი ნიჭის ნაშუქი,
 შენს სისხლის წვეთში სული ჩავაწეთ,
 ბაზალეთური იგი ქაბუჯი
 ხომ შენც გაზარდე,
 შენ, ქავქავაძემ!
 გონების ბნელი და სიღარიბე
 წყალს გავატანეთ, წელთა მრავლობას,
 გახვრეტილ შუბლზე წყლულს რომ
 გვარიდებ
 და გვიფრთხილდები შთამომავლობას,—
 ნუ შეგვიცოდებ, ახლოს გვაჩვენე,
 დაგვწვას, დაგვდაგოს, ცეცხლი
 შეგვინთოს!
 დავემხოთ მის წინ,
 (რა შეგვაჩერებს) —
 შემდეგ აჩრდილმან შენმან
 შეგვინდოს!..

საქსენარე ქართული



წიწამური

იუდა, ქართლის ამომგდებელი,
 მთაში გარბოდა ილიას მკვლელი.
 სისხლში შესვრილი კენესოდა ველი,
 შორს ჩადიოდა მზე მეწამული
 და დაგვრჩა მარად საგოდებელი
 ქართლის გოლგოთა — მთა წიწამური.
 წყეულის თოფმა აქ დაიჭუბა,
 სად შინდის ხეთა მცირე ჩრდილია,
 აქ — წიწამურში — მოკლეს ილია,
 საგურამოსკენ ეტლით მავალი
 და წამოიქცა ბებერი მუხა,
 ქართლის მშვენება ფესვებმაგარი.
 ამოიგმინა მოხუცმა მწარედ
 და მყის გათავდა ტუბილმოუბარი...
 საგურამოში დახვდა მღუმარი
 აივნის პირას ქადარი, ვერხვი,
 ეხო, წყაროსთან კაკლის ხე, მწვანე
 და ძველ კერაში ჩამქრალი ღველფი.
 ღია დარბაზში კუბო ესვენა,
 შიგ ღუმდა შუბლი — სიბრძნის სავანე,
 თითქოს უსულო, მკვდარი საგანი,
 დასამიწებლად გამზადებული...
 და დაიტირეს მუხის ფესვებმა
 დიდი მგოსანი თავდაღებული.
 ღუმდა მგოსანი სიტყვაშუიანი,
 ვით ქვა, ჩუქურთმა, ლოდი არმანის.
 მასაც უწყალოდ შუბლზე არ აზის
 ეამის სიმუხთლე და ნამეხარი?!
 შეწყდა არაგვის გრგვინვა, გრიალი,
 ლალი ცხოვრების ხმები მქექარი.
 გლოვით დამდგარა ბაღში ხეხილი,
 ობოლი ვაზიც მოწყენილია,
 რადგან არა ჩანს არსად ილია,
 არც ცივ წყაროსთან ხარბად მისული
 და არც კაკლის ქვეშ მკერდგაღელილი...
 რაღაც სიჩუმე სუფევს მისნური.
 მას აქ უყვარდა ფიჭვი ხალვათი
 და გარინდება ჩუმ დაბინდებით,
 სად დარჩენილან ქვის მაგიდები,

დამწუხრებულნი ცის ქვეშ მარტონი,
 რომ არ სეირნობს თეთრი ხალათით
 ხეივანებს შორის მათი პატრონი.
 შავი ღრუბლები მისწვდნენ ზედაზენს,
 უმაღ დაფარეს, ნისლში გაჩრილი,
 კავკასიონზე მდგარი აჩრდილი,
 თავზე წაყრილი გლოვის ნაცარით
 ბრძენი მოხუცი, კაცი ენამზე,
 მგოსნის მგზნებარე სულის ნაცვალი.
 მღუმარებს ხალხის ნალარა, ბუცი,
 მღუმარებს ქართლის დედა მწუხარე
 და აღარც მგოსნის სიტყვა მქუხარებს,
 გრძნობის მზიდავი უშრეტ ჰაღნებად.
 ნელა ცახცახებს მკვდართა მზის შუქი
 და ცხედარს შუბლზე გლოვით აღნება-
 მისი შუბლია სიბრძნის გუმბათი,
 სვეტიცხოველი დაღუმებული,
 დიად მომავლის წიგნი ქებული,
 ცოდნის სინათლეს რომ გვიზიარა,
 და როცა ჩაქრა შუქი გუგათა,
 უმაღ აყვავდა მგოსნის იარა.
 და ამ უსულო და მკვდარი საგნის,
 შენგრეულ შუბლის ღია კარიდან,
 როგორც რიყრაყი მძლე ნალართა,
 მოვარდა სიტყვა მზეებერ ნათელი
 და დიდ მომავლის ტფრიალის ჰანგით
 აღენთო ცხოველ რწმენის სანთელი.
 მან დაგვანახა ოქროს აკვანში, —
 იქ, სადაც ერის დაღვრილა ცრეპლი
 და ყრუდ გაისმის გუგუნე გრდემლის,—
 ყრმა ბაზალეთის ტბის ძირას მწოლი
 და ქართლის დედა, ტანჯვის მარხვაშიც
 გაუტეხელი, ოჯახის მძლოლი.
 ისევ ამაყად დგანან ქედები.
 მორბის არაგვი, არაგვიანი,
 თან მოსძახიან მთანი ტყიანი,
 მცხეთაში დახვდა მზე მეწამული...
 ვხარობ ბუნების შემოქმედებით,
 მაგრამ გულს მაინც წვავს წიწამური.

მხიან მაჟაპარიანი

★

ამოიჭროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახერალმა,
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად,
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურლიდამ?!

— ილია მოკვდა! — თითქო ახლა აღმოაჩინა,
სიკვდილი მისი — ქარმა ისე შემომალადა.
ძილს დარაჯობდნენ საფლავების თად-მოაჯირნი,
როცა მთაწმინდას მოლოდინში შემოალამდა.

ილია მოკვდა! მაგრამ... ჰგავდა მისი დამარხვა
წყალში ჩაყარდნილ მოელვარე მთვარის დამარხვას...

— ილიას ელით?!

— მოითმინეთ! — ვიტყვი ხმამალა...

ამ მატარებელს ჩამოჰყვება იგი ამაღამ.

ამოიჭროლა მთაწმინდაზე ქარმა მსახერალმა,
ქარის ღლაბუცი საფლავის ხეს ტოტებს უღლიდა...
მატარებელმა მოაკივლა თბილისს საყვარლად,
— იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურლიდამ?!

ნიკოლოზ ზაპოლოსკი



ს ა მ უ რ ა მ ო

მე ისევ მახსოვს ეგ წმინდა ხმები,
ეგ მომღერალი წყარო უღვევი.
აქ საოცარი ვიხილე მთები,
ვით უძველესი სასწაულები.

ზურმუხტებივით როგორ ბრწყინავდნენ
ჭარვის და შინდის ფერი სამოსით
და მატყვევებდა მე სიკვდილამღე
შემოგარენი საგურამოსი.

ზედაზენიდან დაქანებული,
როგორც ელვები ანდა ფიქრები,
საგურამოო, გახარებული
შენკენ მორბოდნენ მთის ბილიკები.

ჭრელი ჩიტები, როგორც ბაღლები,
შემომცქეროდნენ თვალეში მაშინ,
მიმღერდნენ ღბენით და გალაღებით, —
თუ როგორია ზაფხული მთაში.

ძველთაძველ ნიშში ვიპოვე ღარი,
ვით უეცარი ბედის წყალობა,
და ცისარტყელად მოხრილი წყარო
ავსებდა აუზს და მიგალობდა.

ღღისივთ ვიყავი მისი მორჩილი,
ღამითაც სმენა იმ ხმას შინებდა,
ღია ფანჯრიდან შინ შემოჭრილი
წყრიალებდა და არ მაძინებდა.

მაგ წყაროს ჰგავდა მთელი სამყარო —
მარადისობის ზარი-მხმოებელი,

მე მაცვიფრებდა მისი სიმღერა,
სასწაულივით შეუცნობელი.

და თანამგზავნი გურამიშვილის
ჟამთა სიღრმიდან რალაც განგებით
მეცხადებოდნენ გრძნობაშიშველნი
და ქვითინებდნენ, როგორც ბაღლები.

ქარი ზეცაში ღრუბლებს აშლიდა,
კრამიტზე რეკდა წვიმა წკრიალით,
ღამურები კი ღია ფანჯრიდან
შინ მეჭრებოდნენ ფრთების
ფრთხილით.

და ქავექავადის გული მსახვრალი
ისევ ახლოს და მძლავრად გრგვინავდა,
რომ ობელისკი მისი მაღალი
ელვას ჰგავდა და ბნელში ბრწყინავდა.

მე ვერთოდი, ეთრთოდი წამომღგარი და
ღარაბებს ვკეტდი, ვხურავდი ასე,
წყარო, მესმოდა მაინც გარედან,
როგორ მღეროდა წკრიალით ქვაზე.

ქვის ტაძარი კი ზედაზენიდან
დასცქერდა მცხეთას ძველი ფიქრებით,
ციხისკრის ვარსკვლავი ღამეს ღენიდა
და ნათლებოდა მთის ბილიკები.

თარგმანი არჩილ სულაქაურიას

ვერდიან სოსიანი



შენ საქართველოს გულში ცოცხლობ

შენ საქართველოს გულში ცოცხლობ, სიტყვა ნათელი
შენ მიერ თქმული შენს ხალხს მუდამ ემახსოვრება,
ახსოვდი მაშინ, როცა ბორკილს ლეწდა ქართველი,
ახსოვხარ დღესაც, როდესაც ქმნის ახალ ცხოვრებას.

შენ საქართველოს გულში ცოცხლობ, მის ბედს დაჰხარი,
უკრაინაშიც შენი ჰანგის ეშხი ელვარებს,
შენი ქვეყანა ჰყვავის, როგორც ტურფა ბაღნარი
და ჩვენც ახლო ვგრძნობთ შენი მთების მაღალ მწვერვალებს.

არა, არ კვდება არასოდეს გმირი, რომელიც
ედგა საშინელ განსაცდელში სამშობლოს ფარად,
მშობელი ხალხის მოამაგე დაუცხრომელი,
შენ საქართველოს გულში ცოცხლობ, იცოცხლებ მარად!

თარგმანი უკრაინულიდან
გრიგოლ აბაშიძისა

„გუდი გუდს იცნობს“

ბუნების ძილის უკანასკნელი წუთები: გაიშრიალებს ფოთოლი და მიჩუმდება; წამოიძახებს ჩიტი და მიიყუჩებს: ცის კამარაში მარტოდ შთენილი ღრუბლის ნაქერი შეფერადდება და ისევ ჩაიბურება.

შორეულს მყინვარს, ფიფქი-თოვლით დაფარულს, ამბორი სტყორცნა მზის სხივებმა. ცივი მთის თხემი ათრთოლდა. აკეკლუცდა, აიშალა ნისლი. ახმურდა ქვეყანა. ტყემ პირისნაბანი ცვარი ნელ-ნელა წვეთ-წვეთად გადმოყარა მიწაზე.

ამ დილის ნისლში გამოირკვა ფეხ-აკრეფით მიმავალი ორი მონადირე.

მონადირეები ჩასაფრდნენ. ნაპრალიდან გამოვიდა ირემი.

მშვენიერი ცხოველი დინჯის ნაბიჯით თავაღერილი მიუახლოვდა ერთ მონადირეს. შეჩერდა. დიდხანს იდგნენ ერთმანეთის წინ. ზომავდნენ ერთმანეთს.

— ესროლე, ილია, ესროლე! — ვეღარ მოითმინა მეორე მონადირემ.

მაგრამ ირემმა ერთი მოიხედა უკან, მოიკუმშა, ისეუბა და გაქრა.

— შენც მონადირეს უწოდებ შენს თავს?! — წყრომით მივარდა მეგობარი მონადირეს. — ცხვირის წინ ირემი გაგიჩერდა, შენ კი ხელიდან გაუშვი?!

— რა უნდა მექნა?! მოდი, გულს უთხარ, კარგ სანახავეზე ნუ ხარ-თქო ხარბი ირემი ისეთის ნდობით მოვიდა ჩემთან: ისრებივით წვრილ ფეხებზე ისე მსუბუ-

ქად იდგა; ისე აკეკლუცად მოიღერა გახვეწილი კისერი და გადაიგდო ქორბუღიანი რქები ზურგზე; ისე ძლიერად თრთოდა სიფიცხით ან სიყვარულით — შიშით კი არა! ისე მშვენივრად მსოფლოს ნაზი კმნილება! ამ ლალს ბუნებას ვერ წავართვი ამაყი შვილი. ეუუუნა თვალები შიგ გულში გამიყარა. იქ კითხულობდა ვნებათა დეღვის საიდუმლოებას. ასე მხოლოდ უმანკო ქალწულები გამოიყურებიან, როცა გარს ეხვევით თხელი ქსელი ტრფობისა. შენ რომ არ დაგეფრთხო, მოვეხვეოდი, ამბორს გაუეზზავნიდი ყვარლის მთებს, მთელს ამ მიდამოს, ლეთისგან დალოცვილს.

ღიმი მოკლებული შემოდგომის მზე უსიკოცლოდ დაჰყურებს დამქნარს ფოთლებს მწუხარე ტყისას. „ალარ სკყივის მერცხალი“. გადამხმარა მდელი. თეთრი, საპატარძლო მოსასხამი სუდარასავით გადაჰფენია მყინვარს.

ირემს სწორედ იქ ჩაუყვცია, სადაც ერთხელ უცხო მონადირემ ყელზე მოსახვევად გაიწია მისკენ. ფიქრობს წარსულ დღეთა აღტაცებაზე...

თოფის ხმა... კივილი ოდნავ სწვდება ნადირის სმენას.

ირემი წამოვარდა. ჩიგვანარს გადაეველო. აღმართში თავს არ იზოგავდა. მდინარეს მკერდით აპობს შეუპოვრად. კლდე-ღრეზე გადაჰხტის. რალაც მწუხარება უმატებს ძალას. გზას მიაღწია... შარავზას. კაცთა სიმხეცის დაურიდებლად ვაჰყვა გზატკეცილს. იქ გაჩერდა, სადაც ცხედარსა სძინავს.

ირემი კირისფლად მოვიდა; დაიჩოქა; დიდხანს დაამტერა ეუუუნა თვალები; ცრემლები დააფრქვია; კელაპტარით ჩამოქნილი რქები ზე აღაპყრო; როგორც ხელთქმნილი ქანდაკება, იწვევდა იგი მთელს ბუნებას ახლად მოკლულის, უცხო მონადირის საგლოვად.

* ნიკო ლორთქიფანიძის ეს ნაკლებად ცნობილი მინიატურა პირველად დაიბეჭდა 1910 წელს გაზეთ „სახალხო გაზეთში“ (№ 148).

მინიატურაში აღწერილია ერთ-ერთი ეპიზოდი ილია ქავეჯავაძის ცხოვრებიდან. როგორც ილიას თანამედროვეები გადმოგვცემენ, სანადიროდ მყოფი ილია ისე აღაფრთოვანა მის წინ მოულოდნელად გამოუსულმა და შეტბუნებულმა ირემმა, რომ ილიას ნადირის მოკლა შეეცოდა და საშუალება მისცა მას გაქცეულიყო.

ნიკოლოზ ზინოროვი

მოსკოვი



დიდი მწერალი-პატრიოტი

როდესაც მე ვფიქრობ ილია ჭავჭავაძის საოცარი პიროვნებისა და იმ უზარმაზარი შრომის შესახებ, რომლითაც აღესილი იყო მთელი მისი შეგნებული დიდი ცხოვრება, ვცდილობ, წარმოვიდგინო ის რეალური გარემოცვა, რომელშიაც მას მოღვაწეობა უხდებოდა.

მე ვხედავ მას გლეხთა შორის, რომელთა ცხოვრებას ის ზედმიწევნით იცნობს მათი ყოველდღიური გასაჭირითა და საზოგადოებით, შრახვევითა და იმედებით. მე ვხედავ მას შთის მივარდნილ ბილიკებსა და გზებზე, სადაც პოეტს ხედებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შემდეგ მისი პოემებისა და მოთხრობების გმირებად იქცევიან. მე ვხედავ მას სახლში და ყანაში, იქ, სადაც ბატონყმური წყობილება ჩაგრავს და თავის გაჩენის დღეს აწყველინებს ადამიანებს.

მე ვხედავ მას პეტერბურგის სტუდენტთა წრეებში, სადაც ყველაფერი დულს და აღშფოთებულთა დრომოქმული რეჟიმით, სადაც ყველაფერი გამოსავალს პროტესტში ეძებს, იბრძვის ახალი ადამიანისათვის, იბრძვის თავისუფლების ახალი მონაპოვრისათვის. შემდგომში ის თვითონ იტყვის: „ოთხი წელიწადი იცით, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა წელიწადია! ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია. ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებულნი. მაგრამ ყველასთვის კი არა, მართო იმათთვის ვინც რუსეთში წასულა, რათა ქვეა ავარჯიშოს ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს“.

მე ვხედავ მას თბილისში. თავისი მეგობრების, ქართველი ერის ერთგული შვილების მხარდაჭერით, თავისი ამაღ-

ლებული გონებისა და დიდი გულის ძალას ახმარს საყოველთაო წერა-კითხვის გავრცელებას, ინტელიგენციის საუკეთესო ძალების განვითარებას, ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, რომლის გადმონაშთები ღრმად არის აღბეჭდილი ცარიზმის პოლიციური პოლიტიკის მორჩილ მომხრეთა შეგნებაში.

მე ვხედავ მას საგურამოში, მუდმივი შრომით, შემოქმედებითი პოეტური ენერჯით გაქვნილი ატმოსფეროში. ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალდარგში გამოჩენილი მომუშავე იტაცებს ყველას, ვისაც კი უხდება მასთან შეხვედრა. დასვენების ქამს იგი გამოდის ფართო აივანზე, საიდანაც იშლება მისთვის ესოდენ ახლობელი ქართული პეიზაჟი — მშობლიური ტყეების, მთების, ველების, მდინარეების განუმეორებელი სამყარო.

გაზაფხულზე ეს მთები ცისფრად დაწინილული და აყვავებული ბაღები ვარდისფრად ათრთოლებულია. შემოდგომაზე ცისარტყელისავე ბრწყინავენ შემოდგომის მშით ცეცხლწაქილებული ფოთლები. ზამთრობით იგი მკაფიოა, როგორც ოსტატურად ჩინური მელნით გამოყვანილი ნახატები წუთიერად მშით განათებული თეთრად მოქათქათე დაბლობისა, რომელსაც წელიწადის ყველა დროს დიდი მთაგრებილები დაპყურებენ და გუშაგვიით თავზე ადგას მარადიული თოვლით დაფარული ყაზბეგი. მყინვარის ფერხითი კი ფაფარაყრილი, გაუმადლარი, თავისუფლებისმოყვარე თერგი გააფთრებული ბოზოქრობს, თერგი, რომლის შესახებაც მან თქვა: „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა, ამაღლებული და ღირს-საც-

ნობი სახეც არის; იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“.

ერთხელ ილია ქვეყნადე ღრმად დაფიქრა ამ მძინევერე მდინარის სანახაობამ. მან დაინახა, რომ იგი ზუსტად და სრულად გამოხატავს მის ზრახვებსა და ფიქრებს. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“.

აი, პოეტი თავისი სახლის მაღალი აივანიდან თვალს ავლებს არემარეს და შორს სადღაც ხეობის სათავეს ხედავს მსუბუქ ნისლში გახვეულს, აქედან ოდესღაც ბნელმა მთიელმა მხედრებმა მოიტაცეს ქართული ლიტერატურის იმედი და მშვენება — ჰაბუკი დავით გურამიშვილი, რომელიც ოდესღაც აქვე, ილია ქვეყნადის სახლის ახლოს, საგურამოს მთაზე ცხოვრობდა.

მაგრამ თვითონ ილიას მოტაცებაც შეეძლოთ უფრო ბნელ ძალებს. მათ შეეძლოთ მოეტაცათ მისი სული, მისი ნიჭი, მისი დიდი ცხოვრება, მათ, რომელთაც არ სურდათ გამოთხოვებოდნენ წარსულს, გამოთხოვებოდნენ კაცთმოძულე ცხოვრებას. ესენი იყვნენ ხალხის დიდი და პატარა, უმაჟნისი შინაგანად გამოფიტული მჩაგვრელები, საშინელნი თავისი სიძულვილით ყველასადმი, ვინც კი იბრძოდა პატიოსნებისათვის, ადამიანის ღირსებისათვის, ახალი წყობილები-სათვის, ახალი დროებისათვის.

მან უწოდა მათ თავადი ლუარსაბ თაქარიძე, კენინა დარეჯანი, მაგრამ ისინი კიდევ არ იყვნენ უბოროტესი წარმომადგენლები იმ საზოგადოებისა, რომლის წინააღმდეგ მან დაიწყო ძნელი და ხანგრძლივი ბრძოლა. ისინი ბევრნი იყვნენ — ახალგაზრდები და მოხუცები — და თავს ცხოვრების ბატონ-პატრონად თვლიდნენ, მაგრამ ხალხისათვის იმდენი უბედურება მოჰქონდათ, რომ მათი ატანა შეუძლებელი ხდებოდა. შეუძლებელი ხდებოდა აგრეთვე მათი აღვილად დაძლევა, რადგან შეფის რუსეთის პოლიციური რეჟიმი მთლიანად მათ მხარეზე იყო.

მაგრამ ილია ქვეყნადეს ემხრობოდნენ საქართველოს მთელი ახალგაზრდა ძალები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მას ემხრობოდა მომავალი, რომლისადაც მას სწამდა, სწამდა მთელი გულით. სწამდა, რომ მომავალი შეაფასებდა სიცოცხლის დამთრგუნველებთან, ხალხების ჯალათებთან შეუპოვარი ბრძოლის შედეგებს.

აღწერდა რა იმ წარმატებებს, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნემ მოგვცა ადამიანის განთავისუფლების საქმეში, ლაპარაკობდა რა იმის შესახებ, რომ ამ საუკუნემ შექმნა ახალი იდეალი — მოსპოს ქონებისა და შემოსავლის არათანაბარი განაწილება, მოსპოს ყოველგვარი კლასობრივი ჩაგვრა, შეძლებისდაგვარად კლასობრივი განსხვავებაც და დადგინა მშრომელი კლასების დახმარებისა და მხარდაჭერის უფლება, ილია ქვეყნადე ამბობდა: აქ არის სიმწვავე იმ ტიკვილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს.

ამიტომ პარიზის კომუნის დაცემის დღე მისთვის იყო დამარცხების დღე იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც თავისი წამებულთა სისხლით ამტკიცებდა ადამიანის განთავისუფლების წმინდა საქმეს.

კვლავ შეფერხდა ისტორია, განსხვავების შეღწენ ძალნი და კვლავ დღესასწაულებენ გამარჯვებულნი მტარვალნი.

„კაცია-ადამიანი?!“ — კითხულობდა ილია ქვეყნადე, როდესაც უშეზღვევად ცხოველურ ჩარჩობებში მომწყვდეულ მუტანხორა მემამულეს, რომელიც ღორის თვალებით უყურებდა ადამიანურ უფლებებს მოკლებულ ხალხს.

მაგრამ განა მხოლოდ ეს ველური და საზიზღარი სახე ტანჯავდა პოეტის წარმოსახვას? პარიზის კომუნის ჯალათებიც ზომ ტირანების იმავე სამყაროს ეკუთვნოდნენ.

მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ტირანთაგანი იყო ცარიზმი თავისი ეანდარმებით, მთელი თავისი პოლიციური ძალით, რომელმაც თოკებითა და ჯაჭვებით შებოჭა სიცოცხლე.

ადამიანი უნდა აჯანყებულიყო, ადამიანს უნდა ეგრძნო, რომ ის მარტო არ არის ბრძოლაში. ჩვენ, რუსებს, სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, პეტერბურგში გატარებული ის ოთხი წელი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ცხოვრების საძირკვლად თვლიდა, არ იქნებოდა ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ არ ყოფილიყვნენ დიდი მეგობრები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი, გერცენი, დობროლუბოვი, რომელთა ხმები ძლიერად ქუხდნენ, ნაცვლად იმ დუმილისა, რომელიც ხელისუფლებას სურდა გაემეფებინა ქვეყანაზე.

ის ისმენდა ამ ხმებს, ერკვეოდა ეროვნული და ზოგადკაცობრიული ინტერესების რთულ ზღარბებში, ოფიციალური ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, სხვა თვალთ უყურებდა მშობლიური ხალხის ისტორიას. მან თავის თავში იპოვა ის ძალა, რომლითაც შეეძლო მთელი სიცოცხლე ევლო დინების საწინააღმდეგო ახალი გზით, შეეძლო ყოფილიყო დაუღალავი პატრიოტი, მოწინავე მწერალი, შეჰხებოდა მშრომელი ქართული ხალხის ყველაზე საკიბრობოტოს საკითხებს.

არის დრო, იბადება მწერალი, რომელშიც ხალხი არა მარტო აერთიანებს ეროვნული ხასიათის ნიშნებს, არამედ თითქოს ანიჭებს უფლებას ყველაზე ნათელი, მისაწვდომი და განუმეორებელი ფორმით გამოთქვას საკუთრად ხალხის აზრები. ქართულ ლიტერატურაში ასეთი მოვლენა უეჭველად იყო ილია ჭავჭავაძე.

მრავალმხრივი ნიჭი საშუალებას აძლევდა მას ყოფილიყო გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. გარდა ამისა, ის იყო ისეთი ბუმბერაზი საზოგადო მოღვაწე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქ-

მეში მისი ღვაწლისათვის შეგვიძლია ვუწოდოთ პროგრესული ქართულადინტელიგენციის გული, მშრომელი ხალხის დიდი მეგობარი.

მის ნაწარმოებთა მნიშვნელობა, ჩემის აზრით, კიდევ იმაშია, რომ საქართველოს ეროვნულ საგანძურში წარსულსა და მომავალს ისინი ხალხის ბედის, ხალხის გენიის ბრწყინვალე ძალისადმი რწმენით აკავშირებენ.

„ჩვენი ისტორია ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსად არ ჩანს. მე — კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს სულაც. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“ — ამას ამბობდა „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ილია ჭავჭავაძე, რადგანაც ხალხის ზნეობრივი სახე, მისი სულის სიღამაზე, მისი გონების ძალა, მისი შრომის უნარი და მოუქანცევლობა მუდამ ცოცხლობდა მწერლისათვის და ხალხის თავისუფლების მოყვარეობა საუკუნოვანი ჩავვრით არ იყო მოკლული. ხალხი შესანიშნავი სიმღერების, თქმულებების, ზღაპრების შემოქმედი, ხალხს უყვარს მხიარულება, სიხარული, შეგნებული აქვს საკუთარი თავის მნიშვნელობა, უყვარს სამშობლო მიწა, იბრძვის მის დასაცავად.

ილია ჭავჭავაძე რეალისტი. მას მშვენიერად ესმის, რომ ამ პოზიციას არ იზიარებენ ისეთი ადამიანებიც კი, როგორც იყვნენ მის მიერ დახატული არჩილი და კესო, რომელნიც მასავით დაბრუნებულან რუსეთიდან, მასავით შეჰხებიათ დიდი რუსი დემოკრატების იდეებს. ისინი საკუთარმა გლენებმაც კი „ქარგ ადამიანებად“ აღიარეს, მაგრამ გლენებმა არ იციან, რას ლაპარაკობენ მათ შესახებ ეს, საკუთარი ხალხით შეშინებული, ინტელიგენტები. ისინი ამბობენ: „ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე მისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალებდა და არ შემართლებდა კი. გლენი უწმინდურია თავის ტყაპუქით კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც...“

... ადამიანობით ისინი ჩვენზე უარეს-

ნი არიან. გლეხ-კაცისთანა გაუტანელს, გლეხ-კაცისთანა შეუბრალებელსა და უმადლოს ძნელად თუ ჰნახავ სადმე...“

ილია ჭავჭავაძისათვის არასოდეს არ უღალატია რწმენას ადამიანისადმი. იგი მოითხოვდა სამსახურს საზოგადოებრივი სიმართლისათვის, ქართველი ხალხის თავისუფალი ცხოვრების აღდგენის იდეისათვის. პოემა „განდევილში“ მან მკაფიოდ დაასაბუთა ხალხისაგან თოვლში და ყინულში გაქცევის არაბუნებრიობა. განდევილის ეგოისტური განდგომილ ცხოვრებას არ აქვს არავითარი გამართლება, ადამიანი ცოცხლობს ხალხისათვის ბრძოლაში, ცხოვრობს ხალხის წიაღში, იზიარებს მის ბედს თუ უბედობას, და ზელოვნებაში ზედავს ნათელ მიზანს — ასახოს ხალხის ცხოვრება, მის ყველაზე უფრო მართალ, ფერადოვან ძლიერ გამოხატულებაში, შექმნას დიდი, ღრმად ცხოვრებისეული ხასიათები, როგორცაა გლახა („გლახის ნაამბობი“), როგორცაა ოთარაანთ ქერივი, როგორცაა მისი ვაჟი გიორგი, როგორცაა კაკო ყაჩაღი.

რეალისტური ლიტერატურის ამ პრინციპების მტკიცე თანმიმდევრობა აკავშირებს მას რუსულ ლიტერატურასთან. ეს არის დაურღვეველი, საუკუნო კავშირი საქართველოსა და რუსეთის მეგობრობისა, საქართველოსა და რუსეთის კულტურული თანამშრომლობისა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ ასეთი სიყვარულით, ასე შესანიშნავად თარგმნა პუშკინის ლექსები. და რასაკვირველია, „წინასწარმეტყველი“ მისთვის განსაკუთრებული ძალით უნდა აედრებებოდა.

ის ხომ ზედავდა იმ პოეტურ ნათესაობას, რომელიც აახლოებდა ერთმანეთთან ისეთ პოეტებს, როგორც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მიხეილ ლერმონტოვი. საერთოდ კი, დიდი რუსი მწერლები საქართველოსათვის შეუმჩნეველად არ დარჩენილან. ქართველმა ლიტერატორებმა დაინახეს მათი გმირული ლიტერატურული ღვაწლი, მათი ბრძოლა

რეალისტური საფუძვლებისათვის, ადამიანის ხასიათის ღრმა გაგება, რამაც ტოლსტოისა და დოსტოევის მწიფეობათა საშუალებით შეარყია ევროპული სამყარო.

ილია ჭავჭავაძე აღიარებდა რუსული ლიტერატურის წამყვან როლს და იმ გავლენას, რომელიც მან იქონია ქართული საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე და თავისი დაღი დაამჩნია აზრებს, ფიქრებსა და გრძნობებს. მაგრამ ეს გავლენა სრულებითაც არ ზღუდავდა ქართულ აზროვნებას, პირიქით, უბიძგებდა მას ახალი ძიებისაკენ, ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ.

იმ წლებში ილია ჭავჭავაძე — აკაკი წერეთელთან ერთად — გვევლინება საქართველოში ყოველგვარი პროგრესული და ადამიანური უფლებებისათვის მებრძოლი ძალების ბელადად. მისდამი ფართო მასების სიყვარული და პატივისცემა ცუდად შენიღბულ გულისწყრომას იწვევდა რეაქციონერებისა და მეფის სატრაპების მხრივ.

მას თითქმის ნახევარი საუკუნე მაღლა ეჭირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა, ახალი ქართული დემოკრატიული მწერლობის დროშა. მას, შესაძლოა, ჰქონდა სხვადასხვა უტოპური წარმოდგენები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო უკვე სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში განხორციელებულ ხალხის იდეალებთან. ზოგჯერ ის ცდებოდა, როგორც შეიძლება შეედგეს ყოველი დიდი საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე, მაგრამ იგი არ ცდებოდა ქართული დემოკრატიული მწერლობის გამარჯვებაში, ხალხის მჩაგვრელებზე გამარჯვებაში.

და დღეს, როდესაც მოწიწებით მაღლობას ვუხდით დიდ მწერალს მისი ძლევა-მოსილი შრომისათვის, ადამიანის მიმართ მისი კეთილი ზრახვებისათვის, მოწინავე კაცობრიობის საქმისადმი მისი მგზნებარე ერთგულებისათვის, რუსულ ლიტერატურასთან და რუსულ პროგრესულ საზოგადოებრიობასთან მისი მეგობრობისათვის, ადამიანს, რომელმაც

დააკავშირა ქართველი და რუსი ხალხები, — ჩვენ უნებლიეთ ვეშურებით მისი სამშობლოს იმ ადგილებისაკენ, რომლებიც მან აღწერა თავის პოემებში, ლექსებში, მოთხრობებში. ჩვენ ვხედავთ, რა საოცრად შეიცვალა საქართველო, რა დიდი სიყვარულითა და მადლიერებით უფასებს ამაგს თავის დიდ შვილს ქართველი მშრომელი ხალხი თავგამოდებული, ხანგრძლივი, დიდებული სამსახურისათვის.

ბნელმა ძალებმა ვერაგულად დაღვრეს მისი სისხლი, მაგრამ ეს სისხლი დაიღვარა იმ მიწაზე, რომელსაც მან მისცა მთელი თავისი სიყვარული, ეს სისხლი ნათელ მოგონებად ბრწყინავს ხალხის ხსოვნაში, ეს სისხლი მარადიულ ცეცხლის ალად ინთება დიდებულ საფლავზე, რათა მომავალ თაობებს გაუნათოს გზა კიდევ უფრო დიადი-მომავლისაკენ, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა აშენებს შრომისა და მსხვერპლის დაუზოგავად.

პარიზის ომები

ლენინგრადი



ილია ჭავჭავაძის კითხვისას

ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, ჩამოყალიბდა დიდი ისტორიული ეპოქის მიჯნაზე. ამასთანავე, შეტად მნიშვნელოვანია, რომ მისი სულიერი განვითარების გადამწყვეტი წლები (1857 — 1861) მან გაატარა რუსეთში, პეტერბურგში.

რუსეთის, რუსული აზროვნებისა და რუსული კულტურის ისტორიაში ეს იყო ღირსშესანიშნავი წლები. ნიკოლოზ I-ის სიკვდილით დამთავრდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დამკვიდრებული შავი რეაქციის ბატონობის ხანა. სევასტოპოლის კამპანიამ ნათელყო როგორც შემამულური მონარქიის სისუსტე და ჩამორჩენილობა, ასევე უბრალო რუსი ადამიანის დიდი სულიერი ძალა, მისი გმირობა და თავგანწირულობა. იწყებოდა მშფოთვარე სამოციანი წლები. მთელი რუსეთი ამოძრავდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისთვის ჩამოსული ახალგაზრდა ქართველი ამ მოძრაობის ცენტრში აღმოჩნდა. იგი მთელი არსებით ჩაება მის ირგვლივ არსებულ დემოკრატიულად განწყობილი ახალგაზრდობის გონებრივ ცხოვრებაში. ილ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი კითხულობდა გერცენს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ოცნებობდა ებრაძოლა თავისუფლებისათვის გარიბალდის დროშის ქვეშ, მონაწილეობდა სტუდენტთა მღელვარებაში 1861 წელს.

ეს მხოლოდ ფაქტებია. მაგრამ ეს ფაქტები ხელოვნებაში ცოცხლდებიან, როცა ჩვენ ახალგაზრდა ილ. ჭავჭავაძის ლექსებს ვეცნობით და მაშინ ნათლად, მთელი სიცხადით ვხედავთ, როგორ

ძლიერად იღვრებოდა პოეზიაში ნამდვილი ცხოვრება, მისი ვნებებისა და აზრთა მღელვარე დუღილით.

რა თქმა უნდა, რუსეთშიც ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, უპირველესად, იკვებებოდა თავისი ეროვნული კულტურის მაცოცხლებელი ძალით. მისი შემოქმედება აღმოცენდა და მომწოდდა ქართულ ნიადაგზე. ჩრდილოეთში გამგზავრებისას ასე ეთხოვებოდა სამშობლოს პოეტი. იგი წერდა:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განგებთ
თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე
დავწყებასა...
მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით
განგებთ თავსა...
უცხოეთიდან კვლავ მოგაწვდენა, ჩემს გულს
და თვალსა,

მაგრამ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების, რუსეთის მოწინავე აზროვნებისა და დასავლეთ ევროპაში მაშინ გაბატონებულ რეალისტური ხელოვნების გავლენამ დიდად გაანაყოფიერა პოეტის ტალანტი და მისცა სწორი მიმართულება მის სულიერ შემოქმედებითს ძიებებს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოვიგონოთ, სახელდობრ — რა გარემოებაში იყო ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში 1857 — 1861 წლებში. დაეასახელოთ მხოლოდ ყველაზე მთავარი და ძირითადი.

ეს იყო ჩერნიშევსკის იდეათა მძლავრი აღორძინებისა და ახალგაზრდობაზე მისი დღითიდღე მზარდი გავლენის ხანა. მაშინ გაიშალა დობროლუბოვის ბრწყინვალე ლიტერატურულ-

კრიტიკული მოღვაწეობა, ასპარეზზე გამოვიდა პისარევი. „სოფრემენნიკის“ თვითეული წიგნი ჭეხილის მსგავსად ძლიერად არყევდა საზოგადოებრივ ატმოსფერას. 1857 წელში პეტერბურგში საყოველთაო განხილვისათვის გამოფენილი იყო ალექსანდრე ივანოვის გენიალური სურათი „ქრისტე გამოცხადდა ხალხს“, რომელიც მანამდე გაუგონარი ძალით ფერწერაში რეალიზმის პრინციპებს აფუძნებდა. 1859 წლიდან დაიწყო გამოსვლა სატირიკულმა „ისკრამ“, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობის ისტორიაში 1861 წელს. უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში გამოჩნდნენ მგზნებარე პროკლამაციები, „ახალგაზრდა თაობას“ (შელგუნოვისა და მიხაილოვის) და „საბატონო გლეხებს“ (ჩერნიშევსკისა). ამავე წლებში რუსული ლიტერატურა მდიდრდება ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით. საკმარისია დავასახელოთ ტურგენევის რომანები, რომლებმაც გამოიწვიეს გაცხარებული კამათი („ახაურთა ბუდე“, „წინა დღე“, „მამები და შვილები“), გონჩაროვის „ობლომოვი“, ოსტროვსკის „ქარიშხალი“ და, ბოლოს, 50-იანი წლების მეორე ნახევარი და 60-იანი წლების დასაწყისი — ნეკრასოვის მადლიანი ნიკის გაფურჩქვნის დრო.

აი, ეს არის პრინციპულად მნიშვნელოვანი სახელი ილ. ჭავჭავაძისათვის. მგონი არ არსებობენ ზუსტი მონაცემები, რომლებიც დაამტკიცებენ ქართველი პოეტის ურთიერთობას ნეკრასოვთან. მაგრამ ასეც რომ არ იყოს, შეცდომა არ იქნებოდა დაგვემტკიცებინა, რომ ილ. ჭავჭავაძე იზიარებდა, ნეკრასოვის პოეზიით გამოწვეულ საერთო გატაცებას.

უკვე დაწერილი იყო და ხალხმა ზეპირად იცოდა: „Огородник“ და „Тройка“, „Еду ли ночью по улице темной...“ და „Вчерашний день часу в шестом...“ „Маша“ და „Блажен не-

зловивый поэт“... „Саша“ და „Замолчки, муза мести и печаль“, „Поэт и гражданин“ და „Убогая и парядная“. იმ წლებში, როდესაც ილ. ჭავჭავაძე პეტერბურგში ცხოვრობდა, გამოქვეყნდა ნეკრასოვის ახალი შესანიშნავი ნაწარმოებები, და მათ შორის, ისეთი შედეგები, როგორცაა „ფიქრები საღარბაზო შესასვლელთან“, „რაინდი ერთი საათით“ და სხვა.

ილ. ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა დამამტკიცებელია იმისა, თუ როგორ ღრმად განიმსჯავლა იგი „სამოციანელთა“ მეზრძოლი სულით; შეითვისა რა დასავლეთ ევროპისა და რუსი განმანათლებლების და რევოლუციონერი დემოკრატების ესთეტიკური შეხედულებანი, იგი მტკიცედ დაადგა იდეური და რეალისტური ხელოვნების გზას, ხელოვნებისა, რომელიც მოწოდებული იყო საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები დაეცვა.

მაგრამ ერთია თეორიული აზრი, ზოგადი პრინციპები და მიზანდასახულობანი და, მეორე — მხატვრის ცოცხალი შემოქმედებითი პრაქტიკა, თავად ხელოვნება, პოეზია. ილია ჭავჭავაძე იყო არა მხოლოდ თეორეტიკოსი, არამედ, პირველ ყოვლისა, მხატვარი, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ ისახამდა ხორცს მისი ზოგადი შეხედულებანი ხელოვნებაში.

აი ამ თვალსაზრისით ილ. ჭავჭავაძის და ნეკრასოვის შემოქმედებითი ურთიერთობა წარმოადგენს საინტერესოსა და მნიშვნელოვან მოვლენას.

რასაკვირველია, მანამდისაც, ილ. ჭავჭავაძემდე, დიდი ქართველი პოეტები ლაპარაკობდნენ ხელოვნების მაღალ დანიშნულებაზე, მაგრამ სწორედ ილია ჭავჭავაძემ მისცა ამ თემას ესოდენ სრულხმოვანი საზოგადოებრივი ელერა. თუ როგორაა დამუშავებული აღნიშნული თემა ილია ჭავჭავაძის ლექსებში, ამას მოწმობს აგრეთვე აშკარა პოლემიკური პათოსი, რადგანაც მას, როგორც დემოკრატ და რევოლუციონერ პოეტს,

უნდა დაერღვია რომანტიკული ხელოვნების ნიადაგზე გამოშვებული წარმოდგენა ხელოვანზე როგორც „მომღერალ ფრინველზე“, უზრუნველ უმნარაზე და ბედისაგან განებივრებულ ადამიანზე.

ასე ემთხვევა ილია ჭავჭავაძისა და ნეკრასოვის შეხედულებები მწერლის, პოეტის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე. ხალხის შვილი და, ამავე დროს, მისი მოციქული და წინამძღოლი, პატრიოტი — მოქალაქე, თავისუფლებისათვის მებრძოლი, სოციალური უკულმართობის მამხილებელი, — აი, ასეთია ხაზები, რომლებიც დამკვიდრდნენ ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო ლირიკაში.

ეს ნათლად ჩანს მის საპროგრამო-დეკლარაციული ლექსიდან — „პოეტი“, რომელიც 1860 წ. გაზაფხულზე დაწერა მან პავლოვსკში, პეტერბურგის მახლობლად:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
 ვით ფრინველმა გარეგანმა;
 არა მარტო ტყილ ხმებისთვის
 გამოგზავნა ქვეყნად ცაშა.
 შეცა მნიშნავს და ერი მზრდის
 მიწიერი ზეციერსა;
 ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
 რომ წარვეძღვე წინა ერსა.
 დიდი ღმერთის საკურთხეველს
 მისთვის დღევის ცეცხლი გულში,
 რომ ერისა მომედ ვყო
 კმუნავსა და სიბარულში.

ეს თემა ენათესავენა საკითხის ნეკრასოვისებურად გადაწყვეტას. აქ ჩვენ გამოკვეთილად გვესმის „ნეკრასოვის მონათესავე სიმის“ ელერა. თვით პატრიოტული გრძნობის ბუნება, რომელიც ასეთი ძალითაა გამოხატული ილია ჭავჭავაძესთან, ამ შემთხვევაში გვაგონებს ნეკრასოვს. ეს არის პოეტის გრძნობათა მთლიანი გათქვეფა სამშობლოს სტიქიაში, ხალხში, ნაციონალურ ცხოვრებაში; ეს არის სრულიად განსაკუთრებული გრძნობა, ინტიმური და ორგანული, პოეტის კავშირი სამშობლოსთან,

მისი ღრმად ლირიკული განცდების, როგორც სიბარულის, ასევე მწუხარების საკუთრად მიჩნევა.

ილია ჭავჭავაძისათვის ასე ორგანულია და ესოდენ ძვირფასი სამშობლოსთან ერთიანობის გრძნობა: „...მისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის შვილი ყურს უგდებს“, ამბობდა ილია.

ჩვენ მოვძებნეთ ნეკრასოვისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ისეთი მონათესავე თემები, რომლებითაც გატაცებული იყო ქართველი პოეტი, — ასეთებია სიმართლისა და სინდისის, მოქალაქეობრივი მოვალეობის, „დიდი საქმისათვის“ ბრძოლისა და თავდადების თემა; პოეტის სულიერ ტანჯვათა სწრაფვას თან ერწყმის „ცხოვრების წინაშე მოვალეობისა“ და სიმართლისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნება. პოეტის სული მშფოთვარე, როგორც ზღვა, სავსეა დიდ ადამიანურ სიმწარეზე ფიქრებით. ამ სულს აცოცხლებს სიყვარული სიკეთისადმი, ხალხისადმი და მისწრაფება ბედზე გამარჯვებისა; მას აწუხებს და აშფოთებს „შერცხვენა მეგობრებისა, რომლებმაც ბრძოლა მრატოვეს“. ასევე ნეკრასოვი გვეუბნება:

Кто живет без печали и гнева,
 Тот не любит отчизны своей...

სწორედ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი პოეტის ამ ლექსში გამოხატულია ასეთი რთული, ასეთი მტანჯავი, შესაძლებელია, წინააღმდეგობრივი, სინამდვილეში კი ერთიანი მთლიანი გრძნობა, უქცნობი სიყვარული სამშობლოსადმი და ხალხისადმი, მძაფრი სიძულვილი ყოველივე იმისადმი, რაც ამცირებს ნაციონალურ სიამაყეს, არცხვენს ადამიანის მოქალაქეობრივ ღირსებას და უხეშად ამახინჯებს მის სულიერ სილამაზეს.

ილია ჭავჭავაძე 1861 წ. წერდა პო-

ეტზე, მხედველობაში ჰქონდა, რასაკვირველია, საკუთარი თავი:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიაცეს ქართლისას
ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ვე ხომ ცხადი
სიტყველია!“
ბრძენნი ამბობენ, კარგი ვული კი მაშინვე
სცნობს —
ამ სიტყველში როდენიც სიყვარულია!

ილია ჭავჭავაძეს უყვარდა სამშობლო შეგნებული და მომთხოვნი სიყვარულით. ეს სიყვარული არ იყო ბრმა. იგი ყველაზე ნაკლებად უმღეროდა, მართალია, ლამაზ, მაგრამ უკვე მოძველებულ წყობილებას, ზნე-ჩვეულებებს და ყველაფერ იმას, რითაც ასე იყვნენ გატაცებული პოეტი-რომანტიკოსები. პირიქით, როგორც ჭეშმარიტი განმანათლებელი და დემოკრატი, იგი ხალხის ფსიქოლოგიაში ამხედდა ყოველივე იმას, რაც კი გამოამდინარებდა მისი, როგორც ლენინი ამბობდა, „მონური წარსულიდან“, რაც ხელს უშლიდა ხალხის შემოქმედებითს აქტიურობას, ამუხრუჭებდა მის წინსვლითს მოძრაობას და მის ბრძოლისუნარიანობას.

ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემეცნებობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სატირა. ამ ჟანრის სიყვარულშიც იგი ენათესავენა შესანიშნავ რუს პოეტს ნეკრასოვს (პამფლეტური ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „პასუხის პასუხი“).

მაგრამ საკითხის დედაარსი, რომელ-

საც ვაკერით შევხეთ ამ წერილში, რასაკვირველია, მდგომარეობს არა მხოლოდ და მხოლოდ კავშირულ მოტივების მსგავსებაში, როგორადაც ნათელი და შთამბეჭდავი არ უნდა იყოს ეს მსგავსება, არამედ თავად იმ დროისათვის ახალი ლირიკული სტილის, პრინციპების ერთიანობაში.

თუ არ იცი ქართული ენა, შეუძლებელია ღრმად შეხვიდე ამ საკითხში, მაგრამ მე მგონია, მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა, რომ დეტალურად გაანალიზდეს ილია ჭავჭავაძის პოეტიკა ნეკრასოვის სამოქალაქო ლირიკასთან ურთიერთობაში, მის ცეცხლოვან პოეტურ ენასთან, ნეკრასოვის ჩანგის „ქვითინის ხმებთან“ შეფარდებით.

თუკი 60-იანი წლების რუსი განმანათლებლებისა და რევოლუციონერი დემოკრატების საზოგადოებრივი შეხედულებები და ესთეტიკური თეორია დაეხმარა ილია ჭავჭავაძეს იმ გადახალისებისათვის ქართულ ლიტერატურაში, რაც სამართლიანადაც მიეწერება მის სახელს, ნეკრასოვის პოეზიის ცოცხალმა, უშუალო, მხატვრულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო შესანიშნავ ქართველ პოეტს შორს გაეწია თავისი შემოქმედებითი პორიზონტი, გამოსულიყო ახალი მნიშვნელოვანი თემებით, აეთვისებინა ახალი ზერხები და ფორმები პოეტური სიტყვის ზორცშესასხმელად, გამხდარიყო თვითმყოფადი ნაციონალური ქართველი პოეტი.





პოეტის დაბადება

ამ თვეში ჩვენ აღვნიშნავთ ილია ჭავჭავაძის არა ორ, არამედ არსებითად სამ ლირსშესანიშნავ თარიღს: მისი დაბადებიდან ასოც წელს და ნახევარ საუკუნეს, რომელიც ჩვენ გვაშორებს მისი ტრაგიკულად დაღუპვიდან; ას წელს იმ დღიდან, როდესაც იგი დაიბადა, როგორც პოეტი; 1857 წ. მან შექმნა თავისი პირველი ორიგინალური ლექსი „ყვარლის მთებს“, რომელიც ახლა წარმოდგარება მის თხზულებათა კრებულს.

განსაცვიფრებელია ილია ჭავჭავაძე-პოეტის ეს მეორე დაბადება იმ დროს, როდესაც ის ტოვებდა ყვარელს, ეთხოვებოდა მშვენიერ კახეთს, რამდენიმე წლით ტოვებდა საქართველოს და გაბედულად ემზადებოდა მძიმე მგზავრობისათვის, მისწრაფოდა ჩრდილოეთისაკენ, რომ გაენათლებინა გონება, „აემოძრავებინა ტვინი და გული“. ამ დროს მან თავი იგრძნო პოეტად; აქამდე მიყუჩებულმა გრძნობებმა გამოსცეს ხმა, დახვეწილი და ვაჟიკური ლექსის ფორმით. მან გასაოცარი შთაგონებით ააწყო ფიცის, სიყვარულის, სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი პატრიოტული ცეცხლით აღგზნებული სტროფები.

მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით
განებებთ თავსა...
უცხოთილამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს
და თვალსა,
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნილამ თქვენ ჩემი
სული
და დამიწვევსა სიყვარულით ფეოქსა
გული“.

მისი განვლილი მთელი ოცი წლის განცდანი — ბავშვობა ყვარელში, გულში შეჭრილი დედის სიტყვები, გამზრდელი სალომეს დარიგება, სოფლის დი-

აკენის მიერ მოთხრობილი ამბები, ხალხური პოეზიის და სიმღერების შეცნობა, რეფორმამდელ თავად-აზნაურთა უშფოთველი ყოფა-ცხოვრების პროზა, ხალხური ლეგენდების, ზღაპრების ფანტასტიკა და მშრომელი ხალხის დუხჭირი ცხოვრების სინამდვილე, დიდი სამყარო და თბილისის გიმნაზიაში გაკეთილებზე გადაშლილი რუსთაველი, პუშკინი, შექსპირი, მეგობრებთან საუბრები, ყველა, რაც კი მისმა თვალმა დაინახა, განიცადა, რაც უყვარდა, რისთვისაც იტანჯებოდა და იფერფლებოდა მისი კეთილშობილი გული, — სულ უცდიდა დროს, რომ ფართოდ გადმოღვრილიყო, მაგრამ ჯერ საჭირო იყო დუხჭირი გარემოს შეცნობა, „ვინ არის დამნაშავე“ და „რა ვაკეთოთ“. ამ კითხვებზე პასუხის მიღება შეიძლებოდა იმ დროში შორეულ პეტერბურგში.

ილიამ ოთხი წელი დაყო პეტერბურგში. იგი, შემდეგ ამ წლებს „ოქროს წლებს“, „ცხოვრების საძირკველს“, „ცხოვრების პირველწყაროს“ უწოდებდა.

ახლა, საზეიმო-საიუბილეო დღეებში ჩვენ მისი ბიოგრაფიის ამ წლებს გონების თვალთ ბევრჯერ გადავხედავთ. უამისოდ გაუგებარი იქნება ილია, ვერ შეფასდება მისი განუზომელი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ღვაწლი, ვერ ჩაეწვდებით მისი ლექსების და პროზის უღიადეს ნოვატორულ ხასიათს, მისი პოეტური ძალის მძაფრ მომწიფებას.

გადავფურცლავთ რა „სოვრემენიკს“, გერცენის „კოლოკოლის“ სიფრიფანა ფურცლებს და შევადარებთ ილია ჭავჭავაძის გამოთქმებს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის აზრებს და დაეაკირდებით იმ წლების პეტერ-

ბურგელი სტუდენტების—რუსის, ქართველის, პოლონელის სახეებს, აღბეჭდილთ გაცრეცილ ფოტოსურათებზე, სტუდენტებისა, რომელნიც იმ დროს „უწესრიგობისათვის“ პეტერპავლოვის და კრონშტადტის ციხეებში იხდნენ, დავინახავთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას ილია ქავჭავაძისა და მისი შესანიშნავი ტოლ-ამხანაგების — კ. ლორთქიფანიძის, ნ. ლოლობერიძის, ვ. ლოლობერიძის, ბ. ნაკაშიძის, გ. წერეთლის, კ. აბხაზის, ი. ისარლიშვილისა და ნ. ნიკოლაძისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ქართველობა ჩერნიშევსკის საზოგადოებაში მუდმივად იმყოფებოდა, მაშინ გასაგებია, თუ როგორ ირანშემოდნენ საერთო საქმისათვის და აქედან რა უხვი იდეები შეითვისეს ამ მოწინავე ქართველმა „თერგდალეულებმა“, თუ, ილია ქავჭავაძის ცხოვრებაში რა როლი ითამაშა ამ ოთხმა წელმა! და განა მარტო ცხოვრებაში? შემოქმედებაში! გადავზოლოთ მის თხზულებათა ტომები, ენახოთ ლექსები, პოემები, მოთხრობები, 1857—1861 წლებით დათარიღებული: „ს. პეტერბურგი“, „ტიარლევი“, „პავლოვსკი“ აქ არის „ქართველი დედები“, „ნანა“, „მესმის, მესმის“, „ნ. ბარათაშვილი“, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „მუშა“, „პოეტი“, „გაზაფხული“, „უცხოეთში“, „დაე, მოგვედ“, „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო“, „ელეგია“, „დაბნეულა სული“, „ალექსანდრე ქავჭავაძე“. ყველა ეს ნაწარმოები შექმნილია იმ ოთხი წლის განმავლობაში. თვით პოემა „აჩრდილი“, „ქართველის დედა“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია აღამიანა?!“ ახლა თარგმანები? — პუშკინი, ლერმონტოვი, გოეთე, შილერი, ანდრე შენიე, ბაირონი, ვალტერ სკოტი, რიუკერტი, ჰაინე!.. აი, ილიას იმდროინდელი თარგმანები! რა განსაცვიფრებელი დასაწყისია! რა მოწინაველი აზრებია და ფორმები! ამ ნაწარმოებებში ოცი-ოცდასამი წლის ქაბუქისათვის რა მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და თემების სიახლეა!

მხოლოდ დიდი პოეტების მცირე რიცხვა დაიწყო ასე თავისებურად შემდგომების გზა!

გიორგი მთავროსი

ძალაუნებურად გაციფრებს ქმნილებათა სიუხვე... როგორ შეძლო მან ასეთ ჩანაფიქრთა განხორციელება იმ მოკლე, ოთხი წლის მანძილზე. ილიამ თავისი ძალა გვიჩვენა „აჩრდილის“ ალეგორიული სახის შექმნაში, საყოფაცხოვრებო მოთხრობა „გლახის ნაამბობში“ და მკაცრ სატირიკოსად მოგვევლინა „კაცია აღამიანაში“. ამასთანავე, იგი გვევლინება, როგორც მრავალფეროვანი პოეტი, თავისი ლირიკული თუ მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული პუბლიცისტური ლექსების სახით.

ამასთან ერთად თვითვე ნაწარმოებში პატრიოტული თქმა ედერს ნაირფერად და ახლებურად, ისე როგორც მანამდე არ აცლებებულა ეს თემა ქართულ პოეზიაში. მისი პოეზია გააზრებულ მოწოდებაა მშრომელი ხალხის სოციალური ჩაგვრიდან გასათავისუფლებლად.

ილია ამ ლექსებით გვევლინება არა როგორც მეოცნებე რომანტიკოსი, დიადი სამშობლოს წარსულის დამტირებელი, არამედ — როგორც ახალი ეპოქის მოღვაწე, ახალი იდეების მქადაგებელი, საქმის კაცი, რუს და ქართველ ხალხთა შორის მეგობრობისათვის მებრძოლი, საქართველოში ბატონყმობისა და ყველა უცხო მჩაგვრელის უღმობელი მხილველი.

ილია ქავჭავაძის გმირებია გუთნისდედა, მუშა, „გლახა“, „ყაჩაღი“... საოცარია, რომ ილია ჯერ კიდევ პეტერბურგში, ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში მათი სახელით ლაპარაკობს. ილიას რომელმა თანამედროვე მწერალმა ან პოეტმა წარმოგვისახა იმ წლებში ცხოვრებისა და ხასიათების! ცოდნით, ასე მძაფრად, ასეთი გულშემბატკივრობითა და სიყვარულით ჩაგრული მონების ბედი, იმათი თავგადასავალი, ვინც ითვლებოდა საზოგადოების „მდაბიო“ ფენად.

იმ წლებში განა ბევრმა პოეტმა შექმნა ამ ადამიანთა სახეები და შეიყვანა ლიტერატურაში „გლახის“, „ყაჩაღის“ თუნდაც მსგავსი სახეები? აბა, რომელმა მწერალმა გვიჩვენა მათი ცხოვრების საშინელებანი, რომელმაც გააშიშვლა ასეთი გაბედულებით მათი სოციალური კონფლიქტები ბატონებთან, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ გააკეთა, ილიამ, რომელმაც მათ მიუძღვნა თავისი პირველი შთაგონება?!

არა, ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეს უდავოდ პირველობა ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურაში და თვით რუსულ ლიტერატურაშიც ერთ-ერთი პირველი გაბედული მწერალია.

მეტად საინტერესოა ამ თვალსაზრისით ილიას ნაწარმოებები შევადაროთ ნეკრასოვის ქმნილებებს მათი დაწერის თარიღების მიხედვით.

მოთხრობა „კაცია-ადამიანს“ ზოგჯერ გოგოლის „ძველი დროის მემამულეებს“ ადარებენ, მაგრამ აქ უფრო გარეგნული მსგავსებაა.

„მირგოროდის“ უწყინარ მოხუცთა გოგოლისებური ლირიკული ტონით თხრობას ილია ჭავჭავაძისეულ თხრობასთან ძალიან ცოტა აქვს საერთო. ჭავჭავაძის ნაწარმოების სატირული ძალა უფრო გოგოლის „მკედარ სულებს“ ენათესავება, ყველაზე მეტად კი მოგვაგონებს მოწიფული შჩედრინის ნაწარმოებთ.

ხალხის მტარვალებისადმი საოცარი სიძულვილი და მთელი გზნებით ჩაგრულთა დაცვა მრავალი წლის მანძილზე საზღვრავდა ილია ჭავჭავაძის პოეზიის ხასიათს და მთელ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ის თვისებები ილიაში ყალიბდებოდა რუსული რევოლუციური დემოკრატიისა და რუსული ლიტერატურის გამათავისუფლებელი იდეების ზეგავლენით.

ილიას არა ერთხელ გამოუთქვამს გზრი და დაუწერია, რომ „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი შემოქმედება იქონია ყველა მასზე, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს“, „თვითელი ჩვენგანი, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — რუსულის ლიტერატურით გაზრდილა“, „რასაკვირველია, — დასძენდა ილია — ამ შემოქმედებამ რუსულს ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამოწარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა“.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ყველა ათივე ტომი ამის ცოცხალ დადასტურებას წარმოადგენს. ამას ხელი შეუწყო იმ დროს პეტერბურგში მოწინავე იდეების შეთვისებამ და ქართულ სინამდვილესთან შეფარდებამ. მან პოეზიაში დაამკვიდრა თავისი საკუთარი გზა და მიმართულება. მისი პირველი ნაწარმოები გახდა ახალი პერიოდის დასაწყისი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჩაივლით მოღუშულ დარიალს, გადახვალთ გამბორზე და თვალს გადააქვით გადამწვანებულ კუდი-გორას, გადახვალთ მსუბუქად დანისლულ კახეთში, შეხედავთ ყვარლის მთებს და ყველა ამას ძალაუვნებურად აღიქვამთ ცოცხლად, წინასწარ ილია ჭავჭავაძის პოეზიით განცდილს, და მათში მართლაც ხედავთ ილიას გმირების ცოცხალ ძეგლებს.

კეთილშობილური სიყვარულით ფიქრობთ „მგზავრის წერილებზე“, „რამდენიმე სურათზე“ და კიდევ უფრო გვიანდელ ნაწარმოებებზე, თვით იმ ადრეულ პირველ პეტერბურგულ ლექსებზე, რომლებთაც იხსენება მის თხზულებათა პირველი ტომი.



გიორგი ბაქანი

უკრაინა



სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი

საქართველოს რუსეთთან შეერთებას მეცხრამეტე საუკუნის ზღურბლზე შედეგად მოჰყვა საქართველოს კოლონიზაცია ცარიზმის მიერ. ქართველ ხალხს, გარდა საკუთარი მებატონეებისა, მძიმე უღლად დააწვა მეფის მოხელეთა და რუს მებატონეთა ჩაგვრა, მაგრამ, სამაგიეროდ, რუს ხალხთან და ყოფილი იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად ქართველებმა დაუძინებელი ბრძოლა გააჩაღეს ამ ორმაგი-სოციალური და ეროვნული — ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პროცესში ჩაისახა და განმტკიცდა ქართველი ხალხის მეგობრული კავშირი რუსეთის რევოლუციონერ ხალხებთან, რუს ხალხთან, რუსული კულტურის მოწინავე მოღვაწეებთან, შეერთების ასეთ შედეგებს, რა თქმა უნდა, არ მოელოდნენ არც ცარიზმი და არც ქართველი თავადობა. ეს შედეგები საფრთხეს უქმნიდა ცარიზმის კოლონიზატორულ ინტერესებს და ქართველ მებატონეთა სოციალურ კეთილდღეობას.

მოწინავე რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან კეთილისმყოფელმა კავშირმა განაპირობა ქართული ლიტერატურის განვითარების ახალი გზები. საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე ბრწყინვალე ფიგურა, რომელიც ქართული პოეზიის ამ ახალ აღმავლობასა და გაჭინებას გამოხატავდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო. მასთან ერთად რომანტიკულ სკოლას ეკუთვნოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. სამოციან წლებში კი ქართულ ლიტერატურაში მძლავრად ვითარდება რეალიზმი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი

და სოციალური ბრძოლის უდიდეს აღმავლობასთან. ამ ეპოქის ქართულ ლიტერატურაში უთვალსაჩინოესი ადგილი უკავია ზუმბერაზ პოეტს, პროზაიკოსს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის იდეებმა ხელი შეუწყეს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ილია ჭავჭავაძე ქეშმარიტი ბელადი გახდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. თავისი დროის მოწინავე ადამიანი, იგი დაუღალავად იღწვოდა საქართველოს საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველ სფეროში. პოეზია მისთვის იყო აგრეთვე მძლავრი იარაღი სამშობლოს სოციალური აღორძინებისათვის ბრძოლაში, ბატონყმობის ნაშთების, სამშობლოს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ილია ჭავჭავაძემ ღრმად და ორგანულად შეითვისა თავისი დროის განმათავისუფლებელი იდეები:

მესმის, მესმის სანატრელი
ხმა ბორკილთა, ხმა მტრეკისა,
სიშართლის ხმა ქვეყნადა ქუქხს,
დასაბრუნებელ მონობისა.

აღმატაცებს ზოლმე ეს ხმა
და აღმინთებს იმედს გულში.
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტყბილი
გამაგონე ჩემს მამულში.

ასეთივე მგზნებარე თავისუფლების-
მოყვარეობითაა გამსჭვალული ილია

ქვეყნის ლექსები — „პარიზის კომუნის დაცემის დღე“, „ჩემო კარგო სამშობლო“ და მრავალი სხვა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ილიას მსოფლმხედველობის გაგებისათვის ისეთი ღრმა იდეების შემცველ ნაწარმოებებს, როგორცაა პოემა „აჩრდილი“ და დრამატული დიალოგი „დედა და შვილი“. არას ვიტყვი ილია ქვეყნის საყოველთაოდ ცნობილ პროზაზე, რომელშიაც

მძლავრი პროტესტია გამოთქმული ბატონყმური სინამდვილის მიმართ.

ქართული ლიტერატურის აღორძინებაში და მის ახალ მძლავრ განვითარებაში ილია ქვეყნის ისეთივე დიდი როლი მიუძღვის, როგორც ჩვენში, უკრაინაში, ტარას შევჩენკოს. ეს კი ყველაზე საბატოო როლია, რომელიც შეიძლება ხვდეს წილად თავისი სამშობლოსათვის და ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლს.

ოქტომბერი

უკრაინა



ჩვენ იღია

ზიამაყის გრძობით არის აღსავსე გული ყოველი უკრაინელისა, ყოველი რუსისა, ყოველი ბელორუსისა... ახალი ცხოვრების, ახალი სოციალისტური კულტურის ყოველი მშენებლისათვის მახლობელი და ძვირფასია დიდი ქართველი პოეტი-მოქალაქე ილია ჭავჭავაძე. იგი ძვირფასია უკრაინისთვისაც, იმიტომ, რომ მთელ მის ცხოვრებას, შემოქმედებას, მგზნებარე მოღვაწეობას ასულდგმულებად ფიქრი და ზრუნვა ადამიანის თავისუფლებასა და ბედნიერებაზე.

როგორ შეძილია აქ არ მოვიგონო ტარას შევჩენკო, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ იგივე ფიქრები ასულდგმულებად! ტარას შევჩენკო ხშირად ესაუბრებოდა დიდი ილიას თანამებრძოლს დიდ აკაკი წერეთელს. მას ღრმად აინტერესებდა ქართველი ხალხის ცხოვრება, ყოფა, მისი გმირული ისტორია, მისი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. კავკასიის ხალხების უბედურება და ტანჯვა წარსულში გულთან ახლოს მიჰქონდა ჩვენს დიდ მოღვაწეს, პოეტ-რევოლუციონერს ტარას შევჩენკოს. შორეულ გადასახლებაშიაც არ აძლევდა მოსვენებას მის გაწამებულ გულს ბედი ქართველი ხალხისა, ბედი კავკასიის ხალხებისა. იმ მძიმე დროს დაწერა მან პოემა „კავკასი“, რომელშიაც დიდ გულისწყრომასთან ერთად, გამოთქვამდა ღრმა რწმენას კავკასიის ხალხთა მომავლისადმი. ამ პოემაში ქართველი ხალხი წარმოუდგა უკრაინას როგორც პრომეთე-ამირანი, რომლის დასისხლიანებული, დაკორტნილი

გული ფეთქავს და ცოცხლობს უკეთესი მერმისის იმედით.

შევჩენკო გადასახლებიდან პეტერბურგს დაბრუნდა. ტარას შევჩენკოს სახელი, როგორც სახელი უბრალო ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლსა, იწვევდა არა მარტო უღრმეს პატივისცემას, არამედ სურვილს მიეხებათ მისთვის, ესწივლათ მისგან — აკაკი წერეთლის თქმით — „როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო და შენი ხალხი“.

ამ პერიოდში ილია პეტერბურგის პროგრესულ სტუდენტთა პირველ რიგებში იმყოფებოდა. მან უკვე კარგად იცოდა, რა დიადი მიზნისათვისაც უნდა შეეწირა თავისი სიცოცხლე.

ორი ქვეყნის შეილთა გზები შეიყარა: ეს იყო ერთადერთი სწორი, ბუნებრივი და ისტორიულად აუცილებელი გზა. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ მათ გაეწიათ სამსახური სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი ხალხისათვის.

ო, რა ახლოს არის, ილია, შენი ხმა ტარას შევჩენკოს ხმასთან. იმ ხმასთან, რომელიც შენ აღიმადლე ბატონყმობის წინააღმდეგ, ადამიანის გათელილი ღირსების დასაცავად, ადამიანისათვის ბედნიერების მოსაპოვებლად.

როცა ვკითხულობ ილიას მწარე, მაგრამ გაბედულ სტრიქონებს „აჩრდილიდან“:

შენში კაცისას გრძობას არ ხედევენ,
დედას ძეძულგან შეილა აგლეკენ,
ვინ იცის სიღამ სად გაჰყლიდან...
უწმინდურისა ხელითა სთბიან

დღისა ველში უკეთესს გრძნობას,
 ცდიდად უფროსს შეიღისა ტრფობას,
 თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
 სილამაზე და შევნიერება, —
 მონაც ჩაგრულთ, ვითამ შენს ველსა
 სსისხარულოდ ვევე გენება?!

ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყდიან,
 ნამუსს მოუკლენ შეებრალბლად,
 და წრფელსა ველში ღვარძლს წაასხმიან,
 გახდიან ყვავილს ფეხქვეშ სათრავლად, —

იმ სტრიქონებს, რომლებშიაც ისმის
 საშინელი გულსტკივილი დამცირებ-
 ბულ, უფლებამართმეულ ადამიანებზე,
 მაშინვე მაგონდება შევჩენკო და ნათ-
 ლად და გარკვევით მესმის მისი მრის-
 ხანე მუხის ხმა. შევჩენკო ხომ — ეს
 დიდი გულის ადამიანი — მწარე ცრემ-
 ლებით დასტიროდა ნამუსაზღილ და
 შეუტრაცხყოფილ მრავალ ქალსა და ქა-
 ლიშვილს, რომელთა პატიოსნება და
 ღირსება ფეხქვეშ გათელეს სისხლის-
 მწოველმა ბატონებმა, შლიახტებმა და
 სხვა ჯურის ვერაგებმა. ეს ხომ შევჩენ-
 კომ თავისი კეთილშობილური სული
 შთაბერა და შექმნა ისეთი შესანიშნავი
 ქალების სახეები, როგორცაა კატერი-
 ნა; რომლის ცხოვრება ცრემლითა და
 შემამარწყუნებელი უბედურებით თავ-
 დება...

ო, რა მახლობელია შენი აზრები
 შევჩენკოსათვის, ილია. შენც ხომ ისე-
 ვე, როგორც ჩვენი ტარასი, ხარბად ეწა-
 ფებოდი შენი ხალხის გმირული ისტო-
 რიის ცხოველმყოფელ წყაროს და ახალ
 ბრწყინვალეობას აძლევდი მას, ახალ
 ძალას მძატებდი, აღაფრთოვანებდი შენს
 თანამედროვეთ ემსახურონ სამშობ-
 ლოს — როგორც ემსახურებოდნენ მა-
 თი მამა-პაპანი. ეს ხომ შენ, ილია, გვი-
 ჩვენე დიმიტრი თავდადებული, რომელ-
 შაც თავი დასდო სამშობლოსათვის.

შენ, ილია, გვიჩვენე მუშა და გუთ-
 ნის დედა, რომლებიც მაგონებენ ბევრ
 უკრაინელ გლეხს, ასე ცოცხლად რომ
 დაგვიხატა თავის დროზე შევჩენ-
 კომ. ეს ხომ შენ, და არა სხვამ, მისწე-
 რე დავით ერისთავს: „ეგ ოხერი ჩვენი

ისტორია... მარტო ომებმისა (ღმრთეფუ-
 ბის ისტორიაა, ერისმისა) ჩანს! შენც
 ვსთერ აგებულბნის! ადამიანი ვარ, რომ
 მეფეებისა და ომების ხანე არ მიზიდავს
 ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი
 ჩვენს ისტორიაში არა ჩანს!...“

ტარას შევჩენკო როცა კითხულობდა
 ბანტიშ-კამენსკის, მარკოვიჩს ან სკალ-
 კოვსკის, რომლებიც ასე გულმოდგინედ
 და ხელგამლილად აღწერდნენ უკრაინის
 კაზაკურ სტარშინებს და გმობდნენ უკ-
 რაინაში განმათავისუფლებელი მოძრა-
 ობის მკაფიო გამოვლინებებს, მას აღშ-
 ფოთებდა, რომ ეს ხალხი ასეთ „უდარ-
 დელობას“ ბჩენდა უკრაინის ისტორიის
 მიმართ, აღშფოთებული იყო იმით, რომ
 ეს ხალხი არსებითად არაფერს ამბობდა
 უკრაინის ნამდვილი ისტორიის შესახებ.

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია
 ბნელი და დაუმუშავებელია. ჩვენს ის-
 ტორიაში თითქოს არ მოიპოვება ჩვენი
 ხალხის ცხოვრებიდან აღებული ფაქტე-
 ბი, ხოლო თუ ხალხზე სადმე რაიმეს
 იტყვიან, ეს თითქმის ყოველთვის სა-
 ეკვოა“... ამ სიტყვებს თვითონ შევჩენ-
 კოც მოაწერდა ხელს, როცა შეფასებას
 აძლევდა ზოგიერთი თავისი თანამედ-
 როვის ისტორიულ „გამოკვლევებს“,
 რომლებსაც ისეთ გამოუვალ ბუნდოვა-
 ნებაში შეტყავდა მკითხველი, საიდანაც
 არ შეეძლო დაენახა უკრაინელი ხალ-
 ხის ნამდვილი გმირული ისტორია.

ო, როგორ ახლოა ტარას შევჩენკოს
 გულთან შენი მართალი ხმა, ილია!
 ეს ხომ შენ ასწიე ასე მალლა შენი
 ხალხის ეროვნული ღირსება. შენ აღ-
 ზარდ შენი ერის თვითშეგნება, შენი
 ხალხის გმირული ისტორიის, გმირუ-
 ლი ბრძოლების ფაქტებზე, რომლებიც
 საესეა არა მარტო ცრემლით, ტანჯვით,
 არამედ გმირობით, მამაცობითა და გა-
 მარჯვებებით!

შენი გამბედავი ხმა, შენი მართალი
 გული, ილია, ახლოა ტარას შევჩენკოს
 გულთან!... და ეს არ არის შემთხვევი-
 თი. ეხმიანებოდი რა მთელი არსებით
 რუსეთის საუკეთესო შეღებს, შენ,

ილია, ეზიარე და შენი ხალხიც აზიარე რუსი ხალხის პროგრესულ აზროვნებას, იმ საქმეებზე და ამბებზე, რომელთა ცენტრში იღვწენ პუშკინი და გოგოლი, ბელინსკი და ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი და ნეკრასოვი. ასეთივე ისტორიული მისია შეასრულა შეეჩენკომაც, რომელიც ხელიხელჩაკიდებული მიპყვებობდა რუსეთის საუკეთესო შვილებს ჩაგურისა და თვითნებობის; ძალადობისა და მონობის მოსაპობისათვის ბრძოლაში, რომ მოეპოვებინა ბედნიერება და თავისუფლება არა მარტო თავისი, არამედ შენი ხალხისათვისაც.

სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ შეეჩენკომ შენს ხალხს პრომეთე უწოდა...

უკრაინელ ხალხს, მის საუკეთესო შვილებს არასოდეს არ დავიწყებინა შენ, ძვირფასო ილია!

1898 წლის 24 მაისს, შენი მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილეზე მიხაილო კოციუბინსკიმ, ბორის გრინჩენკომ, ვლადიმირ სამილენკომ, მარია ზაგირნიამ, ალექსანდრე რუსოვმა და სხვებმა გულითადად მოგილოცეს შენ ჩერნიგოვის უკრაინელთა სახელით... თამამად შეეძლოთ თავიანთი შესანიშნავი წერილი მოეწერათ მთელი უკრაინის სახელით მთელი ქართველი ხალხისათვის.

აი, ეს ამაღლევებელი წერილი:

„ქედს ვიხრით თავისუფლებისა და ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ხალხის წინაშე; დამონებულ, მაგრამ თავისუფლების მოტრფიალე ხალხს ეკუთვნის ჩვენი გული.“

საქართველო, ეს ზღაპრული კუთხე, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო სამთხვე ამ ქვეყნად, იზიარებს ჩვენი უკრაინის მწარე ხედრს, იგივე უცხო რეჟიმი, იგივე დამონება ხალხის ცოცხალი გულისა!

გულთმისნური პოეტური სული ჩვენი შეეჩენკოსი, დაქროდა რა მშვენიერ საქართველოზე, თავის პოემაში „კავკასიაში“ ასე ხატავდა თქვენს ქვეყანას:

მთების იქით მთები, შედურეილი ნისლით,
მწვანარებით სივსე და მორწყულნი ნისლით.
ქველთაგანვე პრომეთოსს მისხალხისა
აქ არჩივი სძინენის,
გულს უკრატნის, მოტრიალებს
ნაკადული სისხლის.
ტყაფება და ვერ ამბობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცლდება,
ქველდებურად ხარობს!.

დიან, დიდი გული პრომეთესი, რომელიც არ შეუშინდა ბოროტ ძალებს და კაცობრიობას ღვთაებრივი ცეცხლი მოუტანა, ჯერ კიდევ ცოცხლობს. იგი ცოცხლობს პატრიოტი პოეტების გულში, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა გულში, რომელთაც ეკუთვნით თქვენც, დიდად პატივცემული ადამიანო!

რაც არ უნდა ილონოს მტერმა, ხუნდებს ვერ დაადებს ცოცხალ სულსა და ცოცხალ სიტყვას. ამის დამადასტურებელია თქვენი ლიტერატურა, რომელიც სულ უფრო და უფრო წინ მიდის. ამ ლიტერატურაში, მცირერიცხოვან, მაგრამ ძლიერი სულის ხალხის ლიტერატურაში, თქვენს სახელს საპატიო ადგილი უპირავს...

დიდება სახელოვან პოეტ-პატრიოტს. იცოცხლეთ კიდევ დიდხანს, თქვენი ერისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მთელი თქვენი მოღვაწეობა — ბრძოლაა თქვენი ხალხის ეროვნული სულის შესანარჩუნებლად. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ბრძოლა ეროვნულ სულს დაღუპვისაგან გადაარჩენს. დავამთავრებთ ჩვენი პოეტის სიტყვებით: „იბრძოლეთ — გაიმარჯვებთ“.

არა მარტო ჩერნიგოველმა მწერლებმა თქვეს თავიანთი სიტყვა, არა მარტო მათ გაიგონეს შენი ხმა, ილია, შენი ხმა მისწვდა ციმბირის შორეულ გადასახლებაში მყოფ უკრაინის ერთ-ერთ დიდ პოეტ-რევოლუციონერს პავლო

1 თარგმანი კ. ლორთქიფანიძისა (ტ. შვეჩენკო, 1952 წ.).

გრაბოვსკის, რომელიც გვერდს უშევენებს ლესია უკრაინკასა და ივანე ფრანკოს — ამ პოეტ-მოქალაქეებს, ასე მალა რომ ეპირათ ტარას შეეჩენკოს პოეზიის დროშა!

პავლო გრაბოვსკიმ დეკაბრისტებისა და შეეჩენკოს კვალზე რომ გაგზავნეს ციმბირის კატორღაში, ერთ-ერთი (ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი) კეთილშობილი ქართველი გადასახლებული-საგან გაიგონა შენი მგზნებარე ლექსები. გრაბოვსკის გულში ჩაწვდა შენი მწუხარება და სიხარული, შენი ოცნება და იმედები. შენი მწუხარება მის მწუხარებად იქცა, შენი სიხარული — მის სიხარულად, შენი ოცნება და იმედები — მის ოცნებად და იმედებად.

ციმბირის კატორღაში გრაბოვსკი გათოშილი ხელით თარგმნიდა შენს ლექსებს, ილია, ჩემი ხალხის ენაზე! რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი ამ ურღვევი მეგობრობისა, ამ გულთა ერთიანობისა!

აქ, საქართველოში, შენს მხარეში, ძვირფასო ილია, მე ხელახლა განვიცადე ეს შესანიშნავი ამბავი და არ შემეძლო არ დამეწერა ლექსი — „გრაბოვსკი თარგმნის ჭავჭავაძეს“.

მიიღე, ილია, ჩემი გულის ეს მოკრძალებული ძღვენი, რომელიც შენს კურთხეულ მიწა-წყალზე დაიბადა!

ეს არის სასიხარულო გამოვლინება იმ დიდი შთამაგონებელი ხმებისა, რითაც სავესტ მქონდა გული, როცა კიევში ვთარგმნიდი შენს „ქართველი სტუდენტების სიმღერას“ და „პარიზის კომუნას“.

პავლო გრაბოვსკი!.. მას არ შეეძლო არ გაეგონა შენი ხმა, ილია. გრაბოვსკი ხომ შენ ძმად და მეგობრად გთვლიდა! ეს ხომ იგი მოუწოდებდა, რომ ძალადობა დასაჯილი ყოფილიყო პოეტის შთამაგონებელი სიტყვით! ამაში ხედავდა გრაბოვსკი პოეტის მოვალეობასა და მოწოდებას, და განა ეს მაღალი გრძნობები არ ისმის შენს „პოეტში“! არ შეეძლო გრაბოვსკის არ ეთარგმნე,

ილია, რადგან იგი გრძნობდა — როგორც თვითონ წერდა — რომ მისი სწორები შენს აზრებს ეთანხმებოდა. თამამად შეეძლო გრაბოვსკის ეთქვა, როგორც შენ სთქვი შენს „პოეტში“, რომ ერის წყლული მისი საკუთარი წყლული იყო და სული ეწოდა თავისი ხალხის ტანჯვით. ისიც იწოდა თავისი ხალხის ტანჯვით. ისიც, ისევე როგორც შენ, ცხოვრობდა უბრალო ხალხის ბედითა და უბედობით და მისი მყობადით.

ამ ნათელი მყობადისათვის ბრძოლაში დაიღუპა გრაბოვსკი 38 წლისა ვილნიუსში — კატორღაში და ვერ ეღიროს ვერც უკრაინისა, ვერც რუსეთისა და ვერც შენი საქართველოს ნახვას.

დარჩა შენი პოეზია, ილია, დარჩა გრაბოვსკის პოეზია — ეს საიმედო იარაღი მსოფლიო უკულმართობასთან ბრძოლისა, გაბედული ხმა ჩაგრულთა და დამამწერალთა დასაცავად.

გაბედული ხმა ჩაგრულთა დასაცავად! ეგ შენი ხმა იყო, ილია, რომლითაც შეუბოვრად ესხმოდი თავს — როგორც წერს ჩვენი თანამედროვე გერონტი შიქოძე — ბატონყმობას.

„მოსპობა კლასთა ყოველგვარი ბატონობისა და, თუ შესაძლოა, ყოველგვარი კლასობრივი განსხვავებისა“, აი, რას უწოდებ შენ ერთ-ერთ სტატიაში „მე-19 საუკუნის მიერ წამოყენებულ სოციალური წყობილების“ იდეალი.

ამ მაღალი იდეალის განხორციელებამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა... შენ იყავი ერთი ამ მსხვერპლთაგანი...

ჩვენ კარგად ვიცით, ვინ არის შენი მკვლელი! ეს ის მკვლელია, ვინც ესროლა პეშინსა და ლერმონტოვს! ეს ის მკვლელია, ვინც დაღუპვამდე მიიყვანა შეეჩენკო, ფრანკო და გრაბოვსკი!

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე: რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას შეტყვის მე იგი? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომამქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა?“ — წუხდი შენს „მგზავრის წერილებში“...

დეე, შენს გულში ნუ დაისადგურებს წუხილი და დარდი, ილია! არა მარტო შენი ხამშობლო, საქართველო, არამედ მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა გეგებება შენ, როგორც ერთგულსა და გულად შვილს, რომელმაც სიცოცხლე და უკანასკნელი წვეთი სისხლისა ხალხს შესწირე. შენი ხმა ისმოდა არა მხოლოდ საქართველოში. იგი მისწვდა უკრაინასაც — კარპატებიდან შავ ზღვამდე. — მაღლობა ყოველივე იმ სიკეთისათვის, რაც შენ გააკეთე ხალხისათვის! ასე მოგმართავენ ქართველები და უკრაინელები შენ. გიციქვრით ნათელ სახესა

და არწივისებურ თვალებში, როგორც ჩვენს დიდ მეგობარსა და თანამებრძოლს ახალი ცხოვრების შენებაში, იმ ახალი ქვეყნისა, რომელზედაც შენ მხოლოდ ოცნება შეგეძლო!

შენი ხმა არ დადუმებულა... შენმა ხმამ გადმოიარა ყვარლის მთები, გომბორი, თოვლიანი კავკასიონი და მოაღწია ჩემი უკრაინის გაშლილ ველშინდვრებამდე: ეს ხმა ახლოა ჩემი ხალხის გულთანაც, რომელიც ღრმად სცემს პატივს შენს სახელს, უკეთესო და უკეთილშობილესო „თერგდალეულთაგან“.

ანიგანი
უზბეკეთი



დიდი მხატვარი და გაბედული მოაზროვნე

ნიკიერი და დიდი ლიტერატურული შემკვიდრების მქონე ქართველი ხალხი აღნიშნავს მისი დიდებული შვილის — ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლისთავს.

სიტყვის დიდი მხატვარი, მწერალი და პოეტი, უდიდესი საზოგადო მოღვაწე, გაბედული მოაზროვნე — აი, ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ ილია ჭავჭავაძე.

მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა — ესაა მთელი ეპოქა. მისი მშვენიერი, სულში ღრმად ჩამწვდომი ლექსები, რომლებიც გამოხატავენ ქართველი ხალხის ფიქრებს, გრძნობებსა და აზრებს, მისი ნათელი და ღრმა რეალისტური პროზა ჩვენ დღესაც გვიტაცებს და გვატყვევებს.

ჭავჭავაძის მთელი მრავალფეროვანი

მოღვაწეობა, რომელიც გაბედულად იჭრება ცხოვრების სინამდვილეში, წარმოადგენს ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის, ერთგულებისა და უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს.

მგზნებარე პატრიოტს — ჭავჭავაძეს სწამდა თავისი ხალხის შემოქმედებითი და რევოლუციური ძალები, მისი ნათელი მომავალი.

და აი, ახლა თავისუფალი და ბედნიერი ქართველი ხალხი, მათთან ერთად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, მათს რიცხვში უზბეკი ხალხიც, პატივსაცემენ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ილია ჭავჭავაძეს იცნობენ და უყვართ არა მარტო მის მშობლიურ საქართველოში, მის ნაწარმოებებს კითხულობენ და სწავლობენ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში. მისი შემოქმედება ხელმისაწვდომი გახდა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.



ილია ჭავჭავაძის იუბილეშათვის

ქართველი პოეტის, პუბლიცისტის, განმანათლებლის, მე-19 საუკუნის დემოკრატიის საიუბილეო დღეებში ჩემი ფიქრები მიმართულია მშვენიერი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოსაკენ, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების დახმარებით ხალხმა გარდაქმნა თავისი მიწა-წყალი, დაამშვენა ნაყოფიერი ველები, ააგო ახალი ქალაქები და გიგანტური სამრეწველო საწარმოები, აღმოაცენა ბედნიერების თესლი ჩაის თვალუწვდენ პლანტაციებზე, მძიმე ნაყოფით დაყურსულ ბაღებში, ლეგენდარული თერგისა და მტკვრის ნაპირებზე, კავკასიონის ქედის ფერდობებზე, ქედისა, რომელსაც აგვირგვინებენ საქართველოს დიდებული მიწა-წყლის განვლილი მწუხარებისა და ახლანდელი ზეიმის მარადიული მოწამე, ცამდე აწვდილი იალბუჯისა და ყაზბეგის მწვერვალები. ყველა ამას პირადად მე არა ერთხელ გავუკვირვებია, როდესაც ვმოგზაურობდი კავკასიაში ჩემს ქართველ მეგობრებთან ერთად, თანამედროვე ქართველ მწერალთა წრეში, ამბების დაუღალავ მთხრობელ სიმონ ჩიქოვანთან, ისტორიის მკოდნე და გონებაშახვილ ადამიანთან — გიორგი ლონიძესთან, ახალგაზრდა მგზნებარე პოეტთან — იოსებ ნონეშვილთან და სხვებთან, — გულისხმიერ და ნიჭიერ ადამიანებთან.

შემთხვევითი როდია აწმყოს ეს კავშირი ქართველი ხალხის წარსულთან. საქართველო, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები, არა მარტო ალაფრთოვანებდა მე-19 საუკუნის დიდ რუს დემოკრატ მწერლებს, არა მარტო

გამოიხატა იგი პუშკინის, ლერმონტოვის, ლევ ტოლსტოის სტრიქონებში, არამედ ქართველი ხალხის ყველაზე მოწინავე პროგრესულმა შვილებმა თავისი შემოქმედებით, თავისი მხატვრული სიტყვის ფუნჯით გაამდიდრეს ყოფილი მეფის რუსეთის ხალხების დემოკრატიული განმათავისუფლებელი აზრები, მოუწოდებდნენ რა თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად, ნაციონალურ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ.

საქართველოში წარსული საუკუნის ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო ადამიანთაგანი იყო ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა სამუდამოდ შევიდა ჩვენი ხალხების კულტურის საგანძურში, როგორც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ყველაზე საგულდაგულო ოცნებებისა და იმედების გამომსახველი, მათ რიცხვში ქართველი ხალხისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იბრძოდა ადამიანთა სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ჩვენს მიწა-წყალზე. ეს ოცნებები და იმედები განხორციელდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით.

საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის მადლიერი არიან დიდი რუსი დემოკრატების — ბელინსკის, დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკისა, რომელთაც თავის დროზე გაალევიეს რევოლუციური აზრი და უდრეკი ნებისყოფა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა შეგნებაში.

და როდესაც ჩვენ ვკითხულობთ თავისუფლებისმოყვარე პოეტის ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილის“ შესანიშნავ სტრიქონებს —

ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძღვებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილსა
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კელავ აყვავების.

ვხვდავთ, რომ იგი აქ ეხმაურება პუშკინის
წინასწარმეტყველურ სტრიქონებს:

„Товарищъ, верь, — войдет она,
Заря пленительного счастья.
Россия вспрянет ото сна
И на обломках самовластья
Напишут наши имена“.

ჩვენი ქვეყნის მკითხველები, მთელი
მსოფლიოს პროგრესული ადამიანები

დიდი რუსი მწერლების — პუშკინის,
ლერმონტოვის, ნეკრასოვისა და ახალი
აბაი კუნანბაევის, ახერბიჯანოვისა და
შა ფატალი ახუნდოვის, თათარი კლასი-
კოსის აბდულა ტუკაიას, უკრაინის
კობზარის ტარას შევჩენკოს, ტაჯიკე-
თის განმანათლებლის ახმად დონიშის
და მრავალ სხვათა სახელების გვერ-
დით მაღლიერებით წარმოთქვამენ
ილია ჭავჭავაძის სახელს.

მიმდინარე წელი ოქტომბრის სო-
ციალისტური რევოლუციის ღირსშესა-
ნიშნავი თარიღის წელია და ამ დღესას-
წაულის დღეებში სიყვარულით ვიხსე-
ნებთ ჩვენს დიდ წინაპრებს, რომელ-
თაც აღმართეს სამართლიანობის ჩირა-
ღდანი ცარიზმის ბნელი სამყაროს
თაზე.



მგზნებარე გულის აღმზიანი

ილია ჭავჭავაძე თავის ლექსებში უმეტესად განთიადის მოახლოებას, მაგრამ ის ვერ მოესწრო ამ განთიადს. თავისუფლების ეს ძლიერი განთიადი ამ მრავალტანჯული ქართული მიწაწყლის შესანიშნავი შვილის ვერაგული მკვლევლობის ათიოდე წლის შემდეგ აგიზგიზდა.

და დღეს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავისა და მისი ტრაგიკულად დაღუპვის 50 წლისთავის დღესასწაულზე გვსურს, უპირველესად ყოვლისა, მადლიერების გრძნობით აღვნიშნოთ ის დიდი სიყვარული და ფაქიზი მზრუნველობა, რომლითაც თავს ევლება თავისი გამოჩენილი შვილის — ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი — მოძმე ქართველი ხალხი.

მე ორჯერ მინახავს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ვნახე, თუ რა სიფრთხილით; სიყვარულით და ცოდნითა ამ მუზეუმში თავმოყრილი აურაცხელი რაოდენობა უნიკალური ნივთების, ფოტოსურათების, ხელნაწერებისა და დოკუმენტებისა, რომლებიც ახასიათებენ ჭავჭავაძის — შესანიშნავი პოეტის, მწერლის, დაუღალავი საზოგადო მოღვაწის, მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის ევკატური მებრძოლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ბოროტმოქმედებმა მოკლეს ჭავჭავაძე, მაგრამ ვერ შეძლეს მოეკლათ მისი ნათელი ოცნება, მისი მგზნებარე იმედები განთიადისა, რომელიც ამცნობდა თავისუფლების დღეების დასაწყისს მის მშობლიურ ხალხს. ჭავჭავაძის სახელი ძვირფასი გახდა მილიონობით საბჭოთა აღმზიანი-

სათვის, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებდნენ. მისი ნაწარმოებები იცემა მრავალ ენაზე ათეული და ასეული ათასი ეგზემპლარით.

ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებები გაქვნილია კეთილშობილური, ჰუმანური სულისკვებით, გულითადი მღელვარებით, ნათელი მომავლის რწმენით. მისი მგზნებარე პუბლიცისტიკა, მიმართული ქართველი რევოლუციონერების წინააღმდეგ, მეფის სატრაპების — თავისუფლების სულთამბუთაეების წინააღმდეგ წარმოადგენს ხალხის სამსახურის ბრწყინვალე მაგალითს.

ჩვენთვის ძვირფასია ხსოვნა ილია ჭავჭავაძისა, როგორც ისეთი აღმზიანისა, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი ხალხი და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა სხვა ხალხებსაც, აღმზიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა თავისი ხალხის გამოფხიზლებისათვის, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ჩვენთვის, აზერბაიჯანელებისათვის, ძვირფასია ილია ჭავჭავაძის ხსოვნა კიდევ იმიტომ, რომ მის ცხოვრებაში, ბრძოლებსა და მისწრაფებებში ბევრი საერთოა გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებლის ჰასან-ბეკ ზარდაბის ცხოვრებასა, ბრძოლებსა და მისწრაფებებთან: ზარდაბი დაიბადა და გარდაიცვალა იმავე წლებში, რომელშიაც ი. ჭავჭავაძე (1837 — 1907). ჰასან-ბეგი იყო დამაარსებელი და რედაქტორი პირველი დემოკრატიული გაზეთისა აზერბაიჯანულ ენაზე.

ვინც კარგად იცნობს ილია ჭავჭავაძისა და ზარდაბის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იგი ადვილად დარწმუნდება,

რომ მეცხრამეტე საუკუნის ამ ორი გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების, საზოგადო მოღვაწეობის, იდეალებისა და იმედების მსგავსებაში, როგორც სარკეში, ჩანს ამ ორი მოძმე ხალხის ბედობლის ერთიანობა. ხალხებისა, რომელთა ფიქრებისა და იმედების გამოხატველი იყვნენ ჰაეკავაძე და ზარდაბი.

პასან-ბეგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. ჰაეკავაძეც ოთხი წლის განმავლობაში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ჰაეკავაძემ და ზარდაბიმ თითქმის ერთსა და იმავე დროს დააარსეს და სცემდნენ გაზეთებს, რომლებიც საზოგადო-პოლიტიკური იდეალებით ერთმანეთს ემსგავსებოდა. იმდროინდელი რუსეთის მოწინავე საზოგადოების კეთილნაყოფიერი გავლენა ჰაეკავაძისა და ზარდაბის იდეურ ფორმირებაზე, მათი ღრმა ცოდნა პროგრესული რუსული კულტურისა და მისდამი დიდი სიყვარული, რუსი ხალხის ისტორიული როლის შეგნება საერთო-საკაცობრიო ბრძოლაში თავისუფლებისათვის, — ყოველივე ეს გვიჩვენებს ამ შესანიშნავი ადამიანების უდავო სულიერ სიახლოვეს.

არ არის გამორიცხული, რომ ჰაეკავაძე და ზარდაბი იცნობდნენ ერთმანეთს. ამ შესანიშნავი ფაქტის გამორკვევა ქართველი და აზერბაიჯანელი ლიტერატურის ისტორიკოსების ძეგლისმოძიებური ამოცანაა.

„კაცია ადამიანის“ დასასრულში ჰაეკავაძე, მიმართავს რა მკითხველს, წერს: „თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ რაც უნდა მწუხარე ჰეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეგხედები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ

უბედურს და გზაკვალ არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო უნდა გეტირებოდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გეხებოს და თანაც გაჯაერდი ამ მოთხრობის დამწერზედ და გამოიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითამც ქართველობას ვლალატობ, რადგან იმის სასაცილო ამბავს ვიამბობ და არა ვმაღავ ზოგიერთ სულ-მოკლე პატრიოტივით“.

პასან-ბეგ ზარდაბიმ თავის გაზეთ „ეიჩნის“ („მხენელი“) ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა ვინმე ხადის პასკეილი, რომელიც მიმართული იყო „ერეტიკოსის, მუსლიმანური ინტერესების გამცემის“ პასან-ბეგ ზარდაბის წინააღმდეგ.

სინამდვილეში ეს ადამიანი იყო იმ მკითხველთა რიცხვიდან, რომლებიც ადანაშაულდებდნენ ჰაეკავაძეს მისი ხალხის ინტერესების გამცემლობაში, იმ განსხვავებით, რომ ეს მკითხველი ატარებდა ხადის სახელს, ცხოვრობდა არა საქართველოში, არამედ აზერბაიჯანში, კიცხავდა და გმობდა არა ჰაეკავაძეს, არამედ ზარდაბის, მაგრამ იმავე „ცოდვათათვის“, სიმართლისათვის საშინელი, მწარე სიმართლისათვის ხალხთა უსიხარულო ცხოვრების შესახებ.

ჰაეკავაძისა და ზარდაბის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ცხადად ვხედავთ ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და აზერბაიჯანელების — ბედის ერთიანობას, ხალხებისა, რომლებიც დღეს ახორციელებენ, ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლთა ნათელ იდეებს. როდესაც არსებობს ბედის ერთიანობა, მაშინ ძმობაც მარადიული და ურყვევია. ამ ძმობისათვის იბრძოდა ილია ჰაეკავაძე, მგზნებარე გულის ადამიანი.

ნაირი ზარიანი

სომხეთი



სომეხ-ქართველთა ძმობის დიდი ქომაგი

ილია ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურის მშვენიერებაა. თავისი ნათელი ჰუმანისტური იდეებითა და ხელოვნების მაღალი ოსტატობით ჭავჭავაძე არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სიამაყედ იქცა.

ილიამ ღრმად გაიაზრა თავისი საუკუნის დიადი პრობლემა — „პატიოსანი შრომის განთავისუფლების იდეა“ და ამ იდეის სადიდებლად მომართა თავისი ქნარი.

მე დიდი გატაცებით გადავიკითხე დიდი ქართველი მწერლის თხზულებანი და სიყვარულით ვთარგმნე სამშობლოს სიყვარულით გაქლენთილი ლექსი „ყვარლის მთებს“.

ჭავჭავაძე დიდი ჰუმანისტი და დიდი მამულის მოყვარე იყო. ჩემთვის, სომეხი მწერლისთვის, ილია განსაკუთრებით ახლობელია და საყვარელი იმიტომ, რომ მისმა ბრძნულმა გულმა ღრმად იგრძნო სომეხ-ქართველთა ძმობის მნიშვნელობა ორივე ხალხის საზიარო ბედნიერებისათვის. ჭავჭავაძემ ერთ წერილში გამოთქვა ბრწყინვალე აზრი, რომ

ქართველები და სომხები წარსულში ზღუდეები ყოფილან ერთმანეთისათვის აგრესორების თავდასხმების ეპოს. ეს მხარდაჭერა ამ მეზობელ ხალხთა შორის დღეს უფრო უნდა განმტკიცდეს.

სომეხ-ქართველთა ძმობის ასეთი იდეით დიდი ქართველი პოეტი ჭავჭავაძე ეხმაურება და ხელს უწყვდის ქართველთა დიდ შეგობარს ოვანეს თუმანიანს და მისი სახით მთელ სომეხ ხალხს, რომელიც თავისი მხრით ჭავჭავაძეში ხედავს ქართველი ერის უმაღლეს მისწრაფებებს.

ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის იდეა, რომელიც ბრძნულად იწინასწარმეტყველეს და იქადაგეს თავის უმშვენიერეს პოეტურ ქმნილებებში მირზა ფატალი ახუნდოვმა და ხაჩატურ აბოვიანმა, აკაკი წერეთელმა და გაბრიელ სუნდუკიანმა, ოვანეს თუმანიანმა და ილია ჭავჭავაძემ, ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურის ყველაზე უძვირფასესი განძია და ჩვენ, მათი მემკვიდრეები, თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას.

საქვანა ზორიანი

სომეხი



დიდი ილია

უსაზღვრო მადლობისა და პატივისცემის ღირსი არიან ის მოღვაწენი, რომლებიც ძალმომრეობის მძიმე წლებში ქედს არ იხრიდნენ არავითარი საფრთხის წინაშე და მსხვერპლად ეწირებოდნენ საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმინდა საქმეს. უფრო მეტი დიდების ღირსი არიან ის მამულისმოყვარე მწერლები, რომლებმაც დესპოტიზმის მრისხანე დღეებში მშობლიური ქვეყნის თავისუფლებას უმღერეს და მისი ნატერისა და ძიების მიაწრაფებით აღზარდეს შთამომავლობა.

60—70-იან წლებში ჩვენში ასეთი მწერლები იყვნენ პატკანიანი და რაფა, მომხე საქართველოში კი — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლნი, ორი დაჩაგრული ერის დიდი პატრიოტები.

ი. ჭავჭავაძისადმი ჩემი მოკრძალებუ-

ლი თაყვანისცემა უფრო ღრმად იმიტომ, რომ, გარდა თავისუფლების მადიდებელი უმშვენიერესი სიმღერებისა, ილიას მძაფრად გაუქირდავს თავად-აზნაურობა და მდამიო ხალხისათვის ქომაგობა გაუწევია. „გლახის ნაამბობი“ და სატირული რომანი „კაცია-აღამიანი“ ილია ჭავჭავაძის დემოკრატიული სულის გამოხატველი საუკეთესო თხზულებებია, რომლებსაც დიდი ხანია — მშობლიურ ენაზე თარგმნილს — სიყვარულით კითხულობენ ჩვენში.

ქართველი ხალხის საგმირო თავგადასავალის მატეანეში ილია ჭავჭავაძის სახელი მუდამ უკვდავი იქნება მით უფრო, რომ ის ახალი ქართული რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებელია, მისი უდიდესი კლასიკოსი პროზასა და პოეზიაში.

სამარადისო დიდება დიდი პატრიოტის — ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

აშოფ ბრევი

სომხეთი



თავისუფლების მომღერალი

ქვეყნის პოეტურ გენიისათვის ყველაზე დამახასიათებლად მიმაჩნია მისთვის საყვარელი სახე თერგისა. იგი ცხოვრების დამამკვიდრებელ, რეალისტურ პოეზიის, ხალხთა რისხვის, ამაყ ქედუხრელობის, თავის მიზნების მიღწევისათვის შეუპოვრობის პოეზიის განსახიერებაა.

თავისუფლებისმოყვარე დიდი პოეტის შემოქმედებაში თერგის თემა, ხან მთელის ხმით, ხან შეუცნობლად, ზოგჯერ ქვეტექსტში გაისმის. ნიშანდობლივია, მშფოთვარე, აღელვებული თერგისა და ცივი, ღრუბლებით დაფარული თოვლიანი მყინვარის დაპირისპირება. ეს დაპირისპირება ესთეტიკური კატეგორია როდია, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ეს გახლავთ მოთხოვნის წაყენება ადამიანისა და პოეტისადმი, ცხოვრებისა და პოეზიისადმი, მოთხოვნისა გიყვარდეს ცხოვრება და თავი შესწირო ადამიანს, მის საარსებო მიზნებს, მის წუხილს, სიხარულს და მისწრაფებას. ეს გახლავთ ხელოვნებაში ცივი ოლიმპიელობის უარყოფა, ხალხის ტივილებისა, ხალხის ბედისაგან გამოთიშულ „წმინდა“ ხელოვნების თვითმყოფილი სიამაყის უარყოფა.

„მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, — ამბობს ქვეყნაძე „მგზავრის წერილებში“, — დრტვინვა და ვი-ვაგლაზი. თერგი სახეა ადამიანის გაღვივებულის ცხოვრებისა... იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა, მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა. ცივია—როგორც უკვდავება და ჩუშია — როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით

უფრო, რომ მიუყარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვეყნობედი კი ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულია, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულია. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შეილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“

მეორე საყვარელი სახე ქვეყნისა არის ის სურათი, რომელსაც სევდიან და დიდი იმედით შესცქერის პოეტი. ეს არის სურათი გარიყრაყისა, როცა ჯერ კიდევ წყვედიან მოცულია საქართველოს მთები, მაგრამ ქარის სუნთქვასა, ფოთლების შრიალში, ტყის გუგუნსა და მდინარის გრიალში უკვე იგრძნობა მისწრაფება განთიადისაკენ. პოეტის მიერ დახატულ სურათებში განთიადის მოახლოების რწმენის სული ტრიალებს. განთიადს უძახის და ელის პოეტი, მას ელის და ეძახის მისი მშობელი ხალხი თავის ოცნებასა და ბრძოლაში.

ცნობილ „ელეგიაში“ პოეტი ამბობს:

„არსადან ხმა, არსით ძახილი...
მშობელი შობილს არას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართლის ძილშია კენესა ისმობა!
ვიღემ მარტოკა... და მთების ჩრდილი
ვევავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალურება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსლა გველირსოს ჩვენ გაღვივება?!“

და თუ ქვეყნისაძის ადრეულ შემოქმედებაში გარიყრაყის მოახლოების იმედი

და რწმენა ჯერ კიდევ გაურკვეველად მოჩანდა, როცა ეს თემა შემოქმედების შემდგომ წლებში დავაეკაცა და მომწიფდა, იგი აღერდა იმ დაჯერებით, რომ მისი მშობლიური, გათელილი და დამონებული მხარე მომავალში თავისუფალი იქნება. ამ განთიადს ხედავდა კესო და არჩილი, ეს იყო „მომავლის სხივი“, რომელიც „მომავლებდა განთიადს“ („ოთარანთ ქვრივი“).

პოემა „ქართლის დედის“ მიძღვნაში ქვეყანაზე წერდა:

„ყოზადს აუხადა ერთი კოთხე დიდის
ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტყევე მე სთამამე...“

გორკი ამბობდა, რომ ქეშმარიტმა მხატვარმა უნდა იცოდეს მესამე სინამდვილეს — მომავლის სინამდვილეს. ილია ქვეყანის შემოქმედებას ახასიათებს მომავლისადმი მისწრაფება. მომავალი ცოცხლობს მის პოეზიაში, მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ღამის წყვედით მოსილ ლურჯ მთებს იქით შეიკნობს განთიადს. მომავალი ცოცხლობს ქვეყანის პოეზიაში, როცა ის მოუწოდებს მშობელ ხალხს თავისუფალი ხედრისაკენ, მემამულეებისა და უცხოელების ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, იგი ცოცხლობს და სინამდვილედ იქცევა, როცა პოეტი ხატავს საერთო სახალხო ბრძოლას მშობლიური მხარის განთავისუფლებისათვის, ხატავს „სცენას მომავალი ცხოვრებიდან“ პეროიკულ პოემაში „ქართვის დედა“.

ქვეყანის მთელი შემოქმედების ამ მიზანდასახულობასთან პარპონიულ ერთიანობაშია მის მიერ შექმნილი — მშობლიური ხალხის თავისუფალი მომავლისათვის ვაჟეკატორად და შეუღრეკლად მებრძოლი პოეტის სახე.

ერთ თავის აღრეულ, საპროგრამო ლექსში, რომელიც 1858 წელს დაწერა, მან ასე დაახასიათა პოეტის როლი მის თანამედროვე საზოგადოებაში:

„და თუნდ მოკვდე, არ შეშინან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი“

ნახონ მათ, ვინც ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღსარულა მან თვისე გულუხუნილი
რომ ჩემს საფლავზედ დაქვდავილმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლობათა,
მე ჩამომძახოს თუნდ ზემის სმითა:
იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიკოცლია, როგორც უნდოდა:
თქვას შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმარობდა.“

ღრმად პატრიოტულია ქვეყანის შემოქმედება. ყოველი მისი ლექსი, ყოველი მისი პოემა — წარსულში, აწმყოსა და მომავალში სამშობლოს ბედზე თქმის ნაყოფია. იგი ხან მწუხარე კენესაა ორმაგად დამონებული ხალხის ცხოვრებაზე, ხან მოწოდება განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ, ხან მოგონება მშობლიური ქვეყნის ისტორიის გმირული ფურცლებისა, რომლის გმირად ილია ქვეყანაზე ყოველთვის საქართველოს უბრალო ადამიანს სახედა.

ქვეყანისათვის დამახასიათებელია მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხალხთა სტიქიური პროტესტის რომანტიკულად ამღერება. იგი ქმნის რომანტიკულ პორტრეტებს მთაში გასულ სახალხო შურისმგებლებისას, რომლებიც ხელოსუფლებამ „ყაჩაღებდა“ მონათლა. მის პოპულარულ „გლახის ნამბობში“ და „რამდენიმე სურათში ყაჩაღთა ცხოვრებიდან“ ეღერს მემამულური ჩაგვრის მთელი სისტემის, „ადამიანთა სამართლისა“ და „ადამიანთა პატიოსნების“ აბუჩად აგდების მრისხანე მხილება. ამ ნაწარმოებებში, როგორც თუმანიანის, სალტიკოვ-შჩედრინის, ნეკრასოვისა და შეჩერნკოს ნაწარმოებებში, გაშიშვლებულია და დაგმობილი მემამულეებისა და თავადების მხეცური სახეები.

ილია ქვეყანაზე, ისე როგორც ყაზბეგი, ქმნიდა სამართლიან, დიდსულოვან და თავისუფლებისმოყვარე „ყაჩაღთა“ ლირიკულ სახეებს. მათ შეხედა უსახელო სახალხო პოეტების თვალით, იმ პოეტებისა, რომლებმაც შექმნეს თქმულება არსენა ოძელაშვილზე ქარ-

თულ ფოლკლორსა და ყაჩაღ ნაბიზე აზერბაიჯანულ ფოლკლორში.

სომხეთში ცნობილია ახალგაზრდა თუმანიანის შეგობრობა 1885 წელს „ჩოფურელ ვაჟაკებთან“. პოეტი ალტაცებით მიესალმებოდა უჩინარ ძმებს — „ყაჩაღებს“, რომელთაგან უფროსმა ვერ მოითმინა სოფლის ხელისუფალთა მიერ მის თანასოფლელების აბუჩად აგდება, მოკლა მდიდარი და მთას შეეხიზნა.

ა. მ. გორკი თავის ნარკვევებში „ყაჩაღები კავკასიაში“ (1896 წლის „ნიეგგოროდსკი ლისტოკ“ №№ 309, 314, 324, 325, 327) გამოყავს ისინი, როგორც დამცირებული, შეურაცხყოფილი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის შურისმაძიებლები.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მწვერვალია. ყოველდღიური ფაქტების პოეზია დაედო საფუძვლად მის რეალისტურ ოსტატობას. ჭავჭავაძე მძაფრად, ირონიულად დასცინოდა ლიტერატურაში ხალხთა ცხოვრების ეგზოტიკურად ასახვას. ყოველდღიური, თითქოს რიგითი შემთხვევა მის შემოქმედებაში, მოცემულია ისეთ განზოგადებულ სურათში, რომელიც სისავსით და დასრულებულად ახასიათებს სოციალურ, საზოგადოებრივ მოვლენებსა და მათს ურთიერთდამოკიდებულებებს.

ღიღია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შემეცნებითი მნიშვნელობა. მასში ილიასდროინდელი საქართველოს საზოგადოების ყველა ფენაა მოქცეული: სოფლის ღარიბ-ღატაკობა და თავად-აზნაურთა წოდება, მეურმეები და მსახურნი, „ყაჩაღები“ და ვაჭრები, ჯარისკაცები და მოხელენი, მღვდლები და იამშჩიკები, დაბოლოს, ახალი ქართველი ინტელიგენცია, რომელმაც პეტერბურგსა და მოსკოვში მიიღო განათლება და რომელმაც თავის ახალ იდეალად ხალხთა ცხოვრების გარდაქმნა დაისახა.

ვერავითარი ეთნოგრაფიული და სტატისტიკური დაწვრილებითი ცნობები

ისე ვერ შესძლებენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სოფლის ტრაგიკული განწირულების, მისი გამოუვალი მდგომარეობისა და მონური ჩაგვრის გადმოცემას, როგორც ილია ჭავჭავაძის ცნობილმა რეალისტურმა შედეგებმა „გლახის ნაამბობმა“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივმა“ და ბევრმა სხვა ნაწარმოებმა გადმოსცეს.

სიყვარულით, დიდი რეალისტურ ოსტატობით შექმნა ილია ჭავჭავაძემ სახალხო ტიპების გალერეა. მათ შესახებ დაწერილ ტრაგიკულ მოთხრობებში განსახიერებელია კეთილშობილური ხასიათები, უბრალო ადამიანის მაღალი ზნეობა. როცა ამ მოთხრობებს კმნიდა ილია ჭავჭავაძე, თითქოს უპასუხებდა კითხვას: რა არის ადამიანში მშვენიერი და როგორ აისახა იგი ხელოვნებაში.

მისი მოთხრობების გმირები არიან მშობლიური სოფლის შვილები, „მოუწყობელი უსამართლო ქვეყნის“ მიერ გათელილი და შელანძღული, განუხორციელებელი, უბრალო, ბავშვური და წმინდა ოცნების ადამიანები, როგორც იყვნენ გიორგი „ოთარაანთ ქვრივში“, გაბრიელი „გლახის ნაამბობში“ და სხვები.

ჭავჭავაძის მოთხრობების ქვეტექსტში შეიცნობა პოეტის აზრი: ადამიანის ცხოვრება მშვენიერი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ჩაგვრის სამყარო, რომ არ გათელილიყო ადამიანის პიროვნება, მისი მისწრაფებანი, მისი უფლება ბედნიერებაზე.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება არის მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური პოეზიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ ქართულ პოეზიაში ჭავჭავაძის ისეთი რეალისტური შედეგები, როგორცაა „გუთნის დედა“ და „მუშა“. ისინი არიან მაღალი უბრალოებისა და მკაფიოების ნიმუშები, რომლებიც იბადებიან პოეტური აზროვნებისა და პოეტის ოსტატობის ნამდვილი ხალხური-

ბით. ეს არის დიდი ჰუმანისტის ფიქრები მშობლიური ქვეყნის „პატარა“ ადამიანების ბედზე, რომლებიც იყვნენ გათვლილი და მიწასთან გასწორებული გამდიდრებისა და დამონების კანონით.

ილია ჭავჭავაძის უეცარი აღმოჩენებით სავსე გულწრფელ ლირიკაში არის ისეთი ლექსი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ცოცხალ მარგალიტად იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც უმდერაინ მთებს. ეს ლექსია „ყვარლის მთებს“. აქ ცოცხლობს საქართველოს განუყოფელი სახე სამშობლოსი, რომელიც პოეტმა ბავშვის, ჭაბუკისა და მწირის სახით დაინახა, რჩემლსაც მწუხარებით ტოვებდა „ცხოვრებისადმი ვალის მოხდის“ გამო, მაგრამ გულში დაბუდებული ჰქონდა მშობლიური მთების ჯადოსნური ხილვა.

ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი სახეები საქართველოს მშვენიერი ბუნების პერდიდან წამოსული ნაკადულებივით იბადებიან. აქ გარიყრევი ფრინველის ბუმბულის ფერით არის შეღებილი: „მტრედისფრად თენდებოდა“; მთი-

დან მთაზე გადაქიმულან შვიდფერი ცისარტყელის ხიდეები. აქ მთა ქვეყნის სიმბოლო, თავის მეორე მარადიულ ცხოვრებას ებუღობს, ცხოვრებას ხელოვნებაში:

მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოიხრთა შხისა ოქროს სხივებით,
ჭვეყანას მშინარს მის ფრთეთა ზევი
დასცქერის რისხვით და მუქარებით.
(„ანტილი“).

პოეტი არწივის თვალთ გაჰყურებდა მომავალს, ხედავდა მის შორეულ ანარეკლს და „ტყვედ პერობილ“ მშრომელ კაცობრიობას განთავისუფლებას უწინასწარმეტყველებდა:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევაშოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ლეღვისა დიდი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...
...და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფრხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესა ჭვეყანა კვლავ აფიავდების
(„ანტილი“).

ჭავჭავაძის შემოქმედება საქართველოს ბუნების, მისი გმირული ისტორიის, მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის ხელთუქმნელი ძეგლია.

ანანას ვანდოვა

ლიტვა



ილიას სირიაზე

ყოველ ხალხს ყავს თავისი დიდი ადამიანები, რომელთა საქმეების მნიშვნელობა და სიდიადე დროთა განმავლობაში არათუ ძველდება და მცირდება, არამედ ყოველწლიურად თითქოს სულ უფრო თვალსაჩინო და დიადი ხდება. საქართველოს დიდ ადამიანთა — შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა გვერდით ი. ჭავჭავაძეს საესებით სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი საბატიო ადგილი. საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი და დაუღალავი მებრძოლი ი. ჭავჭავაძე თითქოს განსახიერებდა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხისა, რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა უცხო დამპყრობელთა, ცარიზმისა და თავისი ქვეყნის მემამულე-კაპიტალისტების წინააღმდეგ ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად.

როცა ქართველი ხალხის დიდი შვილის — დ. გურამიშვილის იუბილეს დღეებში ვიყავი საბჭოთა საქართველო-

ში, ჩემი ქართველი მეგობრების — ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის და სხვათა თანხლებით მე დავათვალიერე ი. ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი საგურამოში. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მუზეუმმა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხის მიერ აღმართულ ცოცხალ ძეგლს თავისი დიდი შვილის სახსოვრად. თვით საგურამო კი მომეჩვენა საქართველოს მომჯადოებელი ბუნების სიმბოლოდ და დიდი ხნის წინათ აქ მოხდინადრე ი. ჭავჭავაძის უკვდავ მოგონებად.

ჩვენს ვნახე თარგმნილია და ამას წინათ ცალკე წიგნად გამოვიდა ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?“ წიგნი მალე გავრცელდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ი. ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისა და გარდაცვალების 50 წლის იუბილე ქართველი დიდი მწერლის იდეებსა და მის ოსტატობას კიდევ უფრო დაუახლოებს ყოველ საბჭოთა ხალხს, მათ შორის ლიტველ ხალხსაც, რომლის ლიტერატურაში ძლიერია შესანიშნავ გმირულ ქართველ ხალხთან მეგობრობის ტრადიცია.



მარალ უკვლავი

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ილია ჭავჭავაძის შესანიშნავი მხატვრული მემკვიდრეობა შეიძლება იყოს ძალიან ახლებელი და გასაგები ლიტერული მკითხველისათვის. შემოქმედებითს მოღვაწეობას ამ უნიკურესი მხატვრისა და თავისი ლამაზი მთავორიანი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისას ბევრი რამ აქვს საერთო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ლიტერულ ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა მოღვაწეობასთან. თავისი რეალიზმით, ამხელს და დასცინის რა მშრომელი ხალხის მხაგრელებს, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ეხმაურება ლიტვის უდიდესი რეალისტის — სახალხო მწერლის ემმაიტეს შემოქმედებას. თავისი პოეტური ნაწარმოებებით, რომლებიც უმღერს მშობლიური მხარის ბუნებას ანდა მოუწოდებს მოქალაქეობრივი გამოცდისა და ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისა და ილია ჭავჭავაძე ახლოს დგას ლიტვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთ წარმომადგენელთა შემოქმედებასთან, როგორც იყვენ პოეტი მაირონისი და მწერალი კუდირკა. **▷**

მე ეს შედარებები იმიტომ კი არ მომყავს, რათა შევექმნა ხელოვნური პარალელები გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ლიტერული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა შორის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო კონკრეტულად და თვალსაჩინოდ ვაჩვენო, თუ რატომ შეუძლია პოვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამ ლიტერული მკითხველის სულში ცოცხალი, ღრმად შთა-

ბეჭდავი გამოძახილი. ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისეთ დროს, როცა ქართველი ხალხი დაახლოებით ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც მემამულეთა და მეფის მოხელეთა მიერ საშინელ ჩაგვრაში მყოფი ლიტერული ხალხი. ილია ჭავჭავაძე როგორც მხატვრული შემოქმედებით, ისე ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით ქართველი ხალხისათვის იმასვე აკეთებდა, რასაც იმ დროს ლიტერული ხალხისათვის მისი საუკეთესო შეილები.

ვინც პატივს სცემს თავისი ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლებს, ვისთვისაც ძვირფასია მისი მშობლიური ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნა, მას არ შეუძლია არ ეთაყვანოს ქართველი ხალხის დიდი შეილის — ილია ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას. მისი მხატვრული მემკვიდრეობის ცოდნის გარეშე ძნელია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველი ხალხის უახლოესი პერიოდის კულტურისა და მწერლობის განვითარებაზე.

სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის სახელი საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ლიტერაში ბევრს არ გაეგო. მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში, ხალხთა მეგობრობის ძალეში განვითარების შედეგად, საბჭოთა ლიტერაშიაც სულ უფრო ხმამაღლა გაისმის — სხვა უდიდეს ქართველ მწერალთა სახელებთან ერთად — ილია ჭავჭავაძის სახელიც. თმის შემდგომ წლებში პირველად გამოჩნდა ლიტერულ ენაზე მისი შესანიშნავი მოთხრობა „იაცია-ადამიანი?!“ ახლა ლიტერული ხალ-

ზისთვისაც კარგადაა ცნობილი ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მეუღლის დარეჯანის ზოგად-კლასიკური სახეები. ქართული ლიტერატურის ამ კლასიკოსის სხვა ნაწარმოებებს ლიტველი მკითხველი ჯერჯერობით რუსულ თარგმანებში ეცნობა. მაგრამ მე მჯერა, რომ ახლოა ის დრო, როცა ლიტვურ ენაზე აელერდებიან ილია ჭავჭავაძის სხვა შესანიშნავი ნაწარმოებებიც, მისი მოთხრობები — „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქერივი“, პოემები — „კაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“ და სხვანი.

1950 წელს, საქართველოში ყოფნისას, მე არაერთგზის დავრწმუნდი, თუ

ქართველი ხალხი რა დიდ პატივს სცემს თავისი გამოჩენილი მწერლის ხსოვნას. საყვარელი მწერლის ანლანდელი იუბილე კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მისი დიდების შარავანდელის ზრდასა და მისი მხატვრული მემკვიდრეობის ფართოდ გავრცელებას როგორც ჩვენს დიად მრავალეროვან ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

სიტყვა და საქმენი ისეთი ადამიანებისა, როგორიც იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, მარად უკვდავია როგორც მისი მშობლიური ხალხისათვის, ისე სხვა ხალხებისათვის.

პაპის რეპრეზენტაცია

ლიტვა



მისი პოეზია უკვდავია

მე შევეუდებო წერას ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის ილია ქავჭავაძის შესახებ სწორედ იმ დროს, როცა ჩემს მიერ რედაქტირებული ლიტერული ლიტერატურული ერთევირეული თალხი, სამგლოვიარო არშეებით გამოდის. ლიტერურმა მწერლობამ დაკარგა მისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი — ანტანას ვენუოლისი. მე ბოდიშს ვიხდი თქვენი ჟურნალის მკითხველის წინაშე ჩვენთვის აგრერიგად სამწუხარო ამბის გახსენების გამო. მე ამას ვლაპარაკობ არა მარტო მხოლოდ იმისთვის, რომ გარდაცვლილი ანტანას ვენუოლისი იყო ლიტერული და საკავშირო ლიტერატურის კლასიკოსი. ასეთი დიდი დანაკარგის შესახებ იმიტომ ვაუწყებ მოძმე ქართველებს, რომ ანტანას ვენუოლისს ძალიან უყვარდა საქართველოს მიწა-წყალი და მისი მკვიდრი ხალხის ერთგული მეგობარი იყო. ჯერ კიდევ თავისი სიჭაბუკის დროს, როცა რუსეთის იმპერიაზე გადაიარა პირველი რევოლუციის ტალღამ, ვენუოლისი ცხოვრობდა საქართველოში, იცნობდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ზოგიერთ მათგანთან ერთად მეტეხის ციხეშიაც კი იჯდა. მან ჯერ კიდევ მაშინ გულმხურვალედ და სამუდამოდ შეიყვარა საქართველოს მთები, სწრაფი და მქუხარე მდინარეები, ალალი და მოსიყვარულე ქართველი ხალხი. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, როცა მწერლის თავი, როგორც ყაზბეგის მწვერვალი, ბრწყინვალე ვერცხლით შეიმოსა, ის ჯერ კიდევ განაგრძობდა კავკასიური ლეგენდების წერას, იგონებდა დავითის მთასა და მტკვარს. თუ დღეს ლიტველმა

მკითხველმა ბევრი რამ იცის თქვენი მზიური ქვეყნისა და მისი მამაცი ხალხის შესახებ, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ანტანას ვენუოლისს. ადვილი შესაძლებელია, ვენუოლისი, როცა იგი ცხოვრობდა ძველ თბილისში, პირადად იცნობდა უდიდეს ქართველ მწერალსა და მებრძოლს — ილია ქავჭავაძეს.

ის დრო, როცა ილია ქავჭავაძე ქმნიდა „კავო ყაჩაღს“ და სხვა რევოლუციური სულით გატენილი ნაწარმოებებს, ჩვენი ხალხები ისტორიაში ცნობილი იყო როგორც ცარიზმის ბატონობის პერიოდი. როგორც საქართველოში, ისე ლიტვაში, ხალხის საუკეთესო შვილები, ავითარებდნენ რა რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიკ ტრადიციებს, პროგრესული აზრითა და მხურვალე პოეტური სიტყვით იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. ამიტომ ილია ქავჭავაძის ამაღლებული პატრიოტული და, ამასთან ერთად, ღრმად ლირიკული ლექსები დღესაც გასაგებად ქლერენ ჩვენთვის. ისინი პირველი მერცხლებია ჩვენი გმირული ბრძოლებისა, უშიშარ მებრძოლთა უკვდავი გულების ძეგრაა. შეუძლებელია დიდი მღელვარების გარეშე წაიკითხო ლამაზი და მრავალფეროვანი სტრიქონები, მიძღვნილი ქართველის დედისადმი, რომელიც თავის შვილს ზრდის სამშობლოსა და ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირად. ანდა გრძნობათა რაოდენ განუმეორებელი სიფაქიზება და პოეტური სიღრმე ჩაქსოვილი საყვარელი და მშობლიური ყვარლის მთებისადმი მიძღვნილ ლექსში და სიმღერაში საქართველოს განაფხულზე. ილია ქავჭავაძე იყო ქმ-

მარიტად ხალხის პირმშო და ამ ხალხის უბრალო შვილების მეგობარი. როცა ვკითხულობდი მის შესანიშნავ ლექსს „გუთნის-დედას“, მან მაშინვე გამახსენა ჩვენი მშრომელი ხალხის მომღერალი იულიუს იანონისი, რომელმაც აგრეთვე დაწერა ანალოგიური ლექსი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, თუ ილიას გუთნის-დედა, მძიმე ცხოვრებისაგან განაწამები, თავის ტანჯულ ხვედარზე შესჩივის ერთგულ მეგობარს — ხარს, იანონისის მოჯამაგირე, თვალს მოჰკრავს რა მუქთანორა ბატონს, თავის წუხილს გუთანში გაბმულ ცხენს უზიარებს. მაგრამ ორივე პოეტის სტროფები მნიშვნელოვანია ეროვნული მოტივებით და ღრმად რეგოლუციური ელერადობით.

გასული წლები ვერ დაფარავენ ქამთა მტვერით ვერც ამ ბრძოლებში გაშვებულ მახვილებს, ვერც მათი გულებიდან გამოკვეთილ მხურვალე ლექსებს. ერთსაც და მეორესაც ხალხები უფროსილდებიან, როგორც ფასდაუდებელ საუნჯეს. ამიტომ დიდი მწერლები მუდამ თავიანთ ხალხთან ერთად ცოცხლობენ.

დღემდის თვალწინ მიდგას სახლი სოფელ საგურამოში, საიდანაც მოჩანს სიმღერებით, მზითა და ვენახებით დამშვენებული არაგვის ლამაზი ველი. მაგონდება ეს სახლი ჩუმი ოთახებით, რომლებიც თავისი სიმშვიდითა და სუ-

რათებითაც კი მრავალს ღაღადებენ. როცა გავეცანი ილია ჭავჭავაძის მუზეუმს, მისი შემოქმედებისა და ბრძოლის დოკუმენტებს, მე უფრო თვალნათლივ და ღრმად შევიცანი მისი უკვდავი პოეზია, რომელიც მთის არწივის გაფრენასა ჰგავს და თავისი აღმაფრენით სულ უფრო გიზიდავს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პოეტის თავდადებულმა ცხოვრების გზამ, რომელიც მებატებოდა მე ამ მშვიდსა და მოალერსე მზით ამოვსებულ ოთახებში. აქ იყო სასმისი, რომლითაც პოეტმა უკანასკნელად შესვა მთის წყარო, აქვე ინახება მისი სხვა პირადი ნივთებიც და, ბოლოს მუხანათი მკვლელის მიერ გასროლილი ტყვიაც, რომელიც დღესაც კი ნათლად მტყველებს მეფის ობრანკის ვერაგულ საქმიანობაზე. ყველაფერი ეს პირდაპირ კავშირშია ილიას პოეზიასთან, რომელიც ჩემთვის ისევე ძვირფასია, ახლობელი და ლამაზი, როგორც ლიტველი ხალხიდან გამოსულ მებრძოლთა გმირობა, საუკეთესო სიმღერები მისი პოეტებისა.

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაცობს თავისი ღირსეული შვილით.

ჩემი, სურვილია, მოჰმე ქართველებთან ერთად მუხლი მოვიყარო და ილია ჭავჭავაძის სამარხზე მოვფანტო ლიტვური ყვავილების თაიგული.

ზილის დასილი. იან სურაბჯანდი,
მიკაე ქაშვი, პარღის დასი

ლატვია



ბედნიერი ხალხი

ბედნიერია ის ხალხი, რომელმაც შექმნა ესოდენ მაღალი კულტურა, ასეთი მშვენიერი პოეზია, რომელიც ქართველებს გააჩნიათ, ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ჰყავს ისეთი შესანიშნავი პოეტები, როგორცაა რუსთაველი, გუჩამაშვილი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რომლებსაც კიდევ უერთდება თანამედროვე ოსტატების მთელი რიგი. ჩვენ ლატვიელ მწერლებს, საქართველოს გამოჩენილ შვილთან — ილია ჭავჭავაძესთან გვაკავშირებს არა მხოლოდ სიყვარული მისი პიროვნებისა და შემოქმედებისა, არამედ კონკრეტული, პირადი მოგონებანი, შთაბეჭდილებანი, რომლებიც დაგვებადა თბილისიდან საგურამოში მოგზაურობის დროს. თვით გზაც არაჩვეულებრივად პოეტურია: მთები, ველები, მდინარეები, ისტორია, ისტო-

რია შორეული საუკუნეებისა. და, აი, მოკრძალებული ძეგლი იმ ადგილზე, სადაც საქართველოს მიწა შეიღება პოეტის სისხლით. ილია ჭავჭავაძის პოეზია წარმოადგენდა მეტად ბასრ, საშიშ იარაღს საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში, და სწორედ ამისათვის რეაქციამ იპოვა მუხთალი ხანჯალი, დაიჭირა და მიუგზავნა მკვლელი. ყოველივე ამის შესახებ ცხადად მეტყველებს საგურამოში ილია ჭავჭავაძის მუზეუმი, სადაც პოეტის საქმიანობა და შრომა, ოცნებები და ბრძოლა ნაჩვენებია ძალზე ნათლად. როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ამ შესანიშნავ საზოგადო მოღვაწესა და პოეზიის ოსტატზე, ჩვენი აზრებითა და გრძნობებით ვუბრუნდებით იმ სიტყვებს, რომლებითაც ეს წერილი დაიწყო: ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს!



ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა გმირები

ილია ჭავჭავაძის ოთხი მოთხრობა, რომლებსაც ჩვენ შევეხებით, ავტორის პროზაულ ნაწარმოებთა ბირთვია და მის შედეგებს წარმოადგენენ. მათ აერთიანებთ საერთო მიზანი, რაც მიმართულია საზოგადოების კრიტიკისაკენ. ეს კრიტიკა მიისწრაფვის სოციალური ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი მხატვარია და, ამავე დროს, უდიდესი მოაზროვნე. მასში შესანიშნავადაა შერწყმული ეს ორი მხარე. სწორედ ამით აიხსნება ილიას მოთხრობათა მრავალფეროვნება. ისინი თავისუფალი არიან ყოველგვარი სქემატიზმისაგან და მკაფიოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან ფორმის მხრივ, თემატიკურად და კომპოზიციურადაც. ეს ნაწარმოებები აღმოცენდნენ ავტორის უშუალო დაკვირვებით ცხოვრებაზე.

ჭავჭავაძის გმირები, მათი ფუნქციების მიხედვით, შეიძლება ზოგადად რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში არიან სოციალურ სინამდვილესთან, ისინი შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: დამნაშავენი და უსამართლობის მსხვერპლნი, და პიროვნებანი, რომლებიც აქ მომხდარ ამბებში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. მაგრამ, ავტორის იდეალებთან მათი დამოკიდებულების მიხედვით, შეიძლება ისინი მივიჩნიოთ იმ იდეალების მატარებლებად, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებიან მთხრობელის იდეალებს.

„გლახის ნაამბობი“ არის ამბებით შეკრული ნოველების კადრები. მთავარი გმირის საკუთარი თავგადასავალი გადმოცემულია ტრადიციული ფორ-

მით, რაც თავისი სუბიექტურობით აღიერებს ამბებისა და მოქმედებათა მსვლელობა-განვითარებას. ამბავს თვითონ მოგვეთხრობს ავტორი მთავარი გმირის პირით. ეს მოთხრობა ილია ჭავჭავაძის თითქმის ყველაზე აღრინდელი ნაწარმოებია; იგი ასახავს ბატონყმობის პრობლემებს, რაც იმავე ხერხით არის გადმოცემული, როგორც დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხის“ გმირის — ოსმან-ალას თავგადასავალში. ნოდარისა და გაბრიელის თავგადასავალში ბევრი რამ არის საერთო. აქაც პირველ პირში ნაამბობია ამბავი უსამართლობისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანისა და უშუალო შეტაკება ბატონსა და ყმას შორის, რაც გამოწვეულია, პირველ ხანებში — მოწყალე და, შემდეგ კი — გულჭე ბატონის მეტად უხამსი და დასაგმობი საქციელით. მაგრამ ილია ჭავჭავაძეს უსამართლობის მსხვერპლთა თავგადასავალში შემოაქვს ორი ახალი მოტივი: უპირველეს ყოვლისა, გაბრიელი აჩრულებს გაუპატიურებული ქალის ნომაკვდავი მამის ნება-სურვილს. თავისი წინანდელი და შემდგომ დანაშაულთა უსამართლობის მსხვერპლმა პატრებამიილო „კეთილშობილი“ თავადისაგან. ეს პატრება, რომელიც წარმოადგენს მთელი სისტემისა და სოციალურ უსამართლობათა დამცველი კლასისადმი წაყენებულ სასტიკ ბრალდებას, დიდი რევოლუციური საქმე იყო იმ დროს.

მოთხრობის კადრებს კომპოზიციურად, გარეგნულად მიზნად აქვთ დასახული მხოლოდ გლახის მიერ გადმოცემული ამბავი და, აგრეთვე, თვალსაჩინ-

ნოდ მთელი სიტუაციის დასასრული, რომელიც შეიცავს მთელი თავგადასავლის მორალურ დასკვნას. შინაგანად იგივე კადრები თავგადასავლისა იყოფა სამ ნაწილად: მორალური სამზადისი თავადთან ერთად სწავლის პერიოდში, სიყვარულის ამბავი და საზოგადოებასთან ანგარიშსწორების (შურისძიების) კულმინაცია.

თავადის საქციელში, გაბრიელის ბრძოლასა და მის საბრალო აღსასრულში უთუოდ არის რომანტიკული დამახასიათებელი ნიშანი. საზოგადოების კრიტიკა აქ მოცემულია გლახური მორალის თვალსაზრისით.

„კაცია ადამიანი?“ სატირიკული მოთხრობაა. აქ, თითქმის, ისეა აღწერილი ლორმუცელა, უმაქნისი და მუქ-თამუქაფელი გადაგვარებული თავადის ცხოვრება, რომ შეიძლება მისთვის სატირიკული იდილია გვეწოდებინა. მკითხველის მიმართ ავტორის ხშირ-ხშირი მიმართვები ნოველის სუბიექტურ ნიშნის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მხატვრული მეთოდი აქ უფრო ტიპიური შემთხვევის ობიექტური გამოკვლევაა, რაც მეცნიერულ კვლევაშიც ემსგავსება. ორი მუქთახორა ეგზემპლარი — ლუარსაბი და დარეჯანი — აქ დაყენებულია გამადიდებელი შუშის ქვეშ. ძნელია ჩავთვალოთ ისინი საზოგადოებრივ დამნაშავეებად, ვინაიდან თავისი პასიურობით ვერ ჩაიდენდნენ დიდ უსამართლობას; ერთადერთი, რაშიც შეიძლება ისინი ვამხილოთ, ისაა, რომ მათ უყვარდათ შინაყმების დატუქსვა, „დაწიოკება“, დარეჯანი კი დროდადრო ასილაქებდა კიდევ მათ. მოთხრობის სატირიკულ ხასიათთან კავშირში, სინამდვილის კრიტიკა პირდაპირ როდია მოცემული. პირიქით, ჩამორჩენილი კლასის წარმომადგენელი — ლუარსაბი და დარეჯანი, აქ იძლევიან უარყოფითს კრიტიკას ყოველივე პროგრესულისას, რასაც კი სინამდვილეში ხვდებიან: მათ სძულთ სწავლა, მეცნიერება, მუშაობა, რაიმეს შოვ-

ნისათვის თავის შეწყუბება, ყველაფერი, რაზედაც დაფუძნებული იყო თანამედროვე საზოგადოება. აქ საზოგადოების კრიტიკა მოცემულია მეორე მხრიდან, რეაქციის მხრიდან. შეხედულების ასეთი შემოტრიალება კომიკური საშუალებით უფრო ქმედითია, ვიდრე მათი კლასის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი კრიტიკა. ეს კრიტიკა მიმართულია უკანვე — გამკრიტიკებლის წინააღმდეგ. ლუარსაბი და დარეჯანი, ბუნებრივია, არ შეიძლება იყვნენ ავტორის იდეალი, არამედ ისინი არიან მისი კომიკური ოპონენტები.

ავტორს მთელი თავისი ყურადღება და გულისყური იმდენად გადატანილი აქვს თავისი თხრობის საგანზე, რომ ყოველივე დანარჩენი უკანა პლანზეა მოქცეული. ეს ეხება, პირველ ყოვლისა, პირმოთენე და გაიძვერა მოურავ დათოს, რომელიც ენაწყლიანად კვერს უკრავს ლუარსაბის თვითეულ სიტყვას. მოურავის პასუხებში იმალება უდიდესი ირონია. ლუარსაბის ძმა — დავითი კეთილშობილი ადამიანია ბურჟუაზიული თვალსაზრისით, რაც იმ დროს პროგრესულ მოვლენად მიაჩნდათ. ძველი თაობა ჩაფლულია რეგრესულ მოვლენებში, დავითს შერჩა თავისი კლასის ენერგია, რაც ვლინდება ეშმაკობასა და თალღითობაში. ასეთები არიან კიდევ ლუარსაბის სიმამრი — მოსე გრძელიძე და გაიძვერა მაქანკალი სუტ-კენინა. კომპოზიციურად მოთხრობა აგვისახავს ერთი ცოლ-ქმრის იდილიურ სურათს, უკუეპიზოდურ შეხედულებას მათი ცოლ-ქმრული კავშირის წარმომობაზე და, ბოლოს, მათ უშედეგო ბრძოლას შთამომავლობის გასაჩენად, რაც ტრაგიკულად მთავრდება.

მესამე მოთხრობა — „სარჩობელაზედ“ მთლიანად და მკაფიოდ იძლევა საზოგადოებრივი მოვლენის ნამდვილ კრიტიკას. მოთხრობაში დანაშაულის და სასჯელის პრობლემა დაყენებულია, და აღწერილია მთლიანად კონკრეტული შემთხვევა. დანაშაულისათვის პასუხს

იგებს მთელი საზოგადოება და ამ საზოგადოებას მანამდე არა აქვს სიკვდილით დასჯის უფლება, სანამ არსებობს ამ დანაშაულის გამოშფეველი პირობები. ესაა, დაახლოებით, ამ ამბის მორალი. ახალი ამ მოთხრობაში ის არის, რომ კრიტიკა გავრცელებულია მთელ საზოგადოებაზე, და არავითარ შემთხვევაში — გარკვეულ კლასზე, ვინაიდან ბრალდებულთა შორის წარმოდგენილია თვითონ საბრალო მეურმე — პეტრეც.

კომპოზიციურად ეს მოთხრობა იყოფა ორ ნაწილად: ერთია დასჯის სურათი და მეორე — დანაშაულის გადმოცემა, დაკავშირებული საზოგადოების კრიტიკასთან.

პეტრე თვითონ იქცა საშინელების არაპირდაპირ მთხრობელად, ამას მოსდევს სანახაობა, რაც შეცვალა სიკვდილით დასჯამ. პირდაპირი მთხრობელია სიკვდილით დასჯილის ძმა, რომელიც პეტრეს მისამართით დაწერილ წერილში იძლევა მაშინდელი საზოგადოების კრიტიკას და სასტიკად ამათრახებს მას. ამრიგად, აქ ორივე ძმის ყაჩაღობაში მოცემულია რომანტიკულობის ელემენტი.

„ოთარაანთ ქვრივი“ მძაფრი დრამატული მოთხრობაა. მის შრავალ საუცხოო მხარესთან ერთად აღსანიშნავია დადებითი, იდეალური ტიპის ასახვა და საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტა. ამ იდეალის წარმომადგენელია თვით მთავარი გმირი — ოთარაანთ ქვრივი. ასევე, გიორგიც წარმომადგენელია იდეალისა, მაგრამ, ამავე დროს იგი უსამართლობის მსხვერპლია, თუმცა ეს უსამართლობა სოციალური ხასიათისა როდია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი და მკითხველი ამას ასე გრძნობენ, აქ უბრალო გაუგებრობაა, რომელიც ავტორს კლასობრივ განხეთქილების სფეროში გადააქვს. ეს გაუგებრობა შეიძლება იმდენადვე ბრალად ჩაუთვალოთ გიორგის გაუბედობას, რამდენადაც

ახალგაზრდა კესოს თანდაყოლილ გულჩათხრობილობას.

მოთხრობის მეორე ნაკლომდგრამარეობს იმაში, რომ დადებითი გმირი, როგორცაა გიორგი, არ არის აღჭურვილი მარტო დადებითი თვისებებით, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მის მნიშვნელობასა და მის ფუნქციას. მაშინ როცა ოთარაანთ ქვრივი გაშუქებულია ყოველმხრივ და მკითხველი უბრალოდ და მკაფიოდ ეცნობა მის ადამიანურ თვისებებს, გიორგი რჩება უკანა პლანზე და მისი სახე ჩვენ სხვების გადმოცემით გვისურათდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკითხველი მაინც ექცევა ავტორის მომჯადოებელი გავლენის ქვეშ, რაც უნდა მიეწეროს, უპირველეს ყოვლისა, მის მაღალმატერულ სტილს, და ამით აიხსნება ის, რომ ყურადღებიდან გვრჩება ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი.

კომპოზიციურად შეიძლება მოთხრობაში თანმიმდევრულად დავინახოთ ტრაგედიის ყველა შემადგენელი ნაწილი ამბის თანდათანობითი განვითარებიდან ამ ტრაგედიის დასკვნამდე. მაგრამ სწორედ ამ დასკვნას არღვევს დამის გაჭიანურებული და, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი დისკუსია. არჩილი და კესო ავტორის იდეალების გადმომცემნი არიან. მათი საუბრიდან საკმაოდ გასაგებია, რომ ავტორი პირდაპირ იზიარებს არჩილის მოსაზრებას, მეტისმეტად თანამონაწილეობს და თანაუგრძნობს უშუალო განხეთქილებას კლასებს შორის, არ ძალუძს დასკვნის გამოტანა და იძლევა თავის აღსარებას. ამ პირადმა დაინტერესებამ დაარღვია მოთხრობის ეს ნაწილი. უმკველია, რომ პირველ ნაწილში გლეხის დადებითი ტიპის გამოსახვა წარმატებითაა შესრულებული, რადგან ეს სახე აღებულია ობიექტური სინამდვილიდან, მაშინ როცა მეორე ნაწილი მეტისმეტად სუბიექტურია და ავტორი აქ ამით ნაკლებ წარმატებას აღწევს. კიდევ ერთი გმირი იწვევს გარკვევით ჩვენს შეპასუხებას.

ეს განსაზღვრავს მეწისქვილე. მისი განმარტობა და, განსაკუთრებით, ის ხერხი, რომლითაც შეეწყობიან მას სხეები, ცოტა ნაძალადეგია და ამ გმირის ფუნქცია არაა ნათელი.

მაგრამ თუ მოთხრობას ჩამოვაცილებთ ამ უარყოფით მხარეებს, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ჩათვალოთ ის დანარჩენ მოთხრობებზე ნაკლებ წარმატებულ ნაწარმოებად. პირიქით, „ოთარაანთ ქვრივი“ მეტად ორიგინალური ნაწარმოებია თავისი სტილით, კარგი მარლვიანი ქართული ენით, კომპოზიციით, მეტად მომხიბვლელი და მკითხველისათვის საყვარელი მთავარი გმირით, ნაწარმოებში ჩართული ღრმა აზრებით. ამის მსგავსი წინამორბედ ლიტერატურაში არაფერი მოიპოვება და დიდად მალა დგას ილიას დანარჩენ სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებებზე. მისი ნაკლოვანებანი ხვედრია ყველა ავტორისა, რომელიც ცთუნებულია დადებითი ტიპებით და საკითხის დადებითად ამოხსნითა და განმარტებით.

ამ მოთხრობის დედააზრი მოცემულია მის ტრაგიკულ აღსასრულში. მთავარი გმირი, ქართველი დედა, ამაყი, შეუპოვარი და ბრძენი ადამიანი—ილუბა, მისი ძალთა დაძაბვა ამაოა. დედაშვილობის უგულთბილესი გრძნობის

გარდა, მოთხრობის მთელ მანძილზე ერთ მთლიან ხაზადაა გაგრძობილი გლეხი-ბიჭის უიმედო და მოუწყდომელი სიყვარული თავადის ქალისადმი. მაგრამ როგორი ტაქტიკა და გემოვნებითაა ასახული გიორგის ეს ბედკრული პლატონური სიყვარული! მოთხრობის სოციალური აზრი სწორედ რომ მოწამეობამდეა აყვანილი, რაც შეადგენს გიორგის ხვედრსაც.

„ოთარაანთ ქვრივი“ მეტად წმინდა და მთლიანი მხატვრული ნაწარმოებია. იგი გვიტაცებს თავისებური გმირებით. იგი ერთადერთი მოთხრობაა, რომელიც გვაძლევს მთავარ გმირს უბრალოდ, დადებითად. დადებითი გმირი—ქალია და ესეც ტიპურია ქართული ლიტერატურისათვის. ოთარაანთ ქვრივის სრულქმნილ ხასიათსა და ღრმა ადამიანურ სიბრძნეს ჩეხურ ლიტერატურაში მოეპოვება ანალოგია. ესაა ბოკენა ნემცოვას რომანი „ბებია“. ამ რომანის გმირი ბებია წარმომადგენელია ჩეხი ქალის იდეალისა, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი უფრო მტკიცეა, უფრო გულჩათხრობილია და უფრო მეტად მეტრძოლი.

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ ხალხიდან გამოვიდა და მისი ხვედრი იყო შედგარი, გამუდმებული ბრძოლა.

ზიზიან ზაბიძე



ილია ჭავჭავაძე

(ნაწევრები)

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ჰყავდა ორი პროვიდენციალი პიროვნება: ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ქართული პრობლემა შეიძლება ამ ორი პიროვნების შესწავლით აიხსნას. მაჩაბელზე ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მოკლე დროში დავეწროთ. ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის 15 წლისთავზე კი გვინდა აღვნიშნოთ დეკლარაციით ის თეზისები, რომელნიც შემდეგში გაიხსნება მანაბელის მონოგრაფიაში. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და კიდევ თავის სისხლით დაკვირა. ჩვენ შეიძლება ამ საუკუნის შესწავლის დროს ბევრი ჩრდდლოვანი მხარე აღმოვაჩინოთ, განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ერთი კი მაინც უცილობელია: ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი იყო ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემდის მწერლობა, როგორც პროფესია, არ არსებობდა. საქართველო სირცხვილით დაიწვებოდა, რომ იმ მოკითხვის-წერილების სტილი, რომელიც მაშინ არსებობდა, საქართველოში დიდხანს დარჩენილიყო.

ილია ჭავჭავაძემ თავის დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია ევროპული მწერლობის მასშტაბით.

მართალია, ჯერ არ არის შესწავლილი, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით და თანამედროვეთა მოწმობით, საჭი მეოთხედი იმ სიტყვებისა, რომლებსაც დღეს სმარობს ქართული ჟურნალისტიკა, ილიას მიერაა დამკვიდრებული. შემდეგი თაობა ამას არ უკვირდება.

ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა, როგორც გიგანტი, ყოველი მოზღვავებული ტალა უცხო თუ შინაური იმას დაეტაკებოდა და ილიაც მოიგერიებდა.

ილია ჭავჭავაძის ყოველი გამოსვლა ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სანახაობას, როგორც ახლა არტილერიის სიმფონია ომების დროს. ილია ტანკივით ტყენიდა ქართულ მწერლობას. ამის ნაკვალევს დევის ნაფხური ჰქვია.

ამიტომ იყო, რომ ყველა ანგარიშს უწევდა მას, როგორც კახეთის სეტყვას. და შეუძლებელიც იქნებოდა მისი ბუნებრივი და შეურყეველი მეთაურობა თითქმის 40 წელი, რომ მას ასეთი მაგარი ხერხემალი არ ჰქონოდა.

ილია ყველგან სცდიდა თავის თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრის მესვეური, ფინანსისტი, ორატორი, ისტორიკოსი, და კიდევ რამდენი სხვა. ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ დარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე.

მაგრამ ერთი რამ ცხადია, და ეს მადლიერი თემია ახალი გამოკვლევებისათვის: ქართული პროზა შექმნა ილია ჭავჭავაძემ და დღემდის მისი პროზა არ არის დაძლეული. ჩვენ აქ არ შევეუდგებით ანალიზს მისი სტილისას, რომელიც ილიას აყენებს ყველაზე მაღლა. განსაკუთრებით საცოდავი არიან პროზაში ისინი, ვინც ილიას ეხვიენენ გარს. ეს შეიძლება ითქვას მისი კრიტიკული პროზის შესახებაც.

უნდა, აგრეთვე, ხსენება იმასაც, რომ ილიას ლექსი, ყოველ შემთხვევაში, არ

ჩამორჩებოდა აკაის ლექსს და მხოლოდ თანამედროვეთა უკულტურობას უნდა მიეწეროს ის, რომ ილიას აყენებდნენ აკაიზე დაბლა.

ჩვენში რომ გაჩნდნენ დადაისტები, ისინიც ვერ უარყოფდნენ ილია ჭავჭავაძის დიდ ფიგურას. ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქ-

ნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული.

ამიტომ გასაგებია ის კალამბური, რომელიც წამოცდა ვალერიან გუნიას, რომელმაც ერთი ფრანგის შეკითხვაზე, ჰყავს თუ არა დიდი კაცი საქართველოსო, უპასუხა ასეთი ფრანგულით: *il ya un Ili.*



ილიას გარემო

ილია ქავეჭავაძე!
რა დიდი სახელია საქართველოსთვის!
რა სასახელია ყველა ერისთვის ამის-
თანა შვილის ყოლა!

სულიერად ახოვანი, გონებით გამჭრი-
ახი, ხასიათით მტკიცე და ძლიერი ნების-
ყოფის ადამიანი.

მწერლობით, სიტყვით და საქმით დი-
დი მოღვაწე!

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს
ასეთი მრავალწახნაგოვანი, მოწინავე პი-
როვნება სხვა არა ჰყავს.

ეს უნდა ითქვას პირდაპირ და მოური-
ღებლად.

აკი ქართველმა ხალხმა ესეთი შეხე-
დულება ილიასადმი უკვე დიდი ხანია
განიმტკიცა თავის გულში.

აგერ, ასოცი წელი გავიდა ილიას და-
ბადებიდან, ხოლო გარდაცვალებიდან—
ორმოცდაათი წელიწადი და ღირსეული
სხივი მისი სახელის შარავანდედისა თან-
დათან მატულობს და არ ნელდება.

ეს იმიტომ, რომ ასეთია მისი ღვაწლი
და ამაგი საქართველოს წინაშე.

მის დროს საქართველო, როგორც მო-
გესხენებათ, იყო უუფლებო, კოლონი-
ალური ქვეყნების მდგომარეობაში.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“ —
როგორც თვითონ ილია ამბობს თავის
„ელეგიაში“ და იქვე ვაჟკაცურად ამო-
იხრებს, — წუწუნი და კენესა არ შედ-
გამდა მის ხასიათს:

რწ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღარსოს ჩვენ ვაღვიძება?!

და აი, ილია, როგორც კი ფეხზე დად-
გა საზოგადო მოღვაწეობისათვის, მტკი-
ცილ, ბეჯითად და ერთგულად შეუდგა
მისი მშობლიური ხალხის გამოღვიძებას.

საქართველოს არა ჰქონდა ისეთი ორ-
განიზაციები, სადაც საზოგადოებრივი

კეთილდღეობისათვის ზრუნავენ. ის
კულმოკვეცილი „ზემსტოცი“ (ერობა)
კი არ აღირსა რუსეთის ცარიზმმა სა-
ქართველოს და მთელი ბედ-იღბალი
ქართველი ხალხისა ჩაბარებული ჰქონდა
თვითმპყრობელური რეჟიმის უხემ მო-
ხელეობას, განსაკუთრებით — მაშინდელ
პოლიციას, ჟანდარმერიას და ცენზურას.

ძნელი იყო ასეთი ჯებირებით შემო-
რკალურ ქვეყანაში კულტურული, ჰუმან-
ისტური მუშაობა, მაგრამ ამ სიძნელემ
ვერ დააფრთხო ილიას ამაყი სული, მან
რუსეთიდან დაბრუნებისთანავე შემოი-
კრიბა ბევრი მოწინავე ქართველი ინტე-
ლიგენტი, რომელნიც ჩვენში ცნობილი
არიან როგორც „თერგდალეულები“ და
გაბედულად ჩაუდგა სათავეში ეროვ-
ნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას
საქართველოში.

ამის გამო მან დააარსა სხვადასხვა სა-
ზოგადოებრივი, ნებაყოფლობითი ორგა-
ნიზაცია: ეგრეთწოდებული წერა-კით-
ხვის საზოგადოება, დრამატული საზო-
გადოება და საადგილმამულო, იპოთე-
კური ბანკი.

წერა-კითხვის საზოგადოებამ საქარ-
თელოს სხვადასხვა კუთხე მოფინა
სკოლებით, სადაც სწავლა ქართულად
წარმოებდა, მაშინ როდესაც მთავრობის
სასწავლებლებში ქართული ენა თუ სულ
გაძევებული არა, დიდად შეკვეცილი
მაინც. იყო. იმავე დროს, წერა-კითხვის
საზოგადოებამ გააჩაღა დიდი საგამომ-
ცემლო მუშაობა.

ამასთან ერთად, ილიას მეოხებით და
მეთათრობით დაარსდა დრამატული სა-
ზოგადოება, რომელიც, როგორც მზრუნ-
ველი და მომვლელი ქართული თეატრი-

სა, ერთგვარ მეცენატად მოეგლინა ქართულ დასს, რომელიც ქართული თეატრის ფუძემდებლის, გიორგი ერისთავის დასის დაშლისა და თეატრის დახურვის შემდეგ ვეღარ ბოგინობდა. იმავე დროს, ილიამ ამ დასს სამუდამო ბინაც მიუჩინა არწრუნისეულ ყოფილ ქარვასლაში და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის საქმიანობას, რაიც მას შემდეგ არ შეწყვეტილა, და დღეს ვხედავთ, თუ რა დიდ მწვერვალებს მიაღწია ქართულმა თეატრმა და როგორი მაღალნიჭიერი აღამიანები გაუჩნდნენ ჩვენი არტისტებისა და დრამატურგების სახით.

საადგილშამულო ბანკი, რომელიც აგრეთვე უმთავრესად ილიას დაარსებულია და მისი მოღვაწეობით აღორძინებული თავის დროზე, მართალია, თავად აზნაურთა ბანკად იწოდებოდა, მაგრამ ილიას მეოხებით თავის წმინდა შემოსავლიდან ესმარებოდა თეატრს, წერა-კითხვის საზოგადოებას და სხვა ქართულ საქველმოქმედო დაწესებულებებს თუ ორგანიზაციებს. აგრეთვე, ქართულ პრესასაც.

და აი პრესა.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ილიამდე დროგამოშვებით გამოდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთობა, მაგრამ ასე არავის მოუმარჯვია ამ პერიოდული ორგანოების გაძღოლა, როგორც ილიას.

ჯერ ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და შემდეგ, გარემოების გამო. სხვადასხვა სახით გამოცემული „ივერია“, აგერ, ჩვენი მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ილიას ხელში დარაჯად და გულშეგად უდგას ქართველ საზოგადოებრივ საკითხებს.

აქ კი, ამ პერიოდულ გამოცემებში, სრული სისავსით გაიშალა დიდებული ტალანტი ილიასი.

ამ პერიოდში ილია მართო მხატვრულ პროზასა და პოეზიის შედევრებს კი არ იძლევა, არამედ ის არის პუბლიცისტი, ეკონომისტი-სოციოლოგი, ლიტერატურ-

რათმცოდნე და კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

მისი „შინაური მიმოხილვები“ და მოწინავეები „ივერიაში“ ეხებიან საგარეო პოლიტიკის საკითხებს, პედაგოგიას, სამეურნეო დარგს და სხვა ათას იმდროინდელ საქართველოში საგნებს. აგრეთვე, აღსანიშნავია მისი ფელეტონები, აღსავესე საკითხის სწორი გაშუქებითა და მახვილგონიერებით.

ისე კი, რასაკვირველია, ხალხს უფრო ახსოვს მისი უკვდავი პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები: „აჩრდილი“, „განდვილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „გლახის ნაამბობი“, „ქაცია აღამიანი?“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.

თავის მწერლობაში კი დაუეფიყარია მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურის ენობრივ მასალაზე. ის არის ყველაზე უმთავრესი ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურული ენისა და რეალისტური მიმდინარეობისა მწერლობაში.

ეს მიმდინარეობა დღემდე არ შეწყვეტილა.

ისე კი, როგორც ვთქვი, მისი მხატვრული ნაწარმოებები უფრო ახსოვს ხალხს.

ეს გასაგებიც არის. ხომ ცნობილია, რომ აღამიანის შეგნებას მწერლის წიგნთაგან, ნაწარმოებებიდან ჯერ მხატვრული თხზულება შეეპარება და თითქოს ნიადაგს დაუმზადებს სხვა უფრო მეცნიერულად დამუშავებულ ნაწერებს და შემდეგ პირდაპირ გადავა უფრო სპეციალური და მეცნიერული საკითხების შესწავლაზე.

ამგვარად, ილია ბუმბერაზია საქართველოს სინამდვილეში, მას დიდი, ღრმა კვალი აქვს თავისი მშობელი მხარის ასაყვავებლად გაყვანილი, და მისი დევის ნაფეხურები მუდამ სახსოვარია ჩვენთვის, მაგრამ როდესაც რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღი დაგვიდგება მის გარშემო, მაშინ ჩვენ ვხეიშობთ, ვამაყობთ ამ დიდი კაცის სახელით და მაღლობით ქედს ვიხრით მისი მაღალი შუბლის წინაშე.



ღიღი იღია

იღია ჭავჭავაძის შემოქმედება და მოღვაწეობა იმდენი ფიქრისა და აზრის შთამავონებელია, რამდენიც თავიანთისცემისა და სიყვარულის. იგი ქართველი ხალხის უდიდესი პოეტია, მწერალი-მოაზროვნე და მებრძოლი პატრიოტი.

იღია ჭავჭავაძის შემოქმედება ელინდებოდა ყველა დარგში, რაც კი კაცობრიობის სულს თავის მისწრაფებათა გამოსახატავად ოდესმე გამოუყენებია: არც ერთი ჟანრი შემოქმედებისა მისთვის უცხო არ ყოფილა. საოცარია ის სტილისტურ-ესთეტიკური მთლიანობა, რომელიც მის ნაწერებს ბასსიათებს. თვით პუბლიცისტიკაც და მწვერმეტყველებაც ამ მთლიანობის აუცილებელი ნაწილებია.

სწერო იღია ჭავჭავაძის შემოქმედებისა ისე ვრცელია და მრავალსახიანი, როგორც სამყარო კაცობრიული გრძნობისა და გონების. მაგრამ ეს არ წარმოადგენს საკუთრივ ილიას დამახასიათებელ თვისებას. ასეთია ყველა დიდი მწერლის შემოქმედებითი სფერო. ილიასთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული პათოსი, რომელიც თანაბარი ძალით ცხადდება მის დიდსა თუ მცირე ნაწარმოებებში და მთავარი მამოძრავებელია მისი სულიერ-მორალური ძალისა. ეს არის მისი სულის შეყვარებული ქართველი ხალხი, ნამდვილი საყრდენი ყველა მისი ძიებისა როგორც მხატვრულ, ისე განყენებულ აზროვნებაში.

ილიას არ სწამდა მეფეებისა და ომების სახით წარმოდგენილი ისტორია; მას არ უყვარდა მეფეები და ომები. მისი სული დრტივინავდა, როცა ისტორიაში ხალხი არ ჩანდა, ნამდვილი გმირი და შემოქმედი ისტორიისა და ერის

დიდებისა. ისტორიაში არ ჩანდა ხალხი, მაგრამ იღია ყველგან ხედავდა მას, საცა მახვილი თვალი და ბასრი გონება მიუწევდებოდა. ხედავდა გარდასულ სულიერ-მატერიალური კულტურის ძეგლებში ისევე ცხადად და მკაფიოდ, როგორც ცოცხალ სინამდვილეში. მის თვალსა და გონებას წინ ყველგან სიყვარული მიუძღოდა, უინტიმესი ძალა ყოვლის შემცნობი და გამგები. მას ხიბლავდა მშობელი ხალხის მისწრაფებათა და იდეალების დამთხვევა ზოგადკაცობრიულთან, რომლის მოზიარე თავისი ფართო განათლებით ის სიყრმინდნე იყო. ეს აღაგზნებდა მის კეთილშობილ პათოსს, ქართველი ხალხის სიყვარულის სახით მის სულში რომ მუდამ ღვიოდა.

საქართველოს ისტორიის საბედისწერო გარდატეხის შემდეგ მე-19 საუკუნეში პირველად მოხდა ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში საკაცობრიო პორიზონტების დამკვიდრება. ეს იყო ილიას შემოქმედების წყალბა. მან პირველმა მიაგნო და ჩამოძვრწა ფართო დიპაზონის ხალხური სახეები და ქართულ მხატვრულ სიტყვას მანამდე უჩვეულო გასაქანი მიანიჭა, ჩაჰბერა რა მას ახალი ცხოველმყოფელი სული, რომლითაც ის დღესაც იკვებება.

ბრძოლა იყო იღია ჭავჭავაძის სტიქიონი, როგორც მწერლისა და პატრიოტის. მის მთავარ საჭურველს მშობელი ხალხის სიმართლისა და ღირსებათა ურყევი რწმენა შეადგენდა. მისი თაღები ღმობიერებასთან ერთად ელვის განმგმირავ ძალასაც შეიცავდნენ, დასაოკებლად მტერთა და ორგულთა. მისი მაღალი შუბლის ნაკეცებში მიმალული რისხვის ქარი სიყვარულისა და სათ-

ნოების გვერდით პოვებდა ადგილს, რაც უკანასკნელთ ხელს არ უშლიდა.

ილია ჰავჭავაძე მთელი ნახევარი საუკუნე იღვა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. მან არ იცოდა, რა იყო ექვი და უკან დახევა; როცა შეგნება და მოვალეობა მას სამოქმედოდ მოუწოდებდნენ. მან იცოდა მხოლოდ თავდადების სიდიადე, რომლის ნათელი მას მთელი სიცოცხლე შარავანდით მოსაედა.

ის იღვა თავის სადარაჯოზე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რომელიც

ბოროტი ხელის განასროლმა ტყვიამ შეწყვიტა.

ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე ტრაგიკული მომენტი ახალი ქართული ისტორიისა...

...და ჰალარა მცხეთის პირისპირ, წიწამურში, აღიმართა ქართული ეროვნული სულის ჯვარცმა, რომელიც ხალხის ფუძისეულ ძეგლებს — არმაზსა და ზედაზენს, ჯვარისა და სვეტიცხოველს — სამარადეამოდ შეუერთდა დიდი ილიას სახით.



ქონსგანგონი გამსახარია



PATER PATRIAE

ჩემს სიკბაბუკეში დიდ სიამოვნებას მგვრიდა ილია ჭავჭავაძის მაღალი და ნათელი შუბლის, მისი დიდრონი, სევდიანი თვალების ხატვა.

მუდამ ვოცნებობდი: როგორმე ახლოს მენახა იგი.

ჩვენი სოფლის ბუცესი ხშირად დადიოდა თბილისში და მან მამცნო:

მე მინახავს ილია წ. კ. გამაგრცელე-ბელ საზოგადოების კანტორაში მრავალჯის.

ცამეტორედ წლის ბიჭუნას ფრიადების შინ მიტანისათვის ხუთი ოქრო მარქვა განსვენებულმა მამაჩემმა. ეს ფული შემოვიწახე და თბილისს წავედი დედაქალაქისა და ილიას სანახავად.

ცხადია, ჩემი მოკრძალებული წადილი იყო: შორიდან მაინც დამენახა იგი.

საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ჩვენმა თბილისმა.

რკინიგზის სადგურზე გრძელუღვაშინი ქანდაკებები დაძრწოდნენ დეზების ჩხარუნით. რიყის ქვით მოკირწყულულ ქუჩებში წითელჩაბახიანი ყაზახები დააჯირითებდნენ თავიანთ ნასუქალ ცხენებს.

ქართული ასოები მხოლოდ თონეებისა და სახაშეების აბრებზე იყვნენ წაჯღამნილნი. არც ჩაქჩაქა ცხენიან ტრამვაიში, არც ქუჩაში ქართული არ ისმოდა.

ხანგრძლივი კითხვა-გამოკითხვის შემდეგ მივაგენი ქართველთა შორის წერაკითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების კანტორას, რომლის ვიტრინაში გამოფენილნი იყვნენ ილიას, აკაკის და იაკობ გოგებაშვილის ბროშურებული წიგნები, მათი ტირაჟი ათას ცალს არ აღემატებოდა.

ლიქედ დარჩენილ კარიდან შევიქვრიტე.

კანტორაში იჯდა სათვლიანი, მოლტულო მოხუცი და რაღაცას წერდა. როცა მან თავისი საქმიანობა მოათავა, სათვალე შუბლზე აიკეცა და მკითხა: „შენ რა გინდა, ბიჭიკო?“

როცა ვუთხარი, ილია ჭავჭავაძის ნახვა მინდა-მეთქი, გოცებამ გაიელვა მის სახეზე და გვარი მკითხა, უკეთ რომ ვთქვა:

ვისი ბიჭი ხარო?

როცა მე მამაჩემის სახელი და გვარი ვახსენე, თავი გაიქნია.

ასეთი გვარი ჯერ არ გამიგონიაო.

მე ისეთ ასაკში ვიყავი იმჟამად, როცა ვაყებს განსაკუთრებულად უყვართ თავიანთი მამები.

მანამდის აგრე მეგონა, მთელი ქვეყანა იცნობს-მეთქი მამაჩემს, რადგან ჩემს თვალში იგი იყო ვაჟკაცობის, სიდარბაისლისა და სიმამაცის განსახიერება.

ახლა ასეთი რამ მკითხა ამ მოღუშულმა კაცმა:

„ჰო, მაგრამ რისთვის გინდოდა, ბიჭიკო, ილიკო ჭავჭავაძის ნახვა? შენ რა საქმე უნდა გქონდეს მასთან?“

ესა თქვა და ირონიულმა ღიმილმა გადაიბრინა მის მოკუმულ ტუჩ-პირზე.

მე პირდაპირ არ ვუპასუხე, რადგან ვიგრძენი, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავევარი ანაზღად, პირიქით, შევეკითხე:

„მაინც სად შეიძლება, ბატონო, ილია ჭავჭავაძის ნახვა?“

„ილია პეტერბურგს წაბრძანდა წუხელ...“

მე გავეცალე ამ მოღუშულ კაცს, გულაწყვეტილად გამოვიხურე კარი.

ახლა ჩემი ერთადერთი წადილი იყო: სიონი, შურისციხე და მეტეხი მენახა... (სხვა რამის ნახვა მე არც მომინდომებია).

II

ორიოდე წლის შემდეგ კვლავ ვაპირებდი ილიას სანახავად თბილისს გამგზავრებას.

ავგისტოს მოღუშულ საღამოს ჩემი საყვარელი კვიცი მდინარეში საბანაოდ მიმყავდა.

რკინიგზის სადგურიდან მომავალმა ცხენოსანმა ასეთი საშინელი ამბავი მამცნო ტყისპირად:

ილია ჰავჰავაძე მოუკლავთო გუშინ. იმ საღამოს ფიცი დავდევი:

მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მკვლელების წინააღმდეგ.

მეორე დღეს გაზეთებში ვნახე ილიას განგმირული შუბლი და ეს იარა მოუშუშებელ დამლად დააჩნდა მას შემდეგ ქართველი ხალხის გულს...

III

ილია ჰავჰავაძე მარტოოდენ დიდი მწერალი როდი იყო, ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში ეროვნებებს აფუძნებდნენ, ალფაბეტებს გამოიგონებდნენ ხოლმე.

ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს — წინასწარმეტყველი.

ახალ ეპოქამდის მწერალი ვერ იყო დამოუკიდებელი მოაზროვნე.

მას კარის მეზობის, ტირანების პირისფარების არცთუ მთლად სახარბიელო როლი ჰქონდა მინიჭებული.

გასულ საუკუნეში ვიქტორ ჰიუგო, ჰენდრიკ იბსენი, ლევ ტოლსტოი და საქართველოში ილია ჰავჰავაძე იყვნენ ნამდვილი გულშემატკი ტრიბუნები თავისუფლებისა.

ყველა მათ სიცოცხლეშივე მოიხვეჭეს უდიდესი რეზონანსი.

ზოგი მწერალი სიცოცხლეშივე კვდება, ზოგი თავის სიკვდილით უკანასკნელ ბეჭედს ასვამს ხოლმე თავის ქმნილებებს.

• •

ძველი ბერძნები ამბობდნენ: სიკვდილამდის კაცს ნურც აქვებ, ნურც აძაგებო. სიკვდილი უკანასკნელი წრთობაა სულისა, მისი სიმალისა თუ სიმდაბლის, სიმამაცისა თუ სიმხდალის ბარომეტრი.

ილიას სიკვდილს მოჰყვა დიდი ალტყინება ქართული სულისა, იგი იყო ჰემმარიტად „სიკვდილისა სიკვდილითა დამორგუნველი“.

IV

ყოველ საუკუნეში მოდიან ან მიდიან მწერლები, ზოგი ერთეულებზე სტოვებს მოოქროვილ ტომებს, ზოგს წაიკითხავენ და დაიფიწყებენ, ხანაც ძილის წამლად ხმარობენ, ზოგსაც ბიბლიოთეკების დასამშვენებლად.

ილიას დარნი რჩებიან, როგორც მაღალი შტანდარტები, საუკუნეთა მიჯნებზე აღმართულნი...

• •

ბალზაკმა ანათემა უყო „ქურნალისტიკის საროსკიბოდან გამოსულ“ ბულვარულ მწერლობას, ხოლო მეორე, ასეთივე დიდი ეთოსით ალტყინებული მწერალი, ლევ ტოლსტოი, ხელოვნების აბსოლუტურ უარყოფამდის მივიდა. თუმცა მის ესთეტიკურ თეორიებს დიდი პარადოქსულობის იერი გადაჰკრავდა, მიუხედავად ამისა, ბევრ რამეში ცამდე მართალი იყო ლევ ტოლსტოი.

ილიამ სიუბუტეშივე განსაზღვრა თავისი ამქვეყნიური მისია: „დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძვედ ვიყო ჰმუნვასა და სიხარულში“.

ამ მისიის ვაჟკაცურად შესრულებას მოჰყვა წიწამურის ტრაგედია.

• •

ილია ჭავჭავაძე იყო დიდი მნათე იმ მაღალი სამრეკლოსი, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება.

ამ დიდი მეზარის, უკეთ რომა ვთქვათ, მოზარის დაღუპვამ გამოაფხიზლა ქართველი ერი.

ქართველი ხალხის ტრაგედიული ისტორიის მანძილზე კულტურის არც ერთ ფაქტორს არა ჰქონია და არც დღეს გააჩნია ისეთი რეზონანსი, როგორც მწერლობას.

ჩვენი მოუსვენარი მეზობლები თავზე დაგვაშობდნენ თუ არა ეროვნულ სახელმწიფოს, ილიას დარი მწერლები იტყობთავდნენ ხოლმე ერისთავაკის მიძმე ჯვარს.

• •

სხვადასხვა დროს საქართველოს სახელმწიფურ საზღვრებზე აღმართულნი იყვნენ უზარმაზარი ქვის ბლოკები, რომელთა ცალ კიდზე ადამიანის ზეაპყრობილი მარჯვენა იყო ამოკვეთილი.

ასეთი მარჯვენა ესხა ჩვენს მწერლობაში:

საბა ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეს.

ორივენი იყვნენ არა მარტო მწერლები, არამედ ერისმთავრები, ენის რეფორმატორები და მათი კმნილებები უფრო მეტია, ვიდრე წიგნები, უკეთ რომ ვთქვათ, ესენია ერთგვარი „საქაქმოა სულისა“.

V

მსოფლიო პროზაში გოეთეს „იტალიური მოგზაურობის“ შემდეგ მე იშვიათად თუ წამიკითხავს ისეთი მაღალხარისხოვანი მხატვრული ნარკვევი, როგორცია ილიის „მეზავრის წერილები“.

ბუნების პეიზაჟების უბადლო ოსტატობა, აფორიზმების ელვან სარკანსის გესლიანი ისრები, ყოველივე აქაა. რაც მთავარია, ჯერაც ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე წარმოგვიდგენს მთელს პროგრამას მისი მომავალი მოღვაწეობისას.

ეროვნული ნიპილიზმის ფგუნური ბაიყუშები ილიას „რეაქციონერსა“ და „რეტროგრადს“ ეძახდნენ.

„ჯვარს აცე, ჯვარს აცე, ეგე“, გაჰკიოდნენ ისინი გზაჯვარედინებზე.

არც ერთ მწერალს საქართველოში ამდენი არ უბრძოლია თავდაზნაურული რეტროგრადული აზროვნებისა და სირეგვენის წინააღმდეგ, რამდენიც დიდმა ილიამ იბრძოლა.

ილია იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი ერისა და ჩვენი ენის განახლებისა და განათლების დიდი მესაყვირე.

რომანოვების ობსკურანტული რეჟიმი იყო ადრესატი ქვემომოყვანილი სტრიქონებისა, რომელნიც წარმოადგენენ ადამიანური მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს:

„ბნელო დამეც, შენა ხარ ხელუმწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალმაჰცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალ გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე. შენა ხარ ეამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა.

ჰოა ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო, ნათელო, მოვედ შენ!“

• •

იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძის დაცვისთვის ხელტუკებს გვიშენდნენ, ხშირად მომიშველებია ლენინის ბრძნული აზრი, ლევ ტოლსტოის გამო თქმული, ილიას დასაცავად.

ლენინის თვალში ტოლსტოი — დიდი მხატვარი ჩრდილავდა ტოლსტოი — რეტროგრადს, ნეოქრისტიანიზმის საკმაოდ დაგვიანებულ მელაფეს.

ამ მხრით ილია ჭავჭავაძე უფრო პრო-

გრესულად მოაზროვნე იყო, ვიდრე იასნაია პოლიანელი ამოსტოლი.

დიდი მწერლების ქმნილებები ხშირად წინააღმდეგობათა შემცველი არიან. ენგელსი აღტაცებული იყო იმ უსასტიკესი კრიტიკით, რომელიც გამოიჩინა ბალზაკმა ამორალური ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ, თუმცა ენგელსმა კარგად იცოდა, რომ „შაგრენის ტყავის“ ავტორი მისტიკოსი იყო პირველი რანგისა.

VI

როგორი განსაცვიფრებელი სიფაქით გამოკვეთა ოსტატის ხელმა ბედშავი მოხვევე ლელთ ღუნიაი!

მისი უბირი გულიდან დაძრული სიტყვები გახდა ლაიტმოტივი იმ დიდი ბრძოლისა, რომლის თავკაცი იყო ილია ქაქვაძე.

„...ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენთა თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟობდის, ქალაი ქალობდის“.

ნახევარ საუკუნის მანძილზე ებრძოდა დიდი ილია ეროვნული ნიჰილიზმის საშინელ ურჩხულს.



საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტის დაშლამ ბუნებრივად გამოიწვია დეგრადირება არისტოკრატიისა.

საქართველოს უკანასკნელმა სუვერენმა ერეკლე მეორემ იმდენივე პრილობა ომებში მიღებული თან ჩაიტანა სამარეში, რამდენი წელიც იცხოვრა ამქვეყნად.

ამ უდიდესი მებრძოლის საფლავს ვიდაც რუსმა მოხელემ პაულიჩმა დაადგარაღაც უგემური ლუსკუმა, ხოლო ბაგრატიონები, ორბელიანები და ძმანი მა-

თი ველარ ძღებოდნენ ქეიფით, ბედოვლათობით, მამულების უიღვით.



ამ წოდების გადაგვარება უსასტიკესი სარკაზმით გაქირდა ილიამ. ამ მხრით ილიას „კაცია ადამიანი?!“ სატირული ლიტერატურის შედეგია. განა მარტო მწერლობით, მთელი თავისი მოღვაწეობით ებრძოდა ამ წოდების უზნებობას და ბედოვლათობას ილია.

ამ ფრონტს, ილია ქაქვაძის წინააღმდეგ გამართულს, ახლა სხვა მიემატა. მარქსიზმის ვულგარიზატორებმა აუტო დაფე მოუწყვეს მას.

ლიტერატურის წინ წაყვანას ერთი კაცი არასოდეს ყოფნის, ილია თავათ უჩიოდა თავის მარტოობას.

„მგარამ მამულო, წემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არი მხოლოდ საეალაო და სამუხარო, რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუწაარო“.

ილიასთვის მხარის დამშვენება ამ საქმეში შეეძლო ნიკო ნიკოლაძეს.

მე ვფიქრობ, როგორც სხვა ჩვენი მოღვაწენი, არც ნ. ნიკოლაძეა ჯეროვნად შეფასებული.

ნ. ნიკოლაძეს მე ორჯერ შეეხვდი, ერთხელ ბერლინში და მეორეჯერ — პარიზში 1923 წელს და, უნდა ითქვას, აღტაცებაში მომიყვანა მისმა დიდმა ერუდიციამ, მისმა განსწავლულობამ და გონებამახვილობამ.

რა და რა დარგის გამო არ გასაუბრებოდი მას, ბერგსონის „ელან ვიტალის“ მოძღვრება იქნებოდა ეს, თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია, თუ პინდური ბრაჰმანიზმი, ისლამური მისტიციზმი, თუ მასსონების მოძრაობა ევროპაში. იტალიური რენესანსის თუ ძველბერძნული პლასტიკის საკითხები, ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო.



პირველხარისხოვანი ევროპელი დიდი მწერლის ან მეცნიერის სიმალლეზე იდგა მისი გამობრძმედილი ინტელექტი, რომელსაც სიბერე ჯერაც არ გაჰკარებოდა.

დღეს უკვე სამწუხარო ამბავად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, ილიამ და ი. მაჩაბელმა საერთო ენა რომ ვერ გამოსძებნეს და საბანკო საქმეების გამო კინკლაობას შეალიეს თავიანთი ენერგიის მოზრდილი ნაწილი.

ამიტომაც წამოსცდა ბრძოლებისა და ტანჯვისაგან გამწარებულ პოეტს:

„ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?
ყველა ყრუი. ყველა ცრუი,
ამაყი და მანკიერი“.

ილიას დარ დიდკაცს უფლებაცა აქვს შერისხოს საკუთარი ერი, როცა დენაციონალიზებისა და ზნეობრივი დეგრადაციის დაღმართებისაკენ დაექანება იგი.

• •

უსასტიკესად ებრძოდა ილია ქვეყანაძე ქართველი ხალხის გმირული წარსულის აუგად მახსენებელთ, ჩვენი კულტურის მოღვაწეთა დიფამაციის თავკაცებს, შინ და გარეთ, კატკოვებსა და პატკანოვებს, რომელთაც ქვათა ლაღადი შესამენინა.

გააფთრებული ებრძოდა როგორც საკუთარი ერის წიაღიდან გამოსულ რევვენებს და მატრახაზებს, ისე გაზულუქებულ გადამთიელებს, რომელნიც უდიერად მისწვდებოდნენ ხოლმე ჩვენი ერის წარსულსა და მის კულტურას.

VII

ილიას გარშემო გამართული ბრძოლების კორიანტელში ჩვენს ლიტმკოდნობას მიაფიწყდა ილიას დიდი მემკვიდრეობის ნამდვილად შესწავლა, მისი როლის, მისი ადგილის გამორკვევა ქართული ენისა და მწერლობის განვითარების ისტორიაში, — თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მისი მემკვიდრეობის გამოცემისა და შესწავლის საქმეში მიუძღვის ჩვენს სახელოვან მკვლევარს, პავლე ინგოროცვას.

უსაზმნო მეზღაპრეობის ნაყოფად მიმანია მე პირადად ვითომდაც სავალდებულო ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის, რომელიც ამოდ გამოჰყავს ზოგიერთ კრიტიკოსს რუსი რომანისტის ი. ს. ტურგენევის ცნობილი რომანიდან.

საერთოდ, ცნობილია, ცუდი შვილება ზმირად შებრძოლებიან კარგ მამებს, მაგრამ მთელ მსოფლიო პოეზიაში უბრწყინვალესი შედეგებია მიძღვნილი კარგი შვილების კარგი მამების მიმართ თავგამოდებული სიყვარულისადმი.

მარტო ერთი შექსპირის დანიელი პრინცი ჰამლეტი რადა ღირს! ან არა და ჰომეროსის ბრწყინვალე სტროფი, რომელიც მთელ პოემას უდრის:

„ზევესს როდი გეფიცები აგელაი, არამედ მამაჩემის ტკივილებს“.

ასეთივე გაღმამათიად შერაცხილი მაქვს ყბადაღებული თეორიები ღვთისმეტყველის ანტონ კათალიკოსის „სკოლისა“ გამო.

უნიჭოები იყვნენ ბარბარე ჯორჯაძე და მისი ამქარი, სარდიონ მესხივეი, ბართოვი და სხვანი, საერთოდ, გრიგოლ

ორბელიანის გარდა, არც ერთი მათგანი მწერალი არა ყოფილა.

აკი სჩიოდა ილია ქავეჭავაძე თავათ:

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდალა.

ერთადერთი კაცი, რომელიც ბრძოლად ღირდა, ეს იყო შესანიშნავი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც, ჩემი აზრით, ლიტერატურისა და ენის საკითხებში იდეური ბრძოლის ნამდვილი საბაზი არც კი ჰქონდა ილიას მიმართ.

გრიგოლ ორბელიანსა და ილიას შორის არსებული უთანხმოების საფუძვლი იყო მდგომარეობისა და ტემპერამენტის სხვაობიდან წარმომდგარი ფაქტორები. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მომენტიც:

გრიგოლ ორბელიანს, რომელიც სიკვამულეშივე ოცნებობდა რუსული ორთავიანი არწივის ქანგებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის, იმდენი ორდენები და პატივი მიანიჭა ნიკოლოზ პირველმა, — მას უკვე სიბერეში გადამდგარს ილუზია წარმოესახა, თითქოს ქართველი თავადაზნაურობისა და ქართველი ხალხის ისტორიული მისიის გაგრძელება იქნებოდა რუსული იმპერიალიზმისათვის ხმლით მიშველიება.

გრ. ორბელიანი საკმაოდ ბუნდოვნად ერკვეოდა იმეამინდელ პოლიტიკაში, პირსისხლიან მონარქს, ნიკოლოზ პირველს ისეთივე გულმოდგინებით უმღეროდა იგი თავის პოეზიაში, როგორც ერეკლე მეფეს, დავით აღმაშენებელსა და ვახტანგ გორგასალს, რომელნიც არსებითად იყვნენ არა აგრესიული პოლიტიკის გამტარებელნი, არამედ თავკაცები ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

გრ. ორბელიანი ძლიერ უხეშად მოექცა ამ ახალ თაობას.

რამდენად უფრო დარბაისლური და დელიკატური იყო ამ „ბურთივით მრგვალი ლიბერალის“, ილიას პასუხი:

„ჩვენ ველთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელოა თქვენი არ გვიწოდოთ
ჩვენი ჭეყანა,
მკვლარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებუ არ გაგვიცვლია.

ვინა ყრბართო,
ვირები ხართო,
მაგ თქვენ ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა:
რაღ კოკაში სდგას
იგივე თურქე წარმოსდინდება“.

ამ კენწლავობის მიუხედავად, დარბაისელი ილია ობიექტური დარჩა მანის, ძველისა და ახალის „შემაერთებელი ხელი“ უწოდა მას.

ქართული ენის წყაროსათვის იყვნენ იაკობ ცურტაველი და შოთა რუსთაველი, გიორგი მერჩულე და საბა ორბელიანი, — ეს გენერალური ხაზი ქართული მწერლობისა განაგრძეს ნიკო ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, ილია ქავეჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

უთუოდ გრიგოლ ორბელიანისაგან გადმოეცა ილიას პათეტიკური შემართება ქართული ისტორიის დიდი გმირების აპოლოგიაში.

ქართული ისტორიის პოეტიზირების შესანიშნავი ნიმუშია ილიას „დიმიტრი თავდადებული“, რომელშიაც პოეტმა უმღერა კიდევაც ქვეშეცნეულად საკუთარ თავდადებას და პარაბოლური ენით გვაშცნო ნამდვილი თავდადება მამული-სათვის, საკუთარი სიცოცხლისა და სიხლის გაღების საფასით რომ ხდება... ამიტომაც სასწორზე შეაგდო მან თავისი პირადული ცხოვრება.

VIII

ენის საკითხებშიაც ილია ქავეჭავაძე თანმიმდევრულად აგრძელებს იმ გენერალურ ხაზს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე პოეზია.

ამაოდ ცდილობდა ზოგი დიდკაცი და-

ემტკიცებინა, თითქოს ილია ქავჭავაძე ქართული ენის ხელოვნურად გამარტივებისა და დაღარიბების მედაფე ყოფილიყო.

ყოველი განვითარება როგორც კულტურის, ისე ტექნიკის საქმეში მარტივიდან რთულისკენ სვლას გულისხმობს.

მარტივია „რწყილი და ჰიანჰველა“, ხოლო რთული — „ვეფხისტყაოსანი“, მარტივია ურემი და ისარი, ხოლო ურთულესი — რეაქტიული თვითმფრინავი და თანადროული მაშინერია.

შედარებით არახანდაზმულ და ახალგაზრდა ენებისა და ლიტერატურათა ფონზე ქართულ ენას გაჩნია ის ბედნიერება, რომ იგი ერთ-ერთ უზუცეს ენათაგანია მთელს მსოფლიოში, მის ეტიმოლოგიაში დღესაც უღერენ ჯერ კიდევ მეხუთე და მეექვსე საუკუნეში ნახშირი სიტყვები.

ორმა წიგნმა განუსაზღვრელად დიდი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე.

ეს იყო ბიბლია და არაბული ეპოსი ათას ერთი ლამისა, ღვთაებრივი კომედიისა და გოეთეს ფაუსტის სათავეები ზოგი მოტივების მიხედვით, ბიბლიიდან მოდიან, ხოლო ათას ერთი ლამიდან ბოკაჩოს ნოველებისა.

ვერობელმა ხალხებმა და მათმა მწერლებმა მხოლოდ მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეში იგემეს ბიბლიის, ამ უბრწყინვალესი წიგნის, თარგმანი თავიანთ ნაციონალურ ენაზე. ჩვენ ეს ბედნიერება გავგანხნა ჩვენი დიდი მთარგმნელებისა და თეოლოგების მეოხებით, ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში.

ამიტომაც ქართულ ენას შემორჩა ეს უძველესი ოქროს ფონდი და თან გამოჰყვა იგი იმ ეპოქამდის, როცა ენები ნებსით თუ უნებლიეთ ითვისებენ მოდერნული საერთაშორისო მეტყველების ლექსიკას, თანამედროვე ფილოსოფიის და ტექნიკის ასათვისებელს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მეტყველება ეთნოგრაფიულ ნიბს არ იყო მოკლებული, ეს ტენდენცია მხარს უჭერდა იმ ძველქარ-

თულ ინტონაციას მეტყველებისას, რომელიც ახასიათებდა გენერალურ ხაზს ქართული ენისას.

ამ გენის პირდაპირი გამგარქმელებელი იყვნენ ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და ილია ქავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ამ გენერალური ხაზის ორთოდოქსულმა წარმომადგენელმა, დროზე შენიშნა, რომ ეს „რიონელები, გოგიტელები, მესხი, მეველე, მელიქალები“ კლასიკურ და რბაისლურ ქართულ ენას მიაქანებდნენ პროვინციული ეარგონებისაკენ და მან არც დამალა თავისი აღშფოთება.

ილია ქავჭავაძე არ აპყვა გრიგოლ ორბელიანთან წაქეწულაების მომენტებს და ამ უკანასკნელის დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა კიდევაც ამ დიდი პოეტის ღვაწლი.

ისევე როგორც გრიგოლ ორბელიანი სუქსეზსა და პოემებს, ძველქართული, და რბაისლური ინტონაცია გასდევს ილიას ლირიკულ ლექსებს, მის „განდევგის“, „დიმიტრი თავდადებულს“, „აჩრდილსა“ და „ოთარაანთ ქვრივს“.

IX

განუზომელად დიდი ილიას დამსახურება ქართული მხატვრული პროზის წინაშე. მისი „ოთარაანთ ქვრივი“ შედევრთაგანია ჩვენი სიტყვაკაშმული მწერლობისა.

ქართველი ქალების მხატვრულ გაღერებაში ოთარაანთ ქვრივის სახე განსაკუთრებული ბრწყინვალეობითაა შემოსილი. ქართველი ქალი, როგორც ბალავარი ქართული ოჯახისა და ჩვენი ნაციისა, ეს არის ამ მოთხრობის თავკიდური.

საზოგადო მოღვაწეობამ, ხანგრძლივმა ბრძოლებმა, რედაქტორობამ, პოლიტიკამ, ბანკმა არ დაანება ილიას, დიდი რომანები შეექმნა.

• •

ვერც ერთი ნაციონალური მწერლობა ვერ ჩაითვლება თანადროული გავების

ნამდვილ ლიტერატურად, თუ მას კრიტიკა არ გააჩნია.

კრიტიკოსს, გარდა დიდი განათლები-სა და გემოვნებისა, ესაჭიროება დიდსულოვანი კაიკაცობა და თავის თანამედროვე ადამიანებისადმი სიყვარული. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე:

მზრუნველი მამა ახალი თაობისა, თავის თანამედროვეთა მიმართ ობიექტური.

ილიამ შეიქნო პირველმა ნ. ბარათაშვილის ტალანტი, ვაჟა-ფშაველას გენია და ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭი.

ილიამ ობიექტურად შეაფასა თვით გრიგოლ ორბელიანის პოეზია, ამ უკანასკნელის შხამიანი ეპიგრამების მიუხედავად.

ხომ დიდად განსწავლული კაცი იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, შე-

სანიშნავი მწერალი და ორატორი, მაგრამ მისი კონცეფციები და შეფასებანი მომეტებულ შემთხვევაში ილიას სტეგულენით არიან შექმნილნი, ვერც თანამედროვე კრიტიკოსებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა გადაუხვიეს ზოგ შემთხვევაში ილიას მიერ დასახულ სამანებს.

ქართული ენის, ქართული ისტორიის, ქართველი ხალხის ზნეთა და ჩვევთა დიდი მცნობი, ჩვენი კულტურის თავდადებული მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე იყო ნამდვილი *Pater Patriae*, რომელმაც თავისი დიდი ენერჯია და გაწამებული სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა მამულისადმი სიყვარულს, ამიტომაც იგი შერაცხილი ჰყავს ქართველ ერს, როგორც თავდადებული მამა სამშობლოსა.



ქაბი სიცოცხლისა და ქაბი სიკვდილისა

ილია ჯავახიანი წლებადელო იუბი-
ლესათვის თითქმის მთლიანად მოთავდა
მწერლის თხზულებათა სრული, ათრო-
მიანი კრებულის გამოცემა. უჩვეულო
მღელვარებით იღებს მკითხველი ხელში
ამ ტომებს, ღია მწვანე სუპერიოთა და
მასზე ილიას პორტრეტით დამშვენებუ-
ლებს. ხშირად დაინახავთ, რომ წიგნის
მაღაზიიდან სახლში მიტანამდე, ტრო-
ლეიბუსში თუ ქუჩაზე ფურცლავენ ამ
წიგნებს ახალგაზრდებიცა და ხანში შე-
სულნიც. ვასაგებიც არის ეს მღელვარე-
ბა. ჩვეულებრივმა, რიგითმა მკითხვე-
ლებმა, მამებმაც და შვილებმაც სკოლის
სკამიდანვე ისწავლეს „აკო ყაზალიცა“
და „გლახის ნაამბობიც“, „განდგეილი-
ცა“ და „ოთარაანთ ჭვრიციც“, მაგრამ
მათ სად მიუწვდებოდათ ხელი და თვა-
ლი იმ სტატიებისადმი, რომლებიც დღე-
ვანდამდე გაფანტული იყო ვასული
საუკუნის პერიოდულ პრესაში. მათ ხში-
რად არც ეწყრათ, რომ ილიას ეკუთვნო-
დნენ. ეს სტატიები ახლა გამოსცილდნენ
მუზეუმებსა და არქივებს, ქართული აზ-
როვნების ბუმბერაზის ამ უკეთესმა
ქმნილებებმა ხელახლა იხილეს მზის
შუქი.

ამ მხრივ თვითონ ილიასაც, ჩვენს
მკითხველსაც და ქართულ ლიტერატუ-
რასაც დიდი ამაგი დასდო პავლე ინგო-
როყვამ. ათეული წლების მანძილზე აგ-
როვებდა იგი ილიას აქა-იქ გაფანტულ
წერილებს, პოულობდა ხელმოუწერ-
ლებსაც, მეფის ცენზურისაგან დამახინ-
ჯებულებს უბრუნებდა პირვანდელ სა-
ხეს, რათა მკითხველს მიეღო ისინი ისე,
როგორც ილიას ხელიდან გამოვიდნენ.
ეს კი ძალზე რთული და საქმელო საქმე
იყო, თუ გავიხსენებთ ილიას მუშაობის
სტილს. ყოველ სიტყვას ის ათასჯერ

სწონიდა და ყოველმხრივ გასინჯავდა
ხოლმე. ბევრს ალბათ გაგონილი ექნება,
თუ როგორ შეწუხდა ილია, როცა „ივე-
რიიდან“ წასვლის შემდეგ გაზეთის ახ-
ალმა მესვეურებმა მას წერილში —
„ნთუ“ ორიოდ სიტყვა დაუმახინჯეს
(ვითომდა გავასწორეთო, იმ პრეტენზი-
ით). ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს,
თუ რაოდენ ძნელი საქმეა რედაქტორო-
ბა იმ მწერლის ტომებისა, რომელმაც,
აკაკი წერეთელთან ერთად, საბოლოოდ
დააფუძნა ახალი ქართული სალიტერა-
ტურო ენა.

მასობრივი მკითხველისათვის რამდენი
რამ ახალი, უცნობი გვითხრეს ილიას ამ
ტომებმა. ეს ხომ ჩვეულებრივი წერილე-
ბი არ არის, ეს ხომ მარგალიტებია, მაუ-
წყებელი ქართული ენის უჩვეულო სიმ-
დიდრისა; და ყოველ მათგანს ეტყობა,
რომ ილია მათ სასახეთაშორისოდ როდი
წერდა; მამინაც კი, როცა ამ წერილებს
ხელმოუწერლად აქვეყნებდა, მათზე
ისევე გულმოდგინედ მუშაობდა, რო-
გორც „ოთარაანთ ჭვრიცზე“. ალბათ ამა-
ნაც გააადვილა იმის გამოცნობა, თუ
ხელმოუწერლად დაბეჭდილ სტატიებს
შორის რომელი ეკუთვნოდა ილიას და
რომელი არა; რამდენი რამ დააკლდებო-
და მეტწილად საუკუნის ქართულ ლი-
ტერატურას, როგორ გაღარიბდებოდა
ის, რომ ეს წერილები არ ყოფილიყო;
მათმა გამოქვეყნებამ უფრო შეავსო და
გაამდიდრა ქართული პუბლიცისტიკის
ისტორია.

ამ უამრავი სტატიებიდან ჩვენ მარტო
ერთ წერილს შევეხებით. ეს არის „ში-
ნაური მიმოხილვა“, რომელიც 1885
წლის თებერვალში ხელმოუწერლად
დაიბეჭდა „ივერიის“ ფურცლებზე. თა-
ვისი ღრმა შინაარსით, შესრულების ოს-

ტატობით, ფრაზის ბრწყინვითა და სი-
სადავით, რომელიც მარტო ბრძენის
ნათქვამს ახასიათებს, და, ბოლოს, თავი-
სი მხატვრული ღირსებებითაც ეს წერი-
ლი თამამად შეიძლება დავაყენოთ ილი-
ას საუკეთესო ბელეტრისტულ ქმნილე-
ბათა გვერდით.



გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ
მიძნელებდა ილიას ამ წერილის განხილ-
ვა. არ ვიცი, საიდან დავიწყო; ძალზე
რთული და მრავალფეროვანია წრე იმ
პრობლემებისა, რომლებიც მასშია აღ-
რული. ამ „შინაურ მიმოხილვაში“ მო-
ცემულია ფილოსოფიური განკვერტა
ადამიანის ცხოვრების აზრისა და აქვეა
პრაქტიკული საბრძოლო პროგრამაც.
აქ ყოველ ფურცელზე, ყოველ აბზაცში
ჩანს დიანჯი და ღრმად ჩაფიქრებული
მოაზროვნე და გაბედული, შეუპოვარი
პუბლიცისტიც.

ილიას ეს წერილი ენარობრივი თვალ-
საზრისით იმ მხრივაც არის საინტერესო,
რომ მასში ავტორს არ დაუტყავს „შინაუ-
რი მიმოხილვისათვის“ დამახასიათებე-
ლი ნორმები, ჩვეულებრივი ყოველდღი-
ურობის მიმოხილვის ნაცვლად მას აქ
თავისი განწყობილებების მიმოხილვა
მოუცია, თავისი ერთი უძილო ღამე აუ-
წერია, იმ ერთი ღამის მწუხარე ფიქრები
გადმოუცია. მთელი წერილი ისერივად
განგაწყობთ, რომ თქვენ თვალწინ
გიდგებათ, თითქოს ხედავთ, როგორ
შფოთავს და ბორბავს ეს ბუმბერაზი
კაცი იმ ღამეში, თვალწინ წარმოგიდგე-
ბათ მისი სამუშაო კაბინეტი: ოთახში
ბუხარი ვიზვიზებს, ბუხარის თავზე თა-
რია აყუდებული, კედლიდან ილიას გა-
რიბალდი ვადმოსკვირის თავისი ლურ-
ჯი თვალებით, მას გრძელი უღვაშები
ამშვენებს, წითელი შალის ხალათი აც-
ვია, დიღებით გულთან მეზღვაურულ
ყაიდაზე შეკრული, ყელზე ბანტი უკე-
თია და გულზე — ძეწკვი (ეს სურათი
ახლაც იმავე ადგილზე ჰკიდია საგურა-
მოში); ოდესღაც მის რაზმში ვოლონტე-

რად ჩაწერაზე ოცნებობდა ილია, მაშინ
დაწერა მან თავისი „მესმის, მესმის“.
კედლის მეორე მხარეს ხუთთოფი ვერძე-
ნული წარწერით: „შუა აზია, ბუხარის
გზაზე“, მაგრამ ახლა არც შუა აზია და
არც იტალია აღარ ახსოვს ილიას; მის
საწერ მაგიდაზე, ერთ მხარეს, ლევ
ტოლსტოის წიგნია გადაშლილი მეო-
რე მხარეს — ეკლესიასტეს ქადაგებანი.
და ერთიც და მეორეც ამ წუთისოფლის
ამაოებას უჩვივან. იქვე აუარებელი სხვა
წიგნია დახვავებული, ზოგი გადაკეცი-
ლი, ზოგი ქალაღით ჩანიშნული, ზოგიც
ხაზგასმული სტრუქტურებით. ილია წერს
და დროდადრო ხან ერთს და ხან მეორე
წყაროს ჩაჰხედავს.

წერილის დასაწყისშივე ის გვა-
ცნობს, თუ რა თემას ეხება მისი ნაშრო-
მი: მას სურს გაარკვიოს, თუ რა არის
ცოდვა და რა არის მადლი, მას უნდა
გააბას ის ლარი, რომლის იქით ცოდვები
მოიყრიან თავს და აქეთ კი — მადლი.
მაგრამ დახეთ, ვერ უპოვია სასწორი
ცოდვა-მადლის გასარჩევად და ბუნებ-
რივად იბადება მის წინაშე კითხვა: „რა
ჰქნას განმკითხველმა და მსაჯულმა,
როცა ამისთანა უთავბოლო დავთარი
აქვს ხელში ცოდვა-მადლის გასარჩევად?
გამკითხველსა და მსაჯულს კიდევ არა
ვენება-რა, რა ჰქნას თვითონ განსაკითხ-
ველმა და განსასაჯელმა? როგორ მო-
წყოს თავისი დღენი ცხოვრებისა, სად
დაიხიოს უკან და სად წაიწიოს წინ? რა
იხერხოს და რა უეკურიდოს? რას გაეჭ-
ცეს და რას მოეწიოს?“

ილია განაგრძობს:

„ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი
არ არის და რადგანაც ადამიანი ყველ-
გან ადამიანია, მამასაღამე, რაც ერთგან
და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი,
მეორესთვისაც ცოდვა და ბოროტი
უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და
ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და
დღემუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით,
რომ ეს ასე არ არის, რატომ? „რატო-
მაო?“ საქმეც იმაშია, რომ მაგ „რა-
ტომს“ ვერ აქამომდე ადამიანმა გულ-
დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა“.

ილიაც ამ კითხვის პასუხს ეძებს და ღრმად ჩაფიქრებული დასდებს კალამს საწერ მაგიდაზე, მერე წამოდგება, ოთახში გაივლ-გამოვივლის, აივანზედაც გადის და საგურამოს ბნელ ღამეს გაპხედავს. იმ კუნაპეტ ღამეში აღარაფერი ჩანს აივნიდან — აღარც მარჯვნივ აწვდილი ახატნის მთები, აღარც არაგვის ხეობა, აღარც მისაქციელის გორაკები და აღარც მუდამ ხელისგულივით გადაშლილი მუხრანის ველი. სძინავს მთელ ქვეყანას და ერთი მამლის ყვილიც არსაიდან ისმის. შემობრუნდება ილია, მაგიდიდან რომელიღაც წიგნს აიღებს, აღრევე ხაზგასმულ სტრიქონებს კიდევ ერთხელ ჩახედავს, მერე წიგნს დაკეცავს, დასდებს და განაგრძობს წერას, განაგრძობს თავის გულითად საუბარს მკითხველთან:

„ახლახან ერთი დიდად გამოჩენილი მწერლის ნაწერი წაეკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა მისთვის ბედს ყველაფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულა, გულო, რომ მას არა ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანი, სიმართლე, ერთი სიტყვით, ყოველმხრით და მრავალკეცად ბედნიერი ყოფილა გარედამ, თუ ეგრე ითქმის. ხოლო შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამდე მიჰყვანია, რომ გადაუწყვეტია — ყველაფერი ფუჭიაო, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო... დღე-ყოფელი მისი ერთი დაუძინებელი ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი, რომელიც უფრო მწვევა, ვიდრე ვაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გაბღმობა, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ, უკეთ ვთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყ-

ვით, — განაგრძობს ილია მკითხველთან საუბარს — რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება აღამიანს, მე არა მაგონია სხვა უარესმა ჯოჯოხეთმა-ლა ბუდე გაიკეთოს აღამიანის გულში. საცოდავია კაცი, დევნილი ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულები კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ამოცანას შეეკიდოს და გაემკლავოს. ეგ შეკიდება და გამკლავება კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ კაცმა თავისი სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გავხსნა მისი კვანძიო, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევაწყვეტო“.

და შემდეგ ილია განაგრძობს:

„სწორედ ეგრე გადაუბამს თავისი სიცოცხლის ძაფი ამ ამოცანაზე ხსენებულ მწერალსა. არ დარჩენია არცერთი ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი, რომ ზედმიწევნით არ შეესწავლოს, ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყეულის ამოცანის ნამდვილი და გულდასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვია ვერსად, ვერაფერში და ვერავისაგან. რაკი აგრეთა და სიცოცხლის აზრი ვერ მოიპოვებო, მაშ სიცოცხლე სიცოცხლედ აღარა ჰღირსო და ყოფნას არყოფნა სჯობიაო“.

მწერალს თითქოს შორიდან ესმის მკითხველის ახალი შეკითხვა და ისიც უპასუხებს:

„ამ ამოცანას რომ ნამდვილი უცილობელი გულდასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ იმ ჩვენ „რატომსაც“ წამალი დაედებოდა და შავი — შავი იქნებოდა და თეთრი — თეთრი ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში“.

ილიას ახსენდება, რომ ეს საკითხი პირველად იმ მწერლის გულში არ წამოკრილა, რომლის წიგნი ახლა მაგიდაზე აქვს გადაშლილი, და ამიტომ ახსენებს მკითხველს:

„ამ წყეული ამოცანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია“.

და ილიას აგონდებიან სხვებიც, ვინც ოდესღაც ამ ამოცანის გადაქრას შეეკი-

ღნენ. განა ჰამლეტის ყოფნა-არყოფნა ამავე ამოცანასთან კიდილი არა არის? ამას აღნიშნავს ილიაც თავის მეორე წერილში. განა ფაუსტსაც, ვიდრე ის თავის ნამდვილ გზას იპოვნოდა, ეგ არ აწუხებდა, როცა მაღალთაღიან ვიწრო გუთურ ოთახში კარჩაკეტილს პირთან საწამლავით საესე ფიალა მიჰქონდა? ზარების ხმამ გამოაფხიზლა ბრძენი დოქტორი, თორემ თავს იკლავდა — ამ წუთისოფლად ყოფნას არავითარი აზრი არა აქვსო.

მაგრამ რადგან ის შწერალი, რომელზედაც ილია ლაპარაკობს, თავის ნაწერში სოლომონს იხსენებს, იუდეველთა მეფეს, — ილიაც ისევ ეკლზიასტეს ფურცლას იწყებს, კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს მის სტრიქონებს და მის თვალწინ ცოცხალივით წარმოდგება ეს პირველი დამწყები შავნაღვლიანი პესიმიზმისა, თურმე პირველად მის გულში გაიკეთა ბუდე იმ წყეულის ამოცანის ქიამ. ორიათასშვიდასი წლის წინათ წარმოუთქვამს იუდეველთა მეფეს ეს სიტყვები: „ყოველივე ამათა ამაოებაა და აღრჩევა სულისაო“.

მაშ, სჯობს მდინარე სათავეშივე გაიხინჯოს, სჯობს პასუხი გაეცეს უსასოთა და იმედდაკარგულთა პირველ მასწავლებელს, მეფე სოლომონს, რომელმაც, ლუღვიგ ფოიერბახის სიტყვით რომ ეთქვათ, „აღმოსავლეთის ყველა შვილს გადააჭარბა ჭკუითა და სიბრძნით“.

ილია კვლავ ფურცლავს ეკლზიასტეს, კვლავ იხსენებს სოლომონის ცხოვრებას: არაფერი ჰკლებია ფილოსოფოს მეფეს ამ წუთისოფელში, ამას აღიარებს თვითონაც და ამასვე მოგვითხრობენ მისი ცხოვრების მემბატინაეებიც. ის ჯერ შუახნის კაციც არ იყო, როცა ამბავი მის სიბრძნესა და სილამაზეზე, მის სიმდიდრესა და ფუფუნებაზე მოფენილი იყო მთელს იმდროინდელ მსოფლიოში — ასურეთშიც და ფინიკიაშიც, ეგვიპტესა და კოლხიდაშიც. მისთვის მიუწვდომელი არ დარჩენილა არც სიბრძნის წყაროები, არც ხელოვნების უმშვენიერესი

ქმნილებანი, სამი ათასი ეგვიპტე დაწერა მან და ათასამდე სიმღერა რომელსაც „ქებათა ქება“ ეწოდა და მსოფლიო პოეზიის უმშვენიერეს შედეგებად იქნა აღიარებული; მას ჰქონდა ყველაზე უძვირფასესი ფირუზი, რომელსაც, იმდროის რწმენით, სიყვარულში ბედნიერება მოჰქონდა, მას შეიდასი ცოლი ჰყავდა და სამასი მხევალი, მათ შორის იყვნენ ხეთელთა შავთვალა ქალწულები და ასურეთის ლამაზები. ყველა ენაწყულიან კალმოსანს გაუჭირდებოდა მისი სიმდიდრის აღწერა, გადმოცემა იმ განცხრომისა, იმ საამქვეყნო ნეტარებისა, რომელსაც მეფე ეძლეოდა.

მაგრამ დახეთ, მის გულსაც ის ქია ღრღნის, მის სულსაც ის პესიმიზმი აბნელებს. და ილიას მოჰყავს მისი ფრაზები:

„მე მეფე ვიყავ ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველი ქმნილი და ნაქმარნი მზისა ქვეშე და აჰა ყოველივე ამაოებაა და აღრჩევა სულისა! განავადიდე საქმენი ჩემნი, ავიშენე სახლები, დაენერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი (იგულისხმება ბოსტნები და ბაღები), დაენერგე მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა, გამოვიყვანე ჩემთა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მყვანდნენ სახლისწულნი, შევიკრიბე ვერცხლი, ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევკრიბე მემღერენი მამანი და დედანი ჩემთა ყურთა დასატკობლად, შევიძინე სიბრძნე ყოველთა ჩემზე უწინარეს მყოფთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, — ყოველი, რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არარა დაეიკელიო — უკვე თავისი სიტყვებით გადმოგვცემს ილია სოლომონის ნათქვამს და შემდეგ ისევ სოლომონის სიტყვები მოჰყავს — ხოლო რა მოვიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ქნეს ჩემთა ხელთა, ვსთქვი: აჰა ესეცა ამაოებაა და აღრჩევა სულისა“.

ეკლესიატეს წიგნს, სოლომონს რომ მიაწერენ, ილია, ცხადია, პირველი არ შეგხვებია. ის დიდხანს ცნობილი იყო ქართულ მწერლობაში, მასზე ჯერ ისევ მეექვსე საუკუნეში წერს უცნობი ავტორი „ევესტათი მცხეთელის მარტივლობისა“, შემდეგ მას იხსენებს იოვანე საბანის-ძე „აბოს მარტივობაში“, გიორგი მერჩულე — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ეფრემ მცირე — თავის „იამბიკოში“, დავით აღმაშენებელი თავის ჰიმნებში „გალობანი სინანული-სა“, „ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთგზის იხსენებენ მას ჯუანშერი და ლაშა გიორგის მემატინაე. აქ კიდევ მრავალი ქართული ძეგლი შეიძლება დაგვესახელებინა, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, მთავარი ის არის, რომ იმ პესიმიზმს, იმ ამაოთ ამაოების ფილოსოფიას არავინ ისე ძლიერად არ შებრძოლებია, როგორც ილია ჭავჭავაძე. აქვე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ისიც, რომ ეს სკეპტიციზმი ილიამდეც და ილიას შემდეგაც წარწერილი იყო ყველა დეკადენტური მიმართულების დროშაზე; ბნელეთის მოციქულები, რეაქციონერები დღესაც ხშირად თავიანთი მისტიკური ფილოსოფიის დასაცავად ამ ძველ მოძღვრებას დაუბრუნდებიან ხოლმე. ამერიკულმა ჟურნალმა „სატერდეი რევიუ ოფ ლიტერაჩერ“ ამას წინათ გამოაქვეყნა სტატია „აპოკალიპსური მომავალი“, რომელშიაც თანამედროვე სინამდვილე აპოკალიპსიდან ამოღებულ სურათებად მიიჩნია; იქვე იმავე წერილში ავტორმა დიდების ჰიმნი უმღერა ეკლესიატეს, ამოთა ამოების ფილოსოფიას. ერთი სიტყვით, ეს ძველი იარაღი დროდადრო იდეალიზმს ისევ გამოაქვს ბრძოლის ველზე და მით უმეტეს მეცხრამეტე საუკუნეში, ილიას დროს აქტუალობას მოკლებული არ იყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. ილიაც შეებრძოლა მას სწორედ იმიტომ, რომ მკითხველისათვის ამ პესიმიზმის უსაფუძვლობა ეჩვენებინა და სწორი პერსპექტივა დაენახებინა.

აი განვაგრძობთ ილიას წერილის კითხვას და ჩვენ ვხედავთ, რომ ბუმბერაზმა

ქართველმა მწერალმა როგორ ააფეთქა ეს დახვესებული პესიმიზმის ფულტურფია, ეს მოთქმა ცხოვრების ამაოებაზე. ილიამ, რომ იტყვიან, პირდაპირ ქვიშით გახეხა პესიმიზმის მოციქულთა მოძღვრება, ქვა ქვაზე არ დატოვა მისგან. და ეს მან შეძლო არა მარტო იმიტომ, რომ უბაღლო პოლემისტი იყო, არამედ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ სწორი თვალსაზრისი იპოვნა, მონახა სწორი ასპექტი, საიდანაც გამოჩნდა, რომ ცხოვრება ამაოთ ამაოება კი არ იყო, არამედ ბრძოლის ასპარეზი იყო, სადაც უკეთესნი შვილნი კაცობრიობისა იღვწოდნენ აღამიანის ბედნიერებისათვის, აღამიანის სიხარულისათვის, იმ დიადი უფლებისათვის, რომ მზის თითო სხივი ყველას მოჰხვედროდა ამ დედამიწაზე.

ყველაფერი ამოუბააო, გაიძახოდა მეფე, რომლის უზარმაზარ ზღაპრულ სასახლეს იერუსალიმში აგებდა 80 ათასი კალატოზი და 70 ათასი შავი მუშა ეზიდებოდა მასალას. ილიამ აქ კამათი კი არ დაუწყო პესიმიზმის მოციქულებს, მან სწორი გზა გამონახა იმიტომ, რომ უარყო ექსპლოატატორის თვალსაზრისი, მჩაგვრელის თვალსაზრისი და გადაჭრით დადგა ექსპლოატირებულის, მშვიერის, დაჩაგრულის პოზიციაზე და აი, მაშინ ერთბაშად მზესავით გამოაშუქა იმ ცხოველყოფელმა ოპტიმიზმმა, რომლის შესაგრძნობლად უძღურია თვალი და ყური, აზრი და გონება ყველა იმათი, ვინც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების ამოებას ქადაგებდა. აი, როგორ უპასუხა ილიამ მოთქმას იუდეველთა მეფისას, რომელიც სულის აღრჩევაზე გოდებდა:

„მამლარი მშვიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატკობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყანაზე სხვა აღარა დაჩვენიარა სასურველი... აბა პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრე-

ბა, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვეთა და დაგვიტ ვშოულობთ და წილად გვხვდომია იმავე წვეთა და დაგვიტ ნაშოვნ-ნაამაგვევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყვიტ რაშიაე არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება, რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთნაირად გაისაზღვრება ერთიცა და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში“.

ამ წერილის დაწერიდან სამი წლის შემდეგ ილიამ დაამთავრა თავისი „ოთხარანთ ქერივი“. არის ამ მოთხრობაში ერთი სცენა, რომელიც თითქოს ამ წერილის აზრის განვრცობებას, მხატვრულ ნათელყოფას წარმოადგენს; იქაც ცოდვა-მადლის კრიტერიუმს ეძებს ილია და იქაც მართლაც ქვეშეარტ პასუხსა პოულობს, რადგანაც არა ამა ქვეყნის მძლავრთა, არა მჩაგვრელთა, არამედ ხალხის პოზიციასზე დგება. ამ მოთხრობაში არჩილი ახსენებს კესოს:

„— გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელ სოფელ-ჭყაპში სამი მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

— ბიჭო, სამი მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაივალახში! — „ი, ბატონოო, თქვენ რა იცით ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედან რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან გაწულ-გალაფული და ჩემს დამოძილ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები — რა ტყბილად დამეძინებო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დაპარჯული ღონისა, ჩვენთვის კი ნებეირობაა, ღონის გასიებაა, დამძინებაა, წყალმანკია, იმიტომ რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. საქმეა სიცოცხლე. ეს არის იმათი კარგი და ამით გვეჯობნიან“.

და შემდეგ არჩილი განაგრძობს: — „— ცხოვრება მაინც იმათშია: იქა

მდებს ძარღვებში მთარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლეს ძარღვიცა... მაშ რა სწნავს ამისთანა ცაცურ კაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარანთ ქერივია. მაგისთანა პური მარტო იმათ თონეშილა ცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს“.

უფრო ნათლად თქვა ილიამ ეს აზრი თავის წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს. მეცნიერება, აღამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უალრეს და უდიდეს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“.

ასე ბრწყინვალედ გადაჭრა ილიამ ის წყუთული საკითხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწუხებდა აღამიანის გონებას, ასე მოძებნა მან ის ღარი, ის საზღვარი, რომელიც გაჭყოფს ცოდვასა და მადლს, კეთილსა და ბოროტს. ილიამ კარგად იცოდა, რომ კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი ცარიელ ფრაზეზად დარჩებიან, თუ ისინი განხილულნი არ იქნენ კლასობრივი ბრძოლის ასპექტში, ნათელი ჰუმანიზმის ასპექტში. ილიამ კარგად იცოდა, რომ სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე, ადგილზე და დროზე და წინანდელი საერთო ფრაზეზები, რომლებითაც მსჯელობდნენ ცოდვასა და მადლზე ისე, რომ მოვლენის წარმომშობს გარემოებას და მიუხეზებს არ ითვალისწინებდნენ, ეს ზოგადი, განყენებული ფრაზეზები არადაამკმაყოფილებელნი არიან. ილიამ ისიც კარგად იცოდა, მთელი პესიმიზმი რა სოციალურ ფესვზე იყო აღმოცენებული.

ჩვენ საკითხს, ცოტა არ იყოს, გადაუხევეთ. „ივერიის“ 1885 წლის თებერვლის ნომრის „შინაურ მიმოხილვას“ ვარჩევდით და მერე „ოთარაანთ ქვრივსაც“ გადავწვდით, მოვიშველიეთ ილიას წერილი „მეცხრამეტე საუკუნეც“, რომელიც იმ „შინაური მიმოხილვიდან“ 15 წლის შემდეგ დაიწერა. დროა ისევ ჩვენს თემას, ისევ ილიას „შინაურ მიმოხილვას“ დავუბრუნდეთ, ილიას ისევ იმ უძილო ღამეს დავუბრუნდეთ.

ეკლესიასტეს წიგნთან კამათი რომ მოათავა, იმავე წერილში ილიამ განაგრძო:

„ყველა ყველაო, მეტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგვიპირდი და მაგას რაებსა ჰბოდავო. დმერთი-რჯუული, მეც არ ვიცი რაებსა ვბოდავ. ეს კი ვიცი, რომ მართლა ვბოდავ. როგორღაც გზაკველი ამერია და დაიბენი, თავი სინანულით დავიწყე და ღამის წაწყმედის გზაზე გავიდე და სამგლე გოქსავით გავისისწერო. იქნებ არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მართო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვიან, ყველას, ვისაც კუქსთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩაუტვირდები რასმეს, ერთი რაღაც სულთამბუთავით ამეკიდება თვალწინ და არა მშორდება“.

გარეთ ისევ ბნელი ღამე დგას.

და უეცრად ილიას ახსენდება ერთი ძველი ხალხური თქმულება: იმ თქმულების მიხედვით, მამლის პირველ ყვილამდე მთელი ცა და ქვეყანა ათასნაირი მანეთით და არაწმინდა სულით არის სავსე, ხოლო რაწამს მამალი იყივლებს, ყველა წყველი ქვესკნელს მიდისო. ილია მარჯვედ იყენებს ამ ხალხურ თქმულებას და სწორედ ამიტომ ამბობს იმ სულთამბუთავზე, რომელიც მას თავზე წამოსდგომია; მკითხველისათვის გასაგებია, ვინ არიან ის მავნენი და არაწმინდანი, ესენი მეფის რეჟიმის მსახურ-

ნი არიან, ბობოლა მოხელენი, მჩაგვრენი, ექსპლოატატორნი, რომელთაც სწორედ იმ ბნელ ღამეში შეუძლიათ აკეთონ თავიანთი ბნელი საქმე, ამიტომ უცდის პოეტი იმ მამლის ყვილს, უცდის დიდი ხანია და ამ ღამეში ასეთი მწარე სიტყვები აღმოხდება გულიდან:

„ახლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამეამად მამლის ყვილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამბუთავს, ვზივარ ღამეში დაღალული და ვნატრობ მამლის ყვილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო, მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყვილები!“

თითქოს აღარ არის იმედი, ბოლო სიტყვა თითქოს ვეღარ უპოვია ილიას. „ძალიან შევტოპე და თავს ბოლო ვეღარ გამოვაბიო“, ამბობს, „რით დაგისრულათ სიტყვა, არ ვიციო“, „ჩემგან ნაჩვენებ ბარდებში გზა თითონ გაიგნეთო“, და მოღლილი ხელი ისევ ეკლესიასტეს წიგნს გადასწვდება და თითქოს სასხვათაშორისოდ ამოწერს ილია თავის სტატიის ბოლოს სოლომონის სიტყვებს:

„ეამი (შობისად და ეამი სიკვდილისად, ეამი დანერგვად და ეამი აღმოფხვრად დანერგულისა, ეამი წყლულებად და ეამი კურნებად, ეამი დარღვევად და ეამი შენებად, ეამი ტირილად და ეამი სიცილად, ეამი გოდებად და ეამი განცხრომად, ეამი განყრად ქვათა და ეამი შეკრებად ქვათა, ეამი გარდახვევად და ეამი განშორებად გარდახვეულისაგან, ეამი დუმილისად და ეამი მეტყველებისად, ეამი სიყვარულისად და ეამი სიძულვილისად, ეამი ბრძოლისად და ეამი მშვიდობისად“.

ილია ამას უმატებს: „აი თურმე სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ წყველი ამოცანისა, აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა“.

მართლაც დამთავრდა ეს შესანიშნავი წერილი, მართლაც მოძებნილია პასუხი. ხომ ამბობდა „აჩრდილში“ პოეტი: „შრომა, აწ ქვეყნად ტყვედაპყრობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულენებულა,

ზოლო რღვეულა მისა ბორკილი და და-
სამსხვრევად გამზადებულა“. მაშ, უკვე
მოახლოვებია იმ ძველ სამყაროს ქაში
დარღვევად, წასულა ქაში მისი სიცოცხ-
ლისა და მოახლოვებულა ქაში მისი სიკ-
ვდილისა, მოახლოვებულა ქაში სიცილი-
სა, რომელიც უნდა ისმოდეს ქვეყნად,
გოდებისა და ტირილის ნაცვლად. აქ გა-
ბედულად არის ნაწინასწარმეტყველები
მოახლოება თავისუფლებისა, რევოლუ-
ციის ქარიშხლისა, რომელსაც, ილიას
აზრით, სწორედ მეოცე საუკუნეში უნდა
გადაეჭრა ყველაზე უდიადესი და უაღ-
რესი ამოცანა ადამიანის განთავისუფ-
ლებისა.

და ეს ზომ ილიას ნაწარმოებთა დე-
დააზრია, ამას შესტრფოდა ის მთელი

სიცოცხლის მანძილზე, ამისთვის იღწეო-
და და როგორც მამაცი ეგვიპტელისე
დაეცა ბრძოლის ველზე! — წინამურის
გზაზე, უღრან ტყეში დაიმართხელა
ბნელეთმა და აქ ესროლა თვითმპყრო-
ბელობამ მას ის ტყვია, რომელსაც მის
მოსაკლავად ასხამდა ნახევარი საუკუ-
ნის განმავლობაში.

გავიდნენ ათეული წლები. იმ მამალმა,
ილია რომ ელოდა საგურამოს ბნელ და-
მეში, დიდი ხანია იყივლა ქვეყნად; დად-
გა ქაში სიცოცხლისა და მშვიდობისა,
რომელსაც შორიდან შეჰხაროდა ილია
ჰავკავაძე — სული და გული ჩვენი ხალ-
ხისა, სინდისი და პატიოსნება საქართ-
ველოსი.



თელავში ბაზრობა იყო. ძველ გალავანში ხალხის ყრიაპული მოისმოდა. ბაზრის ორივე მხარეს ამქრები იდგნენ. გრძელი ჩოხები შეხსნილი ჰქონდათ, წელზე ვერცხლის ქამრები ჩამოვარდნოდათ. გასაყიდად გამოეტანათ უბრალოდ და სირმით ნაკერი ახალუხები, ფერადი შალის ჩოხები, ნაბდისა და კალმუხის ქუდები და მყიდველს დინჯად, დარბაისლურად სთავაზობდნენ. ხელოსანს ვერცხლით მოკვდილი ქარქაშიდან ქართული ხმალი ამოეღო. მზეზე განგებ აელვარებდა, მაგრამ ისე ძვირს აფასებდა, რომ მყიდველი არავინ ჰყავდა. ოქრომკვდელს თუშის ქალები შემოხვეოდნენ. გულზე ვერცხლის ძეწკვებს იშვანებდნენ და სიამოვნებისაგან ვარდისფერი სახეები უღიმოდათ.

ცხელოდა. ცივგომბორის ნიავი მთის კალთებზე გაშენებულ პატარა ქალაქს ვერ შველოდა. ურკებიდან გამოშვებული საქონელი რიყეში წყალს დაეძებდა, მაგრამ მაწანწარა სადღაც უკვალოდ გამქრალიყო და ნაცრისფერი სიბი ქვები უწყლოდ ეყარა. ცხელ მიწაზე ქაშანურის ქურჭელი და საზამთრო ეწყო. განთქმული იყალთოელი მეჭურჭელ მყიდველს ხმამალა ეუბნებოდა:

— ამ ბაზარზე ჩემი ქურჭლის ფასს ვერაფერს ნახავ. აბა ლავარდისა და ოქროსფერს შეხედე, როგორა ბზინავს, ამ ფერებით შეხამება მარტო ჩვენ ვიცით და, თავი არ მომიკვდეს, ათ შაურზე ქვევით ფეხს არ მოვუცვლი.

ამაღლების ეკლესიაში თითქოს ბაზრის ყრიაპულის დასაფარავად რამდენიმე ზარს ერთად რეკავდნენ, მაგრამ ხალხი ისე იყო ვაჭრობით გართული, რომ ზარის ხმას ყურს არ უგდებდა.

ცაცხვის ხის ქვეშ თავადიშვილები იდგნენ: თელავის თავადაზნაურობის წი-

ნამძლოლი რევან ვახვახიშვილი, მისი ძმა ტიტოკო, კოტე სადამონ-ერისთავი, ალექსანდრე სავარსამიძე; როგორც ეტყობოდათ, თბილისიდან მომავალ დილიქანს ელოდებოდნენ.

ბაზარში რამდენიმე მხედარმა დაღლილი ცხენები შემოაქენა. გლეხური მოკლე ჩოხები ეცვათ. უმხედრო შეკახმული ულაყი მოჰყავდათ.

— ეი, მენახშირე!... — დაუძახა ხანში შესულმა მხედარმა ხევის პირას მიმავალ გამურულ კაცს.

მენახშირე შედგა. ერთი შეძახილით ფერდებშეცვივნილი სახედრები გააჩერა.

— დილიქანი ხომ არ მოსულა? — შეეკითხა გლეხი.

— მაგისტოვის გამაჩერე, შე კაი კაცო, მეც არა ვთქვი, ნახშირი უნდა-მეთქი, თვალები ჯიბეში ხომ არ გისხედან?! რო მოსულიყო, სად წავიდოდა?! — გაჯავრდა მენახშირე.

— რა გაღრიალებთ, თქვე ბრიყვებო, თქვენ მეტს ვერავის ხედავთ?! — წინ წამოვიდა ფერმკრთალი სახის ახალგაზრდა სავარსამიძე და ცხენოსნებს მრისხანედ შეუტია.

გლეხებმა თავადიშვილები ახლა-ლა შენიშნეს. ქუდებზე ხელი იტაცეს, მიესალმნენ და თავქვე დაეშენენ, მაგრამ მენახშირეს მაინც არ შეარჩინეს. როცა მხარდაშხარ გაუსწორდნენ, ახალგაზრდა გლეხი ცხენიდან გადაიხზარა.

— შენც ბატონი გამომიჩნდი რა?! დიდი უეზდნი ნაჩალნიკი შენ გაგაჩერე. — გაიცინა გლეხმა და სხვებიც გააცინა.

მხედრები ჩამოქვეითდნენ. ორმა ახალგაზრდამ მომცრო ტანის ულაყს მტვრიანი შუბლი გაუწმინდა.

— გავაც კარგად გადაუწმინდეთ, ხომ იცით, ცხენები უყვარს, — გააფრთხილა ხანშიშესულმა ბიჭები.

ზემოთ, ბაზრისკენ მომავალ ქუჩაზე, ახლა ურემი გამოჩნდა. შიგ წითელ ხალიჩაზე მელანია ვახვახიშვილს მოეკეცა. გრძელი კავეები გათეთრებოდა, მაგრამ მის მედიდურ სახეს სილამაზე ჯერ კიდევ შერჩენოდა. წირვის დაწყების დრო გადასულიყო, მაგრამ მელანია თავის მეურმეს არ აჩქარებდა. იცოდა, უიმი-სოდ მღვდელი ვერც ერთი ლოცვის წარმოთქმას ვერ გაბედავდა. როგორც ამბობდნენ, ამ მოხუცი ქალის ეპისკოპოსსაც კი ეშინოდა. საეკლესიო მწერლობა ზეპირად იცოდა. მღვდელი წირვის დროს თუ უცოდინარობას გამოიჩენდა, მელანია მრისხანე ხმით აწყვეტინებდა.

— რას გვერჩით, მოძღვარო, რად გვატყუებთ. რად გვიმახინჯებთ ქრისტეს მცნებას?

ამიტომ მელანიას გამოჩენას მღვდელი ყოველთვის მღელვარებით ელოდებოდა.

ურემმა ეკლესიისაკენ აუხვია და იქვე გაჩერდა. რევანი და ტიტო დედისკენ გაეშურნენ მისაშველებლად. მელანიამ ვაეიშვილებს ამაყად გადმოხედა.

— არც ისეა დედათქვენი დაბერებულა, რომ ურმიდან ველარ გადმოვიდეს. — გაიღიმა ქალმა, რევანს მხრებზე ხელი დააყრდნო, ურმიდან გადმოვიდა და იქვე ჯეჯიმიით გადაჩარდახებულ ურემს შეხედა.

— დედათქვენი მობრძანებულა?

— დიახ, გეახლათ, — უპასუხა რევანმა.

მელანიას თავისი დის სავარსამიძის ჩამოსვლა იყალთოდან ესაიამოვნა, გაიღიმა, მხრებზე ლეჩაქი გაისწორა.

— სადილად არ გვლოდინოთ, ალბათ სტუმრებით მოხვალთ, — მოუბრუნდა კიდევ შვილებს და ეკლესიის კიბეებს აპყვა.

ტიტო და რევანი ხის ქვეშ გაჩერებულაბალგაზრდების ჯგუფს შეუერთდნენ. მაგრამ, ეტყობოდა, დილიციანის მოლოდინი მობეზრებოდათ. ჩუმად იდგნენ. ხილზე მომავალ კიაზო და რაფიელ ერისთავებს მისჩერებოდნენ. ერისთავები ქისტაურიდან მოდიოდნენ. კიაზო ყა-

რაბაბულ ცხენზე იჯდა. ბედაურს წითელი კისერი გვერდზე ამაყად მოედრებინა, თითქოს რაფიელის ბატარა ცხენის გვერდზე გავლას უკადრისობდა, წინ მიიწევდა.

მოსულეები თავადიშვილებს მიესალმნენ.

— ვის ელოდებით, ყმაწვილებო? — შეეკითხა კიაზო.

— ილიკო ქავეკავაძე მოდის. — უპასუხა ტიტო.

კიაზომ მსხვილი ქუთუთოები ოდნავ ასწია, რაფიელს გადახედა, ეტყობოდა, ვერ მიხვდა, ილიკო ვინ უნდა ყოფილიყო.

— თერგდალეული პოეტი როგორ არ იცი? თავზე კაკალი რომ დაგვამტვრია.

— აჰა, ვიცი, ვიცი, ილია ქავეკავაძე — ჩვენი ბარბარეს მტერ-მოყვარე. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ყმაწვილებო, ქავეკავაძის სიტყვა ძალიან მომწონს. რა გინდათ, ვაეკატურად იბრძვის ერთი — ათთან. მე არ ვიცი, თურმე კალმითაც საინტერესო ყოფილა ბრძოლა. — გაიციხა კიაზომ და ბრძოლის ხსენებაზე გაციებულ ნაცრისფერი თვალები გაუბრწყინდა.

— დიახ, მისმა წერილმა ჩვენი ლიტერატორები ერთმანეთს შეაახლა, დიდი განგაში ასტეხეს, მაგრამ, მე მგონია, ბურთი და მოედანი ქავეკავაძის სიტყვას დარჩება. თქვენ რას იტყვით, თავადო რაფიელ? — შეეკითხა რევანი.

— ნიჭიერი კაცის გამოჩენა გასახარია, მაგრამ მეტად კანდიერად ირჯება ის დალოცვილი. „სიტყვების მორახუნე“ — ი ჩვენ დარბაისელ მწერლებსა ჰკადრებს. ეს არ შეშვენიის ლიტერატორს.

— რას ამბობ, რაფიელ. — შეაწყვეტინა კიაზომ, — სად არის ლიტერატურა, ან ლიტერატორები სად არიან, ჩვენი ყურნალი თეკლა ბატონიშვილის ნამსახურმა ბიჭმა ჩაიგდო, თეატრის კამენდიანტმა. ეს ფურცელაძეო, ეს ჭოქვაძეო, საიდან გაჩნდნენ, ვერ გამოიგია. ქავეკავაძე ყოჩაღადა სწერს, მაგრამ ნაგასაც თავის გვარზე უარი უთქვამს და ზემბერიძედ მონათლულა. თუმც მისი დე-

დულ-მამულების პატრონი, ზუმბერიძე იქნება თუ ჰავეკავაძე, სულ ერთია, — ჩაილაპარაკა კიაზომ და უღვაშებზე ხელი გადაისვა.

რაფიელმა აღარ მოიკადა. როგორც ეტყობოდა, ილიას შეხვედრა არ უნდოდა. კიაზო დარჩა, მაგრამ ცხენიდან არ გადმოვიდა. წითელი ფერის ბედაური თვალებანთებული ტრიალებდა. გულზე ასხმულ რახტს განუწყვეტლივ აედარუნებდა. ერისთავმა დილიენის გაჩერებასთან სემინარიის მოწაფეებს შეასწრო თვალი.

— ეს დიაკვნები აქ რას დარბიან? — შეეკითხა რევასს.

— ჰავეკავაძეს ელოდებიან. ის უკვე ცნობილი პოეტია. ყველა იცნობს.

კიაზომ შორს გაიხედა. არ იცოდა, ვადმოსულიყო თუ არა ცხენიდან. ნაცრისფერ თვალებზე ფართო ქუთუთოები ჩამოეფარებინა. ეს პატარა ქალაქი და მოფუსფუსე ადამიანები კიანჰველებად ეჩვენებოდა. კიაზო იმ ერისთავების ჩამომავალი იყო, რომელთა დასაწყნარებლად ეკლესიაც კი ღალატებდა — ერისთავების დაწყნარების მიმართ ვილოცოთო. მაგრამ ვერ აწყნარებდა. ერეკლე მეფემ ქისტაურში გადმოასახლა. მეამბოხე სული ერთხელ იქაც გაიხსენეს. ფილადელფოსთან ერთად შეთქმულებაში ჩაერივნენ. მაგრამ სამხედრო გუბერნატორმა შეიწყნარა. მეფემ აპატია და იმათი ჩამომავალი კიაზო ერთგულ ჯარისკაცად გამოზარდა. კიაზოს ჯვრებით ჰქონდა მკერდი საესე. სულ ცოტა ხანში გენერლობას მოელოდა, ამიტომ იყო, რომ ჰოკმანობდა, გადარიბებულ თავადიშვილს შეხვედროდა თუ არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ცხენიდან გადმოვიდა. უნდოდა თავისი თვალით ენახა ის ახალგაზრდა თერგდალეული, რომელმაც ისე გაბედულად დარბაისლური ენის შეცვლა მოინდომა და კალმის ერთი მოსმით ქართული ანბანიდან ექვსი ასო გამოაძევა.

კარგა ხნის შემდეგ მტვრიანი დილიანი ხილზე რყევით გადმოვიდა.

კარი გაიღო, ილია გამოჩნდა. შავი

სერთუცი შეხსნილი ჰქონდა. თეთრი მიკეს პერანგი მოუჩანდა. ფართო მრგვალ სახეს თითქოს ფერი დაჰკარგოდა. შუაზე გაყოფილ თმაზე ხელი ოდნავ გადაისვა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, ვახვანიშვილები დაინახა.

— საიდან გაჩნდით, ყმაწვილებო, როგორ გაიგეთ ჩემი ჩამოსვლა? — უთხრა დინჯად, თან სახეზე სიწითლემ გადაუარა.

— ყველა დიდი კაცის ბედი ასეთია, რომ თავდაზნაურობის წინამძღოლი უნდა შეხვედეს, — გაიცინა რევაშმა და ილია გადაკოცნა.

— ისეთი ელვა-ქუხილით წამოხვედი რუსეთიდან, ისეთი შეჩვენების სტატია გამოაქვეყნე, რომ ყველა ფეხზე დააყენე. — ახლო მივიდა ტიტკო, მხარზე ხელი შემოხვია.

ილია დანარჩენებს მიესალმა, მერე ტიტკოს მიუბრუნდა.

— მეგობრებო, ჰეჰა-ქუხილის ასატეხად არ მითქვამს არაფერი. ჩვენი გამოშრალ-გამოფიტული მიწისთვის თუ წვიმა მწაღია, ღმერთმა უწყის, რომ ამაში დანაშაული არა არის რა.

— ვიცით, ვიცით. — უპასუხეს ერთხმად.

— ჩვენც ვიცით, — გაისმა ილიას ზურგს უკან რამდენიმე ხმა.

პოეტი შემობრუნდა, სემინარიელები შორიახლო გგუფურად იდგნენ, თვალ-მოუშორებლივ მისჩერებოდნენ. ილიამ სიამოვნებაც იგრძნო და უხერხულობაც, მის დიდრონ, მოელვარე თვალებს ერთი შეეტყო და მერეც. ცილინდრი ხელით მალა ასწია და მოწაფეებს მიესალმა.

— მეც ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.

რომ ერისა მომედ ვიყო
ქმუნეასა და სიხარულში.
ერის წყლული მანდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტარჯვით გული,
მის ბედით და უბედობით
დამედავოს მტკიცე გული.

გაისმა სემინარიელის აღტაცებული ხმა. პოეტი შედგა. ყური დაუგდო. მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეხსნა. გაიღიმა, მაგრამ ამ ღიმილს სევდა დააჩნდა. აქეთ-იქით მიიხედა. ილია ნელი ნაბიჯით მიდიოდა, იქით იცქირებოდა, სადაც ერისთავი იდგა, მაგრამ მისი მოვლვარე თვალები ამ გოლიათ კაცს ვერა ხედავდნენ. პატარა დუქნები კიდევ უფრო მინგრეთულ-მონგრეთული ეჩვენებოდა. ლამაზ აივნიან სახლებში თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყო. ხალხი ეკლესიას და ბაზარს შეჭვარებოდა. სიცოცხლის და ცხოვრების გასაგრძელებლად თითქოს ეს ორი თავშესაფარი-ღა შერჩენოდა. გრძლად გავლებული მეფეთა გაღავანი კი ქალაქს აღარა სჭირდებოდა. პოეტს ერისთავმა ერთხანს უცქირა და, როცა ილია პირისპირ შეხედა, კიაზომ ქულზე ხელი წაივლო და პატარა ტანის კაცს პირველად თვითონ მიესალმა. ჯერ გაუყვირა, რად გააკეთა ეს, და ილიას კიდევ შეხედა. სახე ნაზად შენთებოდა. თვალები მებრძოლ რაინდს მიუგავდა. გადაშლილ დიდ შუბლზე მღელვარება და ფიჭვი ეტყობოდა. კიაზოზე სწორედ ამან მოახდინა გასაოცარი შთაბეჭდილება. ილიას მიუახლოვდა.

— თქვენი ბრძოლა მე მომეწონა. როგორც ჯარისკაცს, ყოველგვარი ბრძოლა მიყვარს, მაგრამ მერწილად მხედრობას ვუნდები. დრო არა მაქვს, რომ ლიტერატურას თვალი ვადევნო. მაგრამ ერთი თქვენი ლექსი მეც მომხვდა გულზე, მგონი ზეპირად დავისწავლე:

ჩემო არავო, რარიგ მივფარხარ.
შენ კიდევზე ჩემი მამული
იყო ერთ დროსა დამშვენებულა.

ილია პაპიროსს წევდა. ლექსმა მისი თვალებიც აიყოლია.

— დიდებულია, — ჩაილაპარაკეს ახალგაზრდებმა.

— თავადო, წარსულის გახსენებამ ჩვენს აწმყოზე და მერმისზე არ ჩავაფიქრათ?

კიაზო პირდაპირ იცქირებოდა. ილიას

თავი დაუქნია და ცოტახნის შემდეგ ჩაილაპარაკა.

— მართლა დიდებულ მამული გვექონდა. არაგვის მხარე ჩვენ გვეკუთვნოდა.

ილიას პაპიროსი ხელში შერჩა, სახე უცებ წამოენთო.

— თქვენ გგონიათ, ეგ ლექსი გამოთქმულია იმ მამულზე, რომელიც თქვენ, ერისთავეებს გეკუთვნოდათ? არა, თავადო! — ილიამ პაპიროსი შორს გადააგდო, ქალაქის ბაღში მიიხედ-მოიხედა, მისი ლაღა, ლაზარე ხის სკამზე ჩამომჯდარიყო. ტყავის ხურჯინისათვის ხელი მაგრად ჩაეკიდა, შიგ ილიას ნაწერები და წიგნები ეწყო, მორჩილ, ფართოდ გახელილ თვალებს თავის გაზრდილს არ აცილებდა. ასეთი თვალებით დასდევდა ყველგან, რუსეთის გრძელ, გაუთავებელ გზაზე ბავშვური ხალისით მიჰყევებოდა. ის სცივებს, შიმშილს, გაჭირვებას თავის გაზრდილთან ერთად მორჩილებით ინაწილებდა. გაზრდილს სახეზე შეატყო, რომ აღუღებელი იყო, ფეხზე წამოდგა.

— ლაზარე, ყვარლიდან არაფერი გამოგვიგზავნეს, რასა ფიქრობენ, აქა გვეტოვებენ?

— რა ბრძანებაა, შენი ჭირიმე. თუ ვინ დაგვეტოვებს, დიდ ქალბატონს გონდაურები გამოუგზავნიან.

— რატომ აქამდე არ მითხარი. ერთი დამიძახე აქ.

ერისთავი წასასვლელად მოემზადა. ილიას ხელი გაუწოდა. სთხოვა, სწევოდა ქისტაურში ნიკო ქავექვაძესთან ერთად. ილიამ თვალი გააყოლა.

— ითაკილა, რომ რამდენიმე წუთი გონდაურებთან ყოფნა მოუხდებოდა — ხედავ, როგორ აიბარგა? — მიუბრუნდა ტიტციოს.

— რა კაცი ხარ, ვინ იცის, განგებ გააკეთე!

ორივემ მხიარულად გადაიხარხარა.

— ისე კი ქველმოქმედი თავადია, — განაგრძო ტიტციომ, მაგრამ ლაპარაკი რევანის მოსვლამ შეაწყვეტინა.

— შენი გონდაურები სამახარობლოდ ყვარულში გავისტუმრე. ისე ჯაბანები ხომ არ გგონივართ, რომ დაღლილი,

ნამგზავრი კაცი გზას გავუყენოთ. ჩვენი აღარაფერი მოგწონს, მაგრამ არა მგონია, სტუდენტს გული ისე ჰქონდეს ასუყებულო, რომ მოხარულ გოჭზე და ჩიხირთმაზე უარი თქვას.

ილიამ გაიცინა, ერთმანეთზე მიწყობილი თეთრი კბილები აუელვარდა.

— გოჭი კი არა, მოგეცეს ღვთის წყალობა, ჩვენი მთავე პრიანტელი რამდენჯერ მომნატრებია. მაგრამ მაინც მინდა, ყმაწვილებო, სახლში წასვლა. წასული კაცისთვის ოთხი წელიწადი, იცით, რა არის?

— მე შენ გეტყვი, სახლში ქვილე-ხვილით შემოგეგებებია: ვინა გყავს, ვინ დაგრჩა, ერთი მოხუცებული მაიდა და ჩონახემოხეული მოურავი.

ილიამ თვალები ფართოდ გააღო. ისეთი სევდა გაეცურდა შიგ, რომ რევანი შეწუხდა, ეს რა ვთქვი, რა წამომცდლო. კარგა ხანს სინჯე იყო.

ილიამ ვახვახიშვილებს თავი დაუქნია, უსიტყვოდ უთხრა, მართალი ხართ და დაეთანხმა, რომ სადილად მათთან წავიდოდა. სახეზე თითქოს ყინული შემოპკროდა. დაღმართზე ნელა მიდიოდნენ. ქვიტკირის კედლიდან ცივი წყარო შადრევანივით გადმოქუხდა. წყლის მოლივლივე შხეფებს ილია კარგა ხანს თვალს ვერ აცილებდა.

— ჩვენი ბატონის წყარო ხომ არ მოგენატრა? ხომ არ იგემებ? — შეეკითხა აქამდის გაჩუმებული სავარსამიძე.

— მეგობრებო, ჩემი ქვეყნის ყველა კენჭი მენატრებოდა, მაგრამ მეცოდებოდა, რომ აქ წყაროც კი ბატონისაა და ხმის ამომღები არავინა ჰყავს. თქვენ ისე დაივიწყეთ მამული და მამულიშვილობა, რომ მისი ხსენება საკუთარ გაღვანაშემოვლებულ მამულს გაგონებთ, ნატვრა მამულის აყვავებისა თქვენ მწვანე ბალახის ნატვრა გგონიათ.

ახალგაზრდებმა თავი დალუნეს. ერთხანს უხმოდ მიჰყვებოდნენ ზევით. გორაკზე ვახვახიშვილების რვაღალივინანი სახლი იდგა. კახეთს ზევიდან გადასცქეროდა. ფერდობზე თეთრჩონხიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ალექსანდრე

ვახვახიშვილი იყო, სტუმრების შესახებ ედრად მოდიოდა.

— ილია, ჩემმა ბიძაშვილმა, ცოლად შეირთო ის აფხაზის ქალი, შენ რომ ამბობდი, თორმეტი ოქროსფერი ნაწნავი აქვსო.

— ვიცი, ნინოს გათხოვების ამბავი შემატყობინეს, ჩინებული ქალი შეურთავს შენს ნათესავს.

— თვითონ კი, უნდა გითხრა სიმართლე, მეტისმეტი დარდიმანდი თავადი. გაყრის შემდეგ ეს დიდი სახლი წილად ერგო, მაგრამ რა გამოუვიდა, ბანქოში წააგო. ჩვენ დროებით ვართ აქ, სანამ სახლები აშენდებოდეს, — უთხრა ტიტკომ.

ილია შედგა. გაღვინით და ბურჯით შემოვლებულ სასახლეს დასცქეროდა.

— სპარსელების ცხელმა ტყვიამ ამ სახლთან ვერაფერი გააწყო. ამ ეკლესიას და ბურჯს კი ჩვენი განათლებული ქალაღდის ტუზი მოერია. — ისე ხმამაღლა მოურიდებლად ჩაილაპარაკა, რომ ილიასთან ახლო მოსულ ალექსანდრე ვახვახიშვილს ქერა სახე შეუწითლდა.

ვახვახიშვილმა წყენა არ დაიმჩნია, სტუმარს მოხდენილი ზრდილობით მიესალმა. ცალი ხელი ხმლის ტარს ჩასკიდა, მეორე ხელი სტუმარს ჩამოსართმევად გაუწოდა. ილიას მისი ბავშვური უღონო ხელი ხელში მოხვდა, იგრძნო, ეს ხელი მარტო ქალაღდის სიმძიმეს მოერეოდა, ქვეყნის სასიკეთოდ სხვას ვერაფერს გააკეთებდა და პირი მოკუმა, გაჩუმდა... ამრეზილმა შეხედა მასპინძელს. გაღვინის კარი შავჩონხიანმა შეახნის კაცმა ფართოდ გააღო. აწყობილი წვრილად დაგრებილი უღვაშები ყურებზე ჰქონდა დამაგრებული, თვალწარბი ღამურას ფრთებივით გადამშლოდა და ისეთ საინტერესო იერს აძლევდა, რომ ილიამ იმ ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა.

— რა გქვია შენ? — შეეკითხა.

— თვედორეს მიხმობენ, შენი ჭირიმე, ალექსანდრეს გამდელი ვარ. — უპასუხა სხაპასხუპით.

— ბიკოს, საიდანა ხარ? — გაუკვირდა ილიას.

— სხეიტორიდან გახლავარ. ალექსანდრე იქ გამოვზარდეთ. დედა წერეთლის ქალი ჰყავდა.

— მერე, არ მოგწონს აქაურობა?

— ყმას ვინა ჰკითხავს, შენ რა მოგწონსო. რაც ბატონს მოსწონს, ჩვენც ის უნდა მოგვეწონოს, ღმერთმა ასე დააწესა. იმერეთში ვემსახურებოდი. ამ ორი წლის წინ მოგვისვა ხელი მე და გამდელს და კახეთისაკენ წამოგვიყვანა.

— შენ ეს მითხარი, მოგწონს ვაზრდილი?

— კარგი მოგეცეს, კარგი კეთილი გული ამასა ჰქონდეს, მარა ცოტა ქალღალს ეტანება, როცა ეინი მოუვლის, იმ დროს პირდაპირ გადასაგდებია.

— მეც კი ვეტანები კარტს, მაგრამ გადასაგდები კი არა ვარ. ვერ გაგიზრდია კარგად. ხომ გაგიგია, „ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ცუდად ზრდილი“.

— კი, გამიგია, ბატონო. მარა... — გაჩუმდა თვედორე.

— აჯაკი წერეთელს იცნობ?

— უი, ჩვენი აჯაკი! როსტომ ბატონის შვილს თქვენ საიდან იცნობთ? ჩემი ალექსანდრეს მკვიდრი ბიძაშვილია.

— მე კი არა აჯაკი წერეთელს ყველა იცნობს. — უთხრა ილიამ.

ლაპარაკი ალექსანდრემ შეაწყვეტინა, ილიასთან ახლო მივიდა და, ცივად მიმართა:

— მასპინძლები გელოდებიან, თავადო.

კარებთან ნინო აფხაზი იდგა, შავი ბავერდივით თვალები დახრილი ჰქონდა. ოჭროსფერი ნაწინავეები მერღზე ეყარა. ილიამ ხელი ჩამოართვა, მაგრამ ბედნიერება ვერ მიულოცა. იცოდა, ეს ქორწინება ნინოს საბედნიეროდ არ იყო გამიზნული.

— ვწუხვარ თქვენი ძმის უდროოდ გარდაცვალებას, — უთხრა ნინომ და წყლიანი თვალები დინჯად ასწია, — თქვენი და ნინო თავს იკლავდა მწუხარებისაგან.

სიკვდილის ხსენებამ ილიას სახე გაუყინა, ქალს თანაგრძნობისათვის თავი დაუკრა.

ნინოს გვერდით თამრიკო აფხაზი იდგა. ნინოზე უმცროსი იყო, თმა შავი ჰქონდა, მშვენიერ სახეზე. ოჭროსფერი ალმური გადაჰკრავდა. თუმც თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ კახეთში თავისი ქეთითა და მომხიბვლელობით ხელით საჩვენებელი გამხდარიყო. ამიტომ დაადგა თვალი მელანია ვახვახიშვილმა. ტიტყოსთვის საცოლედ მოეწონა და კარდანახიდან განგებ ამოაყვანინა, რომ თავისი დის სიდონია სავარსამიძისათვის ეჩვენებინა.

ილია და თამრიკო ერთმანეთს შინაურულად მიესალმნენ.

— გასათხოვარი ქალი გამხდარხარ — უთხრა ილიამ და ტიტყოსკენ გაიხედა. ახალგაზრდა ვახვახიშვილს სახე და თვალები ულაპლაპებდა.

— ხომ ხედავ, არა ვცდები. ამ ჩასპანდ, გულად ყმაწვილს როგორ აწითლებ.

— კარგი, გეთყვია, ნუ დაიწყებ შენებურად, — თამრიკომ წკრიალა ხმით გადაიკისკისა და ილიასთან ახლო მივიდა.

— შენ შენი სთქვი, ჩაიკოცის ასული ლექსების მუზად რომ გაგიხდია, რა უყავი, რატომ არ წამოიყვანე.

— არ გამომყვია, მე აფხაზებივით დღეში არ მომდის. ის თქვენ იცით, ამოიღებთ ვისმეს თვალში და ბაღე მუად არის. ჩვენი ახოვანი ვაჟაკიც, მე მგონია, ამ ბაღეში გაეხვევია. — გაიცინა ილიამ და ტიტყოს მხარზე ხელი გადახვია.

— ილიკო, სიმაღლეზე თუ წავა საქმე, მოდი გავჩუმდეთ, თორემ მეც ვიტყვი რამეს, არ მეთქმის თუ?

— ბრძანე, რამდენიც გენებოს, — უთხრა ილიამ და ოთახში მტკიცე ვაჟაკატური ნაბიჯით გაიარა, განიერ მხრებში ჩარგული კისერი ისე ეჭირა, რომ მნახველს მისი ტანის სიდაბლე ავიწყდებოდა.

— მეგობრებო, — შემობრუნდა დინჯად, — როცა ბადის სროლაზე ვლაპარაკობდი, ნინო აფხაზს არ ვგულისხმობდი. ბაღეში ყველაზე უმოწყალოდ მავათ ახვევენ, — ჩაილაპარაკა და აივანზე გავიდა.

აივანზე ახალგაზრდებს თავი მოეყარა, ილიამ მოაჯირს ორივე ხელი დააბჯინა, ველის სიგრძე-სიგანეს გადახედა.

— ჩემი დამონებული, ჩემი კარგი ქვეყანა! საიდანაც არ უნდა გადახედო, როგორი ლამაზია და როგორი მიყუჩებული. — ამბობდა თავისთვის და კაკლისა და ლეღვის ხეებში ჩაფლულ სოფლებს თვალს აყოლებდა.

სოფლებს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი დაეკარგათ. მარტო ეკლესიის გუმბათები აზიდულოყვნენ მაღლა, და მარტო ისინი ეღვარებდნენ. უფრო შორს, მზის სხივებში ალანხის ველი ნებივრობდა. ლურჯი მთები ისე მღეროდნენ მიჰყვებოდნენ, თითქოს ველის გაუთავებელი გუშავობა მიზღვრებოდათ, თითქოს იმათაც ჩაეთვლიათ. ილიას ზურგს უკან მშვენიერ ქალ-ვაჟთა სიცილ-კისკისი მოისმოდა. მაგრამ ეს სიცილი ნამდვილ სიცილს არა ჰგავდა. ესენი ერთმანეთის გვარიშვილობას ბეჭდით და მოსაჩვენებელი ქონებით ყიდულობდნენ: ნინო აფხაზი მემკვიდრე იყო სვანეთის სამთავროსი. დედამისი დუდუხანა ერთადერთი შვილი იყო მთავარ დადეშქელიანისა. ბავშვი აკვანში დანიშნეს დადიანებმა, რომ ამ ქორწინებით ორი სამთავრო გაერთიანებულიყო და განუწყვეტელი შუღლი და მტრობა მოსპობილიყო. დუდუხანას დედამა დაეხოცა. სარძლო ლევან დადიანმა სასახლეში აღსაზრდელად წამოიყვანა და თან დიდძალი ქონება წამოიღო. მაგრამ ახალგაზრდა მთავარს დაეთს საცოლედ ეკატერინე ჭავჭავაძე მოეწონა. მამას მოსწერა — დუდუხანა სასწრაფოდ გაათხოვეო. მალე საქმროდ დავით აფხაზი გამოძებნეს და, ხალხის თვალის ასახვევად, გამოაცხადეს, რომ აფხაზი დიდგვარიანი, მთელი კახეთის მფლობელი იყო. ჯვარი კი დასწერეს, მაგრამ დუდუხანას თავის ქონებიდან არაფერი გამოატანეს, აფხაზმა ქალი თავის ღარიბ სახლში კარდანახში მიიყვანა. დუდუხანას დიდხანს არ უცოცხლია.

ნინო პატარა დარჩა. მეფემ საქართველოში ყოფნის დროს სვანეთის მემ-

კვიდრე ინახულა. მეფე-დედოფალს ისე მოეწონა შავთვალემა და კატრისფერ-ნაწინავიანი ბავშვი, რომ მისი წყევანა სასახლეში გადაწყვიტეს, მაგრამ აფხაზებმა არ გაატანეს. სხვის კარზე რატომ უნდა იზრდებოდესო, იუკადრისეს და ამ ციხე-ბურჯიან სახლს დაეხარბნენ, რომელიც სულ ცოტა ხანში ნინოს ქმარმა კარტში წააგო. მშვენიერი ქალი პატარა ბავშვით უსახლკაროდ დატოვა. იმიტომ იყო, რომ ილიამ რამდენიმე სიტყვა მკვახედ ესროლა.

— ახალ ამბებს თავადი ილია გვეტყვის, — გაისმა აივანზე ვილაყის ხმა. ილია შემობრუნდა, მის მაღალ შუბლს ფიქრი კიდევ შერჩენოდა.

— რა არის, ილია, რა ჩაგიხვევია გულში, რომ ასე ფიქრობ, რა გაწუხებს, გაშალე შუბლი, — უთხრა ტიტკომ.

— მე ის მაფიქრებს, რომ შენ არაფერზე არა ფიქრობ, — გაიღიმა ილიამ და ტიტკოს მხარზე დაადო ხელი.

აივანზე მელანია ვახვახიშვილი გამოვიდა, თავის და სიდონია სავარსამიძე გამოიყვანა. ილია მანდილოსნებს მიესალმა. მელანიამ შინამოსამსახურეს უბრძანა, ხელის დასაბანად ალთაფა და ტამტი შემოეტანა და ცოტა ხნის შემდეგ სტუმრები მაგიდასთან მიიწვია. საქმელები იმერული და კახური იყო. სუფრის ირგვლივ თევდორე ტრიბლებდა, შინამოსამსახურეებზე უხმოდა, წარბის აწევით ბრძანებლობდა. ილიას გვერდით სავარსამიძის ქვრივი იჯდა.

— თავადო, ჩვენ ოჯახში დიდი დავა გაიმართა. ჩემი შვილიშვილები ძალიან გიცავდნენ... თუმცა ეს იმას არ ამბობს, რომ მართალი ბრძანდებით. — გამოელაპარაკა სიდონია.

— თქვენი შვილიშვილები ვინ არიან?

— ქართლის თავადის გურამიშვილის ასულები. შენ კი არა, ჩვენც ძლივს ვიცნობთ, ინსტიტუტში იყვნენ აქამდე გამოკეტილები, ახლა კი მთავარმართებლის ბალებზე და ვეჩერებზე ძალიან ხშირად დედოფლობენ. გაიცნობ იქ, — უთხრა რევაზმა.

— მე იქ არავის არ გავიცნობ, იმიტომ, რომ მე მთავარმართებელს ბალ-ვეჩერებზე არასოდეს არ ვეახლები. — ჩაილაპარაკა ილიამ მკეახედ და სავარსამიძის ქვრივს მიუბრუნდა.

— თქვენი შვილიშვილები რას იტყობენ, ალბათ ქართული ენა ძლივს იციან. ეგ ინსტიტუტი ბალ-ვეჩერებისათვის „კუკლებსა“ ზრდის, რომ მთავარმართებელი ლამაზი კადრილითა და რუსულში გარეული ფრანგულით ასია-მოვინოს.

— არა, გეთაყვათ, ჩემი შვილიშვილები მაგნიირები არ არიან — ჩაილაპარაკა ქვრივმა და კისერი ამაყად მიამბრუნა.

მელანიამ დრო იპოვა და ილიას სერაუჯის სახელოზე ხელი შეეკრა.

— ვაუბატონო, ერთი აქეთ გამოიხედე, რა დაგიშავეს იმ ჩვენმა პატიოსანმა, დარბაისლურმა ასოებმა, რომ ისე უმოწყალოდ მუსარი გაავლე. მამ ლოცვები ველარ უნდა წავიკითხო?

ილიას გაეცინა, მის გაშლილ სახეს ამ სიცილმა უტეი მოჰფინა:

— მერე ჩვენი მწერლობა ლოცვა ხომ არ არის? ეგ ასოები აღარა სჭირდება ჩვენ ქართულ ენას, ამას დიდი ხანია ჩუმად ამბობენ, მე ხმამაღლა ვთქვი.

— შენ მეტი მაგას, გეთაყვა, ვინ იტყობდა, რომ ჩვენი დარბაისლურად მოუბარი და სამღეთო საკითხავი მწერლობა აღარ ვარგაო, შენ მეტი გლეხურ ენას ვინ მოგვაჩეჩებდა?

— რა ვქნა, კნენა მელანია, ენის კანონების დამდები მე კი არ გახლავარ, ხალხია. ეგ ასოები შეიძლება უწინ სპირო იყო, ესლა ჩვენ მწერლობას აღარა სჭირდება. ცხოვრება წინ მიდის, განახლება მოაქვს. ძველი კაცი განა ახალსა ჰგავს, რომ ძველი მწერლობა ახალსა ჰგავდეს, — ილია წუთით გაჩერდა, თვალი ახალგაზრდა თავადი-შვილებს გააყოლა, — ჩვენ ჩოხოსნებზე ეს არ ითქმის. ესენი თავისი აზროვნებით ისევ კოჭინაში დგანან. ხანდახან გონების გასახსნელად კაზლოვის ლექსებს იზებირებენ.

ილიას სახე და თვალები წამოიწყო. ახალგაზრდები შეტყუებდნენ. შეიძლება ილიას აზრები არც კიდევ მთვრალად, მაგრამ პოეტის სახეს ამათთვის სიტყვა დაება.

რევაზი ფეხზე წამოდგა. — აჰა, ილია, გაგვიძახე წინ, გამოგიტყდებით, შეიძლება შენი უღელი ვერ გაეწიოთ, ჩვენ კისერს საიმისო ღონე არ შესწევს. ცალმა ცალს უნდა უცალოსო, რაკი შენ გუთანი აიღე ხელში, როგორც გუთნისდედის წესია, გაიტანე ბოლომდე. ეს მოუხნავი მიწა მოხანი, რაც სპიროა, ჩათესე შიგ.

— მაგრამ იცოდეთ, ყმაწვილებო, თუ ჩემი გუთანი ბალახს მოსთხრის, რომელიც თესლს ამოსვლას უშლის, იმ ბალახებში ბევრი თქვენგანიც მიტყუება.

— შენი ხმალი, ჩვენი კისერი. — ფეხზე წამოდგა ტიტკო.

— ბიჭო, თუ თქვენი კისერი თქვენ არათერს გარგებთ, მე რაღას ვაქნე.

— თქვენ, თავადო, ჩახრუხადე და შავთელი არ დააყენეთ, უვარგისები არიანო, მგონი საფლავიდანაც ამოთხარეთ და ჩვენ რაღას გვიზამთ?! — გამოელაპარაკა სიდონია სავარსამიძე.

— დიახ, მე ყველაზე ვამბობ მოუფერებლად: სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც არ უნდა კარგი იყოს, სულ უქმია.

თამარიკომ ვერ მოითმინა. ზეზე წამოხტა. ალტაცებისაგან ლეჩაქი გვერდზე მოჰქცეოდა. ბავშვურ მშვენიერ სახეს ოქროსფერი გადაჰკროდა.

— მართალი ხარ, ილია, მართალი, ნინოს რომ სწერდი, ის გამახსენდა — „ციცკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო.

სავარსამიძის ქვრივიც ილიას თვალს ვერ აცილებდა, კარგა ხანს შუბლშეკრული მისჩერებოდა. მერე გაღიხარა და მელანიას ჩუმად უთხრა:

— ერთი შეხედე მაგის თვალებს, ფარნებივით არ უბრწყინავს? ეგ ოჯახ-

ში ღვთის რისხვა იქნება. ღმერთმა დაიფაროს, ქალს ვინ მისცემს მაგას.

მაგრამ მელანია არ დაეთანხმა. ილიას სახეს მოხუცი ქალი გაეტაცა და სახარება და ფსალმუნები, როგორც, დაევიწყებინა.

— ყველაფერი ცოდნა და სწავლა, ეგ არის გასაღები გონიერებისა. ნეტავი ბაბაღეს რა შავი ქვა ესმის, რომ ნასწაველ კაცს ედავება?! მუხლებზე ქაღალდს დაიფარებს და ტუჩებს საცოდავად ააცმაცუნებს, თუ ვინცობაა, კარი შეაღე, ზედ არ შემოგხედავს — „აცა, ნუ მიშლი, ლექსსა ვწერო“, — ჩაილაპარაკა თავისებურად რიხიანად და ილია გულთბილად ადღეგრძელა.

კარგა ხანს მაგიდასთან სიჩუმე იყო. ილია წასასვლელად მოემზადა. სავარსამიძის ცოლმა ხელი ჩამოსართმევად ძლივს გაუწოდა.

— თქვენს შვილიშვილებს ჩემი დაცვისათვის მადლობა მოახსენეთ. — უთხრა ღიმილით.

ქალმა ფავი მალა ასწია, სახლში მოწვევაზე სიტყვა არ დაძრა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ილიასთან ნაცნობობა აღარ უნდოდა.



მხედრები თავქვე დაეშენენ. რევანში და ტიტყომ თავის მოუსვენარ ბედურებს სადავე მაგრად აუკრიფეს, ილიას მომცრო ცხენს ფეხდაფეხ ძლივს ააყოლეს. ილია ჩუმად მიდიოდა. პირი ისე მოეკემა, ხმა რომ გაცეცისმეს, ეწყინებოდა. შაქრიანში ალაზნთან ახლო მივიდნენ. წყლის ჩუმი დღუღნი ძლივს მოისმოდა, მაგრამ მუხების შრიალი ემატებოდა და ალაზნის ქალა თავისებურად ხმაურობდა. ბავშვობის დროს ილია ამ ხმას კარგად იცნობდა. იცოდა, რას ელაზნანდარაგებოდა ნიავე ფოთლებს. ალაზანი ვის უჩიოდა. ბავშვის სმენა ამ მუსიკით იყო სასვე.

რუსეთიდან დაბრუნებულ პოეტს ალაზანი გამოცვლილი მოეჩვენა. მუ-

ხებს ფერი შეეცვალათ, ილიას გულიც ის აღარ იყო, ბავშვობისას რაღაც შინაგან მიუხაროდა. ვინ დახვდებოდა შორტო მამიდა. ისიც ტირილით შეეგებება. თემურის მოჰკითხავს — მარტო მოხვედი, სად დატოვე ჩემი გაზრდილი? ილია მაინც ცხენს აჩქარებდა და თვითეული ნაბიჯი ცხენისა უვარლის მთებთან აახლოებდა. აგონდებოდა ჰექა-ქუხილის დროს ღრუბლებში მიმალულ მთებს როგორი შიშით შეჰყურებდა, ახლა კი ეს ლურჯი მთები ისე დაბატარაებული მოეჩვენა, თითქოს ისინიც ილიას შევლასა სთხოვდნენ, მფარველობას მოელოდნენ. მშვენიერი ველიც ის აღარ იყო, რაც შორიდან, ჩანდა. საბატონო და საგლეხო ნაკვეთებს დაქუცმაცებინა, დაეჯიჯგნა ნაწილ-ნაწილად. თავადს მეტი რგებოდა, აზნაურს ცოტა, გლეხს არაფერი. იმიტომ იყო, რომ თავადს აზნაური სძულდა, აზნაურს — თავადი, გლეხს კი — ორივე.

„ველი დაუმუშავებელია, ხალხი კი — ღარიბი“, — ფიქრობდა ილია და ყველა წერილმანს, რასაც კი ადამიანისთვის სასიცოცხლო ძალა ჰქონდა, თვალს ადევნებდა. ცხენიც თითქოს პატრონის ფიქრებს იზიარებდა. გაქიმულ შარაზე მტვრიან ფეხებს ნელა ადგამდა. თუმც გვიან იყო, მაგრამ გლეხები სამკალიდან ბრუნდებოდნენ, ოფლისაგან შეყვითლებული პერანგები ბეჭებზე ჰქონდათ მიწებებულნი. ოფლიანი თავი ნარმით გაეკრათ.

— გამარჯობათ, თქვენი! — ესალმება ილია და ცხენს აჩქარებს.

— იცოცხლე, დღეგრძელობა არ მოგეშალოს! — უპასუხებს გლეხი და გზას განაგრძობს. სამუშაოს შემდეგ ცოლ-შვილში მისვლა ეჩქარება.

ილიას არ უყვარს ტკბილი სიტყვა, მაგრამ მზად არის, წინ გადაუდგეს და ხმამაღლა უთხრას:

— ნუ გეშინიანთ, სულ ცოტა კიდევ და კაცად გიცნობენ. წართმეულ უფლებას მოიპოვებთ.

მაგრამ გლეხები ბატონებს აღმაცურად უცქერიან, იმათი არც კარგი უნდათ და არც ავი, როგორც კი შეუძ-

ლიათ გაურბიან. იციან, კარგს, გასახარებს ბატონის პირიდან ვერ გაიგებენ.

— ყმაწვილებო, — ამოიღო ილიამ ხმა და ცხენი ოდნავ შეაჩერა, — ამით წყენის, ამათი გულნატკენობის მიზეზი, იცოდეთ, ჩვენი ვართ. რაც ეკუთვნით და ამათია, უნდა მიიღონ. მიწა უსასყიდლოდ უნდა მიეცეთ.

— დიდი ახირებული კაცი ხარ, ჯერ დაეცადეთ, მე და შენ რის მიმცემები ვართ. — უპასუხა რევანმა დინჯად.

— აქედანვე დაიწყება რეფორმისათვის მოსამზადებელი მუშაობა, ერთი მთლიანი აზრი უნდა გვქონდეს ყველას.

თავდაზნაურობის წინამძღოლმა ილიას თავი დაუქნია.

შილდაში, გადანგრეულ გალავანზე რევანის ცოლისდა ქეთო იდგა. სქელი და ხშირი ნაწნავები მუხლებზე სცემდა და თავისი გასაოცარი სილამაზით ჯადოქარს წააგავდა. იგი თითქოს აქ იმისთვის იდგა, რომ მომავალი მგზავრისთვის გზა აებნია.

მთელი შილდა თავის სახნავ-სათესებით ორ დას — გურგენიძეებს ეკუთვნოდა. რევანზე ზედსიძედ იყო მისული.

ქეთომ ილიას ხელი ჩამოართვა. ღიზი მოიკითხა, როდის ჩამოვალ და მშვენიერი თვალები, რომლებიც ვნებით საუსენი იყვნენ, ახალგაზრდა კაცს დიდხანს არ მოაცილა. მაგრამ ილია ქალის სილამაზეს წარბს არ უხრიდა. ქეთომ გაკვირვებით ახედ-დახედა, სთხოვა, ცოტა ხანს დაეცადა, რევანის ბავშვები და მისი და თიკო ენახა, მაგრამ სტუმარმა არ მოიცადა.

რევანმა და ტიტოკომ ილია სახლამდის მიაცილეს. წისქვილთან შედგნენ, ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ილია ცხენიდან გადმოვიდა, თავისი სახლისკენ გაიხედა, მაღალი კოშკი აწოწილი იდგა, სალამოს ბინდში მოძველებული კედლებით ფარშელეწილ რაინდს ჰგავდა. დიარზე ჩამომჯდარი მოხუცი მეწისქვილე ფეხზე წამოდგა, ილიას ცხენი ჩამოართვა. პატარა ბიჭი, რომელიც აქამდე გზას გაჰყურებდა, შემობრუნდა და ჩოხის ფრიალით გაქანდა შინ.

— არიქათ, მოვიდა, მოვიდა! — ის-მოდა ხმა.

ილია წისქვილთან იდგა.

— როგორა ხარ, ნიკოია, სიბერე ხომ არ მოგერია? როგორ არიან შენი მზეთუნახავები, კონკიჟდარუნები, ცხრათავიანი მღვებნი? — გამოელაპარაკა მზიარულად. — ხომ გახსოვს, როგორ ვისხედით ამ ვოზთან. ფქვილში ამოგანგულულები და გაყურებულულები შენს ზღაპრებს ველოდებოდით.

— ეჰ, შენი კირიბე, თქვენ წაბრძანდით და მზეთუნახავებიც შემომეფანტნენ. თქვენ გეტანებოდნენ, შენ და თემურის. ბებერი ნიკოიას ზღაპრები ვიღას რად უნდა. ვაი ამ მოსწრებას, ჩვენი ანგლოზი თემური სად გაგვიფრინდა, ბატონიშვილო, — მოხუცმა თავში ხელი წაიშინა.

ილიას თითქოს ცივი წყალი გადაესხა, წისქვილს სწრაფად გაერიდა. ბაღში ნელი ნაბიჯით მიდიოდა, შინამოსამსახურებს ესალმებოდა, იცოდა, მის შეხვედრას სამგლოვიარო იერი ჰქონდა. დაბალ კიბეზე ნელა ავიდა. ოთახში შავებში ჩაცმული მამიდა მაკრინე იდგა. ორივე ხელი ძირს ჩამოეშვა, ილიას შესვლას ელოდებოდა.

— დიდება შენდა, ღმერთო, რომ ეს მაინც მშვიდობით და უვნებლად დამიბრუნე. — ქალმა შეხედა სახატეს და ორივე ხელი გაშალა. გულთან მიიკრა ძმისწული.

— გიდარდნია, შვილო, ისეც გამხდარხარ. შენმა გარდამ, ჩემი პატარა ბიჭის უბედურებამ მეც წელში მომლუნა, ორი წლისა გამოვზარდე, დავავაქავე. იქ ვინ შეუშარალა კირის ოფლი, ვინ გადაუსვა შუბლზე ხელი, მითხარი, შვილო.

ილიას მხრებში ჩარგულ ღონიერ კისერს თითქოს ძალა დაჰკარგოდა, თავი ძირს ჩაეკიდა. სახეზე ისეთი ყვირთელი ფერი გადაჰკროდა, რომ მაკრინეს შეეშინდა.

— შენ იყავ კარგად და რა ვქნათ, შვილო, კირს თმენა უნდა, ბებერი მოგვითმენია, ბებერი გადაგვიტანია, ამ უბედურებასაც მოვერიოთ.

საჯალაბოში ჩოჩქოლი იყო. თემურის და ილიას გამდღელები სამძიმრის სათქმელად მოიწვედნენ, მაგრამ ლაზარე არ უშვებდა.

— აღარ გაათავებთ, თქვენი წრიბინის თავი სადა აქვს, ყმაწვილი დაღლილია და დატანჯული, არ შეგიშვებთ, არა!

საჯალაბოში მაკრინე შევიდა და ხელის ერთი აწვევით მოსამსახურეები გააჩერა. ბრძანება გასცა, სუფრა გაეწყუთ. თეთონ კი ძმისწულის ჩამოტანილ საჩუქრებს მიუბრუნდა. ილია მარტო დარჩა. მშობლიურ კერას მისჩერებოდა. სიამოვნება დიდი იყო, მაგრამ ამ სიამოვნებასთან ერთად გულზე მწუხარებაც ეკიდებოდა. ოთახში ყველაფერი უცვლელად დახვდა. მუხის მაგიდა, აბაეურიანი დიდი ლამპა, განიერი ტახტი მოლურჯო ხალით და მუთაქითა და ბალიშებით გაწყობილი. ძველებური ბუხარი და მის გასწვრივ ხუთი-ექვსი სკამი ჩარიგებული. ეს დაბალი, მზარატული სკამი დედისა იყო. ანთებულ ბუხართან ჩამოჯდებოდა, ხუთივე შვილს გარშემო შემოისხავდა და „ვეფხისტყაოსნის“ პუკარებს ზეპირად ასწავლიდა. ახლა იმათ მაგივრად სკამები ეწყო. თაროდან გაბუნებული, ხმარებისაგან ფერდაკარგული „ვეფხისტყაოსანი“ იყურებოდა. ილიამ წიგნი ჩამოიღო. თვითულ ფურცელს თითქოს დედის თითები ეტყობოდა. კედელზე დაკიდებული მამის იარაღი ხელით მოსინჯა. ამ იარაღმა მამამისი ბრძოლებში, ვინ იცის, რამდენჯერ ასახელა. ილია სკამზე ჩამოჯდა. დედ-მამის და ძმების გახსენებას გული სულ სხვანაირად შეეკუმშა. წიგნზე მკლავი დადო და სახე შიგ ჩამალა.

ოთახში ვიღაც შეიმშუშნა, ილია ვეფხვივით წამოიწია; კარებში ლაზარე იდგა, ხელზე ტანსაცმელი გადაეკიდა, ილიამ ითაკილა, რომ მწუხარებაზე ვიღაცამ მოუსწრო. ლალას მკვახედ მიუბრუნდა:

— რა გინდა აქ, რად შემოხვედი, საჭირო რომ ყოფილიყავ, დაგიძახებ. „მნათობა“, № 10.

დი. — ოთახში მძიმე ნაბიჯით გაიარა, თავზე ხელი გადაისვა და როცა ტანსაცმელი გამოიცვალა, ლაზარესთან ახლოს მოვიდა.

— ახირებული გული მაქვს, არ მიყვარს, როცა ჩემს ფიქრებსა და მწუხარებაში სხვა გაერევა.

— შენი გულის ამბავი ჩემზე უკეთესად ვინ იცის, მარტო მე ვიცი, სხვისთვის მკვახე გული როგორი სამართლიანი და მოწყალეც არი. — უთხრა გამდღელმა.

ილიამ კარი გამოაღო, გარეთ გავიდა. დამეს კაკლის ხეებისთვის შავი ნაბიდი წამოესხა, სინუშე იყო. სათივიდან ახლად მოთიბული ბალახის სუნი მოდიოდა. დერეფნის სვეტზე ფარანი ენთო და რუხკედლებთან კოშკს შუქს აყენებდა.

მაკრინემ ძმისწული კიბესთან გააჩერა.

— რა არი, შვილო, ისეთი დავიდარაბა და ჩხუბი ასტეხე ეურნალ „ციხკარში“. ვინ შენ და ვინ მაგნაირი სიტყვა-პასუხი, შენმა გარდამ, გამიკვირდა.

ილიამ გაიცინა, სახე სიცილმა დაუმშვენა.

— მამიდა, შენ ხომ იცი, რომ მე უმიზეზოდ ჩხუბი არ ვიცი, „საბრალო ქართველების მწერლებს“, როგორც ისინი თავისთავს ეძახიან, პატარა წიპურტი სჭირდებათ, რომ განზე გადგნენ, ახალ აზრებს მწერლობაში გზა დაუთმონ. მაგრამ ძველი ახალს უბრძოლველად არასოდეს არ უთმობს გზას. შენგან გამიგია, მამიდაჩემო, ასეთ დროს ტკბილი სიტყვა რას მიქვიანო.

მაკრინე თვალეში შესცქეროდა. ხანში შესულ ქალს სახე ულიმოდა, ხედავდა, ილიას თვალეები ფარნის შუქზე როგორ ელავდნენ.

— როგორა გვეხარ შენს მამა-პაპათ. მახსოვს, ასეთი სახეები ჰქონდათ ხუთივე ჩემს ძმას, როცა საომრად მიდიოდნენ, მხოლოდ ისინი თოფით იბრძოდნენ, შენ კი კალმისთვის მოგიკიდიე ხელი.

— მამიდაჩემო, კალამი იქნება თუ თოფი, ბრძოლა ბრძოლაა. საჭევყნო

საქმისთვის თოფით დაეცემი თუ კალმით, რა ბედენაა?!

— უი, ჩემ თვალებს, ეგ რა სთქვი, შეილო. ჩვენს ოჯახს უბედურება უნდა ეკმაროს. სამი ძმა ომში დამეღლება. ორი ბედისწერამ გადაარჩინა. შენ უნდა იცხოვრო, შეილო, შენი მამა-ბიძების სასახელოდ, შენ უკან დაწეული რუჯახი ფეხზე უნდა წამოაყენო. — მამილამ ძმისწულს შუბლზე ჩამოცვენილი თმა გაუსწორა. მიხვდა, ილია თავისი გვარის წინ წამოწევაზე არ ფიქრობდა. ახალგაზრდა კაცის თვალებში ქვეყნის ფიქრი და ზრუნვა ჩაწოლილიყო. ეს ფიქრი იყო, რომ ილიას თვალებში უძირო ზღვასავით მღვლეარებდა.

— როგორცა მთხოვე, სოლომონის ვალი სულ გავისტუმრე, აღარა გვმართებს არაფერი, მაგრამ ღირსს მიმართ დანაშაული კისერზე გვაწევს. — უთხრა ქალმა.

ქარგა ხანს სიჩუმე იყო.

— ჩემი დანაშაული ჩემი ყრობის ცოდვებია. ეგ იცი, რასა ჰგავს, მამილამ ჩემო, ვაჟკაცი დაიჭირო და გაროზგვა მოუღდომო, შენ ბავშვობას რაღაცა გიქნია, იმიტომ გცემო.

მაკრინეს სასტიკი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, ილიას აზრი არ მოსწონდა.

ზურგზე ხელგებადაწყობილი ილია ბაღში წელი ნაბიჯით მიდიოდა. ღობესთან წესვისა და აყვავებული ქინძის სუნი მოდიოდა. ბაღი მოუვლელი, დაუმუშავებელი იყო. ქიშკარში გავიდა, ნამგზავრი იყო, მაგრამ სახლში გაჩერება არ შეეძლო. მამილას შემდეგ ამ სოფელში ყველაზე უფრო სიამოვნებით ღირსს ნახავდა. და ილიაც იქით წავიდა.

მეზობელი თავადის მრგვალ აივანზე დიდი ქალი კაშკაშებდა, შუქი სვეტებად ჩამომდგარიყო. როგორცა ჩანდა, სტუმრები ჰყავდათ. ეზოში იასაულეები ტრიალებდნენ. ხელმარჯვნივ გლეხების სახლები ერთმანეთზე იყო მიწყობილი. სოფელი ძილს მისცემოდა. მიწაზე დაგებული ჭილობზე ოჯახის უფროსები გაწოლილიყვნენ და მათი მშვიდი ფშვინვა მოისმოდა. ხეზე შემომჯდარი მამალი გა-

წუწყვეტლად იშმუშენებოდა, რომ ძილი არ მიჰპარვოდა, პატრონის გზავნილება არ გამოჩინებოდა. შორიახლო ძაღლი წამოცუცქებულოყო, ისიც პატრონის ღარიბ ქოხს დარაჯობდა. ამ პატარა უბანს სოლომონის მედიდური სახლი ზევიდან ამაყად დაჰყურებდა.

ოთახის კარები რამდენჯერმე გაიღო და ისევ მოიხურა. აივნის სვეტთან თეთრებში ჩაცმული ქალი გაჩერდა. მერე მოსწყდა ადგილს, ეზოში თავისუფლად გამოიბრძინა და ჰიშკართან ილიას ფრთხილად დაუძახა.

ილია შებრუნდა. ქვითკირის გალავანს ღიზა გაჰკროდა, თითქოს ფეხზე დგომა უძნელდებოდა, თავი გალავანისათვის მიეხვინა. ერთმანეთს უხმოვად მისჩერებოდნენ. თითქოს არ იცოდნენ, ლაპარაკი საიდან და როგორ დაეწყეთ.

— ჩამოხვედი? — ჰკითხა ილიას.

შეკითხვა ისეთი იყო, რომ პასუხს არ მოითხოვდა.

ილიამ ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

ღიზას შავი თვალები ოდნავ ირიბად ესხდა. ხანდახან პატარა სახე გზაბნეულ შველს მიუგავდა. ილიასთვის ეს გამოხედვა ისე ნაცნობი იყო, რომ თვალებგაბრწყინებული მისჩერებოდა.

— რას დადიხარ, ვის ეძებ, ილია, ვინ დაგეკარგა? — ჰკითხა ღიზამ და ქვედა, ოდნავ მსხვილი ტუჩი აუთრთოლდა.

— შენ პოვნა მითხარი, ღიზა, თორემ დაკარგვით ყველა დაკარგული მყავს.

ღიზას ანთებული ირიბი თვალები ილიას ცქერას ვერ უძლებდნენ. თავი დახრილი ჰქონდა, თმაში ალმასის დიდი ქინძისთავი უბრწყინავდა. მიძევებით ნაკერ ვარდისფერ კაბაში თეთრი კისერი მოუჩანდა. ქალი მხრებზე მოდებულ შალის ფოჩებს აწვალებდა.

— ილია, ჟანდარმერია შენს ამბავს კითხულობს, ეტყობა, შეკითხვა რუსეთიდან მიუღიათ. ბარიატინსკი ჩვენთან სტუმრად იყო, შენი ამბავი იმანაც იცის, იქ, სტუდენტებში, არ ისვენებსო, მამაჩემს უთხრა.

— მამაშენმა, როგორც მდივანბევის

წესია, ალბათ, კვერი დაუკრა, დაე-
თანხმა?

— ილია, — დაიკვნესა ქალმა და თი-
თქოს ტკივილმა შეაწუხაო, ქვედა ტუჩი
მოიკვნითა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ
ვანაგრძო, — მე ისეთი მამა არა მყავს,
როგორც შენ ფიქრობ. თუ გაწყენინათ,
მარტო იმიტომ, რომ უნდა იმისი ლიზო
სხვადაც ისე ჰყვარებოდა, როგორც მას
ჟყვარს. შენი და ლიზა არის ამაში დამ-
ნაშავე. მამაჩემს პირდაპირ უთხრა, —
თქვენ გინდათ ჩემი ძმა ფულით იყიდო-
თო. — მამაჩემი, ის ზვიადი კაცი, რო-
გორც ბავშვი, ისე ტიროდა.

— მე რა შუაში ვარ, რათ დამემდურე
და ზურგი შემომამკციე!

— მამამ მიბრძანა, არ მეხსენებინა
თქვენი სახელი. მაგრამ შენმა ლექსმა
ისევ თავგზა ამიბნია, რად დასწერე?
რად? რად ახსენე ის დავიწყებული ვარ-
დი?

— იმიტომ, რომ არც ლიზა და არც
მისი ნაჩუქარი ვარდი არასოდეს არ მა-
ვიწყდება. — და ილიამ ქალის ხელი
ხელში აიღო.

— არა. არა, ილია, შენიც მეშინია და
ჩემი თავისაც, ჩვენ ეხლა მომდურებულ
ნათესაებდალ დავრჩით, თუმცა ნათესა-
ვები არასოდეს არა ვყოფილვართ.

— ლიზა, მე შენ თვალბეზღში ყოველ-
თვის არწივის თავისუფლებას ვხედავდი.
გახსოვს „ლ“-ზე შენი ყმა ვიყავი, შეილ-
დი ლაფანისა მექირა, ლომსა ვკლავდი
და შენთან მომქონდა. შენ როგორი სიამა-
ყით, როგორი მშვენიერი ამბარტავე-
ნობით შემომკცქეროდი.

— რატომ მაშინ არ მოკვდა ლიზა.

— ეგ არა სთქვა და ილია შენთვის
ყველაფერს გაავეთებს.

— შენ იცნობ მამაჩემს. მისი პატივ-
მოყვარე ხასიათი იცი, ეგ არასოდეს
აღარ იქნება.

ამ ლაპარაკის დროს პატარა გოგონამ
ლიზასთან მკვირცხლად მიიბრძინა და კა-
ბის კალთაზე ხელი შეავლო.

— ლიზა, პაპა გკითხულობს, გეტებს
ყველგან, — უთხრა ქალს და ილიას სა-
ხეს ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქე-
რა.

— შენ რა გვქვია, პატარო ქალო. —
ჰკითხა ილიამ.

— მაკო ვახლავართ, საფაროვნი, ბებია
ნინოს შვილიშვილი, — გოგონას პირში
ხელი ჩაედო და ილიას მისჩერებოდა.

— ლიზო, ლიზეტა. — ფრანგულ კი-
ლოზე ვილაც იძახდა, ქიშკარში ფრანგის
ქალმა გამოიხედა. ილიას თუმცა არ იც-
ნობდა, მაგრამ გაუღიმა, სალაში მისცა.

ლიზამ ილიას თავი დაუკრა, გალა-
ვანში მიიმალა.

მშვიდი ოქროსფერი დილა გათენდა.
მაკრინე ადრე ადგა, ულამაზო გულვარ-
დისამ შავი ჩიხტი და უარშიო სამგლო-
ვიარო ლეჩაჭი დაახურა. მამიდამ სარკე-
ში ჩაიხედა. სახეს ცოტა სისასტიკის ბე-
ჭედი აზის, ხანი შეუმჩნევლად მოეპარა.
იგი ამ ოჯახზე ზრუნვამ დააღალა. დალუ-
პული სამივე ძმის ვალები ამ ოჯახს და-
აწეა გასასტუმრებლად. გრიგოლ და მა-
კრინე ერთად წვალობდნენ, ვალს იხდი-
დნენ, ბავშვებს სკოლაში ასწავლიდნენ,
მაგრამ ამ ჯახიხის დროს ძმა ხელიდან
გამოეცალა. სიკვდილის წინ მაკრინეს
სთხოვა—შვილები უსწავლელად არ და-
მიგლოო. მაკრინე დაჰპირდა და სურვი-
ლი პირნათლად შეუსრულა. მაგრამ უფ-
როსი კოტე ლეკებთან შეტაკების დროს
დაიღუპა. მაკრინე წელში არ მოიღუნა,
იმდენი იომა, იმდენი იბრძოლა, ვიდრე
ილია და თემური პეტერბურგში არ გაი-
სტუმრა. სიკვდილმა იქაც შეუტია და
ილიას უმცროსი ძმა ხელიდან გამოეცა-
ლა. ახლა უნდა ილიას ჰკითხოს, როგორ
მოუვლის ოჯახს და მამულს, მაგრამ
ენანება ამ ფიქრებით ილიას შუბლის
დამძიმება. ფეხზე წამოდგა, მეორე
ოთახში კარი შეაღო.

საწოლი ცარიელი იყო. ილია ადრე
ამდგარიყო. საფერფლეში პაპიროსის
ნამწვევები ეყარა. ქალაღები გაშლილი
იყო.

— არა სძინებია, მთელი ღამე უწყე-
რია. რა აქვს ამდენი საწერი და საფიქ-
რებელი? — ჩაილაპარაკა მაკრინემ და
ერთ-ერთი თაბახი ხელში აიღო, თვალი
გადაავლო.

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყა-

ნას და როგორ შემიყრება იგი მე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე. ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა. იქნება მიმითვისოს კიდევ, რადგანაც ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის ღვრიტაა დადებული, მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყლოს და მიაშბოს თავის ამბავი და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა“. — კითხულობდა მაკრინე.

— როგორი დიდი ტვირთი უტვირთია საზიდად, ღმერთო, შენ უსმინე, რათა თავისი ენა გააგებინოს თავის ქვეყანას! — ჩაილაპარაკა ქალმა და აივანზე გავიდა.

ილია ბაღში შემოვიდა. მრგვალი ფართო სახე მზისაგან ჰქონდა გაშუქებული. მამიდამ დაინახა თუ არა ძმისშვილი, საუზმის სათადარიგოდ გატრიალდა.

ილიას ბაღში რამდენიმე დედაცაცი უცდიდა. ხის ტაბაკებით, ეტყობოდა, მოსაკითხი მოეტანათ. ილია შედგა, წარბი შეიკრა. სულ სხვა მხარეს გაუხვია და ოთახში ისე ავიდა.

— სალომე! — დაუძახა გამღელს.

— აჰა, ეს ფული მიეცი იმათ, უთხარი, ნურასოდეს ნუ მომიტანენ. მხოლოდ, იცოდე, უპატიოდ არაფერი ჰყადრო.

სალომემ მაცდურად გაიღიმა, თავშალი შუბლზე შეისწორა.

— მაგათმა ჩაქოლვამ, დიდი ქალბატონები ეგენი მყვანან, რომ უპატიოდ არაფერი ვყადრო! — ჩაილაპარაკა და კარებისაკენ გაეშურა.

ილია მოაჯირთან გაჩერდა, აივანთან გულვარდისამ გაიარა. თავი ღიზას ნაჩუქარი ჩითმერდინით აქვს გაკრული. ვილაყის ნახმარ, დიდ ფეხსაცმელებს ძლივს მიათრევს. ქვევით, ეზოში ყვითელი დაბინდული სამოვარი ღვას. სამოვრის წინ პატარა ბიჭს ჩაუჩოქია, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს ნახშირს. ხანდახან თავს ასწევს მაღლა. თვალეში ისეთი უძირო სევდა ჩასწოლია,

თითქოს ვილაყის საგანგებოდ ჩაუღერიაო. იქვე წინა ფეხებზე ჩაცლებული ძალი პირის ტაცუნითა ზუსტად იჭერს. ბიჭი გაეთამაშა ძალს. თვალებს ბავშვური სიბრწყინვალე დაუბრუნდა. მაგრამ კარებთან გაჩერებული მზარეული დაინახა და ისევ სამოვარს მიუბრუნდა.

— მოდი აქ, ბიჭო, — დაუძახა ილიამ, — შენ აქ რა ხელობა გაქვს.

— სამოვარი მამარია.

— შეტი არაფერი? უწინ რას აკეთებდი.

ბიჭს თვალეში ნაპერწყლები აუთამაშდა.

— ჩვენებიანთ ხბორებს დავდედი.

— გინდა ისევ იქ ირბინო?

— რატომაც არ მინდა.

— აბა, მამ გაიჭეცი, არავინ დაგინახავს.

ფეხშიშველა ბიჭმა თავქვე მოკურცხლა. ილია ოთახში შევიდა. საუზმის შემდეგ ბაღში გავიდა, კაკლის ხის ქვეშ წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო. ცა გამჟვირვალე ფირუზის ფერი იყო. იქვე, ორლობეში, ურმების კრიალი მოდიოდა. ჰავეკაეძისთან გლეხები კუთვნილ საბატონე ხორბალს ეხიდებოდნენ, ბელელში ცლიდნენ. ურმები ნელა, უხალისოდ მოჭრიალებდნენ. მოწინავე მეურმის სიმღერის ხმა მოისმოდა. ილიამ წამოიწია, სმენად გადაიქცა.

შავ კლდესა შავი ყორანი

ჩავა და ჩავქანება,

ჩავა და ლეშით გაძლება,

ამოსვლა დაეზარება.

ყურს უგდებდა, წყლიან შავ თვალეზე წაწამები უთამაშებდა. ჩვენებური გლეხაკის სიმღერა დაილოცა, ერთი გაუთავებელი კენესაა, მაგრამ მაინც სიმღერა ჰქვია. ამ სიმღერამ და ურმის კრიალმა ვერ მოასვენა, ფეხზე წამოდგა. ბაღში მაკრინე გამოვიდა, შავი მანტო წამოისხა, ეკლესიაში მიდიოდა, მღვდელს პარაკლისი უნდა გადაეხადა, ილიას დაბრუნებისათვის უნდა ეწირა.

— წამოდი, შვილო, შენი მომავალი ღმერთს შევავედროთ.

ძმისწულმა უარის ნიშნად თავი გაუქნია.

მაკრინე ჯერ შეცბუნდა, მერე სახე გაუშეშდა. შავ ქანდაკებასავით გაჩერდა.

— ნუ გაჯავრდები, მამიდაჩემო, შენი ღმერთი მეტისმეტად სასტიკია, ხევწინა და მუდარა უყვარს, ვისაც თაყვანი და ხევწინა უყვარს, ის დესპოტია, მოწყალება, მამიდაჩემო, არ შეუძლია.

— სუ-სუ, — პირზე ხელი მიიფარა მაკრინემ. — მე ვილოცებ შენთვის, რომ ღმერთმა ეგ ზრახვები მოგაშლევინოს.

ილიამ გულიანად გადაიხარხარა.

— არ შეგისრულებს, მამიდაჩემო.

— ჩემთან გლუხაკები უნდა მოვიდნენ. იმათ ველოდები. — უთხრა ილიამ.

— ლიზასთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი? — შეეკითხა მაკრინე.

— ვნახე, მე მეგონა, ვალის გადახდა ჩემი სიყრმის ცოდვებს იბატებდა.

— იმ მშვენიერი ქალის სიყვარული რა ცოდვა არის, რას ამბობ, შვილო?

— მაშინ არ იყო ცოდვა. მერე თქვენი შესცოდეთ ანგარიში, ფული გაურიეთ. სიღარიბე და სიმდიდრე, ვალი, გამორჩენა და სიყვარული ერთად ვერასოდეს ვერ მოთავსდება, მამიდაჩემო. — ილიამ ლაპარაკის კილო სწრაფად შეცვალა, — რით გადაიხადე ის ვალი, რომელიმე ნივთს გაჰყიდდი?

— ჩემს ბებერ სახეს ფირუზები და მარგალიტები როდი უხდება. ყველაფერი გაყვიდე, რომ შენი მუდარა — სოლომონის ვალი მომაშორეო — შემესრულებია.

— ჩემო საბრალო მამიდა! ჩემო კარგო და კეთილო, შენ ამაგს რით გადავიხდი! — ილიამ ხელი მაგრად მოხვია და თავისი ოჯახის მწუხარებით დათალხული მამიდა გულთან მიიკრა.

— ალალი და უსაყვედურო იყოს მაკრინეს ამაგი თავისი ძმის ოჯახისათვის. აბა უკმ ცხოვრებას რას ვაქნევდი. უქმად სიცოცხლის გატარება ზორცისთვისაც და სულსთვისაც მავნებელია. წყალი რომ დადგება, ხომ იცი, რომ ამშორდება.

— მამიდაჩემო, ხანდახან შეგონია, რომ მე შენი ნამდვილი ბებერი ვარ!

— მხოლოდ შენ ტვირთად ძალიან დიდი საქმე აგლია, მე მარტო თქვენზე ვფიქრობდი, შენს თვალეში კი მთელი ქვეყნის ზრუნვა მოჩანს.

ილიას დიდი, კვეიანი შუბლი ძირს დაეხარა.

მაგრამ უცებ ხმაურობამ გამოაფხიზლა. ჩამონგრეულ ვალავანთან ახლო მივიდა, — გიორგი ქავექავაძე დოინჯ-შემოწყობილი იდგა. მოშორებით ახალგაზრდა პერანგგადადღელი ბიჭებს თავები დაელუნათ.

— მოურავო, მოურავო, ერთი მითხარი, ამათში რომელი იყო, რომ იმახდა, ბატონყმობა გადაეკრდაო. — ყვიროდა თავადი.

მოურავი ბელღს მოშორდა. მოტანილ ზორბლის სინჯვას თავი დაანება. მაგრამ ეტყობოდა, შეეშინდა, ბიჭებთან ახლო ვერ მივიდა. შორიახლოს დადგა.

— აი ეგ იყო თავქოჩორა. თქვენი რისხვა მჭონდეს, თუ ტყუილს ვამბობდე. ეგ ატარტარებდა ენას, ბატონყმობა გადაეკრდაო.

— მერე რა არი, რომ ვთქვი, პირს ხომ არ გავიკერავ. სათქმელი ითქმება, აბა, სად წავა. — შეუტია ბიჭმა.

— მე შენ მოგცემ სათქმელს, — და გიორგი ქავექავაძე ადგილიდან დაიძრა.

ილია ვალავანს ვეფხვევით ეცა.

— გიორგი, ხელი არ გაანძრიო. ეგ მე ვთქვი, მე მოვიტანე ამბავი, რომ ბატონყმობა გადაეკრდა. იცოდე, არ გაბედო, ეგ ჩემი ცემა იქნება.

— მერე, რათა თქვი, ისედაც გადარეული ყმაგლეხებს რად მირევე, ვეყო?!

— ხომ გითხრა მაგან, სათქმელი უნდა ითქვასო. გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს!

გიორგიმ შუბლქვევიდან დასისხლიანებული თვალეები დაუმიზნა ილიას, რომ ვერაფერი დააკლო, თავისი ულუაშის ბოლოს მისწვდა და გრეხა დაუწყო.

ღვანე ასათიანი



წიგნაშუბრის გზა

ღრამატიული ქრონიკა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან

პირველი პერიოდი

ილიას ოთახი პეტერბურგში. მაგიდა არეულა. წიგნის კარადიდან ნაწილი წიგნებისა გადმოწყობილია, უწყისრიგოდ ალაგია ზოგი იატაკზე, ზოგი სკამზე. იატაკზე გადასხნილი ჩემოდანი დევს. ყველაფერი მოწმობს იმას, რომ ოთახის ბინადარი სამგზავროდ გამოადგებულა.

ილია წიგნებს ალაგებს ჩემოდანში.

ილია — (თავისთვის) ვეღარ გაუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვას... ესეც ასე... (აწყობს წიგნებს ჩემოდანში, თან კითხულობს უღის წარწერებს) ბელინსკი... ბაირონი... ბუშკინი... პანინ... ჩერნიშევსკი... ჩუბინაშვილის ქრესტომათია... ქართლის ცხოვრება...

(კარებზე ისმის კაკუნი)

მობრძანდით (აღებს კარებს, შემოდის დიასახლისი) მობრძანდით, დიასახლისო, მობრძანდით, სწორედ ესლა მინდოდა თქვენთან შეხველა.

დიასახლისი — მამ მობრძანდებით თქვენ სამშობლოში? ძალიან მწყენს, ძალიან მწყენს, გეუცხებით, ისე შეგეუცხებით, როგორც საკუთარ შვილს, გული მწყდება...

ილია — რა გაეწყობა, ელიზავეტა ივანოვნა, შეც ძალიან მწყდება გული, მაგრამ რას ვიზამ... იძულებული ვარ დაებრუნდე სამშობლოში...

დიასახლისი — ვინ გაიძულებთ დაბრუნებას, დარწმუნებ, იმასაბურეთ... ესლა გზა ფართოდა გაქვთ გადაშლილი, უნივერსიტეტი დაამთავრეთ, განათლებული ადამიანი ბრძანდებით...

ილია — საქმეც ის არის, ელიზავეტა ივანოვნა, რომ უნივერსიტეტი არ დამამთავრებია...

დიასახლისი — როგორ, თქვენ აკი ბრძანდებით, უკანასკნელ კურსზე ვართ, წრეულს უნდა დავათავართ კურსით.

ილია — არ დამამთავრებინებს... გამომავდეს უკანასკნელ კურსიდან.

დიასახლისი — რათა, შეილო, განა რა დამავე ასეთი შენისთანა პატიოსანმა ყმაწვილმა?

ილია — განა არ გავიგონიათ, სტუდენტებმა აჯანყება რომ მოაწყვეს?

დიასახლისი — მერე და თქვენი რა ბრალია, შეილო, ვინც აჯანყდა, ბრალიც იმანა ზღონ.

ილია — ჰოდა მავლევიჩის კიდეც...

დიასახლისი — მარტო თქვენ გამოგადგეს?

ილია — არა, 32 კაცი დაგვიბოხოვენ და გვიბრძანებს პეტერბურგიდან წასვლა, ხუთი კაცი ციმბირში გადასახლეს, ორასამდე კაცი აი, იმ ციხეში იყდა (უწვევებს ფანჯარაში პეტრე-პავლეს სიმაგრეზე), ესლა გამოიშვეს, და უხზარეს, ეს ერთბელ გვიპატრებიათ, ოღონდ ამიერიდან ურბობა აღარ გაბედოთ...

დიასახლისი — (თავს აქნებს) აი, აი, აი! თქვენ კი გამოგადგეს, პა?

ილია — (მოხერხდა ლაპარაკი) გამომაგდეს, გამომაგდეს... აი, ინებეთ ოთახის ქირა... ზემზე, როგორც მახსოვს, შეიდი მანეთი და ათი შური იყო დარჩენილი... ინებეთ...

დიასახლისი — გმადლობო... გმადლობო... აი, აი, აი ესლა რა გეშველებათ... პა? სახელმწიფო სამსახურში აღარ მივლიდებენ უდიპლომოდ, კარიერას ვეღარ გაიკეთებთ... აი, აი, აი!

ილია — (მოხერხდა, ისეც თავის ჩემოდანს მიუბრუნდება).

დიასახლისი — ზაღაგეთ, ზაღაგეთ, ხელს აღარ შეგიშლით... მე კიდევ ენახავთ, გაგაცილებთ... (მიდის) აი, აი, აი!

ილია — (ალაგებს ჩემოდანს, ზაფხორქდება) ოთხი წელიწადია, რაც რუსეთში ვიმყოფები... მერე რა ოთხი წელიწადია ეს ოთხი წელიწადი პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრე-

* იბეჭდება შემოკლებით.

ზის წყაროს სათავეა, ზეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გაღებული, მაგრამ ჯვრისათვის კი არა, მარტო იმათვის, ვინც რუსეთში წამოსულა, რათა ბევრ ავარ-
 ზიანს, ტყინას და გულს მოძრაობა მისცეს — ფეხი აადგმვიდნენ. ეს ის ოთხი წელიწადია,
 რომელიც ჰაბსბურგის ტყინას და გულში გამოპოკანდავს ხოლმე ცხოვრების კვირტას... ეს კვირტა
 კიდევ ის კვირტაა, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტკვანიც გამოვა და ძალღ-
 ყურძნადაც. ოო, ძვირფასო ოთხი წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გაღებული ზეწვის
 ხილი ფეხ ტყემ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რაივინად მოგიხმარა...

(გაიღვინა, ფეხჯარასთან მივა, დიდხანს გასცქერის ნევას, პეტერბურგის ხელს).

როგორ შევეცდები მე ზენ ტყეყანას, და როგორ შემეცრება იგი მე? ვინ იყის: იქნება მე
 ჩემმა ტყეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილ-
 სა? იქნება ზურგიც არ შემაქციოს, იქნება მიმართვის კიდევ, რადგანაც ზემოთ მიაღწე და
 მიაღწე ჩემის ტყეყნის ღვრიტა დაღებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ზემო ტყეყანამ მ-
 მიყოლოს და მაინათვის თავის გულისტყვილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი
 იწედი და უიმედობა, შე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გაყოფი მისი ენა, მისი სიტყვა?
 იქნება მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შეილი, გულღვავი მიმიკრას და ხარბად და-
 მიგდოს ყური, მაგრამ შე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ეუბნება და იმ სიტყვით
 გულისტყვილი მიორბინო, დაფრთხილი ადვადგინო. უნდავეთ ნეტავი მოგფინო, მტკვრის
 ცრემლი მოგწმინდო, მუშაკს შრომა გაეუადგილო: იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი
 ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი:
 და ის თითოეული ნაპირწყალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცში არა ელაგდეს,
 ერთ დიდ ცეცხლად შევარგო ჩემის ტყეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ
 კი? შევიძლებ ვასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? არა... მე მჯერა, რომ ჩემი ტყეყანა მი-
 მიღებს და მიმართვის კიდევ. იმატომ რომ იმიხი სისხლი და ზორცი ვარ: იმას სიტყვასაც
 და ენასაც გაგივებ, იმატომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უჯღებს და განა
 მარტო ყურითა, — გულთაცა, რომლისათვისაც ღვიძლიც ვასაგონია; ჩემს სიტყვას ვაე-
 გბინებ, იმატომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის...

(კარბში ისმის რახუნა. ილია გაუღებს, ღია კარებში გამოჩნდება აკაკი და ნიკო ნი-
 კოლაძე. ნიკოს ჩოხა აცვია).

ილია — მობრძანდით, მეგობრებო, ძალიან მიხარიათ თქვენი ნახვა, ეს არის თქვენსკენ დაბრუნდ-
 წამოსვლას, რომ უკანასკნელად გამოგმშვიდობებოდით...

აკაკი — ჩვენ უკვე გავიგეთ, რომ მიემგზავრები, ილია, და აი. ვასაყილებლად მოვედი.

ილია — (ახედ-დახედავს ნიკოს) ეს ჩოხა-ახალისი რა ამბავია, მეუფის კანოში სომ არ შე-
 სულხარ?

აკაკი — რატომ? ტანი არ უწყობს ხელს თუ მოყვანილობა?

ილია — (ნიკოს) არა, ხუმრობა გაშვებით. შენც ხომ გამოვაგდეს უნივერსიტეტიდან, განა არ
 მიღებარ საქარფელით?

ნიკო — არა, უკრ არ მივდივარ, თუმცა, როგორც იცე, ნაბრძანები ვუკეტე, 24 საათში დაეტოვო
 პეტერბურგი. სტუდენტის მუდღირი ვაიხილდე; გაუწყურავდე ცეცხორბო აკაკისთან ოთახში.

აკაკი — ტყუილები, ცოცხლები. ღაზათიანი სცოდნია ამ ჩვენს ნიკოს. ჩემს დასახლების უბნარ,
 პასპორტი დამეკარგაო, სანამ საქარფელიდან ახალს მივიღებდე, დროებით ჩემს მეგობარ-
 თან ეცხოვრებო, მე საწყალი უდრდამაო სტუდენტი ვარო. არ შევარწმუნებოთ, თავი შეაბრა-
 ლა, შეაცოდა, გული აუტყუა. არ მეგონა ასეთი სანტიმენტალური გრმობების გადმოშლა
 თუ შეეძლო ამ ჩვენს ნილილობას...

ილია — ეგ ნილიობა არ ვახლავს... ნილიობა უარყოფლობას ნიშნავს და ეგ სახელი
 ჩვენ, ტარფელ ახალგაზრდებს, არ შეგვეფერის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნაწილობრივ
 შეგვეფერის... მართალია ჩვენ უარყოფით დრომოქმედ წყობას, ჩვენს ჩამორჩენილობას,
 ჩვენს უწყობას და მამასაჟურ ადრებებს, მაგრამ მთავარი მიზეზი ჩვენს მომავალ მუშაობაში
 არა უარყოფაა, არამედ პოზიტორი მუშაობაა, შექმნა, კეთება, აღორძინება... ჩვენ საქმის
 ხალხი ვართ და არა ცარიელი უარყოფისა...

აკაკი — მაშ რა ვუწოდოთ ჩვენს თავს? ჩვენი მამები ადვკინიან, „თერგდალეულებს“ გვძი-
 ხიან...

ილია — იცით, რა ვითრბათ, მეგობრებო, ჩვენ ჩვენი საქმით უნდა ვეცადოთ, რომ სწორედ ეგ
 დასაცინი სიტყვა, საბატო სახელწოდებად ვაქციოთ... და მჯერა, ამას კიდევ ვიზამთ. სულ
 ცოტა ხანის არ გაივლის, რომ თერგდალეულობა ღირსების და სიკეთის სინონიმად იქნება
 მიჩნეული და არა ფეცსავატობისა და ცარიელი უარყოფლობისა...

ნიკო — სრული გემარტობაა, და თერგდალეულების მეტორი და ბელადი შენ იქნები, ჩემო
 ილია!

- აკაკი — (დაცინებით ახედ-დახედავს ნიკოს) არა, რომ თქვას კაცმა, ჩოხა ძალიან უსდებია, ერთი თათარზან დადუშქელიანი იყო და შორე ვხაა, ძალიან გვანან ერთმანეთს ტანადობაში.
- ილია — (იციინის) არაფერია, მღვდელს კილოფშიაც იცნობენო, ნათქვამია.
- ნიკო — დაიწყე ახლა შენებური დაცინვა. ილია, ჩვენ ერთი კარგი საჩუქარი მოგიტანეთ (იღებს ხუბიდან ერთნაღს). ერთნაღს „ციხკარი“ სწორედ დღეს მივიღეთ თბილისიდან.
- აკაკი — პო, მართლა, კარგი საგზალი მოგიტანეთ. არ მოგწყინდება გზაში. იყოთვე, ნახე, როგორ ვლანძღვევ შენცა და შენ მეგობრებსაც.
- ნიკო — შენს კრიტიკულ წერილზე, რომელიც ძველი თაობის მწერლების წინააღმდეგ იყო მიმართული, ერთბაშად სამ კაცს დაუწერია საპასუხო წერილი.
- ილია — (გამოართმევს) ბარაქაღა, ჩემი სტატიაზე ბარაქაღა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც კი ააღებინე! ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, თავის დღეში არ გაუვია, იმას სიმართლის თქმით გული აუმღვრიე! ბარაქაღა, ბარაქაღა! სამი საპასუხო სტატია ჩემს ერთ სტატიაზე. შერე ვინ არიან ჩემი მოწინააღმდეგენი: ბარაქაღა უორჯაძე, რევაზ ერისთავი, სარდონ მესხიშვილი — ნეტავ სახეში მაინც მარევა, ეს რა უკრის ხალხია, ვინ არიან, რა არიან... თუმცა მათი წერილების კილოზე კი ვატყობ, დიდს არაფერს უნდა წარმოადგენდნენ.
- აკაკი — აი, ჩახვალ და გაბედნიერდები მათი ხილვით... ვატყობ, ჩვენც მოგვისდება ბრძოლაში ჩარევა, რა გაეწყობა, თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, ამას რა უობია... იმ ხაწყალ ცისკრის რედაქტორს ივანე კურსელაძეს სულ თავზე წამოაჯდენ, ვატყობ, ეს ზობოლა თავადები...
- ილია — მამ რა ჰქნას იმ უბედურმა, როდესაც მათზეა დამოკიდებული, მათი უბიბო უღვია სული.
- ნიკო — დიდი ბოთე უნდა იყოს, ჩემო ძმარ, ეგ თქვენი კერძეულიც.
- აკაკი — ეგ არ ვიცი და ძალიან გულუბრყვილო და უსწავლელი კაცია კია. ამას წინათ წერილი გავუზავნე და ხუმრობით მივწერე: „ჩემო ივანე, პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები ვთხოვენ „ნაბრავლინი“ გამოუცვალე შენს ერთნაღს-თქო“. იცი, რა მოშურა საპასუხოდ? „უმაწვილებო, თქვენი თხოვნა შეგასრულო, ჩემს ერთნაღს ნაბრავლინი გამოვუცვალე: აქამდე თუ ხმელეთით ვიგზავნიდიო, ახლა ზღვით ვიგზავნით, ოდესის მიმართულებით“.
- ილია და ნიკო — (იციინან).
- ილია — ყმაწვილებო, ძალიან გული მწუდება, რომ გმორდებით.
- ნიკო — ჩვენც, ჩვენც, ძვირფასო ილიკო! ყველას ძალიან სწყინს, შენი მოშორება.
- აკაკი — არა, კაცმა რომ თქვას, ყველასო, გადაჭარბებული იქნება. ზენს მეგობრებს, ნამდვილ თერგდალეულებს სწუდებათ გული. ახლა შენ ზოგიერთ ქართველ სტუდენტს ჰკითხე, ლექციონა კითხვის შეტას რომ არაფერს აკეთებენ და მხოლოდ დაბლობის აღებაზე ოცნებობენ, დანარჩენი კი ფეხებზე აკიდიათ ყველაფერი — სამშობლო და საზოგადოებაც...
- ნიკო — ილიან რომ „რუსეთუბნები“ ამატებია, იმათ არა?
- აკაკი — სწორედ.
- ილია — (ღიმილით) რაო, მაინც რას ამბობენ?
- აკაკი — რას ამბობენ და... ეხ, ნუ გამამოურბინებ მათ სისულელეს.
- ნიკო — მაინც რა თქვეს?
- აკაკი — ის ფალაქანდიშვილი რომ არის, ოერიდიულ ფაკულტეტზე, აი ის კაცი, მართლა გამზნარი ცხენის ქალასავით რომ დაუტყვია კბილები, იცი, რა მოხბრა იმან? ვახსენე ჩემი სიტყვაო, შენც ისე არ წახვდ, როგორც ვაგვიკაძე წახვდაო. ისიც ამ პეტერბურგში მიღერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის შეტას არაფერს აკეთებდა და დაესხა თავსდაფიო, ახლა რომ გამოაბრძანეს უნივერსიტეტიდან, ისე ბრუნდება საქართველოში, რომ კურსი ვერ შეასრულაო. უდიდოსამი მიბრძანდებაო... აბა, ახლა რა სამსახური უნდა მიიღოს იმან, რა სახურიო საქმეს უნდა ეწიოს თავის ცხოვრებაშიო?..
- ილია და ნიკო — (იციინან).
- დიასახლისი — ილია გრიგორიევიჩ, ილია გრიგორიევიჩ! კუჩერი მოვიდა. ასე ამბობს, თუ არ უჩქარეთ ფოსტის „აოგოზკას“ ვეღარ მოუსწრებთო.
- ილია — (დასახლისს) გმადლობთ, ეხლავე მივდივარ! (ამხანაგებს) აბა, ყმაწვილებო, იმედია მომეხმარებით: ბარკის ჩატანაში. მეგობრებო, მამ ასე, მივდივარ და დროებით გეთხოვებით... ერთ-ორ წელიწადში ალბათ თქვენც დაბრუნდებით სამშობლოში... ჩქარა მოგწერთ და გაწყობებთ რა მდგომარეობაა საქართველოში... ვახსოვდეთ, ნუ დავიწყებთ ჩვენს წმინდა ეკლესიას: ეგმარეთო, თავი შევწერთ ჩვენს დაცემულს, უბედურს სამშობლოს, ვიმუშავოთ მისი აღორძინებისათვის, ვცხოვროთ მისი სიკეთისათვის, ვიფიქროთ და ვოცნებოთ მისი ბედნიერებისა და ბრწყინვალე მომავლისათვის. ჩვენ ცოტანი ვართ, საქმე კი ბევრი გვაქვს. მაგრამ ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ჩვენს გულში კი გიზავიზებს მგზნებარე ცეცხლი სამშობ-

ლოს სიყვარულსა. აკაკი, გახსოვდეს შენ ჩვენი სამშობლოს იმედი ხარ, ჩვენი ხალხის ხმა-ტკბილი ბუღბუღი... წერე... ბევრი წერე... (თვალში ცრემლი მოერგვა, მოუხვევა აკაკის, შემდეგ ნიკოს). ძმებო, კიდევ ერთი სიტყვა უკანასკნელად. (შუაში ჩამდგარს, თრჩუნს ხელს დაუტერს, აკანსენისკენ წამოვია) შეფიცეთ, ძმებო, ერთმანეთს, რომ ჩვენს სამტრედიესს მთელს ჩვენს ცხოვრებას შევსწირავთ სამშობლოს, ჰვენს ხალხს.

(სამივენი ხელს გადახვევენ ერთმანეთს, თავისუფალ ხელებს მალე ასწევენ, ერთხმად ამბობენ).

— ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთ!..

მეორე აქტი

სამოციანი წლების თბილისი. ქუჩა ღია დარბაზშია — შეწერილობანი, ხელოსნები, ქუჩაში მიმოდინ მთელი კრიზისისგან გამოწყობილი ქალები, ჩოხანი და მუნდირიანი ახალგაზრდები, მოხუციები, მოქალაქეები, კინტო. აქრული აივნები გადმოყიდულან ქუჩაზე. წინა აივნის ოთახის კარი ღიაა — იქიდან დროგამოშვებით ისმის ფორტეპიანოს ხმა და მხიარული სიცილი ახალგაზრდა ქალებისა.

ქუჩაში მოდის ილია, მას თან მოხვევა მისი მეგობარი მიხეილ ყაფიანი.

ილია — ამ რამდენიმე წელიწადში თითქმის არ გამოცვლილა ქალაქი. მე კი ვფიქრობდი, სულ სხვანაირი დამხვდებოდა.

მიხეილი — შენ უკვე მოსწარი ქალაქის მოვლა?

ილია — თბილისის მოვლას რა დიდი ამბავი უნდა. ერთ საათში ყველაფერი ენახე, ჩვენს გინა-ზიამიც ვიყავი, მოვიხატე ჩემი ყოფილი მასწავლებლები. კლასებშიც შევიხვედი. სააქტო დარბაზშიც კი შევედი. გახსოვს, ამ სამი წლის წინათ იმ დარბაზში მეფე ღივი რომ დედგეთი ცოცხალ სურათებად?

მიხეილი — ო, როგორ არ მახსოვს... კიდევ ვინ ნახე, ილიკო, ვის ელაპარაკე...

ილია — ვატყობ, ძალიან გაცხარებული ყოფილან ჩვენი ლიტერატორები... ჯერ მათ არ შეხვედ-რივარ, მაგრამ ვგრძნობ, მაგარი მუსიკის მექნება მათთან.

მიხეილი — მართალი ხარ, „ციცკრის“ თანამშრომლები — ეს ყოველი უკრის კენიანი და შიგნითადაა თავადები ძალიან გაგულსებულნი არიან. სამაგიეროდ, მომხრებიც ბევრი გვეყავს, მარტო, მარტო ხარ, ილია.

ილია — ვინ არიან ეს ჩემი მომხრები?

მიხეილი — ახალგაზრდობა! ახალგაზრდობა აღტაცებულია შენი და აკაკის ლექსებით. შენმა წერილებმა ციცკრის უკანასკნელ ნომერში უდიდესი გამოხმაურება მოუტოვა ახალგაზრდობის გულში.

ილია — მერე რა გამოვიდა. ორი წერილი დაგებედე და გათავდა. მეტს აღარ მიბეჭდავს „ციცკარი“.

მიხეილი — როგორ თუ არ გიბეჭდავს? განა რედაქტორი კერძოვით უარს გუბნება? აკი ხელ შენს ქუჩაში იყო, შენს ნიჭს აღტაცებით ადიდებდა...

ილია — რა ქნას საწყალები — ბოზოლა თავადების ხელში შემდეგარა, მათზე დამოკიდებულნი. აი, ეხლავე რომ მივდივარ, ციცკრის რედაქციაში. იქნებ როგორმე დავარწმუნო მშინარა რედაქტორი, რომ განაგრძოს ჩემი წერილების ბეჭედა.

მიხეილი — აბა შენ იცი, ილია. იქნებ შენი ვაიტანო, იცოდე შენმა წერილებმა და ლექსებმა ახალი სხივი შეიტანეს ჩვენს ცხოვრებაში, ახალი მოძრაობა დაბადეს ჩვენს საზოგადოებაში. იცოდე! ჩვენ, ახალგაზრდობა, შენს გარშემო ვიქნებით დარაზმულნი. შენი ფარი და ბარბი ვიქნებით ჰერასა და ლხინში.

ილია — გმადლობ, მეგობარო. შენი იმედი მექნება. ვიცი, მარტონი არ ვიქნებით. აი, სადაც არის რუსეთიდან ჩამოვლენ ჩემი მეგობრები აკაკი წერეთელი, ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კარილე ლორთქიფანიძე... თუ „ციცკარი“ თავის კარს დაგვიკეტავს, ჩვენ დავაარსებთ საკუთარ ორგანოს, ვიბრძოლებთ ახალი აზრისა და ახალი სიტყვისათვის, ვიბრძოლებთ ახალი ხატარღელისათვის. აი, მაშინ კი მართლა დაგვიჭირდება თქვენი თანადგომა და დახმარება.

მიხეილი — გქონდეთ იმედი. ეხლა კი მშვიდობით, სამსახურში მიმუქარება... (გადის).

ილია — (გაიფიქროს სტენაზე. გასცქერის მოაწმინდას ჩაფიქრებული) ჩემზედ ამბობენ: „ის სი-ვეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულელია!“ ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულელიში რაოდენიც სიყვარულია!

(აივანზე გამოდიან ოღლა და კატო გურამიშვილი. შეამჩნვევენ ჩაფიქრებულ ილიას).



... მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არა მხოლოდ საველალო და სამწყხარო, რომ მენს მიწაზედ, ამდენს ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გვეუზიარო".

(ოღლა ვარდს ესერის. ყვაილი ეცემა ილიას ფერხითი. ის გამოერკვევა, აიღებს ყვაილს, აიხედებს აივნისაკენ).

ოღია — გამარჯვებათ, ქალბატონებო. ვის უნდა ვუმაღლოდე ამ საუცხოო სარეჟარს?

ოღლა — (ათრებს დაზე) რასაკვირველია, ჩემს დას.

კატო — არა, ბატონო ილია, ეს სარეჟარი თლიკოსია. ვანა ვერ ამხნევე ყვაილი: მტების გრძნობისგან მიხნედილია... (გადიკისკისებს).

ოღლა — ნუ სულულობ, კატო. ბატონო ილია, ჩვენ ორივენი ვემდურით...

ოღია — რა ჩავიდინე ისეთი, მიზრძანეთ, ვეცდები, გამოვასწორო დანაშაული.

ოღლა — აღარ ვახსოვართ, ჩვენთან არ მოდობართ...

კატო — ჩვენი დიდუდაც ნაწყენია თქვენზე...

ოღია — მას რაღა დაფუშავე ნეტა?

კატო — გაუგია, რომ ცოლს თხოულობთ, მას ყოველთვის სწყინს, როდესაც ჩვენი ნაინობი ყმაწყვილები ცოლებს თხოულობენ...

ოღლა — (საყვედურით) კატო!

ოღია — (იღინის) თქვენს დიდუდას ფაღბი ცნობები მისვლია, ქალბატონო კატო! ვთხოვთ ვადსცეთ, რომ ეს ამბავი სიშართლეს არ შეეფერება.

კატო — თლიკო, შენ გადაეცი, შენგან უფრო ვახარებმა.

ოღლა — ყურს ნუ უდგებთ, ბატონო ილია, ამ ვიკს. ვეაბატოეთ, რომ ვაკამერეთ. როდისღა ვაგილოთაეთ თქვენს ახალ ლექსებს, დიდი ხანაა „ციკარაში“ თქვენი არაფერი დაბეჭდილა.

ოღია — მგონი „ციკარაში“ უკვე ველარაფერს წაიკითხაეთ ჩემსას... ამიჯანყდუნენ, გამორისხდუნენ ცისკრელები.

კატო — მამ ხელნაწერად გადმოგვეციოთ... ჩვენთან რომ მოხვალთ, ვაკავონებთ, როგორ დავამდურებთ ლექსებს ფორტიპიანოზე.

ოღია — ო, მაგათაფის კი უსათუოდ მოვალ. თუ ნებას მომცემთ და მომასმენინებთ, მადლობას გატყვით. ეხლა კი მშვიდობით, ქალბატონებო, მამატოეთ, მიმერქარება.

კატო — არ დაგავწყდეთ, ჩქარა თლიკოს დღეობაა.

ოღლა — ვთხოვთ, მოზრძანდეთ.

ოღია — დიდად გმადლობთ. (ემშვიდობება, გადის).

მისამე ბანილონი

„საქართველოს მოამბე“ რედაქცია, ილია მაგიდას უზის და წერს. დიდხანს წერს. დამთავრებს. ადგება და კრიხანს ჩაფიქრებულ ზოლთანა სცემს ოთახში.

ოღია — „ციკარაში“ დავკვიტა თაფის კარები... მით უკეთეს... ასე რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის, იქნებ დიდხანს კიდევ დავგრძენილიყავით კერძეულიძის სამადლოდ... ესღა კი საკუთარი ჟურნალი გვაქვს, რასაც ვეინდა, იმას დავებეჭდათ, რასაც ვეინდა, იმას ვიტყვით; ძველის მორტიფილენი, ზოთლა თვალები და კნეინები ველარ ჩავგერიან ბურთის პირში... ეს კია, ცენზურის სისახტის თუ გადაფურხით... მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ქარავშებით ვწყურით, თვალი აკუნებოთ მტერს... ვგებ დიდხანს ვინოკინოთ... სახელწოდებაც ურიგო არ არის ჩვენი ჟურნალისა. ბევრი კი ვიტებე თაფი მის მოსაძებნად... „საქართველოს მოამბე“! შესანიშნავია. ჩვენმა ჟურნალმა უნდა უამოსს მკითხველს საქართველოს ცხოვრების ამბავი, ჭარბეული ხალხის ჭირ-ვარამი, მისი ოცნება და ფიქრები ბედნიერ მომავალზე, მისი დაფარული ზრახვები... არა, ძალიან კი შევაბარეთ მოფერობას ეს სახელწოდება: „საქართველოს მოამბე“! მერე რა დროს? როცა სიტყვა საქართველოს ხსენებაც კი აკრძალულია... მსოფლიოს რუკაზე საქართველოს სახელი წამლილია, არსებობს მხოლოდ ორი გუბერნიატულიძისა და ქუთაისისა. მერე ვისი ზრალია ყველაფერი ეს? მართო საქართველოს მტრებისა? არა. ჩვენი ზრალიცაა. ჩვენმა გადაგვარებულმა თავადანაურობამ პირველმა შეაქცია ზურგი თაფისა სამშობლოს ინტერესებს. ჩინებზე და ჯერებზე, პირად კარიერაზე გასცვალა საქართველოცა და მისი ხალხიც... ჩვენ მათთან მოგვიხდება ბრძოლა, თუ ვაფურხელით, თუ ღონე გვეყოფა... უნდა ვიფოფინოთ, უნდა შევამტებინოთ ჩვენს თაფს! ჩვენმა ჟურნალმა და უნდა მოვლოდ უნდა გამოვდინოს ჩვენი ცხოვრების ქუჭუი, მისი ავკარგი, თამამად უნდა გამო-

სიტყვას ვეღარაფერი ის, რაც ცუდია და საზიზღარი ქართული კაცის გულში... მოყვარეს პირში უძრავ და მტერს ზურგს უჯანაო, — ბრძნულად უთქვამს ჩვენს ხალხს...

(გვერდის ოთახიდან შემოდის მიხეილ ყიფიანი, რედაქციის თანამშრომელი, ხელში ქაღალდები უკავია).

მიხეილი — შე კი მეგონა, ისევ სწორდი, არ მინდოდა ხელის შეშლა, თორემ აქნამდევ შე-
მოვიდოდი...

ილია — ო, ჩემო მიხეილ! მე უკვე მოგზაბი მეთურის წერას, ესეა ერთად დავსხდეთ და წა-
ვიკითხოთ, კარგად ჩაუვკვირდეთ, ავწონ-დავწონოთ ყოველი სიტყვა... ხუმრობა საქმე ხომ
არაა — ჩვენი ტერნალი ამ მეთურით ხალხს მიმართავს, მთელ ქვეყანას... ამ წერილით
ჩვენი გულის ზრახვებს და საწაფელს ვამცნობთ საზოგადოებას...

მიხეილი — კეთილი, წაგიკითხოთ.

ილია — არა, ჯერ ვნახოთ, რა მასალები მიღის პირველ ნომერში. ლექსები რა შევარჩიოთ?

მიხეილი — ტერნალი გაიხსნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ელექციით: „შემოდამება მთა-
წმინდაზე“.

ილია — შესანიშნავი ლექსია, შესანიშნავი... უცნაურია ჩვენი საზოგადოება. ასეთი დიდი და, შე
ვიტყუოდ, გენიოსი პოეტი ცხოვრობდა ჩვენ შორის, და ორი-სამი ახლოებული მეგობრის გარ-
და არც კი გაუგია ვინმეს, თუ ის ლექსებსა სწერდა, თუ ის ზენაარი ნიჭით ცხებული მგო-
სანი იყო... თხუამეტ წელსაც არ გაუფლია მისი გარდაცვალების შემდეგ და დამე ყველას
დააიფყვდა მისი სახელი... არაფერია... ამერიიდან მას სახელს მთელი საქართველო გაიცი-
ნობს. სწორედ მისი ლექსით ვახსენათ ჩვენი ტერნალი, დეე ქართველ კაცს საიმედო წი-
ნასწარმეტყველებად ჩაესმას ყურში პოეტის სიტყვები:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდას ის განანათლებს“.

კიდევ რა ლექსები მიღის, ჩემო მიხეილ?

მიხეილი — გრიგოლ თრბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის.

ილია — საუცხოოა, ძალიან კარგია, კიდევ?

მიხეილი — კიდევ თქვენი ლექსი „მეშა“.

ილია — კეთილი. აცი, ჩემო მიხეილ, ერთი ლექსიც მინდა გავეშვა, თუ არ გამიჯერდები.

მიხეილი — რას ამბობ, ილიკო, მაგას რა ეშვობინება! რომელი ლექსი?

ილია — კარგა ხანია გულში ვატარებ ამ ლექსს და მხოლოდ წუხელის დავწერე, მთელი ეს
დილა ვაშალაშინებ, არ ვიცი-კი, გამოვიდა რამე თუ არა. შევიძლია მომისმინო? შენ ისევ
პირველი მსაჯული.

მიხეილი — გასმენ, გისმენ, ილიკო.

ილია — მამ ყური დაუგდო:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვირდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ — მას ერთგულად კვლავ ვემსახურეთ“...

მიხეილი — შესანიშნავი ლექსია, ილიკო, შესანიშნავი, მე თუ მკითხავ, სწორედ ამ ლექსით
უნდა გაიხსნას ჩვენი ტერნალი.

ილია — არა, ჩემო მიხეილ, ტერნალი ზარათაშვილის ლექსით უნდა გაიხსნათ; ამას, სხვას რომ
თავი დავანებოთ, თავისი უწინაგანი აზრითა ატებს: ზარათაშვილით იხსნება ახალი ეპოქა ჩვე-
ნი ლიტერატურისა, მეტრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა. ის,
ჩვენი, თერგდალელი თაობის, სულიერი მამამთავარია, ჩვენ ყველანი მის გეზს ვაგრძე-
ლებთ ახალ დროსა და ახალ პირობებში... შენ ის მოთხარი, თარგმანები რა გვაქვს?

მიხეილი — ლერმონტოვის — „ჩვენი დროის გმირი“, ვიქტორ პიუგოს „საბრალონი“, გერმან-
ნულიდან თარგმნილი „კონრად კილერი“ ზალცმანისა, ბიჩერ სტოუს „ზიძია თომას ქობი“...

ილია — ჯერ ლერმონტოვი და პიუგო დავებუდეთ, დანარჩენი შემდეგ ნომრებში... კრიტიკისა და
პუბლიცისტის განყოფილებაში რა მასალები გვაქვს?

მიხეილი — დობროლუბოვის წერილი...

ილია — პო, სათაური მაგ წერილს ისეთი აქვს, რომ მგონი ცნებურა არ გამოუდგება: „მამა გა-
ვჯი და მისი ქაღალდები“ — იფიქრებენ, ვიღაც ხუცუკის მოღვას ბეჭდავენო და ყურადღებას
არ მიაქცივენ... ძალიან საკითრი წერილია... ძმობას, ერთობას, თავისუფლებას ქადაგებს
ავტორი, მეფეებსა და მჩავერებებს კიცხავს... ამ შესანიშნავმა თხულებამ, და სხვა ნაწი-

რებმაც, ცხადია, ახალგაზრდა დობროლუბოვს დიდი სახელი მოუხვეჭა, ლენინისა და დიდ-
როს სიმბოლურად აიყვანა... ვეცადოთ, როგორმე შევატყუოთ ცენზორის ეს წიერილი... კვლე-
რა გვაქვს? ბელინსკის სტატია რაღა იქნა?

მ ი ხ ე ი ლ ი — აქ არის, ინებეთ.

ი ლ ი ა — კეთილი და პატიოსანი.

მ ი ხ ე ი ლ ი — შენი „კლახის ნაამბობი“, პირველი ხუთი თავი.

ი ლ ი ა — ეს რა, უკვე ავიწვივია? კარგია. ამა უნდა ნახე ჩვენი თავადაზნაურობის აღწერა...
მაგრამ არაფერია, გაფუჭებულია როგორმე...

მ ი ხ ე ი ლ ი — ჯერ იმ შენს „კაცია-აღამიანზე“-ც მთელი ამბავია ატეხილი, ესლა ესეც დაემა-
ტება...

(გარედან ისმის ხმაურობა, ყვირილი: „გვირგენთ ის თქვენი გაგბატონი, თქვენი რუდაქ-
ტორი!“ შემდეგ კარები ფართოდ იღვება, დარაჯი ძლივს აკაეებს ყურთმაცხებთან კაპაში გა-
მოწყობილ, ხანში შესულ თავადიშვილს).

თ ა ვ ა დ ი — უფალი ჭეჭეჭეჭე რომელი ბრძანდებით?

ი ლ ი ა — მე ვახლავარ. რა გნებაეთ?

თ ა ვ ა დ ი — მაქვს პატრეი ვაგეცნოთ, თავადი თავდოზ გურამიშვილი...

ი ლ ი ა — თავდოზ გურამიშვილი? (მიხეილს) ოლღას მამაა, მე მას პირველად ვხედავ, ნეტავ რამ
გააცხარა ასე, ან რატომ მოვიდა ჩვენთან? (თადეოზს) რით შეგვიძლია გემსახუროთ,
დაბრძანდი.

თ ა დ ე ო ზ ი — დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, ძალიან თავაზიანი ყმაწვილი
ბრძანებულხართ, კარგი თქვენ გეშველიათ...

ი ლ ი ა — რა მოხდა, თავადო, რამ გაგაცხარათ ასე?

თ ა დ ე ო ზ ი — როგორ, ვეყო, კიდევ შეკითხვები? განა გასაცხარებელი არა გვაქვს თუ?

ი ლ ი ა — მაინც ვინ გაწვეწინათ, ბრძანეთ.

თ ა დ ე ო ზ ი — ვინა და თქვენ, პატრიანიშვილი! არა, როგორ გაბედეთ ჩვენი შურტაცხყოფა? გუ-
კითხვებით, როგორ გაბედეთ, პა?

ი ლ ი ა — თავადო, მე თქვენ პირველად ვხედავთ, როგორ შემძლო თქვენი შურტაცხყოფა?

თ ა დ ე ო ზ ი — მიი უმეტეს, რომ არასოდეს გინახვიათ, არ მიცნობთ და მაინც გაბედეთ შურ-
ტაცხყოფა?

ი ლ ი ა — რითი, სადა, როდის? არაფერი ნუხმის.

თ ა დ ე ო ზ ი — ის წიგნი შენი დაწერილია?

ი ლ ი ა — რომელი წიგნი?

თ ა დ ე ო ზ ი — აი ისა, ისა... რა ჰქვია? პო, კაცია-აღამიანია, რა არის, ლუარსაბზე რომ გიწერიათ?

ი ლ ი ა — ჩემი დაწერილია. მერე თქვენ რა შუაში ბრძანდებით?

თ ა დ ე ო ზ ი — როგორ თუ რა შუაში? ვეყო, იმ წიგნში მე ზაგიადივარ და გაგიღანძლივარ და
შუაში არა ვარ?

ი ლ ი ა — არაფერი მაგის მსგავსი. მე თქვენი ვვარი არც კი მცნობია წინათ, როგორც მოგახსენეთ,
და ამა როგორ შევძლებდი თქვენზე წერას?

თ ა დ ე ო ზ ი — გვარი შეგიცვლიათ, სხვა გვარზე დავიწერიათ, განა ვერ მივხვდებოდი?

ი ლ ი ა — მერწმუნეთ, თავადო, თქვენ პირადად არ მიგულისხმებხართ იმ წიგნში და თუ თქვენი
თავი თქვენვე შეიცანით თათქარიძეში, ეს ჩემი ვნალი არ არის.

თ ა დ ე ო ზ ი — ტყუილად იმართლებთ თავს, სწორედ ჩემზე და ჩემისთანა კეთილშობილ თავა-
დებზე გავს დაწერილი. ცნობები შეგიკრეფიათ, ცრუ ცნობები.

ი ლ ი ა — კიდევ გარწმუნებთ, პირადად თქვენზე არ დამიწერია, მხოლოდ ის კი მართალია, წიგნი
თქვენც შეგებებათ ნაწილობრივ, რამდენადაც იგი ჩვენს თავადობაზეა საერთოდ დაწერილი.

თ ა დ ე ო ზ ი — პოდა, შევ მანდა ვარ... ავი ამბობ, რომ მეც შემეხება... როგორ გაბედეთ, პა,
შურტაცხყოფა? მე შურტაცხყოფას არავის ვაპატიებ.

ი ლ ი ა — როგორც გინებოთ, ისე მოიტყუეთ. მე არავის მემინიან. ესლა კი ვთხოვთ, თავადო,
დასტოვოთ რუდაქცია, თქვენ აქ მუშაობას გვიშლით.

თ ა დ ე ო ზ ი — როგორ? ბოდიშის ნაცვლად მითხოვთ კიდევ? მე თქვენ გაჩვენებთ, თქვე... თქვე-
თერგდალულად თქვენა.

მ ი ხ ე ი ლ ი — თავადო, ვთხოვთ!

თ ა დ ე ო ზ ი — თქვენ ვინდა ბრძანდებით, მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა კეთილშობილი ზა-
ვადის შურტაცხყოფა!

(ხმაღს ამოიღებს. დარაჯი და მიხეილი აკაეებენ. არის შეხლა-შემოხლა და ორომტრია-
ლი. ილია გაფითრებული ღვას მაგიდასთან. ადგილიდან არ იძვრის; ბოლოს დარაჯი უკან-
დან მიეპარება თავდოზს და ხელებს შეუბოჭავს).



თ ა დ ე ო ზ ი — გამიშვით, გამიშვით, მე თქვენ გიჩვენებთ სურსს.

(დარაჯს და მიხვალს კარში გაქაყეთ შემოჭილი თადეოზი. ერთხანს გარედან კიდევ ისმის ხმაიური და მაღალი ლაპარაკი. მიხვალის ზრუნდება დაქანცული, აღელვებული, ანძის ხმაიურის ხმაიური და მიღწეული, საშუალოდ გადავიტყუეთ გორიზი, დიდგულდა... ანძის ხმაიური... ვანი თადეოზი... დიდგულა უნდა ჰყენივის ოლიკოს და კატოს სახლის კარები...)

ი ლ ი ა — შენი არ ვიცო და მე კი მართლა დავიღუპე... ვინდა მოინადირებს ესეა მაგის გულს? სწორედ ჰქმნება ნათქვამი: ვერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა სოფლისა ზოლოსა...

მამოთხე იანიზორადი

ნარკყალს მიდამოები. მარცხნივ მოხანს თბილისის. ხელი და მთაწმინდის პროფილი, მარჯვნივ ძველი სიმაგრის ნანგრევები. პირიზონტზე ცის კამარში ატყორცნილია მყინვარის თეთრად ნაღები მწვერვალი. ილია და ოლა მიდიან ზილიკზე. ისინი გასტყვრიან თბილისს.

ი ლ ი ა — აი, აქ დაიწყო, აქედან ყველაფერი მოხანს.

ო ლ ი ა — რა ლამაზია, რა მომხიბლავი სანახაობაა!

ი ლ ი ა — თქვენ კი არ გინდობდა წამოსვლა, ესეა ხომ კმაყოფილი ხართ? მართლაც, რა საუცხოო გადასახედა.

ო ლ ი ა — თქვენ რომ არა, ალბათ აქ არასოდეს ამოვიდოდი. შეხედეთ! მყინვარწვერი, რა კარგად მოხანს, აი ზედაზნის მთაც, მის ქვემოთ კი ატყალა. ღმერთო, რა სილამაზეა ირველიც!...

ი ლ ი ა — ძალიან მიუფარს თბილისი. აქ გაეზარდე, აქ დავეაკაცადი... აქვე გამინათა პირველად ჩემი ზედის ვარსკვლავმა...

ი ლ ი ა — (შეხედავს ხანგრძლივად, სიყვარულით აღსავსე მზერით) რა ვიცი, ძალიან კი აგინებთ თბილისს თქვენს ღვქსებში.

ი ლ ი ა — აბა როდის ვაგინებ, ეს ცოდისწამებაა...

ი ლ ი ა — თბილისის მცხოვრებნი ყველანი ორპირებად და თვალთმაქცებად გამოგვეყვართ.

ი ლ ი ა — ხა-ხა-ხა! სადა, სადა, დამისახელებე მაინც, რომელ ღვქსს გულისხმობთ.

ი ლ ი ა — გახსოვთ, თქვენ რომ „ამრდილის“ ხელნაწერი მამუქეთ... თქვენ გგონიათ არ წაგიკითხეთ? თავიდან ბოლომდე წაგიკითხე. ზოგიერთი ადგილი ზეპირადაც კი მახსოვს!

ი ლ ი ა — რას ამბობთ? შერე იქ სად ნახეთ თქვენი გინება?

ი ლ ი ა — როგორ არა, თბილისისადმი მთელი თავი გაქვთ მიძღვნილი და წერთ:

„მაგრამ მათ ერეშლსა, ღიშლს თუ გრძნობას,

ჭმუნვას, სინარულს და მოქმედებას,

ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი

და ყველა იგი თვალთმაქცი არის“...

განა ეს სიტყვები თქვენი დაწერილი არ არის? ყველანი უგრძობებად და თვალთმაქცებად გამოგვეყვართ...

ი ლ ი ა — (იციინის) კი მაგრამ, ეს თქვენ არ შეგახებათ... ვარდა ამისა, პოემა თქვენს გაცნობამდე მაქვს დაწერილი, თორემ თქვენთვის უსათუოდ გამონაკლისს ვაგაკეთებდი...

ი ლ ი ა — როგორ?

ი ლ ი ა — დაწერილი, რომ იმ თვალთმაქცთა და უგრძნობელთა შორის ერთადერთი მომხიბლავი ასული გამოირჩევა თავისი წრფელი გრძნობითა და უმანკო სულითა-მეტოქი...

ი ლ ი ა — ნუ ხუმრობთ... წრფელ გრძნობებს, ვისაც არ უნდა იყოს იგი, სათუთად უნდა მოეყვარათ...

ი ლ ი ა — მე თქვენი წყენა არ მინდობდა. კარგი, შევრიგდეთ.

ი ლ ი ა — შეგირავდებათ, თუ ერთ ადგილს წაიკითხავთ იმ პოემიდან, მე ის ძალიან მომწონს...

ი ლ ი ა — სიამოვნებით... რომელი ადგილი მოგწონთ...

ი ლ ი ა — აი, რომ იწყება: -

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —

ქვეყნის ტყვილით არ სტყობა გული...“

ი ლ ი ა — სიამოვნებით, თუ არ დამავიწყდა...

ი ლ ი ა — მე გაგახსენებთ. მე და კატომ ეგ თავი ზეპირად ვისწავლეთ...

ი ლ ი ა — რას ამბობთ, ნუთუ მართლა?

(ხელზე აკოცებს) მამ ვიწყებ:

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა, —

ქვეყნის ტყვილით არ სტყობა გული.



დაპეიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ლუთად მოუცია მარტო მამული...

ო ლ ლ ა — მერე? განაგრძეთ, განაგრძეთ...

ი ლ ი ა — აღარ მახსოვს...

ო ლ ლ ა — „მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი“...

ი ლ ი ა — „მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი“,

რომელსაც ეძებ, რომლისთვისც ესტერი?

იგი აღარ გყავთ... მის მოედანი

ჯავით აღესილა, ვერანად ქმნილა,

გმირის დამბადი დიდი საგანი

თქვენში სპობილა და წაწყმედილა.

გადასდგომინათ თქვენ ქართველობას,

დაგინგრევიათ დიდი მამული, —

რალა დასბადავს თქვენში დიდ გრძობას?

რითი ალტკინდებს ქველისთვის გული?

ო ლ ლ ა — საუცხოოა, საუცხოო... (გატაცებით) იცით, რა უნდა ვითხრათ? პირველად ჩემს ცხოვრებაში მე მხოლოდ თქვენი ლექსების წაკითხვის შემდეგ გავიგე, რას ნიშნავს სამ-შობლო, ხალხის სამსახური, ქვეყნისთვის თავდადება... ჩემში რაღაც სრულიად სხვა, ახალი საწყარო გამოჩნდა, ახალმა გრძობებმა და განცდებმა აღძრეს ჩემი გული... ამ საგანზე წინათ არასოდეს არ მიფიქრია; არც არავის უთქვამს-რა ჩვენთვის ამის შესახებ არსად, არც სკოლაში, არც ოჯახში, არც საზოგადოებაში. ჩვენ ფუქსაეტი, ვიწრო და ეგოისტური ინტერესებით ვიფიქრებდით შემოფარდულნი... ბნელ დახუთულ საყანში ვიხსებდით... უხლა კი თითქოს პირველად გამოვდი მზით გაშუქებულ საწყაროში, ფართო და მომხიბლავი პორ-ზონტი გადისოლა ჩემს თვალწინ... ჩემს ცხოვრებას აზრი და შინაარსი მიეცა... მე უხლა უკვე ვიცი რასთვის უნდა ვიცხოვრო, რა ვაკეთო... (დარცხვენი)... აღბაა ძალიან სასა-ცილოა, როცა ახალგაზრდა ძალი ფილოსოფოსობს...

ი ლ ი ა — რას ამბობთ... პირიქით, მე გატაცებით ვისმენდით... მე მიხარია, რომ თქვენ გარკვეული მიზანი დაგისახავთ ცხოვრებაში.

ო ლ ლ ა — დიახ, მე მინდა ემსახურო იმას, რასაც თქვენ ემსახურებით... ხალხს, სამშობლოს, საზოგადოებას...

ი ლ ი ა — ეგ ძალიან დიდი ტვირთია ჩვენს პირობებში... ბევრი წყენა, ბევრი გაჭირვება მოვიხ-დებთა აიტანოთ! ქვეყნის სამსახური მუდამ მსხვერპლია, ჩემო კარგო, და არა სიერი...

ო ლ ლ ა — ვიცი, გგრძობ... თქვენს ახლოს მე მზადა ვარ ყველაფერი ავიტანო...

ი ლ ი ა — (სიყვარულით მახსებრის თვალუბში) დამცირება, ხელმოკლეობა, მძიმე შრომა...

ო ლ ლ ა — ყველაფერი.

ი ლ ი ა — მამ მომისმინეთ, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა თქვენთვის ყველაფერი დაუფარავად, გულწრფელად, რომ თქვენც გვოღნოდათ თვიდანე და შემდეგ სინანულის გრძობას არ აფუტრო თქვენი გული. პატიოსანი კაცის მოვალეობა მიკარანახებს, აგისნათ მღვთმარეობა ადამიანისა, რომელსაც თქვენ აკუთვნებთ თქვენს გულსა და გრძობას. აქამდე როგორღაც მუტხერსულუბოდა ამის თქმა, უხლა კი დროა, ამყარად ვითხრათ ყოველივე. მე მინდა იყო-დეო, რომ მომავალში ვერაფერს შეგპირდებით სიყვარულისა და ერთგულების მქტს. მარ-თალია, ადამიანები ამ ორი რამითაც ბედნიერად გრძობენ თავს და თვითონ მეც მჭერა, რომ ეს ბედნიერება შესაძლებელია, მაგრამ თქვენ კი გჯერათ? აი კიბება, რომელიც ასე მაწუხებს. იცით თუ არა თქვენ ჩემი ყველა გარემოება? იცით თუ არა, რომ მე დღესდღეო-ბით არაფრის მქონე ლატკი ვარ? არც უახლოეს მომავალში ნუხატება რაიმე საიმედო პერსპექტივა. მართალია, მე თვითონ განვიკუთვნე ჩემი თავი სიღარიბისა და შრომისათვის, მართალია ისიც, რომ არც ერთი, არც მეორე არ მაშინებს, მაგრამ...

ო ლ ლ ა — რა?

ი ლ ი ა — იქნებ თქვენ შეგეშინდეთ ამისა? ყოველივე ეს თქვენ ჩემთან ერთად უნდა აიტანოთ.

ო ლ ლ ა — (ჩემად, ოდნებაში წასული) ავიტან... შენს გვერდით... შენთან ერთად...

ი ლ ი ა — (ხელს მოხვევს, ეალერსება).

(შორიდან ისმის კატის ხმა: „ოლიკო, ოლიკო!“).

ო ლ ლ ა — (გამორკვევა, წამოიწეხს) ერთი ამ აღქაჯს უტქირეთ... სად წამოსულა... (ხელს უტ-ნებს, რომ მოვლავს). (კატო შემოდის სცენაზე).

კ ა ტ ო — შეიძლება მოვიდე თქვენთან? აქ რას აკეთებთ? რას უტქირით?

ი ლ ი ა — არაფერს... ქალაქს ვავსტქირით... სახლებს ვითვლით — გვინდა გავიგოთ, რამდენი სახ-ლია თბილისში.



კატო — მეც მოგეხმარებით. უკერ რამდენი დაითვალეთ?

ილია — მტკვრის გამოღმა შეიღას ოთხმოცდაცამეტი...

კატო — მამ შე მტკვრის გაღმა დაეთვლი. ერთი, ორი, სამი, ოთხი...

ოლეა — კარგი, ნუ სულელობ, რას გამომეღვენე, სულ კედში უნდა მსდომ?

კატო — ვა, მომეწყინა, სულ დიდგდასთან უნდა ვიჯდე? მეც თქვენიან მინდა ყოფნა...

ილია — (იციინის) მართალია, დიდგდასთან რა უნდა აკეთოს. ჩვენთან იყავი, კატო. შენ ძალიან, კარგი გოგონა ხარ...

კატო — ჩვენ თქვენი ღუქის დავამღერეთ, საუცხოო პანგია, ვანა ოლიკომ არ გითხრათ? თუ ვინდათ, ვიმღერებ... ყველა ვიმღეროთ, თქვენც...

ილია — შე სომღერა არ გიცი, შენ იმღერე.

კატო — კარგი, მამ ყური დამიგდეთ (მღერის):

„ჩემ მანარაშია წამოწოლილი
ფიფა, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდღამაც ნაზი ბუღბუღი
სტვენდა სიყვარულს გაგიყებელი,
დიდხანს ვატარე, დავლაღე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბუღბუღი
სტვენდა სიყვარულს გაგიყებელი...“

(ილია და ოლეა, ოცნებაში წასულნი, გასცქერიან მტკვრის ხეობაში გაწოლილ თბილისს).

მხატვრიანი ეპიზოდები

ტყის ნაპირი, ხეებს შორის მოჩანს ალაზნის ველი, ცივ-გომბორის თოვლიანი მწვერვალები, მთვარიანი ღამეა. კოცონთან უნაგირზე თავმიღებული წვეს ყაჩაღი კაკო ზღაპრისეული. შორიდან მოხმის ურმულის ხმა. კაკო წამოიწევს, ცეცხლს შეუნთებს, მერე ყურს მიუხედებს სიმღერას. ჩაფიქრდება.

კაკო — რა მწუხარება ჩვენი გლეხკაცის სიმღერა... მისი ჭირ-ვარამი, სევდა და იმედი ჩაქსოვილია ამ სიმღერაში. ბავშვობიდან, ყმაწვილ-კაციობიდან ამ სიმღერის ხმები გულს ჩამჩენია, როგორც მწუხარე გლოვის ზარი... მაგრამ თუ ნალღვლს მოპებურს დანაგრულს, უკუ-ყურის კიდვე, ვით ღრუბელს ტარი... (სიმღერა მისუსტდება და ბოლის აღარ ისმის. სიმღმე ისად-გურებს ირგვლივ. კაკო ისევე თავს მიდებს თოქალთოზე. მცირე ხნის შემდეგ ცხენის თქა-რათქური და სიხეინი ისმის. კაკო წამოიწევს, იარაღს მოიმარჯუებს. ყურს მიუხედებს, შორიდან ისმის სტვენა. კაკო სტვენიოვე უპასუხებს. შემოღის ზაქრო).

კაკო — შენა ხარ, ზაქრო.

ზაქრო — შე ვარ, გამარჯობა.

კაკო — გავიმარჯოს, რად დავივიანე?

ზაქრო — სოფელში ვიყავ. დედა ვინახულე. ცოტა საგზალიც წამოვიღე...

კაკო — კარგი გიქნია. მთელი ღვე მშობერი ვარ.

ზაქრო — (ხურჯინს გახსნის. ბაღაზე გამლის ბაღდაღს, აწყობს სანოვაგეს, ტიკტორიდან პატარა ყანწში ღვინოს ჩამოსასხამს. უხმოდ შექექცივანი ვახშამს).

კაკო — რა გივიე, ვინ ნახე, რა ამბავია სოფელში.

ზაქრო — დიდი ამბავია. გლეხები გახარებულნი არიან, ბატონ-ყმობა უქმდება.

კაკო — ევ ვიცი, იქნებ ეშველოს გლეხკაცს. ყვარულში რა ამბავია.

ზაქრო — ჭეჭეჭეჭიანი ილიკო ჩამოსულა, აი, რუსეთში რომ სწავლობდა. სტუდენტია, რა ვიცი, რას ეძახიან... აი ისა...

კაკო — მერე რაო ნასწავლმა ბატონიშვილმა? მოაჯდა კისერზე გლეხებს?

ზაქრო — არა. ის კარგი ბატონი ჩანს, კეთილი უნდა იყოს.

კაკო — თავადიშვილი და კეთილი? ეხ, ზაქრო, ზაქრო, შენ მანც არ ამბობდე ამას.

ზაქრო — არა, მართლა, მაგისას კარგს ამბობენ. ჩამოსულა, თავისი ყმები დაუბარებია და გამოუცხადებია: ჩემი მამულიდან საკომლო, საყვანე და მისი ხვედრი ევენა, რაც ხმარებაში გაქვთ. თქვენიო და მითმითა უსასყიდლოდ, ხელუხლებელ საკუთრებადო, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთო.

კაკო — რას ამბობ, მართლა?

ზაქრო — მე და ჩემმა ღმერთმა.

კაკო — კაცი ის ყოფილა და... გლეხკაცის სიბრალული პქონია. ჩემმაღ შგონი ვიღაც მოღის...

(ორივენი წამოხტებიან და თოფმომარჯუებულნი ხეებს აეფარებან. სტენაზე შემოღის ილია ნაბადწამოსხმული და გლეხის ბიჭი, მხარზე პატარა ხურჯინი).

ილია — სადაცაა მთავარე ვადავა. აქ შევისვენოთ. სულერთია, ზნელში გზის ვერ გავიგნებთ.

ბიჭი — ბატონი ბრძანდები. კოცონს დაეანთებ, დილაძლე თვალსაც მოვატყუებთ, აქეთ მობრძანდით.

კაკო — (საფარიდან გამოვა თოფმოღერილი) შესდექით. თქვენ ვინა ხართ?

ბიჭი — (ილიას) აკი მოვახსენებო, ბატონო, აქ ყაზალის საფარს არ გაბადავწყდეთ-თქო. სწორედ ის არის, ზღაპრისმგებელი. არ ეურჩით...

ილია — (კაკოს) მგზავრები ვართ.

კაკო — მაინც ვინა ხართ, სად მიდიხართ...

ბიჭი — ლარლიდან ვართ, ქალაქს მივდივართ... გზად გამოვიარებო...

ზაქრო — (ბიჭს) შენ ჩუმად ვეღვი (ილიას) ვაპარი ხარ? რა მიგატყვს, აქ ჩაგვაბარე.

ილია — მე ვაპარი არ ვახლავარ.

კაკო — მამე მებატონე?

ილია — ვიყავი, უბაღ ადარც ვეგა ვარ.

ბიჭი — ადგილ-მამული რაც გაანდა, ნაყმებებს მოგვცა, ჩვენ დაგვირიგა...

ზაქრო — (თოფს დაუშვებს) მამე შენა ხარ ილიკო ქავეჭაბაქე?.. (კაკოს) ის არის.

ილია — დამ, ილია ქავეჭაბაქე ვარ... რა გნებათ ზემგან?

კაკო — გლეხკაცის სიყვარული გქონია, არას გერჩით, იარე შენს გზაზე...

ილია — ჩვენ აქ ღამის გათევას ვაპირებდით...

კაკო — კიდეც უკეთესი, აქეთ მობრძანდით, ჩვენთან მოისვენეთ. (ილია მიდის მათთან. ყველა-ნი უხსნებიან გარშემო კოცონს).

ილია — თქვენ ვინდა ხართ, რას აკეთებთ ამ ტყეში?

კაკო — გლეხები ვართ. ტყეში გასულნი, უსამართლობას, ქვეყნის სიყვეს გამოქცეულნი...

ილია — ზღაპრისმგებელი კაკო შენა ხარ?

კაკო — ისა ვარ სწორედ... (ზაქროზე) ესაჯ ჩემსავით ზედგანწირული, ზემი მოძმე და ჭირის მოზიარე. (ტყეკორიდან ღვინოს ჩამოსახამს ყანწმი, აწოღებს ილიას. ილია ასწებს ყანწმს, უნდა ადღეგრძელოს მასპინძლები. სცენაზე დაბნელებია. ცოტა ხნის შემდეგ თანდათან ისევ განათდება. ილია უკვე მზარტეძოზე წებს. მეორე მხარეს უნაგირს მიპყრულებია კაკო. ზაქრო ყველა თავის ამბავს).

ზაქრო — ბოლოს კი, ძამო, გამოწერა ღმერთი, დამიტრიალდა უკუღმა ზედი! ყური დამიგდე, გეტყვი ყველაფერს. რაც ვადაწყიდა მწუხარებამა, და როგორც ერთ დროს ზედის მადლიერს, გზა დამიხლართა ზედისწერამა.

ილია — მიაბე, მიაბე!.. ყველაფერი დაწერილებით მიაბე!..

ზაქრო — მამინ თორბეტის წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომამორა, წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩემს სახლკარიდან გამაგდეს შორა...

(დაბნელება)

მეამხმარე იპიგროლი

თბილისის საღონი სამოციანი წლებისა, მეტწილად ახალგაზრდობა. ვაჭრები, ქალები. მათ შორის ოლა, კატო და სხვა ნაცნობი სახეები. ილია კიბხულობს თავის პიეზას.

დამსწერნი სულგანახულები უხსენენ. ქალიშვილები განიცდიან სათანადო ადგილებს.

ილია — (განავარძობს „კაკო ყაზალის“ კითხვას):

„ჩიბუხის ტარით მამა-ჩემს მტრულად
 ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...“

(ქალიშვილები ცხვირსახოცით ცრემლს იწმენდენ თვალებზე. ყმაწვილები დაძაბული ყურადღებით უხსენენ).

ილია — (განავარძობს)

გულს მიკლავს ხოლმე. რომ მავთონდება...
 არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
 (მიმართავს დამსწრებს).

ხომ არ მოგეწყინათ? პიეზა უკვე თავდება...



ხ მ ე ბ ი ა დ გ ი ლ ი დ ა ნ — გთხოვთ, გთხოვთ, განაგრძოთ, შესანიშნავია! ჩვენ გისმენთ! შემიღებ, შემდეგ!
ი ლ ი ა — (აგრძელებს):

მამინ იქ ვიდექ მე უბედური...

დ ა მ ს წ რ ე ნ ი — (ყველანი ფეხზე დგებთან, მხურვალე ტანს უკრავენ, ისმის შეძახილები: ყოჩაღ! ასე მოუხდება! ვაჟა, ვაჟა!).

ი ლ ი ა — (უცდის სანამ მსმენელები დაწყნარდებოდნენ).

მეყვარდი მამას... უსულოდ ვგდო!
მუხლი მომეკრა, ცეცხლი მომეღო!
ის საწყალი სულ დაღურჯებულა
ვედო უძრავად გამეშებულა...

დ ა მ ს წ რ ე ნ ი — (ტანს უკრავენ, ისმის ხმები: ვაჟა, ვაჟა ილია, საუცხოო პოემა! შესანიშნავი ილიასთან მიღიან ოღლა და კატო, ულოცავენ. ილია ხელზე ჰკოცნის ოღლას, ესაუბრება მათ. მოდიან სხვები, ხელს ართმევენ, ულოცავენ ილიას. ქუზიდან ისმის საფოსტო ეტლის ხანზალაყების ხმა. დამსწრე ახალგაზრდობის ნაწილი ფანჯარაში იტყირება. ისმის შეძახილები: ვინ არიან? ვიღაც უცხოები არიან, აქეთ მოდიან!).

მ ი ხ. ყ ი ფ ი ა ნ ი — (შემოვარდება გახარებული სახით) ილიკო, ილიკო, რა მოგახარო, ვინ მოვიდა, რომ იცოდეს! ბატონებო, ძვირფასი აწმანაგები გვეწვიენ რუსეთიდან!

ი ლ ი ა **დ ა. ვ უ ე ლ ა ნ ი** — (ინტერესით გასტკბერიან კარებს, რომელიც ფართოდ იღება. სამწაფრო ტანსაცმელში, მკლავზე პალტოებგადკიდებულნი შემოდიან აკაკი და ნიკო ნიკოლაძე).

ი ლ ი ა — აკაკი ნიკო! ძვირფასო შეგობრებო!
(ახალგაზრდობა ინტერესით შესტკბერის აკაკის და ნიკოს, ისმის ალტაცებული ხმები: აკაკი, აკაკი წერეთელი! ის კიდევ ნიკო ნიკოლაძე! ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! ისმის ტანის ცემა. ილია გადაუხვევა ჯერ აკაკის, შემდეგ ნიკოლაძეს).

ი ლ ი ა — ბატონებო! გვიცანით, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე! (ყველანი ხელს ართმევენ მისულთ) ბატონებო! მოგილოცათ! ჩვენს თერგდაღუფულა გუნდას ორი უმძლავრესი ზურჯი შემოემატა! (აკაკის და ნიკოს) შეგობრები, რა მიზარიათ თქვენი ნახვა, რა ზედნიერი ვარ! ოღლა, კატო, გვიცანით, აი ეს არის აკაკი, ჩვენი საამაფო პოეტი, ესეც ნიკო ნიკოლაძე, ჩვენი მოაზროვნე და მუხტის თავი! ნახეთ, რა ამბები დაუწიონ მავათ ჩვენს მტრებს!.. (აკაკის და ნიკოს) კაცო და, ეგრე ჩუმაღ უნდა მოპარე? ღამის სიხარულით გულები დაგვისკდეს. საიდან, როგორ, როდის?

აკაკი — ერთი კვირაა, რაც პეტერსბურგიდან ჩამოვედით ქუთაისს, იქიდან კიდევ აქეთ ვამოგწვიეთ. ძალიან ვწუხვართ, რომ ვერ მოუხსნარით შენი პოემის კითხვა.

ი ლ ი ა — არაღერია, მოვანწრებთ კიდევ ერთმანეთის ნაწარმოებთა გაცნობას! (დამსწრეებს) ბატონებო, ჩვენს შეკრებას შემოესწროთ ახალი ქართული პოეზიის შექურ-ვარსკვლავი, ჩვენი უნიკიტრესი შგოსანი აკაკი წერეთელი. (ახალგაზრდობა ოვაციებს უმართავს აკაკის), ბატონებო, ვთხოვთ აკაკის, წაგვიცოხოს თავისი ახალი ლექსები.

ხ მ ე ბ ი — გთხოვთ, გთხოვთ!

აკაკი — (ოღლას და კატოს შორის ზის. ადგება) ბატონებო! ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა, ჩემმა საყვარელმა მეგობარმა ილიამ დღეს თქვენ წაგვიცოხათ თავისი ახალი პოემა, ამსახველი ჩვენი ხალხის დღევანდელი დუხბერი ცხოვრებისა. მეც მინდა შევეუბროს მის ჩემი ხმა და წაგვიცოხათ ლექსი. მიძღნილი ჩვენი ხალხის ბრწყინვალე მოძაგლისადმი. (ოღლა და კატო ალტაცებით უკრავენ ტანს, აკაკი წინ წამოადგება).

აკაკი — საქართველო, ძველთა ძველო
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დასტანა შენი ძველი ქება,
ვით ზატხულში მზისგან მდებო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხდება საქართველო!

— — —
დავივიწყოთ ის ნანინა,
რამაც დღემდის დაგვამძინა,
სხვა კილოზე დავამღეროთ.



თუ რომ ზედმა გაგვაცინა,
 ზერო ქართლი, გულს ნუ იტბ,
 კმარა ცრემლი, რაც გედინა!..

წინ მივდივართ შენნი ძენი,
 გვისურს ახალს დროს ვულოთ ზეენი,
 და დავსთხოთ წმინდა სისხლი,
 რომ გაგვანათ ძველი სენი!..
 შხად ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე,
 აღდეგ, შემოირტყი წენი!

დიდებაო, ძველთა ძველო,
 ორთ აღმშფოთთა ზღვითა მცველო,
 გაიღვიძე, ნუღარ გძინავს,
 ნეტარების მომლოდნელო.

მოგვასწარ, რომ დაგვიკოდეთ
 „გაშაი გაშაი საქართველო!“...

(ახალგაზრდობა აღფრთოვანებით ტაშს უკრავს აკაკის ილია ხელს ართმევს და კოცნის მეგობარს. ყველანი გარს უბრუნებენ პოეტებს. მოსამსახურეებს ლანგრებით ხილი და სასმელი შემოაქვთ და ურიკებენ სტუმრებს).

აკაკი — (ესაუბრება კატოს) მაშ ჩქარა თქვენი დის ქორწილში ვიქნებით, არა?

კატო — ბატონო აკაკი, მე მგონი ეგ არც კი მოხდეს. შამა ძალიან გაუიუტებულა, გაგონებაც არა სურს. ამბობს, ჩემს ტალს მტერს ვერ გაუბრუნო, უკუაგაძე საქართველოს მტერიო.

აკაკი — არაფერია, მაგ საქმეს როგორმე მოვაგვარებთ... თუ სამამუალოს მომცემთ, ჩავერევი საქმეში...

კატო — სიამოვნებით, ბატონო აკაკი, ოღონდ ჩაერიეთ საქმეში. იქნებ თქვენ მაინც მოუღობოთ გული მოხუცს...

მიხეილ ყიფიანი — ბატონებო, წინადადება შემომაქვს ზენი ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად ვთხოვთ ქალბატონ კატოს, იმღეროს რამე...

ყველანი — (კატოს მიმართავენ) ვთხოვთ, ვთხოვთ!

კატო — რას ბრძანებთ, მე არ ვმღერი...

ილია — აბა, კატუნო, გვასაბუღე, აი, აკაკიც ვთხოვს, იმღერე მისი „საიდუმლო ბარათი“.

აკაკი — ძალიან ვთხოვთ, ძალიან შეინტერესება, რა პანგზე მღერით ზემს ლექსს.

ოღლა — კარგი კატო, ნუ ინაზები.

კატო — თუ ოლიკოც იმღერებს...

ყველანი — ვთხოვთ, ვთხოვთ...

(ოღლა ფორტიპიანოს მიუჯდება, უკრავს. კატო გაწითლებული, დარცხენილი იწყებს სიმღერას, შემდეგ თამაშად განაგრძობს).

კატო — (მღერის):

საიდუმლო ბარათი
 ვითბრუნე: - ექმენ მარადო
 სიხარულის მიმნებულ
 და სედღისა ფარადო...

(კატო ამთავრებს სიმღერას. ყველანი ტაშს უკრავენ. ნიკო ნიკოლაძე ზელში საცხე პიქით მივა ოღლასთან და კატოსთან, მაღლობას გადაუბდის, შემდეგ მიმართავს სხვა დამსწრეებს).
 ნიკოლაძე — ბატონებო! მე მინდა ჩემი აღტაცება გამოვთქვა და მაღლობა გამოვეცხადო სიმღერისათვის. (ყველანი ტაშს უკრავენ) მაგრამ საქმე მართო სიმღერა რაღდა. საქმე ისია, რომ ქალბატონმა ოლიკომ და ქალბატონმა კატომ თვალნათლივ გვიჩვენეს, თუ რა ძლიერია ახალგაზრდა თაობის საყვარელი ჩვენი ახალი ქართული მწერლობისადმი, ახალი სიტყვისა და ახალი აზრისადმი, რომლის საუკეთესო შემომქმედნი დღეს ჩვენს შორის იმყოფებიან. ესენი არიან ჩვენი საამყო მგოსნები ილია უკუაგაძე და აკაკი წერეთელი, (ახალგაზრდობა ტაშის ცემით აუიღდობს ილიას და აკაკის). ყველაფერი, რაც კი ცოცხალი, პატროსანი და საიმიდოა ჩვენს საზოგადოებაში, დღეს შემოკრებილია ამ დიდი დროშის ქვეშ. რომელიც ხელთ უპყრია ამ ორ წეთურს ჩვენი ახალი ცხოვრებისა. თქვენ, ბატონებო, წარმოადგენთ ჩვენი ხალხის ახალგაზრდა ინტელიგენციას. დიდა თქვენი მოვალეობა და ამოცანა. ხალ-

ხის და სამშობლოს ერთგულება — აი რა აწერია ჩვენი პატიოსან დროშას. დღევანდელი დღის სამსახური, ხეაღინდელი ბრწყინვალე დღის მოახლოება — აი ჩვენი წმინდა მიზანი. გასოსოფეთ, ბატონებო, რომ ჩვენ დიდი მომავალი მოგველოს. ეს მომავალი ბრწყინვალე მშვენიერია. შეიყვარეთ თვი, ისწრაფეთ მისკენ. იშრომეთ მისთვის, მოიახლოვდით მას. გადმოიღეთ თქვენი მოთხოვნები იქიდან დღევანდელ ცხოვრებაში, რის გადმოღებაც შეგიძლიათ: ცხოვრება მით უფრო ნათელი და სიკეთით აღსავსე, მით უფრო მზარდი და საამო იქნება, რაც უფრო მეტს გადმოიღებთ მომავალი ცხოვრებიდან. მამ ისწრაფეთ ამ ნათელი მომავლისაკენ, იმუშავეთ მისთვის, ემსახურეთ მას. ბატონებო, შეესწოროთ ჩვენი სიტყვებუ, ჩვენი ოცნება და ახალგაზრდული გატაცება ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს სიკეთეს და ზედწინებებს. (ხოკოლაძე ანწვეს ჭიქას და შესვამს ღვინოს).

ახალგაზრდობა — (ტამისცემით აჯიღებებს ნიკოლაძეს. ისმის შეძახილები): ვაშა! ვაშა! ვაშა!

ვიღაც დამსწრეთაგანი — (იწვევს სიმღერას, რომელსაც ყველანი აყვებიან. დარბაზში გაისმის საერთო სიმღერა):

ჩემო კარგო ქვეყანავ,
 რაზედ მოგიწყენია,
 აწმყო თუ არა გწყალობს,
 მომავალი ჩვენია.

მეშვიდე ბაბიჯი

თადეოზ გურამიშვილის ბინა. თადეოზი გულმოსული ბოლთასა სევს ოთახში. დიდუდა ბაბაღეს ტახტზე მოუყვება და წინდასა ქსოვს.

თადეოზი — განა არა, აი თურმე რად მომიწყვედა გული ქალაქისაკენ, სად ზრბანდებიან აქამდე ჩემი ქალები, პა? სად არიან, გვეითებნი? არა, ამ შუაღამისას პატიოსან ქალს გარეთ რა უნდა, პა? არა, რა უნდა-მეთო, თქვენ გვეითებნი, თქვენი აღზარდეთ ასე ნებურად, თავი აიშვეს, აღარავისი სჯერათ, არავის ებუებიან... აქაო და მამა საგურამოში არისო, ქალაქში ყურისმგდებული არა გვეყავსო, სულ კარში უნდა ეყარნენ?

ბაბაღე — სიტე-ბატონო, არც ვგრე იქნება, გასათხოვარი ქალები არიან, უნდა ვაიპრონ-გამოიარონ, გაერთონ... მამ სულ შინ ხომ არ ისხდებიან, როგორ იქნება?

(გარედან ისმის მზიარული სიტყვი და ლაპარაკი. თადეოზი იცქირება ფანჯარაში).

თადეოზი — აი, ხომ ვთქვი, ისევ იმ ტყეჭეჭეჭთან დაიარებიან. დამაცადონ, აქ მომიბრძანდნენ რა დღე ვყარო მაგათა!

ბაბაღე — სიტე-ბატონო, ნუ იკადრებთ ქალების შერცხვენასა, მაგათაც თავმოყვარეობა აქვთ (ოღლა და კატო შემოდიან. მორბეულით შეხედავენ მამას და უნდათ მერე ოთახში გავიდნენ).

თადეოზი — აიკარით ორივე ღებმა ზარგი. ხვალ უთენია საგურამოში გაემგზავრებიო. ევარნეთ იქა. მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მამის ურჩობა.

ოღლა — მე არსადაც არ წავალ!

თადეოზი — როგორ თუ არ წახვალ, გიბრძანებ და უნდა წახვიდე, მორჩა და გათავდა.

კატო — არც მე წავალ...

თადეოზი — ჩუმაღ ვედე... ერთი ამას დამიხედეთ, მეც ნახირ-ნახირო.

კატო — ეა!

თადეოზი — (ოღლას) იქნებ გგონია, ნება მოგვე იმ უსაქში გუდამშიერებთან ეთრიო — დღე და დამე. იმ... იმ... ვოღაც თერგდალეულთან.

ოღლა — ის თერგდალეული ჩემი მეგობარია... რამდენიც არ უნდა დამიშალოთ, ჩემი მეგობარი არის და იქნება...

თადეოზი — მეგობარი?.. უყოლო კაცო და მეგობარი? აი შე გათახსირებულო, მე შენ გიჩვენებ ჭლაფ. როგორ უნდა გარყვნილება... (ეღელზე ხმალს ჩამოიღებს. ბაბაღე მივიარდუბა თადეოზს).

ოღლა — (კატოს თვალს ჩაუყრავს, ისტერიკულ ტირილს დაიწყებს და „ველი უწუხდება“) პაი! პაი!

კატო — (მივიარდება ოღლას, შემდეგ განაგებ ხმამალა კივის) გვიშველეთ! გვიშველეთ! (ფანჯარას გააღებს) გვიშველეთ!

თადეოზი — (შეშინებული მდღის ოღლასთან, ბაბაღეს დამხარებით ტახტზე აწვეს, საქოულ-წამდარმა არ იყის, რა ქნას) შეილო ოღლიო, შეილო... განა მართლა გავიჯარდი, შეილო, ოღლიო (კატოს) რა გატყუებებს, შე, შე... შე... წადი ვინაგს დაუძახე, მოგვეშველოს.



- კატო — (დარბის ოთახში, ფანჯრიდან ყვირის) — გვიშველეთ, გვიშველეთ!
(კარებში გამონდებიან ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე).
- ილია — (კატოს) რა მოხდა, ხომ არაფერი უბედურებაა?
- კატო — ოლიკო ცუდადაა. ექიმა საჭირო...
- აკაკი — (ნიკოს) ბატონო ექიმო, უშველეთ, ჩქარა...
- ნიკო — (მთლადნელოზისაგან უზრუნველად გრძნობს თავსა, არ იცის, რა ქნას).
- აკაკი — (ნიკოს ჩემად) მიდი კაცო, ახლა თუ ვუშველით ილიკოს, თუ არა სხვა დროს ვერ ვიმოვით (ხმამალლა) გასინჯეთ, ბატონო ექიმო!
- ნიკო — (მივა ოლღასთან, მაჯას გაუსინჯავს) მდაა... მდგომარეობა სერიოზულია (აღგება და დატოვებით ბოლთასა სცემს).
- თადეოზი — (თვალეში შესწერება „ექიმს“, მუდარით მიმართავს) ექიმო, გვიშველეთ რამე, მიიღეთ ზომები...
- ნიკო — მდგომარეობა მეტად რთულია... თქვენს ქალს ნერვული სისტემა აქვს მოშლილი... „აქუზატრუს კემ ინფინიტრემ“ გაგივინაით? აი ესა სჭირს თქვენს ქალს... რთული მდგომარეობაა...
- თადეოზი — ეს ინტოქიკტი — რაღა უბედურებაა? უშველეთ, ბატონო ექიმო.
- ნიკო — იცით, ჩვენი წამლები აქ არ გამოდგება, ნერვული დაავადება მწუხარების ნიადაგზე შესდგომია, მიზეზი უნდა გამოვარკვიოთ. ხომ არაფერს მოგველომით ახლობელი?
- თადეოზი — ახლობელი? (დაფიქრდება) არა, არაფერი...
- ნიკო — იქნებ... უყვარს ვინმე? (ილია უზრუნველად შეიმშენება).
- კატო — დიას, ბატონო, ექიმო, უყვარს, უყვარს!
- თადეოზი — (ჩემად) შე... მეტობარა შენა, ენა დამოკლე (ბლევით გადახედავს ილიას და აკაკის).
- კატო — (ჯიუტად) უყვარს, უყვარს. მე თითონ მითხრა, სანამ ავად გახდებოდა.
- ნიკო — აჰ, ახლა ვასაგებია... მდა... (კონფიდენციალურად თადეოზს) აღარაფერი ვშველება... ეტყობა, უიმედო სივარულია...
- თადეოზი — როგორ თუ უიმედო? რად უნდა იყოს უიმედო. ჩემს ქალიშვილს ვითომ ვინ უნდა, უთხრას უარი?
- ნიკო — არა, იქნებ თქვენ იყავით წინააღმდეგი... ან რამე ამდაგვარი...
- თადეოზი — არა... კი... წინააღმდეგი ვიყავით... მაგრამ ოღონდ ეგ კარგად იქნებოდეს... ჯანდაბას ყველაფერი...
- კატო — მამ თანახმა ხარ, მამილო, თანახმა ხარ?
- თადეოზი — დამკარგე იქით... სულ შენი ბრალია ყველაფერი... დამაცა შენთვისაც მოვიცლი... შეილო, ოლიკო, აბა შემოწმედე, როგორა ხარ, შეილო?
- ოღღა — (მეცხველად ხმით) უხლა კარგადა ვარ, მამი...
- კატო — (ტანს შემოკრავს) კარგი ექიმი ბრძანებულხანათ, გიშველათ ღმერთმა...
- ოღღა — მამილო, აღარ მიჯავრდები?
- თადეოზი — ბარემ გოჯავრდები, მაგრამ რა გამოდის აქედან...
- ოღღა — ჩემი სიცოცხლე გინდა?
- თადეოზი — მინდა, შეილო, როგორ არ მინდა.
- ოღღა — მამ შეურიგდი...
- კატო — შეურიგდი, მამალო, შეურიგდი...
- თადეოზი — ვეყო, მე არავის ვეწმუებები და... აბა (ხელს გაუწოდა ილიას, რომელიც მაგრად ჩამოართმევს).
- კატო — (აკაკიზე) ეს კიდევ ჩვენი ახალი მეგობარია, მამი.
- თადეოზი — (ხელს გაუწოდის) ენც ნერვების ექიმი?
- აკაკი — არა, ბატონო, მე გულს ექიმი ვახლაგარ...
- თადეოზი — ამდენი ექიმები, სწორედ ბედნიერებაა, ბარემ ეს ვიციც მომირჩინეთ, ორმავე გასამარჯულოს მოგართმევთ.
- კატო — მამილო, სამწუხაროდ, მე ვერ სარულიად ჯანმრთელი ვარ...
- თადეოზი — ეხ, ჩემო შეილეშო, მამ საგურამოში აღარ მოდიხართ, მარტოს მიშვებთ?
- ოღღა — მოვდივართ, მამი...
- კატო — თუ ჩვენს მეგობრებსაც დასატყებ.
- თადეოზი — დამიატყენიხართ, რა გაუწომა, სტუმარი ღვთისაა...
- ბაბაღე — უი, შენ კი ვენაცვალე, სიძე-ბატონო, ეგრე არა სჯობს, შენ კეთილ გულს ვენაცვალე...
- თადეოზი — კარგი, კარგი, სულ თქვენი ბრალია ჩემი ოჯახის არევა!

მე-3-ე ეპიზოდი



ცენზორის კაბინეტი — „ოპოზა ბუდე“. მოხუცი ცენზორი მავიდას უზის მტკანინ კვებზე დგას და მოახსენებს.

ცენზორი — გადულგზავნეთ საცენზურო კომიტეტის მიწერილობა?

მდივანი — დიას, ბატონო ცენზორო, გუშინვე გადაეუფუნავეთ.

ცენზორი — მდა ძალიან კარგი ანა ერთი კიდევ წამოკითხეთ ჩვენი მიწერილობის შინაარსი.

მდივანი — ინებო, პაეღ ფეოდორი! ერთნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელს ილია გრიგოლის-ძე ჰევეჰეაჰჰს. ეკეასიის საცენზურო კომიტეტი გაეცნობებო, რომ თქვენ მიერ რედაქტირებული ერთნალი „საქართველოს მოამბის“ გამოცემა მთავრობისადეის მიუღებელი სტატეიბისა და მხატვრული ნაწარმოებების ბეჰდეისათვის მთავრობის განკარგულებით აკრძალულია“.

ცენზორი — ძალიან კარგი! მაშ რა ეგონათ? შეიკრიბნენ სახელმწიფოსა და ტახტის წინააღმდეგ შეთქმული ვიგინდარები და მოინდომეს რევოლუციის ჰევეჰეაჰჰ. მერე სად? ეკეასიის ცენტრში, თბილისში... მერე რაღეს? რაჰა დიდ გაბერებობთ ეამწადებოთ საგლეხო რეფორმის და ეფრთხილობოთ, არ წაგვეღვოს გაბოროტებულ გლეხთა აღწეფოთებამ...

მდივანი — ყველანი დასაქურები არიან, თქვენო აღმტებულებო, ყველანი, მავათ შორის არც ერთი არ არის კეთილსამიუდო. არა, ეგენი რომ წმინდა სულები იყენენ, უნივერსიტეტიდან გამორიცხებდნენ...

ცენზორი — რომელია მათ შორის გამორიცხული?

მდივანი — რომელიც გნებებო, თეითონ რედაქტორი ჰევეჰეაჰჰ გამორიცხული სტუდენტია...

ცენზორი — რისთვის გამორიცხეს?

მდივანი — პეტრეპურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის. ჰევეჰეაჰჰ გამომსწრო, თორემ უსათუოდ დაიქურდნენ. სამავებოროდ მის ამხანაგებს დაადგათ ცხელი დღე...

ცენზორი — დაიქურეს?

მდივანი — პეტრეპაელებს სიმავგრეში ჩააბრძანეს რამდენიმე თეით. შემდეგ კი ყველანი გამორიკეს სატახტო ქაღალეიდან.

ცენზორი — სმოტრატე, პოეალებს, პა? ვინ არიან ეს დაბერილი ეაგებატონები, ანა ჩამო მითვალეთ...

მდივანი — თითქმის ყველანი, პაეღ ფეოდორი! ნიკო ნიკოლაძე, ვიორგი წერეთელი, კორილე ლორთქიფანიძე, რა ვცი, ყველანი...

ცენზორი — ვოტ ტეჰე ნა! და ასეთი ხალხი სათაეჰეში უდგას ერთნალს! მთელი წელიწადი მავათთან ბრძოლას მოუწდობ. რამდენი წერილი აფურქმალეო, მავრამ რამდენი შეგვაპარეს მათი კარავმულად დაწერილი... არა, კიდევ კარგი, რომ ქართულად იბეჰებოდა ეს ერთნალი, თორემ ცხელ დღეს დაგვაყენებდნენ... ნუ სლავა ბოგელ დღეის იქით გათავდა... მორჩა კრამოლნიკებს და შეოქმულებს ჩვენ ნებას აღარ მიეცემოთ თავიანთი მავნე აზრები გაავრცელონ ბეჰდეით სიტყვის საშუალებით...

მდივანი — ბრძნული გადაწყვეტულაბა, პაეღ ფეოდორი! მართლაც, რად უნდა აიტკივოთ აუტკივარი თავი? ქართულენებისათვის ერთნალი „ციხკარცი“ ზედმეტია, მე რომ თქვენი ვიფო, იმასაც აფურქმალეო...

ცენზორი — მოსმოტრამ! თუ ტეჰეანად არ იქნენ, იმასაც დაეხურავთ. ჰერეჰეობით, ეკეა რომ თქვენს, არაფერს აშევეზენ... მურაბის მოხარშეისა და კომპოსტოს დამეაეების შესახებ წერენ... ენახოთ, თუ რამე გაბეღეს, ტეჰეზე მოვიყვანო... (გარედან ხმარეობა იმის, კარები ფართოდ იღება და შემოდიან ილია, აკეი, ნ. ნიკოლაძე).

სათავე მყინვარის წიაღში (თერგი მყინვარიდან იხადება) და პოეტის მოწადინებულისა, ბუნების ეს ორი სახე ერთმანეთთან უნდა შეხებულა თუ ეს ასეა, რა არის მყინვარის სიგე საქართველოს შინაგან სამყაროში ამართული სახეა. მგზავრს საქართველოს წიაღში მისი ხატი რისი გამომსახველია? რატომ არ შორდება მყინვარი პოეტს და რატომ გამზადარა იგი პოეტის სულში შინაგანი პატივობის საფანი?

ქართულ კრიტიკაში გამოთქმულია აზრი, თითქო მყინვარი ფეოდალური საქართველოს სიმბოლო იყო ან იგი რუსეთის მონარქიის გაყინულ და გარინდებულ სახეს გამოხატავდეს. ერთი და მეორეც მდარი შეხედულებაა. ასე რომ იყო, სარეულ შემთხვევაში მყინვარი „კაცია-ადაშიანის“ ასახველი სიმბოლო იქნებოდა, იგი არ იქნებოდა „დიდებული და შეუბღალავი“, იგი არ იქნებოდა „მშლავი“, მისი გაბღენდა ლარსაბ თათქარობის გამოგეტრე სულს დაემგვანებოდა და „აჩრდილში“ იქიდან არ მოგვევლინებოდა „შხის სხივით გაბჭყინებული“, საქართველოს გულის მესაღელმლე მოზუტი. მყინვარი რომ გაყინული რუსული მონარქიის სიმბოლო ყოფილიყო, მაშინ ხსენებული მოზუტი საქართველოს ამ მწვერეაღდან არ გამოეცხადებოდა, საქართველოს „თანამდევ სული“ რუსული მონარქიის ტახტზე არ ავიდოდა და იქიდან საქართველოს მზრუნველის თვლით ვერ გაღმობიდა. როგორც ვიცით, პოეტი მიმართავდა „აჩრდილში“ მოვლენილ მოზუტს შემდეგი სიტყვებით:

„პოი, საკვირველო კაცო, მითხარი, რად დაიგღია შენ შენი ბინა და ამა მოაზრედ რისთვის ხარ მღვარი?“

ე. ი. „აჩრდილში“ მოვლენილი მოზუტის მყინვარზე დგომა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მოზუტის მყინვარზე დაყენებას, მისთვის ასეთი კვარცხლბეკის შერჩევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორი და, შეიძლება ითქვას, რომ მყინვარი და „აჩრდილში“ მოვლენილი მოზუტის თვისებები ერთსაორია. ამ ორი სახის პოეტური განათება ერთგვარია, მათი ხატების ერთგვარობა ძალიან იდვილი სახილველია და მათ გარეგნობაში ტყუპებისებური მსგავსებაა. პოეტი მოზუტის შესახებ გვეუბნება:

„და მოველია მე კაცი დიდი, მყინვარზე მღვამი მოხუცებული. ვაია ქვევანა, ისე იყო მშვადი, უმჩავი, უხმო, დაფიქრებული.“

თუ შევადარებთ მოყვანილ სტრიქონებს იმ დღილს პოემის შესავალში, სადაც მყინვარია აღწერილი.

„აღმოწნდა მოზუტის ზემოთ მყინვარი, ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ.“

იგივე დიადი, იგივე მკინეზარი,
იგივე დიდებულ და დადუბებულ“.

ვეელსათვის ნათელი გახდება ამ ორი სახის მსგავსება და ერთგვარობა, ხოლო „აზრდილის“ 1859 წლის ვარიანტში ხსენებულ მოხუცს მკინეზარით ტანზე „თეთრი სამოსელი ეცვა“. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ მკინეზარი არა მარტო მოხუცის ვარჯიშობის ასლია, იგი უშუალოდ მამული ბედსაც დამგანებია და ძველი საქართველოს დარად შეყენებულა მისი მალა ღრუვა:

„ქვესკნელ ძალთაგან იგი შთა შედგარად
კის გასარდევად ამოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უცერად,
თითქო განგებით შეყენებულა“.

ხოლო საქართველოს შესახებ მოხუცი გვეუბნება: „მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება, აჲ იგი თითქო თავის ღენაში შეყენებულა“, ე. ი. ისე როგორც ოდესღაც ახოვანი მკინეზარი მიიღებოდა მალა და რაღაც განგებით შეჩერებულა, ისე ახოვანი ჩვენი ცხოვრება მიიღებოდა წინ და იგი თავის ღენაში სხვადასხვა ისტორიული ქართველების გამო დაკნინებულა და შეყენებულა. მკინეზარი რომ უყვადებდას ჰგავს და სიმშვიდის მატარებელია, „მგზავრის წერილებში“ აღნიშნა ილია ჭავჭავაძემ. ხოლო პოეტმა „აზრდილი“ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოხუცი მშვიდი სახით მოველინა მას და იგი საქართველოს უყვადი სულა. მოხუცი რომ ძველი საქართველოს წარმომადგენელია, რომლის უყვადი სული მარადილად მოაქვება საქართველოს, ეს რამდენჯერმე ნათქვამია „აზრდილი“: „წარსულთა დღეთა შენთა მახოვს დიდებულება“. იგი რამდენჯერმე იმეორებს, რომ გულში მაქვსო შენი წარსული. ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: თუ „მგზავრის წერილებში“ და „განდეკალში“ ილია გვეუბნება, „ნუ ენდობით მკინეზარს, უცებ გაწყურება და წამოხეთქება ციდან ნიაღვარსო“, „აზრდილი“ მკინეზარი უფრო მიზიდულია და ახლობელი, იგი ძველი საქართველოს ისტორიული სულის საყრდენია და მისი სიმბოლო. ჩვენი შეხედულებით, მკინეზარისა და თერგის სახით ილია ჭავჭავაძემ შექმნა ერთგვარი ლიტერული გმირები, რომელთა შემეგობით მას უნდოდა განეხილა მთელი საქართველოს წარსული და აწყო და ქართველი ხალხისათვის მომავლის ვაზ დაესახა. მაგრამ ძველი საქართველოს წარმომადგენლად „აზრდილი“ მოგვევლინა მკინეზარზე შემდგარი მოხუცი და არა თვითონ მკინეზარი.

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ რომ საქართველოს კარები შემოაღო, მას თვალწინ დაუდგა გარინდებულ, „დიადი თვით მოსალი მკინეზარი“ და ათროიქებულ, მშფოთვარე და სიცოცხლის ძალ-ღანით სავსე

თერგი. ეს ორი ხატი ძველი და ახალი საქართველოს მთლიანი სახე იყო, ეს ორივე ხატი ერთ შედარაობაზე ამოტივტივლად სიმბოლოებად ეჩვენებოდა „აზრდილის“ ავტორს. თერგი „აზრდილი“ შიკ“ ზუსტად ისეა გამოხატული, როგორც „მგზავრის წერილებში“, ამ სახეს „აზრდილი“ არავითარი ცვლილება არ განუცდია. პოეტსაც უნდოდა ვერცეია, საით მიიღებოდა მკინეზარის წიაღში დამადებულ თერგი და ვაგეო, დიადი მკინეზარი როგორ იფისება თერგის შივარ არჩეულ ისტორიულ გზას. ილიას უნდოდა, რომ მისი დროინდელი ქართველი ხალხის ცხოვრების ღენა დაემშვენებინა ძველი საქართველოს წარმომადგენელს და ძველ საქართველოსაც ილია ჭავჭავაძის დროინდელი ცხოვრებიდან უნდა დასდგომოდა შაჯავანდელი. და, ეტობა, პოეტს პირველად თუ თერგი ახალ საქართველოს სიმბოლოდ ჰყავდა წარმოდგენილი, ძველი საქართველოს წარმომადგენლად მკინეზარი ჰყავდა გამოჩენილი. მაგრამ მას მკინეზარი ძლიერ სტატიკურ და განდგომილ სახედ მოეჩვენა. მართალია, პოეტის მტკიცებით, მკინეზარი უყვლელია ასეთი არ ყოფილა. „აზრდილის“ პირველ ვარიანტში იგი მოქმედებდაში ნაწივებები, „და შთა ურყუევი მძლავარი მკინეზარი ხედა ლავარდსა.“ მას ჰქონდა წინათ მალა სრბოლის სურვილი და საკმაო დონეს შილწია კიდევ, მაგრამ მისი სრბოლა უცერად ცაში შეყენებულა და იგი გაყინულა. ამატომ მას უყვ არ შეუძლია გასაუბროს თერგს, რომელიც მისი პირშოა. იგი გაყინული სიდიადეა და მოძრაობის მშვენიერების განცდა დაკარგვია, მაგრამ წარსულში ქვეყანას ზომ ჰქონდა უყვადი, ე. ი. ხალხური, სული, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და ისტორიას ქმნიდა. ილიას რომ წარსული საქართველო აწმყოსათვის დაეკავშირებინა, ამისთვის დაიწყო საქართველოს ისტორიის ფურცლებში, ქართლის ცხოვრებაში, სოველ-გუჯარებსა და ისტორიულ ქრონიკებში სახალხო გმირის ძიება, გმირისა, რომელიც ხალხის წარმომადგენელი იქნებოდა და თერგის ქვეა:ქვილს და გაქანების შინაარსს გაიგებდა და ცხოვრების ახალ გზაზე მშრომელს შეეშველებოდა. მაგრამ ქართულ მატარებებში მან ვერ პოვა ასეთი გმირი. ჩვენი ისტორიული წიგნები მას მარტო მეფეების ცხოვრების აღწერს თხზულებად მოეჩვენა. პოემის ისტორიულ ნაწილზე ფიქრმა ძლიერ გააწვალა პოეტი და, როგორც თვითონ ამბობდა, „სტავო ვაძარო“.

პოეტს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, წარსულის წარმომადგენლად მეფის ან ვინმე დიდებულის გამოყვანა არ უნდოდა. როგორც თერგის სახეობაში იგი ცხოვრების მაჯისცემას და თვითონ ხალხს ხედავდა, ისე მას უნდოდა წარსულის მატანიეში ხალხის წარმომადგენელი, მებრძოლი, ისტორიული, ხალხურ პიროვნება ეპოვნა და მისი მეშვეობით წარსულიდან თანამედროვეობას გასაუბრებოდა. რადგან პოეტმა ასეთი პიროვნე-

მა ვერ გამოიხატა, იგი იძულებული გახდა ისევ მყინვარის სახეს დაბრუნებოდა. მაგრამ მიხვდა, რომ გარეგნულად სტატიკური მყინვარი ძველი საქართველოს სრულყოფილ სიმბოლოდ ვერ გამოგვადგება, და შან შექმნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ანტილიში“ ძველი საქართველოს სიმბოლო, მყინვარის გაარგვობის მონი ან მყინვარის გასულიერებული ხატი. მწვერვალზე მოვლენილი მოხუცი, რომელიც თერგავით მყინვარის წიაღშია აღმოცენებული. ეს მოხუცი რომ ძველი საქართველოს წარმომადგენელია, ნათლად გამოსჭვივებს პოემის მეშვიდე თავში, სადაც ნათქვამია: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უცდავი სული“, „წარსულთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება“ და სხვა. ხოლო 1859 წლის ვარიანტიში იმარდობარ ნათქვამია: „შენ ამ ქვეყნად მოსულსა ხარ, ჩათა შამათ ამაგი ქართველისა შეილა გასამხნეველად მთიდან ქართვო“, ე. ი. პოეტისათვის წარსული დღევანდელობის გამართლებაც უნდა ყოფილიყო... და სხენებულმა ლირიკულმა სიმბოლომ თითქო მითიური სახე მიიღო და ილიას დროინდელ საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩაერია, ქართლის ბედის გამოქცევაში სცადა თავისი ღრმა გამოცდილებითა და დაკვირვებით დახმარებოდა ახალ თაობას.

წარსული და დღევანდელი საქართველოს შორის ორგანული კავშირის ძიებამ პოეტი აშკარა ლირიკულ სქემამდე მიიყვანა. ამ კავშირის გამოსახატავად ილიას შთაგონებით შექმნილმა, მყინვარზე მდგარმა მოხუცმა განიხილა მთელი მამინდელი საქართველო, თითქო ილია, როგორც ვინჯილიუსი, მიუძღოდა მოხუცის მზერას და უჩვენა მოხუცს ჯოჯოხეთი, საღბინებელი და მომავლის სამოთხის შესაძლებლობა. საქართველოს „უცდავამ სულმა“, ე. ი. ძველი საქართველოს სიმბოლომ, მყინვარზე მდგარმა, თითქო გაიგო ვიდრე, რომ „მოძარაბა და მარტო მოძარაბა ყველაფერი“. როგორც ვიცობ, მოხუცს ატერობა მთელი საქართველო უჩვენა და ეს არი, მისთვის საყვარელი, არსება — თერგი და მყინვარი — ერთმანეთს დაუახლოვა, ახალი საქართველო ძველი საქართველოს თვალთახედვაში გაატარა. უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ჩატეხილი ხიდი არ მოსჩვენებია პოეტს. მოხუცი უძრავოდ თერგის მოწინააღმდეგე კლასის წევრი კი არ იყო, პოეტის წარმოდგენით, არამედ ის იყო „საქართველოს უცდავი სული“, რომელიც „მარად და ყველგან საქართველოს თანსდევდა“. პოეტი მოხუცის მეშვეობით, თუ მოხუცი ილიას მეშვეობით ეჭმბდა მოწინავე სახალხო მოღვაწეს მამინდელ საქართველოში. „ანტილიშიც“ ხალხის ზრახვების გამგები საზოგადო მოღვაწის ძიებაში პოეტმა მთელი მამინდელი საზოგადოების ცხოვრება დაახასიათა და მონახა ქართველი ხალხის მოწინავე ძალა, ხალ-

ხური საზოგადო მოღვაწის მოვალეობანიც შეიმუშავა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თითქო დროზე ასეთივე პოეტური აზრზე იყო დაფუძნებული ნინო კოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ბარათაშვილსაც უნდოდა ეჩვენებინა ხალხური თვისებებით აღჭურვილი საზოგადო მოღვაწე, ქვეყნის ზრახვებში ჩაშვდომი სახელმწიფოს ზელმძღვანელი, და მისი შთაგონება თითქო ერეკლე მეორის პიროვნებაზე შეჩერდა. მაგრამ ნინო კოლოზ ბარათაშვილმა ეროვნულ საკითხზე ხალხის ნამდვილი გულის ნადები სოლომონ ლეონიძის მეშვეობით — სოფიოს ათქმევინა:

„უცხოებაში რაა სიამე...
 სადაც ვერვის იკარებს სული...
 და არს უფიფიო, დაობლებული?...
 რა ხელ მკრის პატვის ნაზი ბუღბუღი
 გალიაშია დატყვევებული...
 ესრეთ ჩას არგებს კაცსაც დიდება,
 თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ხოლო ილია ქვეყნაქემ „მგზავრის წერილებში“ სოფიო ლეონიძის ზემომოთყვანილი სიტყვებში მოხვევ ლენიას გაამერებინა და მოხუცი კილიათი ათქმევინა: „ჩვენი თავი ჩვენადღვე ვეყუდნესო“. ამჟამა, მოხვევ ლენიას შეხედვლება ეროვნულ საკითხზე ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ პოეტურ საშუაროშია აღმოცენებული.

მყინვარზე მოვლენილი მოხუცი პოეტის სულის ხალხური ისტორიზმის ანარქელია, იგი ძველი საქართველოს სიბრძნეა და მისი სახალხო გმირია. მართალია, ილია ქვეყნაქემ თერგის სულის შესაიდუმლება, მაგრამ მოხუცი „ანტილიში“ თერგთან თითქმის შეთანხმებულია. „მოხუცს გარშემო შევირდნენ მთან და მის ფეხთა ქვეშ თერგიც გაეყვდა“. თვითონ ილია ქვეყნაქემ თერგის წარმომადგენელი იყო, მას მყინვართან მიახლოება თერგის მერ გაკვალული გზით უნდოდა და ამიტომ ეჭმბდა იგი საქართველოს ისტორიულ წარსულში სახალხო ხასიათის საზოგადო მოღვაწეს. ამგვარად, მგზავრის წერილებში და ანტილიში ლირიკულ ყალბთ დახატული მყინვარის და თერგის სურათი, ამავე დროს, ეროვნული ცხოვრების პლასტიკური სახეა და ძველი და ახალი საქართველოს საბილველი თარგია. სხენებულ პოემაში ეს ლირიკული სქემა ერის მთლიანი სახის მხატვრულ აღგენის ემსახურება, ილია ქვეყნაქემის სხვა, სოციალური უკუღმართობის ამსახველ ნაწარმოებებშიც ასეთივე სიუჟეტური სქემა ვითარდება. „კაკო ყაიალი“, „გლახის ნამშობსა“ და „ოთიარანთ კჭიავში“, სახეები ასე ორ წყებად განლაგებულია და ყველაფერი მყინვარის ჩრდილითაა დაშვებებული. ეს სქემა პოეტმა თავისი ფილოსოფიური მინიარის პოემა „განდევილიშვიც“ გამოიყვანა. პოემაში ცხოვრებიდან მოწვევითი განდევლისა

და სიკაცხლის მოყვარული მწყემსი ქალის შეხვედრა იგივე მყინვარისა და თერგის შეხვედრაა. მაგრამ ამის შესახებ ჭეშმით იქნება საუბარი.

მოუხედავად ამისა, რომ „აჩრდილში“, ერთი მხრივ, მოხუცის სახით ლირიკული გმირია გამოყვანილი, ხოლო, მეორე მხრივ, ნამდვილი ყოველდღიური ცხოვრება აღწერილი; და ეს თითქო ერთგვარი სტილისტური აღრევის მომასწავებელია, მაინც ავტორმა შეძლო თავისი მღვღვარე მონოლოგებით ორგანულად დაეკავშირებინა ეს ორი სიმბოლო და პოემის შინაგანი სამყარო ერთი სელოვრი ამოძახილით აღევსო. მყინვარზე გადმოსვლარა მოხუცის სიტყვებით და საკუთარი მონოლოგი ავტორმა შეძლო „აჩრდილს“ შინაგანი სამყარო შეითხველისათვის მთლიანი მხატვრული სახით წარმოედგინა. შაბილაჟ, „აჩრდილში“ აღწერილი ბუნების პლასტიკური სურათები, წმინდა პებლიცისტური მანერათ დაწერილი სტიკიონები და ლირიკული გადახვევები ისე ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ პოემაში მიღწეულია კლასიკური მთლიანობა.

ამ პოემაში ნათლად გამოქვდა ილია ჭავჭავაძის პოეტური ბუნება. იგი, ერთი მხრივ, შოგველია, როგორც წარსულის რომანტიკოსი და, მეორე მხრივ, თავისი დროის სინამდვილად გატაცებული შემოქმედი. ილიას ნაწერებში მიმდინარე ცხოვრების აქტური სუღა აღგებლია. მისი სიყვარული წარსულისადმი — იგივე ხალხისადმი სიყვარულია. მისი წარსულის რომანტიკა მდებარეობს და ხალხური სულის მატარებელია, როგორც ვთქვით, იგი ისტორიულ წარსულში შეფეხვის ცხოვრებით ვი არ არის გატაცებული, პოეტმა იცის, რომ „აჩრდილში“ თერგის თანამგზავრად შეფის გამოყვანა არ შეიძლება, რადგან შეფისათვის თერგის ხმარობაც ვაუფებარე იქნება, ხალხის ცხოვრების რაობა წარსულშიც ისევე ხალხის შეიღმა უნდა აწონ-დაწონოს და გზა მომავლისაკენ ახალ თაობას მიანე უნდა გაუვლიოს.

განსხვავებით ავკი წერეთლისაკენ და, განსაკუთრებით, გრიგოლ ორბელიანისაკენ, ილია ჭავჭავაძე ანალიტიკური პოეტური აზროვნების შემოქმედი. „აჩრდილს“ ავტორს ეს თვისება ნაწილობრივ ბარათაშვილმა უანდერძა. თუ ეს ანალიტიკური გონების თვისებები „ბედი ქართლისას“ ავტორის პოეზიაში შეტყუებულია ლიტერატურულ სუღვარ აღმოჩენისთან და ლირიკული გმირის ელგვიურ ნათვრალთან, ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ეს თვისება უფრო ლაბილარულად არის გამოქვდაებული და მისი გოლიათური სუღის ძალა ამ დაუბრუნებელ, კრიტიკულ მხატვრულ აზროვნებაშია გამოვლენილი. ეს გამჭოლავი პოეტური აზრი ვლინდება მის სატირულ და პაფლტურ ნაწერებში, პებლიცისტური გრძნობით ვაღენიოლ პოეტურ სტიკიონებში და სოკიალური ბორატების მამხილებელ მებრძოლ

ლექსებში. მისი მალალი ტალანტის სხვებულთ თვისება ყველაზე მეტად და სრულყოფილად გამოქვდა ილია ჭავჭავაძის პოემაში „აჩრდილში“. ამ პოემაში ავტორმა ვანხილა მამინდელი საკუთრევის ყველა ფენა, კრიტიკის ქარცხელში ვატარა ხატონი, ვაქარი, მღვდელი, რიგითი საზოგადო მოღვაწე და შეკფიოდ დაანახვა მკითხველს მშრომელი ხალხის ტვირთმძიმე ცხოვრება, მადურად დაასურათა მამინდელი საზოგადოების შინაგანი კილილი და დასეა საკითხი შრომის ვანთავისუფლებიანა. პოეტმა თავისი აზრები ხშირად გამოხატა არა სახეებით და, საერთოდ, პოეტური სამკულებით, არამედ პარადპირ ვარიოთული სტიკიონებით, მაგრამ, მოუხედავად ამისა, პოეტური აზრის შეუნელებელი მღვღვარებით. დიდი ემოციური და ვანუმეორებელი სამყარო შექმნა. ვარიოთული სტიკიონებითვე უთბრა საქართველოს — „ვიდრე ძე შენი არ ვაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე აღზიდულ, ამალელებული კვეთი არ ვანსკერტავს საზოგადო ცხოვრების დენას“, იქამდის შენ ვერ ამალელებია.

ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ ადამიანი, პოეტის ლირიკული გმირი დაბალი ფენის დუქტორი ცხოვრებით მეტად შემოთოხებულია. ამ ფენის გონებრივ ამალეებას უნდა მოესხნა საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობა. ამიტომაც „აჩრდილში“ პოეტი მოუწოდებდა ქართველობას, შეეცნო საზოგადო ცხოვრების დენა და ეროვნული და სოკიალური ჩავერის წინააღმდეგ ვრთდროულად ებრძოლათ. მაინც „აჩრდილში“, უპირველეს ყოვლისა, შრომის ვანთავისუფლების აუცილებლობაა აღიარებული:

„შრომისა ახსნა, ეგ არის ტვირთი,
ძღვეამოსილი ამ საყუენის,
ხალხთა დეღვისა დიდი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგარადა ბრძენის“.

ანდა:

„ვეღარ ვანძღვებს ქვეყნის მმართველი
ქვეშაიტებით აღძრულსა ბრძოლს, —
და დიშმხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების“.

ილიამ, როგორც დიდმა რეალისტმა მწერალმა, „აჩრდილში“ დაბატა მამინდელი ცხოვრების ხატვასული სინამდვილე, დაევიხატა კლასობრივი ბრძოლის სურათები და შრომის სუღვეის აუცილებლობა აღიარა. შრომის სუღვეის შედეგად უნდა დაწყებულიყო ახალი, პარწონიული პიროვნების დორმაცია.

პოეტის აზრით, ხალხის სოკიალური ტვიღლების ვანერტებას მოქვეება ქართული ხალხის ეროვნული აღორძინება. პოეტის ფიქრით, მშრომელი ხალხის აღორძინება არის საფუძველი სამშობლოს მომავალი სიდიდისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საწინარეობი სა-

კობის გადაწყვეტა თვითელი საზოგადო მოღვაწის წინადა ზატაროტელი მრეალებობა. ილიას წარმოდგენით, როდესაც განთავისუფლებმა შრომა, მაშინ გუთონსდედის სიმღერაც ტბილ ლოცვალ მოეფინება ბუნებას:

„მინდორნი, ტყენი, სახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტბილ სიმღერას ბანს გამოსცემენ“.

ილია ქვეყნაძის პოეზიაში ბუნების ამსახველი სახეები პოეტის იდეების მატარებელია და, პოეტის შეხედულებით, ბუნების წიაღში უნდა აღიზარდოს სრულყოფილი პიროვნება. ბუნება პოეტის გულის შესაძლებლად, არაგვის პოეტური აღწერა უკავშირდება საქართველოს წარსულ ცხოვრებას და არაგვის ტალებების ხმაურში პოეტს ესმის მამულისათვის თავდადებულთა მქუხარე ყოვანი. ეს დიდი ნდობა ბუნებისადმი თითქო საქართველოს შთაბარის სიმშვენებრებს გამოუწვევია:

„თქვენ გარს მაღლითა საგვებუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი“.

პატრიოტული გრძობის ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს მომხიბლავი ბუნებაც არის. მუნიფარზე მოვლენილი მოხუცი გვეუბნება — „საქართველო, ხმელთის თვალი“ არისო და „დიდი სამოთხის ერთი კუთხე პატარა“. მისივე განცხადებით, „ქართულთა სამყიდრო მჭეუნის თვალად დახადებულა“, ხოლო ეს მომხიბლავი ბუნება ქართველი კაცის ამბლდებისა და სულეზრად ვამიღდრების საწინდარია. ბუნებასთან ახლო მდგარი საზოგადოებრივი ფენისათვის პოეტს განსაკუთრებული სიყვარული და გულის სითბო მიუძღვნია. ბუნებასთან ახლო მყოფი ფენა, პოეტის აზრით, დაბეჩაფებული გლეხობა იყო. კაცობრიული სიმართლე ამ გლეხობის მხარეზეა. ბუნებასთან ახლო მყოფმა გლეხობამ ბუნების მიერ მინიჭებული სულიერი სიფაქიზე უნდა შეინარჩუნოს და ინტელექტუალური ამბლდების მჭეუობით ახალი სრულყოფილი ადამიანი უნდა გახდეს.

მყინვარის და თერგის წიაღში მოხუცის გამოცხადებამ, მოხუცის შიერ თერგის ყოველდღიური ცხოვრების განქვერტამ, ამ ორი სიმბოლის შერწყმამ საქართველოს წარსული და აწმყო დაახლოვა და ასე გამოაქვრტა ბუნებამ „აირდილის“ კომპოზიციური ჩარჩო შექმნა, თითქო პოემის შინაგანი დრამა მხატვრულად შეიკრა და გამოკვეთილ კომპოზიციაში მოექცა. საქართველოს ბუნების სურათებმა საყრდენი მისცა მყინ-

ვარზე მოვლენილ მოხუცის მონოლოგსაც. „აირდილი“ გამოსახულ იქნა მჭეუქვერტეს მოხუცის და თერგის სულიერი მჭეუქვერტეს მოხუცის „აირდილი“ აღწერილი კარგი დღე, მოხუცის გამოინენა, მისი პატრიოტული დადადისი, ტაროსის ცვალებადობა, ღრუბლების გადაღების შემდეგ ისევ მყინვარზე მოხუცის გამოინენა პოემის ქმნის პოეტის სულის ერთგვარ შესიკალერ მომოქცევის და, ამავე დროს, მხატვრული ერთიანობისა და მთლიანობის შთაბეჭდილებას.

მართალია, პოემის კომპოზიციური ჩარჩო საქართველოს ბუნებით არის შემოფარგლული, მაგრამ „აირდილი“ აღწერილი ღირსიკული გამოიბრ არ არის მარტო საქართველოს შინაგანი ცხოვრებით შემოზღუდული. ილია ქვეყნაძის მიერ „აირდილი“ დაბატული ადამიანი არის ქართველი მსოფლიო მოქილაქე. ილია ქვეყნაძეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მისი ხალხი მაშინ ვახდებოდა თავისი ბედის მესვეური, როდესაც სხვა ხალხთა ბედნიერებაც მომთვებული იქნებოდა. „აირდილის“ გეოგრაფიულ არეს დიდი კომპოზიციური მნიშვნელობა ჰქონდა პოემისათვის და ილიას ეს საშუალებას არ აძლევდა, დაერღვია ერთგული ზღუდე და ამ გეოგრაფიული არიდან სხვა მჭეუქვერტეში გადაებუნა მინც, როგორც ვიცით, „აირდილის“ აღრინდელი ვარიანტებიდან ილიამ ამიერკავკასიის ერების ბედნიერებას დაუკავშირა თავისი ხალხის ბედნიერება. როგორც უკრაინელი ხალხის მომღერალმა ტარას შევჩენკამ პოემა „კავკასიში“ გამოუცხადა დიდი თანაგრძნობა კავკასიაში მებრძოლ მთიელებს, ისე ილია ქვეყნაძემ „აირდილი“ და „ქართულის დედამში“ გამოამტა კავკასიის მომზე ხალხებისადმი სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობა. პოეტმა მთელი კავკასი წამოაყენა და ამიერკავკასიის ხალხთა მშობას ბრწყინვალე სტრაქიონები მიუძღვნა, და არა მარტო ამიერკავკასიის ხალხების, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობის ტკივილები და სიხარული ილიას პოეტური შთაგონების წყარო იყო. ვარიბაღდის ბრძოლები იტალიაში ილიას აღერთოვანებას იწვევდა და საქართველოდან იგი ესაღმებოდა იტალიელი ხალხის საყვარელ გმირს. როდესაც 1871 წლის 23 მაისს პარიზის კომენა დაეცა, „აირდილის“ სურათებში ვახლართულმა პოეტმა უდღევსი სიყვარული და სიამბოლე იგრძნო პარიზის კომენარებისადმი და სისხლში ამოღებული კომენარების დროშას გულიდან ამოხეტილი თანაგრძნობის სიტყვები მიუძღვნა.

თითქო მისი ნათელი და შეუპოვარი სული „აირდილი“ აღწერილ ბუნების კარიბჭესთან, ქართველი ხალხის სადაბაჯოზე იდეა და საქართველოს წინააღმდეგ ბნელი ძალების ვეღლა შემოტევის აცამტეგრებდა, მამა-პაპათა მიერ ჩაკერულ ბურჯებზე მომავლის ხილს აშენებდა და თავისი ხალხის საარსებო პურს მკიდა საყეთარი გუთნით ვატებოლ ყამირზე.



„არამდენიმე სურათი“ და „განდგობა“

როგორც ზემოთ დავინახეთ, „აზრდილი“ ავტორმა გვიჩვენა მამინდელი ცხოვრების მუქი ფერებით შესრულებული სურათები, ან, უკეთ, პოეტმა აღწერა მამინდელი ცხოვრების საივ-გარეშე და ამათ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულიერი მობილიზაცია მოახდინა. „აზრდილი“ მან გვიჩვენა ერთგული და სოციალური დრამის მდგომარეობანი, გარემოებანი და ავტორის ლირიკული განსჯანი. მართალია, პოეტმა თვითთელი საგანი და მოვლენა განსაკუთრებული „არაკურსით“ გაანათა, მაგრამ ტიპებისა და ხასიათების გამოძიებრა მინაც ასეთი ლირიკული ხასიათის პოემაში ვერ მოახერხა. პოემაში გადაშლილი სურათების საფუძველზე მერამე გახდა შესაძლებელი მიმდინარე ცხოვრების ტიპიური სახეების და ხალხის ბრძოლის ამსახველი ხასიათების შექმნა. პოეტის მიერ შექმნილი ეს სახეები „აზრდილის“ ერთგვარი ვაგრაჟელებია და ამავე დროს, პოემაში დასმული საკითხების ახალ მხატვრულ ხარისხში აყვანა.

ილია ქავჭავაძემ გამოთქრა ქართულ პოეზიაში ნამდვილი ხალხური სახეების და სიუჟეტების მატარებელი პოემები და ლირიკული ესკიზები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „კაკო ყაიხი“, „ქართლის დედა“, „გუთნის დედა“, „მეშა“ და სხვა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქო აღნიშნული სახეები აღმოაჩენდნენ „აზრდილს“ მთლიან სამყაროში და მათი მხატვრული ფესვები „აზრდილშია“ პირველად ჩასახული. არა მარტო ზემოთაღნიშნული პოეტური ნაწარმოებები, არამედ მისი უბადლო მოთხრობები — „ხალხის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „კაცია-აღა-შაანი?“, მისგ მრავალი ბრწყინვალე პუბლიცისტური წერაღის საწყისები მოცემულია სწორედ „აზრდილი“ში. თითქო სხენებული ნაწარმოებები ჯერ კიდევ აღრე წარმადგენდნენ პოემის დეტალებს, რომლებშიც დამოუკიდებელი პროცესში დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა მიიღეს, საკუთარი მხატვრული ცხოვრება დაიწყეს ქართული პოეზიის მრავალფეროვან სამყაროში.

ზემოთაღნიშნული ლექსები და პოემები მარტათა ცხენებით მისდევენ „აზრდილი“ში გამოკვეთილ შესანიშნავ პოეტურ ესკიზებს. ხშირად აღვნიშნავთ „გუთნის დედას“ და „კაკო ყაიხის“ მხატვრულ სამყაროს მიეკუთვნება. დიდი ოსტატის ხელით გამოძიებრა ჩვენი ხალხის წილში შემხენული და გაზოგადებული, დავიწყური ტიპები და ხასიათები.

ილია ქავჭავაძე, როგორც მხატვარი, მთავარ ყურადღებას აქცევდა აღსაქმელი მოვლენების, სახეების თუ ადამიანების შინაგან ენერჯის და ცხოვრების თვითთელ მოვლენაში მოშავლის ფესვებს ეძებდა. მართლაც, კაკო, ზაქრო ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, ქართლის დედა, გუთნის დედა და სხვები მხატვრული არიან იმ დიდი შინაგანი

შემოქმედებითი ენერჯისა, რომელიც მხატვრის წერილებში ავტორმა თერჯის სახეობაში დაინახა.

პოემა „აზრდილის“ მეთორმეტე თავში პოეტმა აღწერა მოკლედი, თუ რა მძიმე კაპანს ეწევა მშრომელი ადამიანი და როგორ მიიქვს მისი სარჩო-საბადებელი ბატონს და თვითონ ჭირნახელის მოშვენი მშვიერი რჩება. პოეტმა შინაგანი ამ დაბნელებულ გულჯაკის შემდეგი სტრიქონებით:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძეძუდგან შეიღსა ავლუჯენ,
ვინ იცის, სიღამ სად გაჰყვიღან,
უწმინდურისა ხელითა სოსრიას,

დედასა გულში უკეთესს გრძნობას.
ოცდვად უთელიან შეიღსა ტრფობას.
თუ ლეჩრთმა მისუა შესსა ასულსა
სიღამაზე და მშვენიერება...
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყვიღან,
ნამუსს მოუკლენ შეუბრალებლად...
გახდიან ყვაიღის ფეხქვეშ სათრეულად“,
და სხვა.

ამ სტრიქონებში აღწერილია ბატონყაობის ვაჟს არსებული გულჯაკის გაუხარელი ცხოვრება. პირველი ოთხი სტრიქონი ავტორს შეეძლო პოემა „კაკო ყაიხზე“ ემაგრავად მიეწერა, ხოლო დანარჩენი სტრიქონები „გლახის ნაამბობის“ შესავალი ყოფილიყო. „აზრდილის“ ზემომოყვანილი სტრიქონები ერთგვარი შესავალია „კაკო ყაიხის“ და „გლახის ნაამბობისა“. ამ პოემაში და მოთხრობაში უკვე ცხოვრების ტიპები შექმნილი და სრულყოფილი მხატვრული სურათებით დასაბუთებულია „აზრდილი“ ქართულ სინამდვილეზე გამოთქმული მოსაზრებები. მამინდელი ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები და მათი შეფესება, რაც „აზრდილი“ში შინაგანი ლირიკული მონოლოგითაა აღქმული, „კაკო ყაიხი“ში წარმოდგენილია როგორც ამავე, რთგორც ლექსად თქმული ეპიკური სამყარო.

„არამდენიმე სურათი“, უპირველეს ყოვლისა, რეალისტური ნაწარმოებია თავისი მიზანდასახულობით და სინამდვილის მართალი ხილვით, მაგრამ პოემა მაინც შეფერულია ხალხური რომანტიკით. ზაქრო და კაკო ხალხის ოცნების მატარებელი გმირებია. პოეტმა მეურმისა და ზაქროს შეხვედრაში შეადიოდ გვიჩვენა, რამ მეურმის იდეგია ზაქრო, — ზაქრო ხალხური გმირია, რადგან ზაქროსა და კაკოს შეუძლიათ შეუბრძოლონ საკუთარ ბედს და გადაედგნენ არსებულ სოციალურ უკუღმართობას, ხოლო მეურმე სიტყვის გულშივე კლავს და რჩება მძიმე უღრესში. ზაქროს სულიერი კედრბრაც შემოქმედებლია

ხალხს წიაღში და ბუნებასთან სიახლოვეში. ზაქრომ პირველი ტყვილეუმი განიცადა, „როდესაც ბატონმა ხალხს მოაშროა“, მაგრამ მალე ბუნების წიაღში ნაგარდმა პოემის გმირს დააეწეა თავისი ბედი და ათქმევინა:

„ქაში! რა ტბილად, რა უღარდულად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ...
ჩვენი ზუმრობა, მღერა, სიცილი
ხეხედა მძინარ ფრინველს აფროზობდა“.

პოეტმა გვიჩვენა ზაქროს სიახლოვე ბუნებასთან, დიდი ოსტატობითა და პოლანდიური პეიზაჟების გვირად დავგისურათა ზაქროს ბავშვობის გარემო. ბუნებასთან სიახლოვე და არსენას ზღაპრები (მას რომ მოესმენია ტოლ-ამხანაგებში) აღძვებდა ზაქროს პიროვნებაში თავისუფლების წყურვილს და მას ბრძოლის სურვილს უნერგავდა.

„ილია ქავჭავაძის აზრით, ბუნება უნერგავდა სილამის გრძნობას მშრომელ კაცს და პიროვნების სულიერი გაფრთხილებაც ბუნებასთან სიახლოვის შედეგი იყო. პოეტის თქმით, როცა „ალაზნის შეუპოვარი“ მეურნეს უყურებდა, „სიიოდა, თითქოს კაცს ემღერებო“, ზოლი თავისუფლების მოყვარულმა მხედარმა როდესაც

„... მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ღაბათაინმა,
გაფრინდა ცხენიც, ვით შევარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა მთაში“

ბუნება თითქო ემბურებოდა მებრძოლის ცხენის ფეხისხმას და თანაურგნობდა კიდევ. ბუნებასთან სიახლოვემ და არსენას ლექსში გამოთქმულმა ხალხის ზრახვებმა შექმნეს ზაქროს და კაკოს სულიერი კულტურა. ხალხის სულიერმა კულტურამ ამაღლა და გვირად ვაზადა ორივე მებრძოლი. ხალხური კულტურით შთაგონებული გმირები უტეხი ნებისყოფით აღუდგნენ ბატონობას და ბუნების წიაღს მიაშურეს იქ, სადაც:

„კვდი-გორასთან ერთი ტყე არის, —
უწინ ყაჩაღის იყო საფარი,
სამიში, ბნელი, გულდახურელი,
შეუვალი და წამობურელი.
იქა ცხოვრობდა ბლაქიაშვილი,
კაკო ყაჩაღად გამოვარდნილი“.

პოეტის მიზანი ამჟამად: ბავშვობაში ბუნების თავისუფლებას ზიარებული ზაქრო, შემდეგ გამოკეცული ბატონის კლანებიდან, ისევ ბუნების წიაღში ბრუნდება. ზაქრო და კაკო, მსგავსად შილერის ყაჩაღებისა, ბუნებას შეფარებულნი ებრძვიან მამინდელ სოციალურ ბორბტებას. ზაქროს მოხუცი მამაც ვაეკაცურად შეებრძოლა მშრომელი ადამიანის ღირსების გათვალის

ცდას ბატონყმურ სინამდვილეში, შეებრძოლა ბატონყმობის უღელს და გამოავლინა დიდ კეთილშობილება და ადამიანური ღირსების გრძნობა. ამით ავტორმა ადამიანთა უმარტობისა და ადამიანთა გაბედულება იქილავა. პოემაში — „რამდენიმე სურათი“ ილია ქავჭავაძემ არა მარტო ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლო სიტყვა თქვა, არამედ პოეტმა გამოიქრწა, ავტოთვე, ზაქროს, კაკოს და ზაქროს მამის სახეებში ფაქიზი, მაღალი ზნობის მქონე კეთილშობილი და ამაღლებული სულიერი კულტურის მატარებელი ხასიათები, დეპირისისა და ისინი გონებადამსულ ფეოდალური წრის წარმომადგენელს და თავისი თანაგრძნობა და სიყვარული ხალხის წარმომადგენლებს მიუძღვნა, ამ ადამიანებს მიბაყრო მოსიყვარულე თვალი და მომავლის იმედი მათში დანახა. ეს პოემა დამწერილია ბატონყმობის გადაგდებად, 1860 წელს, მაგრამ პოემაში უფრო ადრინდელი სულიერი განწყობილებაც არის გამოხატული. აქ გამოვლინებული მხატვრული საყვაროს დადგენას და მოწიფებას სჭირდება არა ერთი და ორი წელიწადი. შემოქმედის სულში ასეთი სახეების და ხასიათების ზოცი-შესხმას ხანგრძლივი დრო უნდა, და ეს პოემა პოეტის სულში სიკაბუჯიდან ყოფილა შემზადებული. პოემას — „რამდენიმე სურათი“ საფუძვლად უდევს მრავალი და მრავალი მოვლენა ჭარბიველი გლეხკაცის დღეჭირი ცხოვრებიდან, რომელიც პოეტის თვალთ ადრე ყოფილა შემზადებული და გულთ განცდილი. თანაგრძნობა ხალხის ღირსებულ შეიღებულად ილია ხნის წინ მოწიფებულია პოეტის შთაგონებაში და ეს გრძნობა მისი მუხის თანდაყოლილი თვისება გამოხატა. პოემა „რამდენიმე სურათი“ არა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ იგი მშრომელი ადამიანის ღირსებისთვის მებრძოლი სულის გამოხატულება ნაწარმოებია. არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ „რამდენიმე სურათი“, ან, როგორც ხალხი უწოდებს, „კაკო ყაჩაღი“ პირველი პოემაა ქართულ პოეზიაში, როცა დიდი ეპიკური ხასიათის პოეტურ ნაწარმოებში შთაგონებულ მშრომელი გლეხობა გვევლინება. პირველად ილია ქავჭავაძემ დიდი მოცულობის ნაწარმოებში დაბეჭდებული მშრომელი ხალხის ღირსებულ შეიღები გამოიყვანა. პოეტმა მწერლობისათვის უჩვეულო ყამირი გატეხა და ახალი საყვარო შემოიტანა ქართულ სიტყვათმულ მწერლობაში. მართალია, არის ერთადერთი გამოინაკისა ქართულ პოეზიაში: ადრე, მეფობამეტ საუკუნეში დავით გურამიშვილმა პოემაში — „მხიარული გაზაფხული“ ასახა ქართველი მწვემსების ცხოვრება და ერთგვარი ბუკოლიკური სურათები შექმნა. მაინც დავით გურამიშვილმა ვერ შეძლო, და ვერც შეძლებდა, მეფობამეტ საუკუნეში, დიდ სოციალურ ქვილიში ეჩვენებინა თავისი ღრთის გლეხობა და მათი ნამდვილი სრულყოფილი ცხოვრება მხატვ-

რულად აღედგინა. ილია ქვეყნაძემ კი პირველად დიდი ოსტატობით დაგვიხატა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოხული შრომელი ქართველი ცოცხალი და თავისებური რეჟოლუცია მოახდინა მთელი ქართული პოეზიის დემარტიკურ სამყაროში.

ამ თემატიკურმა და თემატიკურმა სიახლემ თავისი გამოხატულება პოემა თვით პოემის მხატვრულ ქსოვილში და პოეტური ინტონაციაზეც თავისებური გავლენა მოახდინა.

პოემა „ჩამდენიმე სურათი“, ისე როგორც „აჩრდილის“ პრავალი თავი, დაწერილია ათმარტივილიანი ჯგერედინად გარითმული სტრიქონებით, მაგრამ ამ პოემის ინტონაცია, მეტყველება უფრო უშუალოა და ხალხური, ვიდრე „აჩრდილის“ მხატვრული საწყარო და მისი სალიტერატურო ენა. „აჩრდილის“ სიტყვიერ ქსოვილში იგრძნობა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ხელშესახები გავლენა, შემთხვევით არ ჰქონდა „აჩრდილის“ პირველ გარიანტს ეპიგრაფულ წარწერაში მეფე დავითის ფსალმუნის სიტყვები. პოემის ლექსისა და ინტონაციის მწიგნობრულ არქაული იერა „აჩრდილში“ პოეტური მასალის თვისებით არის ნაკარნახევი. ასეთი არქაული მხატვრული წყობა პოეტს დასჭირდა, რათა მყინვარზე მოხეტის გამოცხადებას ბიბლიური იერა ჰქონოდა და მისი პატრიოტული დაღაღისი გარეგნულად წინაწარმეტყველის ქდავებას და გვერდობდა „აჩრდილში“ აღწერილი ბუნების სილამდეს შექმერის სწორედ ასეთი ამაღლებული ინტონაციის მქონე პოეტური მეტყველება.

პოემაში — „ჩამდენიმე სურათი“ უხვად გაბნეულია ხალხური თქმები, ანდაზები, ხალხური ანეკდოტები... „რომ ბედში მყოფი შენ ძმად შეგანდეს, იც ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, ეკის ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაწარგულია“. ან კიდევ: „გულს გული იცნობს და ღონეს ღონე, მენდე გაგიყო ჭირი და ღუნა“; „შენი გამჩინის ჭირი, შენი“; „მოწონს იც სიტყვა, შენც მომწონე და ამისათვის გენდობა შენი“, და სხვ. მოყვანილ სტრაქონებში ჩვეულებრივი სასაუბრო სიტყვიერი მასალა აყვანილია მაღალმხატვრულ, სალიტერატურო ენის ხარისხში და, ამავე დროს, შენარჩუნებულა მეტყველების ხალხური სისადავე, სილაღე და ფრთხილობა. პოემაში — „კაკო ყაჩაღი“ ლექსიერი მასალით, ხალხური თქმებით, ხალხის სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი შეძახილებით შექმნილია სალიტერატურო ენის ხალხური კოლორიტი და პოეტური ინტონაციის სიახლე. მართალია, ეს პოემა ხალხური იერის მატარებელია, მაგრამ არსად მას სტილიზაციის ნიშანი არ ატყვია, იგი დაწერილია მკაფიო კლასიკური ფორმით და დიდი შინაგანი მღელვარებით.

ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ შრომაში — „ილია ქვეყნაძის პოეტური მემკვიდრეობა“ ეწერდით „კაკო ყაჩაღს“ და ხალხური პოემის — „არსენის ლექსი“ შორის არ-

სებელი ნათესაობის შესახებ. ამ პარალელურზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში შედგინი იდრეც ყოფილა საუბარი. თემატიკურ სურათში დენიმე სურათში“ ჩამდენიმე იხსენიებს არსენის ლექსს... როგორც ზემოთ ითქვა, ზაქარი და კაკო არსენის პიროვნებით გატაცებული ყოფილენ, მაინც ამ ორ ნაწარმოებს შორის განსხვავება მეტია, ვიდრე ნათესაობა. სიტუაციის არაი „ჩამდენიმე სურათში“ სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე „არსენის ლექსის“ ამბავი. არსენის ლექსში სიტუეტი ვითარდება ერთი პიროვნების გაჩემო და არსენა ნაწევნებია პოემაში როგორც ნაწილობრივ ბოქმური ხასიათის მატარებელი გმირი. მართალია, არსენა ქართველი შესტვირის ლირიკული გმირია, ხოლო ილია ქვეყნაძის პოემაში გამოძერწილი სახეები უფრო ეპიკური ხასიათისაა და მრავალშანაგოვანი სინამდვილის გააზრებული ანარეკლია.

ილიას პოემის ამბავიც დრამატული ხასიათის სიტუეტზეა აღმოცენებული. არსენა ქალაქური ფოლკლორული იერის მატარებელი სახეა და პოემის რემარკულიანი შიარაც და ლექსიკაც ქალაქური ხალხური პოეზიის გავლენით ხასიათდება. არსენა თითქმის ქალაქელი მშაბიქია, მისი თავგადასავალი „ლუბოეური“ ხასიათისაა და მისი რომანტიკაც ფოლკლორულია. „ჩამდენიმე სურათში“ ყოველივე ხსენებული თვისება გამოთიშულია, გმირების მიზანდასახულება მკაფიოდ გამომკლავებულია და თვითული მათგანი შესანიშნავი სიტუაციის ოსტატის მიერ არის გამოძერწილი. ილია ქვეყნაძის პოემის არ ატყვია არსად ქალაქის ფოლკლორული იერა და იგი ნაწილობრივ ქართული გლეხური ზეპირსიტყვიერებით არის საზრდოებული.

ილია ქვეყნაძის „ჩამდენიმე სურათი“ ნამდვილი პოეტური ენისაა. პოემას ნაწილობრივ გადაყრავს ლექსად დაწერილი მოთხრობის იერი. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ავტორის მიღწევაა და არა ნაყო.



ილია ქვეყნაძის პოემები თითქო ცხოვრების სხვადასხვა საკითხს არკვევენ და სხვადასხვა მხატვრული ხერხებითა შესრულებული, შიარც ისინი ძლიერ ენათესავენან ერთმანეთს და შინაარსით ერთმანეთის ვერაქლებას წარმოადგენენ. როგორც ვთქვით, „კაკო ყაჩაღში“ ასახულია სიუოცხლის მოტრფილეთა აქტიური პიძოლის სურათები, ხოლო „განდევილში“ სიუოცხლის უარმყოფელი და ცხოვრებიდან განდგომილი პიროვნების ტრაგედიაა ნაწევნები. ზაქარი და განდევილი თითქო ერთმანერად ადსატენ არსებულ სინამდვილეს. ზაქარი გარბის ცხოვრებიდან და შეეფარება ბუნებას, რათა ამ საფარადან შეებრძოლოს საზოგადოებაში გამეფებულ უაწონობას



და გარდაქმნას იგი, მერმე გარდაქმნილ საზოგადოებას ისევ დაუბრუნდეს და მისი წევრი გახდეს. განდევნილი გარბის არსებული ცხოვრებიდან, ისიც შეეფარება ბუნებას, რათა უარყოს ამქვეყნიური უსამართლობა და ღვთაებას შესწიროს თავისი სულა.

„რამდენიმე სურათში“ აღწერილი ბუნება ცოცხალია და მდამიური, როგორც ამავე პოემის გმირები (ვახსენებთ აღწერა ზაქარას შემძობხობის დროინდელი ბუნებისა). „განდევლის“ ბუნება კი ცივია და „შეზავრის წერილებში“ აღწერილი მიუკარგებელი მყინვარის ივრის მატარებელია. ზაქარა შორდება არსებული ცხოვრების უკანონობას, რომელიც „აჩრდილშია“ პირველად აღწერილი, ხოლო მეუდაბნოეც შორდება იმ ცხოვრებას, რომლის სურათი პირველად იმავე „აჩრდილშია“ ნაჩვენები. „აჩრდილში“ და „განდევალში“ ასე რატომ ემსგავსება ერთმანეთს?

საინტერესოა ვიკოდეთ, რისთვის დააბინავა, განდევნილი ავტორმა მყინვარწყევრის წიაღში, ბუნების და ცხოვრების აღწერა „აჩრდილში“ და „განდევალში“ ასე რატომ ემსგავსება ერთმანეთს?

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქო „აჩრდილის“ ერთერთ განშტოებად „განდევალში“ უნდა მივიჩნიოთ. „აჩრდილში“ ნათქვამია, რომ „შური და მტრობა“ ღრმად ჩანერგილია ხალხის ცხოვრებაში, ხოლო ავტორის სიტყვით, განდევალში მოშორდა წუთისთფლის ცხოვრებას, სად რყენა, წაწყენდა და დალატია, სად ცალი ზავა ძელთადად მხდის მოყვასის წმინდა სიყვარულს.

შეიძლება პოემა „განდევალს“ მეორე პირიე ჰქონდეს და, როგორც „ბახალთის ტბა“, აღუგორიული ნაწარმოები იყოს. მარჯარი უორდროპის მტყიცებაში, რომ პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლური გამოხატვაა, სიმართლის მარცვლია. შეიძლება აღუგორიულად გვიხსნიდეს ავტორი წარსულისა და ახალი ძალების შეჯახების იდეას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ნამდვილი პოემის ქართული კოლორიტი, რასაც ჩვენი აზრით, შინაარსობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. რაც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ცხოვრების სიმბოლო პოემაში მწყემსი ქალის სახით გვევლინება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მშრომელთა ფენის წარმომადგენელია, ე. ი. თერგის მონათესავეა, თერგის ანარეკლია თუ თვითონ თერგია. როგორც ილიას „შეზავრის წერილებში“ თერგის ბუნების მქონე ცხოვრება ხმდა ავიდა, ხოლო მისგან განდგომა კი არ მოსწონდა, ისევე მწყემსი ქალიც გმობს ცხოვრებიდან გპქცივას, წუთისთფლის დატოვებას; „როგორ, ღმერთს რაში უნდაო ამ ყინულებში ყოფნა კაცისა“ და, მამასადამე, ილიას მტყიცებობი, სპატიუვლის სიკოცხლისი ძალის მატარებელი მწყემსი ქალიც ებრძვის განდგომილ მყინვარს. მშრომელთა წარმომადგენელი (იგივე თერგი) თვითონ ავიდა მიუვალ მთაზე, რათა მყინვარს

შეუფარებელი განდევნილი ჩამოყვანა ბრის და ქართველი ხალხის მიმდინარე ცხოვრების კუდილში ჩაეხა.

ამგვარი ლირიკული სიმბოლოების საშუალებით ილიამ ისევ სცადა საქართველოს მთლიანობის იდეის გარკვევა და ამ საკითხის ფილოსოფიურ ასპექტში გადაწყვეტა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, „განდევლის“ ასეთი განმარტება პოემას უკარგავდეს ზოგად-უნივერსალურ მნიშვნელობას! ეს შენიშვნა სრულიად არ იქნებოდა მართებული, რადგან სწორედ ქართული სინამდვილის ერთგული და საკლასური პრობლემები პოეტმა იმდენად აღამალა, იმდენად დაეკავშირა ზოგად-საკაცობრიო საკითხებს, რომ პოემაში ჩასტია საქართველოს სინამდვილის სახეები და ზოგად-საკაცობრიო იდეებთან მათი შერწყმა მოახერხა. ერთი მხრივ, პოემაში მოცემულია, როგორც „აჩრდილში“ და „შეზავრის წერილებში“, მყინვარისა და თერგის სიმბოლოების შესვდარი და მათი შეჯახება, ხოლო, მეორე მხრივ, პოემა, საერთოდ, მიმართულია ასექტივის წინააღმდეგ და მიწიერი ცხოვრების დასაცავად აღწერილი. „განდევალში“ პოეტმა მოახერხა ერთგული კოლორიტი და ზოგად-უმოციური პატერნი სამყაროს შერწყმა და შექმნა ნამდვილი ფილოსოფიური სულის მატარებელი მხატვრული ტილო. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მყინვარიც და თერგიც საქართველოს სინამდვილის სიმბოლოები იყვნენ, მაგრამ, ამავე დროს, ისინი პოეტს ავანტიდუნენ გოეთესა და ბაირონის სახეებს. ე. ი. თერგი და მყინვარი იყვნენ ყველა მოწინავე ხალხისთვის გასაგები და ადვილად მისაწვდომი უნივერსალური სახეები.

შეიძლება ამ ფილოსოფიური საკითხის ზოგად-სახალხო სიმბოლემდე აყვანის ცდამ მიჩქნალა და მეორე რიგში დააყენა საქართველოს შინაგანი ცხოვრების საკითხები? შეიძლება, მაგრამ ჩვენითვის, ცხადია, პოეტის მიერ ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი კუთხის გასაშუქებლად იყო დაწყებული სხენებული პოემა და შემოქმედებითს პროცესში ავტორმა სხვა შედეგი მიიღო. ნათქვამია, კოლემში ინდოეთის გზის აღმოსახენად გაემგზავრა და მოულოდნელად, ინდოეთის გზის ნაცულად, ამერკია აღმოაჩინაო. ასეთი შემთხვევები შემოქმედების ისტორიაში მრავალია: ხშირად შემოქმედებითს პროცესში მიღებული მოულოდნელი შედეგი სრულიად სხვაა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული მხატვრული ჩანაფიქრი.

როგორც ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული, „განდევალი“ მიწიერი სიუცხლის ჰაზნია და ცხოვრების ყოველდღიურ კოდილში ჩაბმის აუკლებლობის აღიარებაა. პოემას შეეძლო ეპიგრამად ჰქონოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები: „რადგანაც კაცნი გვეყიან,— შეიღნი სოფლისა,— უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. ბარათაშვილის მიერ ლირიკულ ფორმებში

მოცემული ცხოვრების ფილოსოფია ილიამ პოე-
მაში განავრცო და ეპიკურ სამყაროში გადაიყუა-
ნა, პოეტი ამ ნაწარმოებში აღვივებდა ცხოველ-
მყოფელი მოქმედების უნარს და ერთხელ კი-
დედ ადამიანებდა, რომ „მოძრაობაა და მარტო
მოძრაობა უფლაფერი, ქვეყნის ღონისა და სი-
ციოცხლის მიმცემი“.

პოეტმა „განდევლის“ სიუჟეტს საფუძვლად
დაედო ქართული ხალხური ლეგენდა და აზო-
თითქო დასაბუთა, რომ ქართულ ხალხურ შე-
მოქმედებაში შრავალ ფილოსოფიური ხასიათის
მარგალიტა გაბნეული ქართული ლეგენდის
მეშვენილი პოეტმა გზა გაიკადა ზოგად-მოარულ
თემისაკენ. როგორც ცნობილია ხალხური ლეგენ-
და ხშირად ეროვნული და ზოგად-ხალხურ თეი-
სებების შერწყმას წარმოადგენს. სწორედ ეს
თვისება ლეგენდისა შეინარჩუნა ილია ქაქავა-
ძემ თავის პოემაში და ამ პოემის მორალურ-
ფილოსოფიური შინაარსით ზეერ კერძოდ კლა-
სიკურ მხატვრულ ნაწარმოებს გამოეხიარა. მი-
ინც „განდევლი“, ისე როგორც „აჩრდილი“,
ისეთ ქართულ სამოსელშია გახვეული და ისე
ოსტატურად არის ჩასმული საქართველოს ბუ-
ნების წიაღში, რომ განდევლი გამოიყურება,
როგორც საქართველოს ბუნების ნაკვეთი და მისი
გაგრძელება.

ილია ქაქავაძის წმინდა მხატვრული პოზიცია
„განდევლიში“ ჩამოყალიბდა ნაწილობრივ ლე-
სინჯის ესთეტიკურ შეხედულებათა საფუძვლებზე-
მის შესახებ კტა აბაშიძემ ვაქერით მიგვითთა
„განდევლის“ განხილვის დროს მართლაც, ილია
ცილობდა, როგორც ლესინჯის შეხედულებები
უკარნახებდა, პოემიდან აღწერითი აღგილები
განდევნა, სახეები გაესხნა და პოემის მხატვრუ-
ლი სამყარო შინაგანი ხილვით ეჩვენებინა. „გან-
დევლის“ ავტორმა მიმართა ე. წ. გახსნის ხერხს
მწერლობაში და სრულიად უარყო აღმოსავლური
აღწერითი სურათოვნება. პოეტმა აღწერითი მი-
ნერით მხოლოდ ბუნების სურათები დახატა.

ცხოვრებიდან განშორებულმა განდევლიმა,
დაინახა რა მწყემსი ქალის სიმშვენიერე, სასო-
წარკვეთაში ჩაყარდა და მიწიერი ვნებით გაიმს-
კვალა. ამ მხატვრული ხერხით ილიამ მწყემსი
ქალის სილამაზე დაახასიათა და სიუჟეტის დრამა-
ტული კენჭით შეკრა. შემდეგ პოეტმა ასეთივე
ხერხით ვანაგროს დეტალების დასრულება და
პოემაში ფერწერითი პოეტური სურათებიც შექ-
მნა. თვით განდევლის სახე ავტორმა რატომღაც
აღწერა. არის ვადმოცემა, რომ ერთმა მეგობარ-
მა ურჩია ილიას, განდევლის გარეგნობა დაე-
ხატა, რადგან განდევლის სახის წარმოდგენა
თითქო მკითხველს უძნელდებოდა. პოეტსაც და-
უჯერებია, ეს რჩევა მიუღია და უკვე დასრულე-
ბულ პოემაში ჩაუმატებია შემდეგი სტრიქონები:

„სახე გამხდარი, კუჭტი და მწყურალი,
სწმინდის მადლით დამშვენებოდა

და მალას შებლსა, ნაოჯალ შეკრულს,
წარაგანდელი გადაშენებოდა“
განდევლი
ხოლო, როგორც ვიცით, მწყემსი ქალის მშვენი-
ბის ჩვენება ისე მოახერხა პოეტმა, რომ აღწერი-
თი მანერა არსად გამოიყუენებია, ქალის სახე
თითქო მოიარებით გვიჩვენა და მკითხველს მისი
სილამაზე ნათლად აგრძნობინა:

„თვით მადლს ტრფობისას, რომ მოესტრგოს
ხორცსმულად ვლენხ ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიციოცხლის გამომსახველად“

ან კიდევ:

„თვით შერი, შტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერ ნაყლსა“.

ამ აფრენილი პოეტური თქმით პოეტმა შექ-
ლო სიციოცხლის მშვენიერების დახასიათება და
შემდეგ ფერწერული განათებით კიდევ უფრო
შეაფთო გახადა ქალის სინატიფე და მიამიღვე-
ლობა:

„მოზიდა შეშა, ცეცხლი აინთო,
რა გააღიერდა ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკა სინათლით შორთო,
ხოლო რა შექი იმა ცეცხლისა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მოეფინა,
გასაოცარი რაღაც მშვენიება
განდევლის თვალწინ წარმოედგინა“.

ამ სურათში კერის ცეცხლის შუქით განათე-
ბულა მწყემსი ქალის სახე და სენაკის სინა-
ლის ფონზე მისი სილამაზე რელიეფურად გამო-
კვეთილია. ცეცხლი არა მარტო განათების საშუ-
ალბაა, არამედ იგი თითქო მონაწილეობას იღ-
ებს ქალის სილამაზის ათვისებაში:

„ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალმს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლუელი, უკუ-პკრთებოდა“.

ამ პოეტურ სურათში უსათუოდ არის შოთა
რუსთაველის ცნობილი სტრიქონის — „თინათინ
მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ —
გაგება.

მწყემსი ქალის მხატვრულ სახეში სხვა მზარე-
ცაა საყურადღებო. ამ მშვენიებაში თვითონ ბუ-
ნებაა გამეფებული და მწყემსი ქალი თითქო
ბუნების ანარეკლია. ეს ბუნების შვილი მყინ-
ვარის სიღიადით მოზიბულა და იგი მწვერვა-
ლის სილამაზეს მადლა ატრეყებია. შვის და
მყინვარით მოზიბულელ მწყემს ქალს ერთგვარ-
წარმართული ხილვებიც დაბადებია და მისი.

სული მეუღლანოეს გასაყიციხაიდ ადრე შეშაღე-
ბულა. იგი ბუნების გასულიერებულა, გააზრ-
ბულა სახე გამხდარა. ბუნების ეს გასულიერე-
ბულა სახე მერმე თითქო ენებლიეთ შექრილა
მეუღლანოის მყუდრო საგანეში და ენებლიეთ
აუფორიაქებია განდეგილის სულის მყუდრო
სენაი.

მეორე მხრივ, ავტორმა განდეგილის შინაგანი
ტრაგედია სხვა ვხით შეამზადა. ჯერ ბუნების
წილი ააფორიაქა და განდეგილის სულიერ და-
მარცხებას ჭექა-ქუხილი, სეტყვა და წვიმის შხუ-
ილი წინ წარუმიძღვარა. ამით დაგვისაბუთა მან
განდეგილის ცდუნების აუცილებლობა და ბუნე-
ბის ჭიდილის ფონზე მეუღლანოის სულიერი
შფოთი უფრო ზელშესახები გახადა, ბუნე-
ბის სურათები და „განდეგილის“ სულის მღელ-
ვარება ორგანულად დაუკავშირა ერთიმეორეს და
ბუნებისა და ადამიანის სულში ატეხილმა ქა-
რიზხალმა შექმნა პოემის მთლიანი სიმფონია.

ასეთია, მოკლედ, „ანრდილის“ წიაღში აღმო-
ცენებული პოემების — „რამდენიმე სურათის“
და „განდეგილის“ მხატვრულ-იდეური სამყარო.
სამივე ნაწარმოების პოეტური ჩანაფიქრი ერთ-
მანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული. თუმ-
ცა, როგორც ვთქვით, ეს სამი პოემა სხვადასხვა
მხატვრული თვისების შემკველია და სინამდ-

ვილის სხვადასხვა მხარეს ეხება, მკინე პოეტმა
სამივე ნაწარმოებს სიუოცხლის გამაზრავების ფი-
ლოსოფია დაედო საფუძვლად და ისინი ერთ-
მანეთს დაუნათესავა. პოეტმა პირველ ნაწარმო-
ებში ლირიკული აღსარების მეშვეობით თავისი
ხალხის ეროვნულ და სოციალურ საკითხებს მოუ-
ყარა თავი და მათ გადასაწყვეტად თითქო ხელ-
ჩართულ ბრძოლაში ჩიება. „კავო ყარაღში“
ეშეალოდ სოციალური ბოროტების შამხილებე-
ლა სურათი შექმნა და შრომელ ხალხს იმედი-
ანი თვალი მიაპყრო, ხოლო მესამე პოემაში —
„განდეგილში“ მიწიერი ცხოვრების სიყვარული
გამოხატა და სიუოცხლის გამაზრავების იდეა იქა-
დაგა.

ასე გაამდიდრა ილია ჭავჭავაძემ ქართულ
მწერლობის იდეური სამყარო და ახალი, ეტყნო-
ბი, მძაფრი პოეტური აზრი ქართული სულის
საგანძურში შეიტანა.

„ანრდილის“ ავტორმა თითქო ქართველი ხალ-
ხის ცხოვრებაში არსებული, ადრე შეუმჩნეველა,
კუნძულები აღმოაჩინა, ყანა მოაშენა და იქ მომ-
კილი თავთუხით საქართველო დააბერა. ილია
ჭავჭავაძე იყო მძაფრად დრამატიზებული სულის
მჭონე შემოქმედი, იგი ღრმა ფიქრებისა და აღ-
მოჩენების პოეტია.



გიორგი ნაიჩიძე



იდეალური ადამიანის სახე იღია ჰაჰვაპაძის აზროვნებაში

I

იდეალური ადამიანის პირობებში იღია ჰაჰვაპაძის ერთ-ერთი მთავარი საძიებელი საგანი იყო სიკეთეიღბის სიციცხლის უკანასკნელ დღემდე ვეღვან, მხატვრულ ნაწარმოებებსა და ესთეტიკურ წერილებში, პუბლიცისტიკისა და პოლემიკურ გამოსვლებში იგი გამოდგებოდა აყინებს რა იკვლევს საკითხს: რა არის და როგორი უნდა იყოს ადამიანი.

ესაღია, იღია ჰაჰვაპაძემ ეს იდეალი გამოიმუშავა თავისი ფილოსოფიური კონცეფციის საფუძველზე, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა პასუხს თანამედროვეობის მიერ დასმულ სასიცოცხლო კითხვებზე.

შეცხრაძეულ საუკუნის სამოციანი წლები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და აზროვნების უღელტეხილია. მანამდე უძრავი, მოდუნებული ცხოვრება მუდრობიდან გამოიყვანა ახალი თაობამ, რომელსაც თერგდალეულთა თაობა უწოდეს.

თავდაპირველად შემთხვევით წარმოშობილი სახელწოდება შესანიშნავად გამოხატავს ამ თაობის განწყობილებას, ინტერესებს და მსოფლმხედველობას, თერგი მისი არსების სრულყოფილი სიმბოლოა.

ჯერ კიდევ გრივოლ ორბელიანმა უმღერა თერგს დაუფიქვარი სტრიქონებით:

თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი, ბანს ეუბნებიან.

ეს „რბენა“ და „ღრიალი“, ეს გამაცოცხლებელი მოძრაობა და შეუპოვრობა სამოციანი წლების თაობამ თავისი აზროვნების და მოღვაწეობის საფუძველად აღიარა. თერგის დაუმონავი სახე იტაკებდა ამ თაობას, რადგან ის და მხოლოდ ის იყო მისი დაედგრომელი, თავისუფლებისმოყვარე სულის ხატება.

ბუნებრივად გახსენდება გერმანელი „ქარიშხალი“ და შეტევა“. აქაც სტიქიური მოვლენა ლიტერატურული მოძრაობის სიმბოლოდ გადაქცეულა და შესანიშნავად ახასიათებს ახალგაზრდა შტურმერების სულიერ განწყობილებას. რადგან ჰგავს ჩვენი თავზეხელაღებული, გიჟი, გადარე-

ული და დაუმონავი თერგი გერმანელთა „ქარიშხალს“!

იღია ჰაჰვაპაძის „მგზავრის წერილებში“ ჩვენ გამოვლობთ ჰუმანიტი პოეტური მღვდლებით დაწერილ თერგის აპოლოგიას:

„დალოცა ღმერთმა... თავზედ ზელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი... ნეტავი შენ, თერგიო იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. ამა პატარა ხანს დადგე, თუ მყარად გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშინარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალას. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ჭკუყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“...

ეს ვილენტარისტული ფილოსოფია თერგდალეულთა აზროვნებისა და მოღვაწეობის საფუძველი იყო. იღიამ მკვეთრად დაუპირისპირა იგი საზოგადოებისაგან „განზე გადგომისა“ და „მიუკარებლობის“ ფილოსოფიას, რომელიც ხან ჭედ-მოდლობასა და მდიდრობაში გამოსჭვივის. ხან კი შეგნებულ ინდიფერენტებში. მღვდლარე თერგის ანტიპოდიც ცივი და მიუკარებელი მყინვარის სიმბოლოა.

მოძრაობისა და ბრძოლის ფილოსოფია წარმოადგენდა იღიასათვის არა მარტო თანამედროვეთა მოღვაწეობის თეორიულ საფუძველს, არამედ ჩვენი ისტორიული წარსულის შეფასების საშობსაც. როდესაც მწერალი გარდასულ დროთა სივრცეებზე მსჯელობს, მას მუდამ მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების მოძრაობა, ამ უკანასკნელის ხასიათი და ტემპი.

ახე აფხაზებს იღია პირველ რიგში საქართველოს უახლოეს წარსულს — შეცხრაძეულ საუკუნის პირველ ნახევარს. 1883 წელს იგი წერდა:

„ამ ოც-დაათი წლის წინათ, ბატონ-ყობონ გადაჯარღნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერაინე წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მიანე შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ბურჟუაზიანი, ლარუბლიანი, მშველი და თბილი დღე, ისე მხედრობა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც“. ეს იყო „დრო მიძინებისა და ჩვენი გონებრივისა და ეროვნული მიმძინარეებისა, მოკანცულობისა, მწერლობაც ამ-გვარის მიმძინარეების ხასიათისა“.

თისა გახლათ მაშინ. იგი ზედმოწვენილის სინამდვილით ვეჩხატავს შამანდებურს (ჩვენს არარაობას), ჩვენს სილატავეს აზრისას თუ ცხოვრებობას". ნაწერ. სრ. კრებ., 1927, VI, 5-6).

რა ძირითადი ამოცანები იდგა მაშინ თერგდალეულთა წინაშე?

საკითხი ეხებოდა ეროვნული თავისუფლებას მშობლებს და ფეოდალური ურთიერთობის მოსაზრებას. ბოლომდე პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ამ ორი ამოცანის გადაწყვეტილებისთვის — თერგდალეულთა დაუფასებელ დამსახურებას შეადგენს. ილია ჭავჭავაძე იყო ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მოთავე. უწინააღმდეგარს მას კარგად ესმოდა, რომ ეს ამოცანები ერთი მთლიანი მიზნის განუყოფელი მხარეები იყო, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული გაერთიანება და თავისუფლება. მეორე მას კარგად ესმოდა ისიც, რომ ბრძოლა მოცემული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იწარმოებდა ხალხური მასშტაბით და თუ მისი მესაქეობა დაეგისრებოდა ახალ ადამიანს. ამ როგორ უნდა გავყოთ ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენისათვის ბრძოლის ცნება, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე შეხებდებით ილიას პუბლიცისტურ წყაროებში, ილია ჭავჭავაძის აზრით, ამ შეგნებით უნდა გაიმსქელოს მთელი ქართველი ხალხი, პირველ რიგში — მისი მოწინავე ნაწილი, ეს შეგნება უნდა გადაიქცეს ქართველთა აზროვნებისა და მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად იქამდე, „მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კეთონილს ადგის არ დაიპერს... სულ ყველაფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეყრნოთ, ქვეშ დაეუყროთ. სკოლა, ბანკი თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისტრს უნდა მივებრუნოთ თავი“ (VI, 127-130).

2.

როგორი უნდა იყოს ეს ახალი ადამიანი, რომელსაც ეკისრება „ჩვენი დაცემული ვინაობის“ აღდგენა?

იმ ფილოსოფიური პრინციპების საფუძველზე, რომელთაც ზეითი შეეხებო, მწელი არაა პასუხი გავიერ დასმულ კითხვასაც. ცხადია, უბრუნელესად ყოვლისა მისი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო რეალისტური და ოპტიმისტური ცნობიერება და ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ თვისებებს აყენებდა წინა პლანზე, როცა საკითხი ეხებოდა ძველი თაობის შემცვლელად მოსული ადამიანის მსოფლმხედველობასა და ხასიათს.

როგორ უნდა გავიყოთ ეს თვისებები? სიციცხლის სიყვარული და ბრძოლა მისი შენარჩუნებისათვის ისევე ბიოლოგიურად არის დამახასიათებელი ადამიანისათვის, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის. ამიტომ უსაფუძვლო არ იქნებოდა, რომ გულბრწყვილო რე-

ალიზმის ანალოგიით პრამიტული ადამიანის ოპტიმიზმის „გულბრწყვილო ოპტიმიზმზე“ გვეყვილებინა.

გონებავასნილი, განათლებული, კულტურული ადამიანისათვის ასეთი განცდა სრულიად გამორიცხვლია. ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება ბუნებრივად აიძულებენ მას ჩაუფიქრდეს სიციცხლის აზრს და ერთგვარი მორალური ფილოსოფია შეიმუშავოს.

პრამიტული ადამიანი შეიძლება ისე განზორღვრეს ცხოვრებას, რომ ერთხელაც არ დაუკვდეს გულბრწყვილო რეალიზმის ქვეშაბრტყეაში. პრამიტული გონება წინ უსწრებს თეორიულს. უფრო მეტი: პრაქტიკული გონება მეტად თუ ნაკლებად საყოველთაოა, თეორიული კი მოთხოვს სპეციალურ გამოყენებას და გავარჯიშებას და მისი ზოგადობის მასშტაბებიც, რა თქმა უნდა, პირველს არ ემთხვევა.

თუ ამ პრინციპიდან შევხედავთ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ოპტიმიზმზე, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავადასტურათ შემდეგე: ქართული დაცემული თავად-აზნაურობის საყოველთაოდ ცნობილ ოპტიმიზმს, რომელსაც ტრადიციულდ „ქართული დარდიმანდიბა“ ეწოდებოდა, ილია ჭავჭავაძე სთვლის პრამიტულ ადამიანისათვის დამახასიათებელ ბიოლოგიურ ოპტიმიზმად.

„მაშინ რომ ქართველისთვის გვეითხათ,—წერს იგი,— ჩას ფიქრობთ, რა გსურთო, სიციცხლზედ ვფიქრობთ, სიციცხლე გვინდაო, ვიხასუებდნენ... როგორ თუ სიციცხლე? — ისეო, გეტყვიდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვექლოს, სუნთქვარო, ციხ და მითვარი დატკობა, მზის ცქერარო და ჩვენი ჳიის ვახარებარო...“ (VII, 7-8).

წერდა: „აზრთა მოძრობაში როგორც უაღაფერში ჭევეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უმარად, უბრძოლველად“ (ტ. IV, 118). ილიას ისიც კარგად აქვს შეგნებული და აღნიშნულია, რომ საქმის განვითარება უბრალო წრისებური კი არ არის, ახამედ იგი არის აღმაჯობა ძველიდან ახალ საფეხებზე, მარტივიდან რთულისაკენ. მართლაც, ილია აღნიშნავს, რომ „მით უფრო მშვენიერია ეგ ყვაელი, რომ ქნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაიქნდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ვერეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვაელთა გრებილი, რომელშიაც მომდევარო წინააღმდეგობებზედ ყოველთვის უფრო სრულია, უფროსი და მშვენიერი“ (ტ. II, 40). ამრგად, ივეს ვარჯიშა, რომ ილია ჭეშმარიტად, რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გაყენით, იზიარებს სამყაროს მატერიალისტურ გაგებას და ახლო მიდის განვითარების დიალექტიკური ბუნებისა და არსების დაღვენამდის.

უკანასკნელ, საჭიროა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს: — ილიას დამოკიდებულებას მარქსისტული ფილოსოფიისადმი. დღეს უკვე გამორკვეული და დამტკიცებულია, რომ ილია კარგად იცნობდა ე. მარქსის გენიალურ შრომას „კაპიტალიზმ“ პირველ ტომს (პ. რატანია, ილია ჭეშმარიტად, ფილოსოფიური სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები. 1954). მართალია, ილია ჭეშმარიტად, ეკამათება რა ნ. გორდანაის და სრულიად მართებულად აღნიშნავს იმას, რომ ის, ე. ი. ნ. გორდანია, არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი მარქსისტი, დიდი მოკრძალებით აღნიშნავს ე. მარქსის სახელს და მას დიდ მეცნიერს უწოდებს, თუმცა ამასაც აღნიშნავს, რომ თავის თავს არ თვლის მარქსიზმის ღრმად მცოდნედ (ტ. IX, 141 — 143 და სხვა). ვარდა ამისა, ილიას პირად ბიბლიოთეკაში არის გ. შმოლერის, მასარკის, ე. პოლხერის, ე. ლასალის, ედ. ბერშტეინის, ე. ბუტყის, გ. პლუხანოვის და სხვათა წიგნები. ილია ახლო გასცნობია ამ ლიტერატურას, იჩნის მათდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ედ. ბერშტეინის რევიზიონისტული შეხედულებებისადმი. ილია სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ იგი, ბერშტეინი აყაღებს მარქსიზმს, რომ იგი თავსებობს შორადად მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას. ასევე აღსანიშნავია ილიას დამოკიდებულება გ. პლუხანოვის თხზულებისადმი — „ისტორიისადმი მონისტური შეხედულებების საკითხისათვის“. როგორც ცნობილია, გ. პლუხანოვი სწორედ აღნიშნავდა, რომ საწარმოო ძალები საზოგადოებრივ ცხოვრების „პირველი მიზეზებია“. მაგრამ გ. პლუხანოვმა, ისე როგორც ე. ბუტყიმ, ბოლომდის ვერ ვარჯიშა საკითხი იმის შესახებ, თუ რა თავისებურება ახასიათებს საწარმოო ძალებს და როგორ მიმდინარეობს საზოგადოების წინსვლა-განვითარება.

რების კონკრეტული პროცესი. ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ გარემოებას უსაყვედურებს გ. პლენანოვს. ილია აღნიშნავს, რომ გ. პლენანოვი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ეკონომიკა არის შედეგი ანუ „ფუნქცია“ საწარმოო ძალებისა. მაგრამ, ილიას აზრით, ეს საწარმოო ძალები არც ციდანაა ჩამოვარდნილი და არც თავისთავად წარმოშობილი. ილია აღნიშნავს, რომ საწარმოო ძალები მიწიერი წარმოშობისაა და ამის არ ვაგვიბანს უსაყვედურებს გ. პლენანოვს. გარდა ამისა, ილია ეხება გ. პლენანოვის აზრს იმის შესახებ, რომ საზოგადოების ეკონომიკა და ფსიქოლოგია ერთი და იმავე მოვლენის ორი სხვადასხვა მხარეა და შენიშნავს, რომ ამ საკითხში გ. პლენანოვი შორდება მარქსის მომღვრებას (იხ. ილიას ხელნაწერი, რკ. პნ 94, გვ. 5.). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ილია მაინც არ თვლიდა თავის თავს მარქსიზმის ღრმად მცოდნედ, თუმცა იმას კარგად ამჩნევდა, რომ ნ. ყორღანია და მისი თანამოაზრენი არ არიან ნამდვილი მარქსისტები, მარქსიზმის გაყალბებას აქვს ადგილი ედ. ბერშტეინის შეხედულებებშიც, და სხვა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ილია ჭავჭავაძე მაინც ვერ ამაღლდა და ვერ მიიღო მარ-

ქსიზმი. მარქსიზმის ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — შეგბრძოლი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების თეორიული საფუძველია. ილია ჭავჭავაძისათვის ფეხსი ღარჩა საქმის ეს მხარე და ამიტომ მარქსიზმი მისთვის არ იყო სახელმძღვანელო პრინციპი. ილიას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს, არ შეეძლო გაეზიარებინა მარქსიზმის რევოლუციონური მოძღვრება. მართალია, მის შეხედულებებში ადგილი აქვს არა მარტო მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, არამედ დიალექტიკის ელემენტებსაც, მაგრამ ილიას არ გამოუყვანია ამ რევოლუციონური მეთოდიდან ყველა ის დასკვნა, რომლებიც მისი სოციალ-პოლიტიკური მარწამსი არ არიან ერთ ორგანულ კავშირში შედუღებული და გადანასკვეული. მიუხედავად ყოველივე ამისა, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებები, მსგავსად რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ფილოსოფიური შეხედულებებისა, წარმოადგენს პროგრესულ ნაბიჯს მარქსამდელი ფილოსოფიის ისტორიაში და ამდენადვე მას ენიჭება გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა.



ილია ჭავჭავაძე და მისი ინგლისელი მემკვიდრე

ინგლისელმა მკითხველებმა ილია ინგლისელი მთარგმნელი ქალის — მარჯორი უორდროპის მეშვეობით გაიცნეს.

მარჯორი უორდროპმა, რომელიც ინგლისშივე დაეუფლა ქართულ ენას, გულდასმითა და სიყვარულით შეისწავლა ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. იგი აღტაცებული იყო ქართველი ხალხის გამორეული სულით, მისი გავრცელებული, მტკიცე ნებისყოფით.

მარჯორიმ კარგად გაიცნო მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა. იგი მოხიბლული იყო ილიას შემოქმედებით და მას შემდეგ, რაც მან ინგლისურ ენაზე გადათარგმნა „განდევილი“, 1894 წელს ილიას გამოეგზავნა ასეთი წერილი: „მოწყალეო ზელშიფეე,

ინგლისურად თარგმანი ვქმენ თქვენსა „განდევილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშენებელი ენაში, რომ მე მკითხველს და რომელსა ქონება ყველას მწერლობის დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთა ის სიაზივნება, რომელიც მე ამ ლექსში მაგრძნობინა. ამისათვის გკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოასაყვამდე. ვეაღე სიტყვათა სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშენებრება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა რასდენიმე წელიწადში უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომლისკენ მე გულწრფელი სიყვარული ვკავშირებ და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევქმნებ პირდაპირ გამოთქმა უაღრესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურებისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს შეფობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა თქვენი პატივისცემული მარჯორი უორდროპი“ 1.

ილიამ დაუყოვნებლივ გაგზავნა პასუხი:

„მოწყალეო ზელშიფეე!

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდევილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმიპინია, რომ მოგიწონებოდათ და გადაგი-თარგმნათ ინგლისურად.

დიდებულმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენი უზემდურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს — ბარბაროსებს.

ყოველ ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენი ყველასაგან დაფიქრებული ქვეყანა შეგვყვარებითა და მოგინებებითა თქვენს ერს მისი ავიცა და კარგიც აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს იდამიანს და გულისტყვილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის.

სასურველია, სახელოვანმა ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი წამება და წვალობა უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებინან.

ყოველივე ეს ზედ-დაინუნელი აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება წებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღება ჩვენი გულისცემისა, ჩვენის გულითადი ნატერისა, ჩვენის ქიარისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონისა საყვრელითა საცნობლად.

გვირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგხვდებით. იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი უზემდური, მაგრამ მშენებელი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახებთ, რომ იგი ღირსია თქვენს ყურადღებისა და სიყვარულისა...”

1895 წელს ლონდონში გამოიცა „განდევილი“ ილიას პორტრეტითა და მარჯორი უორდროპის საინტერესო წინასიტყვაობით. იმისათვის, რომ ქართველი მკითხველისათვის ზელმისაწყვდომი შეიქმნეს მთარგმნელის შეხედულება, საერთოდ, ქართული მწერლობისა და, კერძოდ, ილიასა და მისი „განდევლის“ შესახებ, მოგვეყვას ამ წინასიტყვაობის თარგმანი:

„იმ დროს, როდესაც ინგლისელი მკითხველების უმეტესობა რამდენადმე გაცნობილია სპარსულ ლიტერატურას, ძალიან ცოტა თუ მოიხებნება ისეთი, რომელშიც იცის ქართული ლიტერატურის არსებობის შესახებ.

საქართველო ნამდვილად ღირსია დიდი ყურადღებისა. მე-12 საუკუნის ეპიკური ეპოსის დიდი პოეტის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არა-

ფერს იგებს ფირდოუსის „შა-ნამესთან“ შედარებისას, მაგრამ რომელი თანამედროვე სპარსული შეიძლება ბარათაშვილისა და ქავჭავაძის გვერდით დაეყენოთ?

ბუნების მეტად დაჯილდოებული განსაკუთრებული ნიჭით, ერთგვარად ითვისებდა რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურას, კავკასიის (საქართველო. ლ. თ.) ქრისტიანულმა სამეფომ მეტად ადრეულ ხანაში მიიღწია განათლებისა და აუჯავების უმაღლეს საფეხურს; და მიუხედავად ომის მძვინვარე ქარიშხალისა, რომელიც განუწყვეტლოვ გრავირებდა ქვეყნის თავზე, ლიტერატურის შექმნის ეოცენად იქნა შენახული.

თავადი ილია ქავჭავაძე დაიბადა 1837 წელს. მისმა გვარმა წარმოშვა მრავალი ღირსშესანიშნავი ადამიანი, რომელთა რიცხვშია პოეტი ალექსანდრე ქავჭავაძე (1786 — 1846), რომელზედაც ბაირონის ნაწერებმა უდიდესი გავლენა იქონია. თავადმა ილიამ განათლება თბილისის სასულიერო სკოლასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო.

1863 წელს მან გამოაქვეყნა ქერნალი „საქართველოს შოაბე“, რომელშიც უდიდესი გავლენა მოახდინა მის თანამემამულეებზე. იმავე წელს მან დაწერა მოთხრობა „კაცია-ადამიანი“, რომელშიც ჩვეულებრივი სოფლის მეომარის უმიზნო ცხოვრების სურათი დაგვიტანა.

მოთხრობამ უცმაყოფილების ქარიშხალი წამისკრა, მაგრამ აეტკობა მაინც მიიღწია მისთვის: მიწათმფლობელებმა დაიანხეს თავისი უმიზნო ცხოვრება და დაიწყეს მისი გარდაცვალების მოლოცვა. იგივე მოხდა ილიას შემთხვევაშიც. მისი მოთხრობის გამოცემის შემდეგ იგივე მოხდა.

ქავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა მოიცავს თითქმის 40 წელსა და სამ პერიოდს: პირველ პერიოდში იგი კრიტიკულია, სატირისკოსად გვევლინება და ყოველ ღონეს ხმარობს რათა ხალხი წამოაყენოს მოღუტნებული ყოფიდან.

მეორეში იგი ამხნეებს მათ, წარმართონ უფრო კეთილშობილური ცხოვრება, აგონებს ქვეყნის დიდებულ წარსულს, აღწერს რა პატრიოტთა საგმირო საქმეებს.

და, ბოლოს, მან გაიარა ისეთი ფაზა, რომელსაც შეიძლება წმინდად ესთეტიკური ვუწოდოთ. ამ ბოლო პერიოდს ეკუთვნის „განდვილი“, დაწერილი 1883 წელს. პოემა ლეგენდას ემყარება და მე მგონი, მას სიმბოლური აზრი აქვს დატოული.

განა განდვილი არ გამოასახავს მიდივილიზმისა და მწვემის ქალის კი, ასეთი მომჯადოებელი და ბრწყინვალე, რენესანსი არ არის, რომელიც საქართველოში დასავლეთზე უფრო გვიან შემოვიდა?

მისი (მწვემის ქალის. ლ. უ.) სიმწვენიერისა და მზიარულების წინაშე დროშოქველი ცხოვრე-

ბა დიდხანს ვერ იცოცხლებს — მან ან უნდა განზიაროს მისი აღფრთოვანება (ან) მოწყდეს.

დაწვეული უძველესი ბუნდისტური ქვეყნებდან — თანამედროვე ფრანგულ რომანმედ წმინდა განდვილითა ცდუნების შესახებ მრავალი მოთხრობა დაწერია.

„განდვილი“ განსხვავდება ყველა ამათან თავისი აღმავრთვანებელი სისადავით. აქ არა გვაქვს თეატრალური მაშინალობა, არც დამატკვევებელი სიმდიდრე, არც ზმანეზანი იმ ქალისა, რომელსაც სურს შეაცდინოს ბერი და გამოიყვანოს იგი განმარტობის, სიღარიბისა და ტანჯვისაგან.

არც კლუბატრასა და სემირამიდის მოწვევებებს ქალმს გადაცდინოს იგი თავისი მოვლერობის ზილიკიდან, მხოლოდ უბრალო ასულმა შეძლო ეს, უმანკომ და მწვენიერმა, რომელიც უამბობს მას კაცობრიობის წმინდა სიყვარულისა და ცხოვრების სიხარულის შესახებ. მაინც, რაც უფრო უბრალოა ეს ცდუნება, ჩვენ გვტყობოთ მის სიძლიერესა და სიმწვევეს.

ორიგინალში სტილი პარპონიულია და დიდებული, იღწერები — პოეზიით აღსავსე, ჩანს ნახი სიმპათია ბუნებისადმი მისი ყოველგვარი განწყობილების დროს.

თავადი ილია ქავჭავაძე როდი გამოირჩევა მხოლოდ პოეზიითა და პროზით. იგი რედაქტორია ყოველდღიური გაზეთისა „ივერია“, რომელიც თბილისში გამოდის, სათავედაზნაურო ბანკის მომრიგებელი მეთაურია (დაწესებულება, რომელიც მთელ თავის მოვებს უძღვრის საგანმანათლებლო და ფილანტროპიულ საქმეობებს), მქვერმეტყველი ორატორი და ერის მთელი სოციალური ცხოვრების ყველაზე გამოჩენილი ფიგურაა.

სამწვეხაროდ, ჩემი თარგმანი ვერ შევდრება ორიგინალს. დასავლეთში აქამდე უცნობი ენის — რომელიც უცხოა ენათა რომელიმე ცნობილი ოჯახისათვის, — ილიომთა გადმოტანის სიმწველე შესაძლოა იყოს ერთგვარი გამართლება და მხოლოდმეცა ჩემი ნაკლისათვის¹.

„განდვილი“ შესანიშნავმა უორადროპისეულმა თარგმანმა ალტაცებამი მოყვანა ინგლისური საზოგადოებრიობა.

ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიშნი უცხო მწერლისა. თავადი ი. ქავჭავაძე, უძველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიდი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა, წერდნენ ინგლისური ეურნალ-გაზეთები.

როცა 1895 წელს მარჯარი საქართველოს ეწვიდა, გაიცინა და დაუბარებდა ქართველ ინტელიგენციას, მისი სიყვარული ქართველი ხალხისადმი უფრო მეტი მგზნებარებით აიგოს.

იგი საგურამოს ხმობი და სანატრელი სტუმარი

¹ The Hermit, London, 1895, p. 7 — 10.

შეიქმნა, დაუმეგობრდა ილიას და მთელი გულითა და სულით შეიყვარა მისი ოჯახი — განსაკუთრებით მისი მეუღლე ოლია და ილიას და ელი-საბედ ქვაკვავაძე — საგინაშვილისა, რომლებთანაც მას ზნაირი მიწერ-მოწერა ჰქონდა სიკვდილამდე.

ამ წერალებიდან ცხადად ჩანს, თუ რა დიდი პატივისცემითა და რა ღრმა სიყვარულით უყვარდა მარჯორის საქართველოს ბედის მოქრანახულე დიდი პოეტს.

საქართველოდან შორს მყოფ ინგლისელ ასულს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ჰქონდა სპეციალური „ქართული ოჯახი“, ქართული ადამის მიხედვით მოწყობილი, მორთული ქართველი პატრიოტების სურათებით და ილიას სურათი ხომ სულ თან დაჰქონდა!

„ილიას სურათი მუდამაა ჩვენი ოთახში — ერთი შინ, ინგლისში და ერთი — აქ“, იწერებოდა რგი პუქარესტიდან.

მარჯორი და მისი ძმა ოლივერ უორდრობი ყველანაირად დაეძებნენ ძველ ქართულ ზღნაწერებს, იძენდნენ მათ და სიხარულით ატყობინებდნენ ამის შესახებ მათ ქართულ მეგობრებსა და უპირველეს ყოვლისა, ილიას ოჯახს, პოეტებს, სორებს ხანანაშვილსა და ცაგარელს, ივანე შანაზღეს, ანასტასია თემანიშვილს და სხვ.

მარჯორის მიერ გამოგზავნილ ყოველ წერილში ჩანს ერთი სურვილი, ნატვრა — ეკლავ დაუბრუნდეს საქართველოს, რომელიც „ერთა სამშობლო, საყვარელი არის“.

„რამდენჯერ ჩვენ აღმაველთ მიტრიატებს მთაზე და შავსა ზღბის ვადევენებ თვალს, ვიდრემდის კიდევ ვნახავ საქართველოს დიდებული მთები წვერთა მაღალთა ყანელით შემოსილთა, მისი ტყეები და ძველებური ციხეები, რომელნიც ზღდღებებს იმგრანული ლეგენდა და ადრინდელი მოთხრობა მრავლად მოხვეული ჯერ არის; კიდევ ვნახავ ჩვენი საყუარელი მეგობრები!“

ვაგლახ შე, რომ მხოლოდ სიზმარიაა — წერს ილიას მარჯორს ქერიდან 1895 წელს, ხოლო 1899 წელს ატყობინებს, რომ: „ჩვენ ვიყავით ოქსფორდში ერთი კვირა, სადაც შევიდგინეთ კატალოგი ყოველთა ქართულია წიგნთა ინდიის ინსტიტუტში (Indian Institute) იქ არის ასი ტომი მალანის ბიბლიოთეკაში. გვიჩვენებს ჩვენი მეგობრები ბბ. მარჯორი და კონიბირსა და მათთან ბევრს ვლაპარაკობდის საქართველოზე.“

ილიას გარდაცვალებამ თავზარი დასვა ილიას ინგლისელ მეგობრებს — მარჯორის, ოლივერ უორდრობს, მორჯილს, კონიბირსა და სხვებს.

მარჯორი სამშობრის წერალი მოსწერა ილიას დას — ელისაბედ საგინაშვილისას.

„სამწუხარო ამბავმა თქვენი ძვირფასი და სიხელოვან ძმის მოკვლა და საყვარელ კნენა ოღმას წყლულობა ღრმად აღგვიშფოთა და დე-

ვალონა. ვერ გამომიტყევეს სიტყვით ჩემი გულის დარდი; თქვენმა უბედურებამ ჩვენი ვაგვარებდნენ...“

„ჯერ ესლა ვერ მჯერა, რომ სიზმარიაა არის...“

შემდეგ ილიას მეუღლემ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო თავის ინგლისელი მეგობრისაგან:

„უძვირფასესო და ჩემთვის საყვარელო მეგობარო, ყოველ დღე ვლოცულობ თქვენთვის და ემსახურ, რომ ღმერთთან ნუგეში გპყდეს. არ ვიცი, რა დიქრობთ ჩემზე, რომ აქამდის არ მოგწერეთ წერილს, მაგრამ როგორ მოგახსენებთ, რაც გულში მაქვს. ამისთანა მწუხარება, თანაგრძნობა და ელდაც ნამეტანი ღრმა გამოთქმისათვის. ძალიან ზნაირად დავიწყე წერას, მაგრამ სიტყვები ველარ ვგზოვე...“

არასოდეს ვერ დავივიწყებთ ილია და ილიას ცოლი და და. როდესაც პირველად ვნახეთ მატარებელში მცხეთაში, თითხმეტა წელიწადია, იმ წაშში ყველა ჩამანდა გულში და იქაც დარჩათ, სინამდის ცოცხალი ვიქმები...“

ვაღიოდა ხანი, მარჯორი ისეთივე გულისხმიერებით ატყობინებდა ახალ ამბებს ილიას მეუღლეს, როგორც თვით ილიას, რომ შეიძინეს ძველებური ქართული ზღნაწერები...“

1909 წლის აგვისტოში გამოგზავნილ წერილში გულისტყვილით იწერებოდა მარჯორს:

„შეც ღმერთსა ვთხოვ ყოველთვის მალისოსს თქვენი ნახვა და საქართველოში წასვლა. ყოველ წელიწადს ვგანებ, რომ მომავალში შეიძლება მოვალ იქითყენ, მაგრამ ჯერ ჩემ ბედში არ წერილია.“

სამეთი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში. ჩემი გულა სიყვარულით მისკენ უკუნი-სამდე ბრუნდება.“

მას შემდეგ 4 თვეც არ გასულა და თვით მარჯორის სიცოცხლის ღამპარი ჩაჭრა.

იმის ნაცვლად, რომ მარჯორის თავისი პიროვანი ხელით უვაგილები მიმოგნნია ქართველი მეგობრის საფლავზე. პირიქით, საქართველოდან მამოტანილი უვაგილების თაველმა გაათბო ქართველი ხალხის მგზნებარე მეგობრის ბნელი სამარე.

1911 წელს, როცა ოლივერ უორდრობი ეკლავ ჩამოვიდა საქართველოში, ქართველმა ინტელიგენციამ დიდი ზემოი ვაუზართა მას. ნაღიმზე შეისვა სამი დიდი აღმანის — ილიას, ივანე შანაზღლისა და მარჯორის უორდრობის შესანდობარი 1.

ნეტავ თუ არსებობს დღესაც სევეროტში (უორდრობების სახლში) „ქართული ოთახი“ და ილიას ის სურათი, რომელსაც წმინდა რელიკვიასათი თავს ევლებოდნენ უორდრობები?

1 „თემი“, 1911 წ. №3.



ი. ჰამბაგამი და ლიტერატურული პემპრობანი მე-19 საუკუნის 60-იან წლებში

1861 წელს თურ. „ცისკარში“ (№4) გამოქვეყნდა მამინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ი. ჰამბაგამის ვრცელი წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევუზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „მეშლილის“ თარგმანზედა“, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და სხვათა პროგრესულ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა ილია თავის ამ პირველი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილით მოერიდებლად ამხელდა არა მარტო რევუზ ერისთავს, როგორც სანტიმენტალური თხზულების უხეიროდ მთარგმნელს, არამედ, ამავე დროს, გაბედულად ილაშქრებდა მთლიანად ძველი თაობისა და მისი ლიტერატურული ორგანოს ევრნად „ცისკარს“ წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, რომ დასახელებული სტატია, როგორც იტყვიან, ყუმბარასავით გასკდა ძველი თაობის ბანაკში. მთელი ძველი თაობა (რ. ერისთავი, ბ. ჯორჯაძისა, ს. ალექსიევი-შენსი-ვევი და სხვ.), როგორც ერთი კაცია, ფეხზე დადგა მისი ავტორის „ჩასაქოლად“. თავის მხრივ ილიას გვერდში ამოედგნენ მოწინავე ქართველი ახალგაზრდები — ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ასე დაიწყო და გაიშალა მწვავე პოლემიკა ძველსა და ახალ თაობას შორის. ორ თაობას შორის დაწყებული ეს ლიტერატურული პაექრობა ფაქტობრივად იყო ორი იდეოლოგიის — რევოლუციონერ-დემოკრატულია და კონსერვატიულ-ლიბერალურის — შეკვეთი დაპირისპირება. კერძოდ მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე ამ პერიოდში გაბატონების გზაზე მტკიცედ დამდგარი კრიტიკული რეალიზმი უკანასკნელად შეეჯახა სულთმობრძე რომანტიზმს.

როგორც ცნობილია, ორ თაობას შორის დაწყებული ეს ბრძოლა ძველი თაობის იდეური განადგურებითა და ახალი თაობის გამარჯვებით დამთავრდა. დიდი ქართველი მწერალი ი. ჰამბაგამი იყო ძველი თაობის წინააღმდეგ მიტანილი ამ გაბედული იერიშის არა მარტო წამომწყები, არამედ შეზღვომ მისი მეთაურიც. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ არის შესწავლილი, როგორც „თაობათა“ ბრძოლა, საერთოდ, ისე კერძოდ, ი. ჰამბაგამის უღიღესი როლი ქართულ

სინამდვილეში ახალი იდეოლოგიის დანერგვისა და ძველისაგან ნიადაგის გასუფთავების საქმეში. მგარამ „თაობათა“ ბრძოლა არ იყო ერთადერთი ფართო საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენა 60-იან წლებში. 60-იანი წლები უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პერიოდი იყო მე-19 ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. ამ პერიოდში ადგილი აქვს აგრეთვე სხვა ხასიათისა და შინაარსის ლიტერატურულ პაექრობას, სახელდობრ, პოლემიკას თვით ახალი მიმდინარეობის შიგნით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 60-იან წლებშივე ადგილი აქვს ბრძოლას მოწინავე, პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებასა და მის უკიდურეს, „მეშარცხენე“ ფრთას შორის. ი. ჰამბაგამი, რომელიც დროულად ესმარებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ცენტრად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას, აქტიურად ჩაება ამ ლიტერატურულ პაექრობაშიც. სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პაექრობა — ბრძოლა ახალი მიმდინარეობის შიგნით — ნაკლებადაა შესწავლილი; ამასთან, არადაამკამყოფილებად არის გამოქვეყნებული მასში ი. ჰამბაგამის მონაწილეობის საკითხი. უფრო მეტიც, ამ პაექრობას არამთვ ცალკე არ გამოყოფენ, როგორც დამოუკიდებელ ლიტერატურულ მოვლენას, არამედ ხშირად აიგივებენ კიდევ „თაობათა“ ბრძოლასთან, რაც თავის მხრივ იწვევს რაც გაუგებრობებს.

ჩვენი წერილის მიზანია, 60-იანი წლებს მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოვლენებიდან ცალკე გამოიყოს პოლემიკა პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებასა და მის უკიდურეს, „მეშარცხენე“ ფრთას შორის; გააჩვენოს ამ პაექრობის ხასიათი და გაათქვას მასში დიდი ქართველი მწერლის ი. ჰამბაგამის მონაწილეობის საკითხი, უჩვენოს ი. ჰამბაგამის დიდი როლი მეშარცხენე-რადიკალური ვადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ უთანხმოებას ახალი მიმდინარეობის შიგნით ადგილი ჰქონდა რუსეთშიც. რუსეთში ამ უთანხმოებამ თავი იჩინა კურნალების „სოცრემენიკისა“ და „რუსეთ სოვოს“ პოლემიკის სახით. „სოცრემენიკა“ მტკიცედ იცავდა ბელინსკისა და ჩერ-

ნიშევსკის პროგრესულ-დემოკრატიულ ტრადიციებს, ხოლო „რუსეთ სლოვი“ ქადაგებდა პისარევისა და ზაიცევის მემარცხენე-ნიშლისტურ მრწამსს.

როგორც ცნობილია, დიმ. პისარევმა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკური უტოლიტარობის უკიდურესობამდე განავითარა. მოლაშავე-ობის პირველ პერიოდში, რაც 1861 წლიდან ვრძელდება, პისარევი ბელოვებს წმინდა უტილიტარული თვალსაზრისით უყურებდა და სრულიად არ უარყოფდა მის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ 1862 წლიდან იგი ბელინსკისა და ჩერნიშევსკისთან შედარებით „მემარცხენე“ პოზიციებზე დგება და აქედან მოყოლებული სულ უფრო და უფრო იხრება უკიდურესობისაკენ.

პისარევი ცალმხრივად აფასებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლასა და გაერყელებას. სასარგებლო-პოზიტიური კოდა იყო ის, რაც, მისი რწმენით, ხალხს ყველაზე დიდ დახმარებას გაუწივდა და იხსნიდა უკიდურესი სიღარიბისაგან. საჭიროა გონებრივი ძალების შეკერი ეკონომია, — ამბობდა პისარევი, — რათა მივიღო ეს ენერჯია წარმართის ისეთი საკმარისიდან, რომელიც მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ზელოვნება, მისი აზრით, უქმად ფუნქციონირებს ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობას, აცდენდა ადამიანებს, რომელთაც სხვა შემთხვევაში შეეძლოთ შეექმნათ არსებობისათვის მიუცლებლად საჭირო პირველმოთხოვნილების საგნები. „ოპერა, ბალეტი, კონცერტი, თეატრი — ყველაფერი ეს ჯდება ფულა“, — რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა მატერიული პირობების გაუმჯობესებისათვის. საკითხის ასეთნაირად დასმამ პისარევი ლოგიკურად მიიყვანა ბელოვნების რიგი დარგების — მგალითად, მუსიკის, მხატვრობის, სკულპტურის — უარყოფამდე. ბელოვნების დარგებიდან პისარევი შედარებით მეტ პატივს სცემდა ლიტერატურას, თუმცა სიციცხლის უკანასკნელ წლებში (1865 — 66 წ. წ.) არაერთგზის მის მიმართაც გამოამჟღავნა აშკარა ნიშლისტური დამოკიდებულება.

მიუხედავად სერიოზული შეცდომებისა, პისარევის დიდი გავლენა ჰქონდა მოწინავე ახალგაზრდობაზე არა მარტო რუსეთში, არამედ მის გარეთაც. პისარევის იდეებს ქართველი მოღვაწეებიც იზიარებდნენ, ხოლო მათ შორის პირველი, რომელმაც განაცხადა მისი ესთეტიკური დოქტრინის გავლენა, იყო ცნობილი ქართველი მესამოციანელი ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე.

ა. ჭავჭავაძისა და სხვათა მსგავსად, ა. ფურცელაძემ წილად არ რგებია ბედნიერება ესწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა, რომელიც 60 — 70-იან

წლებში ჩამოყალიბდა, ნასაზრდოები იყო ისეთი იდეური წყაროებით, როგორც ჩვენ მტკნული რევოლუციურ-დემოკრატიული მწიგნობარი, მსგავრულ ხალხთა ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის იდეები, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები და დას. ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების მიღწევები რის საფუძველზე შემუშავდა აგრეთვე თერგოლელთა მსოფლმხედველობა. მსოფლმხედველობის საერთო წყაროებში, ბუნებრივია, განამირობა შეხედულებათა მსგავსება-სიახლოვე. თერგოლელთა მსგავსად, ა. ფურცელაძემ მოლაშავეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მუდამ ჩენი საზოგადოებრივი და კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების მოწინავე ხასზე იდგა, გახედულად ქადაგებდა პროგრესულ-რადიკალურ იდეებს. ვასაგებია, რომ ა. ფურცელაძე თერგოლელთა მსგავსად და მათი პოზიციებიდან შეურთებლად ილაშქრებდა ძველი თაობისა და მისი ლიტერატურული ორგანოს ევროპის „ციცხლის“ წინააღმდეგ. ა. ფურცელაძე „ციცხრიდანვე“ ებრძოდა „ციცხრას“. ძველი თაობის წარმომადგენლებს ა. ფურცელაძე „სიძველის მქადაგებელ“ და „უახრად მჯღანსულებს“ უწოდებს და ეციხავს მათ, როგორც რეაქციონერ-კონსერვატორებს, როგორც ყოველგვარი საბუნების დამტყვევებელ მტრებს.

1863 წლის იანვრიდან გამოავლას იწვევს ახალი თაობის ორგანო „საქართველოს მოამბე“. ა. ფურცელაძის ადგილი, რა თქმა უნდა, ამ ორგანოში იყო, ის ეცადა კიდევ განმტკიცებოდა ახალი ევროპის თანამშრომელი, მაგრამ „საქ. მოამბის“ რედაქტორებთან პირად ურთიერთობაში მან კერ გამოანახა საერთო ენა და ამ მიზეზით ისევ ძველი თაობის ორგანოში განაგრძო თანამშრომლობა.

ეს უკვე ის პერიოდია (1862 წლის მიწურული), როდესაც რუსეთში დიმ. პისარევი ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მაგისტრალური ხაზიდან „მარცხენა“ მიმართულებით უხვევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ მოლაშავეთაგან პირველი, რომელიც დიმ. პისარევის კვალს გაჰყვა, იყო ა. ფურცელაძე. პისარევის მსგავსად, ა. ფურცელაძემ ბევრგან საუბრობს გონებრივი ძალების ეკონომიაზე. მისი აზრით, ვინაიდან „ხალხთა ბუნებაში“ იგივე ეკონომია ძალისა მოქმედებს, რაც თვით ბუნებაში“, საჭიროა შეკერივად გვერდობილდეთ, როგორც დროს, ისე ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ ენერჯიას, რათა იგი მთლიანად იქნეს გამოყენებული სასარგებლო საქმის შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, ბელოვნების იმ დარგებს, რომლებიც ხარჯების გაღებას მოითხოვდა, ამასთან ერთად, დიდ ღირსსა და ენერჯიას დააბანდობდა, ა. ფურცელაძე გულგრილად ეკიდებოდა, ხოლო ზოგიერთ მათგანს — მგალითად, მუსიკას — მთლიანად უარყოფდა კიდევ.

უკიდურესობამდე განვითარებული უტილიტარნიზმი, ბუნებრივად, გახდა რე მკვლარ, არასწორ შეხედულებათა წყარო. ა. ფურცელაძის „ნიონილიზმი“ ყველაზე სრულად, რელიგეფურად გამოვლინდა 1863 წელს დაწერილ და იმავე წელს ფურ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ორ სტატიებში ერთნაირი სათაურით „ქართული ლიტერატურა“ (№ 3 და № 7). ა. ფურცელაძემ ამ წერილებში უკიდურესი შემატებენი მოხილავს, „ნიონილიზმ“ შეხედულებათა არსენალის მოშველიებით განიხილა და ორივე გამოჩენილის გარდა მერისმეტად მკაცრი, ცალმხრივი შეფასება მისცა თერგდალეულთა ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს — ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძისა და სხვათა თხზულებებს. ა. ფურცელაძე იქამდეც კი მიიღო, რომ იდენტობის თვალსაზრისით წუნობს ნ. ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზედ“. ამ ლექსიდან „არ ამოგვეთ გონების მსაზრდოებელი ლექმა, — წერს იგი, — ეს იმ საკმელსა ჰგავს, რომ კაცს მადის უხსნის და კუქს კი არ ეცხობა, ჩამდენიც გინდა სპომი“. ა. ფურცელაძე ასეთივე მკაცრ შეფასებას აძლევს აგრეთვე „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს.

ამჟამა იყო, რომ ქართულ სინამდვილეში თავს იჩენდა ტენდენცია ხელოვნებისა და ლიტერატურის უტილიტარული პრინციპების ვულგარული ვაგებისა. ეს იყო ახალი უკიდურესობა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქართულ კრიტიკულ რეალიზმს და მთელ ქართულ ლიტერატურას. და ამ, პირველი, რომელიც გაბედულად წინ აღდგო ამ ტენდენციას, იყო თერგდალეულთა მეტაფრა, დღეა ქართული პოეტიკა. ი. ჭავჭავაძე. ი. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ მე-7 ნომერში გამოაქვეყნა ვრცელი სატირული სცენა „სხარტელა“ (რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია), რომელშიც მისთვის ჩვეული პრინციპულიობით ამხილა ა. ფურცელაძის ვულგარული უტილიტარნიზმი. ა. ფურცელაძის მიერ ნ. ბარათაშვილის ლექსის მადის მოშვერელ საქმელთან შედარება ი. ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოიყენა. რათა დაუზოგავად გაეცემა ის კალმოსნები, რომლებიც პოეზიაში აღამაინათ ზორციელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ეძებდნენ. „ნ. ბარათაშვილის ლექსს მშვერი მივარდა, — მიმართავს ილია „ცისკარს“ რედატორს ივ. გერსელაძის პირით ა. ფურცელაძეს, — გეგონა ლობო — შეკამანდი დაგხედებოდა, და იმის მაგიერ, რომ მშვენიერი ლექსი დაგხედა — ამა მშვირს რა გულქსებოდა — გაკაპსდი და დაიწვე ყვირილი, რომ მადა გამოიღვამო და კუჭი ვერ გამოძლო. პოეზია ლობო-შეკამანდის ქოთანს ხომ არ არის, რომ ლობოი გასვლიპოს“.

აღარ შევდგებით ი. ჭავჭავაძის „სხარტელას“ დაწერილებით ანალიზს, აღვნიშნავთ მხო-

ლოდ, რომ ეს არის ერთ-ერთი მღვივარე სატირა, როგორც კი ოდესმე ქართულ ენაზე დაწერილა.

„სხარტელამ“ მართლაც ჩამოიღო ილია ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. ამ ნიჭიერად დაწერილმა სატირამ ცოცხალი გადაასხა „ნიონილიზმით“ გატაცების იღვას ჩვენს სინამდვილეში. ა. ფურცელაძე 60-იან წლებში ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც სცადა პისარევის ესთეტიკური დოქტრინის გადმონერგვა ქართულ ნიადაგზე. თუ ამ ცდას მაინცაღამაინე შედეგის მოსულია, თუ მღვივარე წყალი სათავეშივე მოწყდა, — ამას უნდა ვემაღლოდეთ ი. ჭავჭავაძეს. ეს არის ქართული კულტურის წინამდებარე. ჭავჭავაძის კიდევ ერთი დამსახურება სხვა დამსახურებათა შორის.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის „სხარტელას“ მნიშვნელობა მარტო ამით როდი ამოიწურება. სატირამ, როგორც ჩანს, სერიოზულად ჩააღებრა თვითონ ა. ფურცელაძეც. ჩამდენადაც ვიცით, „სხარტელა“ ერთადერთი წერილია ი. ფურცელაძის საწინააღმდეგოდ მიმართული, რომელიც ამ ეპოქის წინა წინააღმდეგოდ იქნა დატოვებული. საუბრადადღეობა, რომ თვით მამინაც კი, როდესაც ა. ფურცელაძეს შემოხვევა ჰქონდა ამ სტატიებზე ესაუბრა, არაფერი უპოქვამს ცუდი, არამედ აღვნიშნავს მხოლოდ ი. ჭავჭავაძის მიერ მისი გამოქვეყნება, როგორც ლიტერატურული ფაქტი (სმე, პისარევი სანდალა და კიტა“, „ფერია 1894 წ. № 202; „ვინ არის მოლაღატე. ვინ არის ზიზღის ღიჩის“, საქ. სახ. ლიტ. მუზ. ხელნაწ. 5916/49 და სხვ.).

ი. ჭავჭავაძის სატირიდან ა. ფურცელაძემ მნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანა; მან ამის შემდეგ მალე შეიერთა თავის მსჯელობათა მცდარობა და უცხე მომდევნო 1864 წლიდანვე კვლავ ზომიერ პოზიციებზე დადგა. 1864 წელს ა. ფურცელაძემ ფურნ. „ლიტერატურის ლისტოკის“ ფურცლებზე მაღალი შეფასება მისცა მოთხრობას „კაცია — აღამაინა!“, ნაწარმოებს, რომელიც თერგდალეულთა იდენტური ბედლის ი. ჭავჭავაძის კალამს ეკეთვნოდა და რომელიც დობეკდა ერთი წლის წინ მის მიერ ასე მკაცრად გაკრიტიკებულ ჟურნალში. (ეს სტატია უკანასკნელ დრომდე უცნობია იყო პირველად ის ჩვენს მიერ იქნა მიკვლეული 1950 წელს ჭ. მოსკოვი ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკაში). 60-იანი წლების მეორე ნახევრიდანვე ა. ფურცელაძე მაღალ შეფასებას აძლევს მის მიერ ადრე მკაცრად გაკრიტიკებულ მწერალთა — ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, გ. ერისთავის და სხვათა თხზულებებს, შათ შორის იმ ნაწარმოებებსაც, რომლებიც 1863 წელს „ცისკარს“ ფურცლებზე ხელაღებით ჰქონდა დაწერილებული. უფრო გვიან ა. ფურცელაძემ „ნიონილიზმი“ დაახასიათა, როგორც დიშ. პისარევის ერთ-ერთი

„დიდა შეცდომლება“ („იმედი“, 1882 წ. № 7 და № 8).

ასე რომ, ა. ფურცელაძე არ გახდა დიმიტრი პისარევის ორთოდოქსალური მიმდევარი, იგი ბოლომდე ბრძალ არ გაჰყვა დიდ რუს კრიტიკოსს. სწორედ ამ პერიოდში, 1864-66 წლებში, როდესაც პისარევის ესთეტიკური ნიჰილიზმი თეორიულ დასაბუთებას ღებულობს და სრული სხილი ყალიბდება („ესთეტიკის დამსხვრევია“ — 1865 წ. და სხვა) ა. ფურცელაძე პირიქით, თავის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებში ზომიერ პოზიციებს იკავებს. ხოლო ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, ი. ჭავჭავაძის წყალობით, მის მიერ დროზე გამოქვეყნებული სატირის მეოხებით მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ილიას მიღწეულიან კალამს მცირე რაოდენ უთამაშია ამ საქმეში.

ამრიგად, 60-იან წლებში, ისე როგორც რუსეთში, ჩვენს სინამდვილეშიც აღვილი აქვს ორი სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ლიტერატურული პაექრობას: პაექრობა ძველი და ახალი თაობის შორის და პაექრობას თვით ახალი მიმდინარეობის შიგნით — პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებასა და მის უკიდურეს, მემარცხენე ფრთას შორის. 60-იანი წლების ამ მრავალფეროვან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენათა ვრცელ დახასიათებას იძლევა ილია გვიანი, 80-იან წლებში დაწერილ პუბლიცისტურ წერილში „შინაური მიმოხილვა“ (1881 წ. მისი). ძველი თაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი თაობის წარმომადგენლები იქამდე მივიდნენ, — წერს ილია აქ, რომ უარყვეს „არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდებოდა სირცხვილმორიყული ესდანიდელი კემშარიტი ლიპერალი რუსეთისა... უკანასკნელი ფაღვანი ამ თითქმის ყოველად უარყოფელს მიმართულებასა იყო შეტად სხარტი და ნიჰიერი მწერალი პისარევი. მისი მეთაურობით ამ გადაჯარბებულმა უარყოფამ იქამდე მიიწევა სადღე, რომ უარყოფი თვით პეშეინის მოღვაწეობაც და მიიღეს შეწყაირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიზნიდევლმა, ღამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი წაითრია და ბრძალი იყოლია. პისარევის მიზროფის ძალას ვერც ჩვენებურება გადაურჩინენ“ (თხზ., სრ. კრებული, ტ. ა., 1955 წ. გვ. 92).

• ჭავჭავაძის 60-იან წლებში ფაქტიურად ორ

ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა. პოზიციებიც საიდანაც ილია ამ ბრძოლებს აწარმოებდას სრულტანტე ეთანხმებოდა ბელისისა და ქვეყნის მკაცრ ტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს. სხვათაშორის, ანალოგიური პოზიციები ეკავა მეორე დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელსაც. „ბრძოლა ისე გამოწვევა, რომ ორივე მხარე უკიდურესობაში ჩავარდა და გზა და კვალი ავიტოვა“, — წერს აკაკი ერთ პუბლიცისტურ წერილში, ხოლო ჩემს თავდასაფალიში ამბობს: სხვენსავით წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ, ზაიცივს არად ვაგდებთ, ნიჰიერ პისარევის თემცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის შეეგერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მესიკა და კეთილშობიანება უნდა იყოს და კმაყო. ორთა შუა მყოფს მე ჩემი გზა მქონდა არჩეული“ (თხზ. სრ. კრებული, ტ. მე-1. 1948 წ. გვ. 64).

დასასრულ, საჭიროდ მგვიჩინია აღვნიშნოთ შემდეგი: ვინაიდან 60-იან წლებში ქართულ ენაზე, გარდა „საქართველოს მოამბისა“ და „ცისკრისა“, სხვა პერიოდული გამოცემა არ არსებობდა, ბრძოლა თერგდალეულთა წინააღმდეგ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოზიციებიდან, ე. ი. ორი სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურული პაექრობა ერთიდაიმავე ორგანოს, ფერნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან წარმოებდა. მაგრამ, ვინაიდან „ცისკარი“ ძირითადად ძველი თაობის ორგანო იყო, ზოგიერთი კრიტიკოსი საკუთრის წინაშე აღმოჩნდა: „ცისკრის“, ფურცლებიდან წარმოებული ყოველგვარი პოლემიკა ერთი შინაარსის მქონე საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენად მონათლა, ხოლო აქედან გამომდინარე, ა. ფურცელაძე დაახასიათა როგორც ამ ორგანოს „ერთი მთავარი პუბლიცისტი, რომელიც თავდახნაურული კონსერვატიზმის პოზიციებიდან ებრძოდა თერგდალეულებს“.

ნამდვილად კი ა. ფურცელაძესაც ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა: ძველი თაობის წინააღმდეგ თერგდალეულთა პოზიციებიდან და თერგდალეულთა წინააღმდეგ უკიდურეს, მემარცხენე პოზიციებიდან.

ვფიქრობთ, ამ საკითხების გარკვევა, ხოლო რაც მთავარია, აღნიშნულ ლიტერატურულ პაექრობებში ი. ჭავჭავაძის მონაწილეობისა და როლის გაშუქება ხელს შეუწყობს დიდ ქართველი მწერლის მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობის უკეთესად შესწავლას საქმეს.



ნებისყოფისა და ემოციურ განცდათა აღზიდი პიროვნებაში ილია ჭავჭავაძის ნააზრევინს მიხედვით

დიდი მწერლები, საზოგადოდ, გულგრილი რომელი არიან ფსიქოლოგიურ „საკვირვებლათა“ მიმართ. ყოველი მათგანი მეტად თუ ნაკლებად ცდილობს შესწავას ადამიანის სულიერი სამყარო არა მარტო ობიექტური ქვეყნის ტიტანურ ძალთა კიდილის ჩვენებით, არამედ თვით ამ სულიერი სამყაროს უღრმესი შრეების საიდუმლოებათა გამომკვლევებითაც, ილია იზიარებს ჩვეულებათა ამ საერთო ხედვრს. ფსიქიკური სამყაროს უშუალო ხილვის განსაკუთრებული ნიჭი აქვს და დიდ მწერლებს საშუალებას გადმოგვცემ თავართ მხატვრულ ქმნილებებში ადამიანის სულის ისეთი იდუმალებანი, რომელნიც თვით განმცდელთა სუბიექტისთვისაც გაურკვევლობის ბურუსითაა ხშირად მოცული. მაგრამ დიდ მწერალთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიიხივებს ფსიქიკურ ფენომენთა მეტეორულ შემეცნებას თავის საქმედ; მხოლოდ ზოგიერთი დიდი მწერალი ფიქრობს ფსიქოლოგიურ საკითხებზე, როგორც თავისთავად ღრმად პირობებებზე და გადმოგვცემს თავის ნააზრევს არა მარტო მხატვრული ფორმით, არამედ ცნებათა გარკვეული სისტემითაც. ილია იზიარებს ამ მეთოდურ-ეზოპიკურ განსაკუთრებულ ხედვრსაც. მის ლიტერატურულ შემკვიდრებაში გვაქვს, ერთი მხრივ, უდიდესი ფსიქოლოგიური აღზო, გამყდრებული მხატვრული ქმნილებების საერთო ხორცშესხმაში და, მეორე მხრივ, მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ნააზრევი, — გადმოცემული ზოგიერთი კრიტიკული სტატიის, მანსადამე, ილიას ფსიქოლოგიური შემკვიდრება საქმიოდ დიდია. ჩვენს დიდ მწერალს მრავალ ფსიქოლოგიურ პირობებაზე უფიქრია, მრავალი საკითხი თავისებურად გააზრებია და თავისი ნააზრევიდან ზოგი მხატვრულ სახეებში გადმოცემია, ზოგიც მეტეორული ფორმით — კრიტიკულ სტატიებში.

ჩემ მიერ აქ განსახილველად აღებული საკითხი — ემოციური პიროვნებაში — ილიას ფსიქოლოგიური პირობებებიდან რაოდენობრივად, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საკითხია, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ის ერთ-ერთზე მეტია, — შეიძლება ითქვას, რომ მას ცენტრალური ადგილი უკავია. თუ ილიას ლიტერატურულ შემკვიდრებას დავერებებით შევიწყვილოთ, ადვილად დავინახავთ, რომ იგი სა-

კუთარ სტიქიაში გრძნობს თავს, როცა ადამიანის შინაგან ლეღვას, მისი გულისტქმის ამბოხებას ან ამბოხებულ გულისტქმითა გონიერულ ვალაობებში ჩაყენების პროცესებს გადმოგვცემს, ე. ი. მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ემოციურ განცდათა და ნებელობის აქტების დაბასიანებას, მათი ადგილის ვარკვევას პიროვნების მთლიანობაში.

ილიას საერთო ტენდენცია — გვიხვევოს თავისი გმირები ძლიერი ემოციის ან ნებელობის აქტის პირობებში და ამით უფრო რელიეფურად გამოვევოს მათი ადამიანური ღირსება-ნაკლოვნება — შედგენდება თითქმის ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებაში („კაცო ყაჩაღი“, „ქართლის დედა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდვგილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი“, „ოთარასთ ქვრივი“ და სხვ.). ეს ტენდენცია, ვფიქრობთ, უნდა წარმოადგენდეს ჩვენი მწერლის მსოფლმხედველობისა და მისი პიროვნების საერთო მანარათლების აუცილებელ გამოვლინებას მხატვრული შემოქმედების პროცესში. სრულად უღივია, რომ ილია, როგორც ურთულეს სოციალურ პირობებებზე მომუშავე პოეტი და მოაზროვნე, დინტერესებული იყო პიროვნების პირობებით. მართალია, მისი მიზნებისათვის აუცილებელ საქირობებს წარმოადგენდა არა ფსიქოლოგიური, არამედ სოციოლოგიური პიროვნება, მაგრამ ამ უკანასკნელს არსებით კანონზომიერებათა დიდგენა უნდნდეს სოციოლოგიურ პირობებებთან ვარკვევ. ასე რომ ფსიქოლოგიურ პირობებებზე დიფიქრება და მხატვრულ ნაწარმოებებში ფსიქოლოგიური ელემენტების დიდი დოზით წარმოდგენა უნდნდეს სოციოლოგიურ პირობებებთან ვადკირის აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარახევი. საჭირო იყო, კერძოდ, ვარკვევა საკითხის: ვანა ყველა, ვინც ადამიანის სახება და სახელს ატარებს, ეაციცია, ადამიანი და თუ არა, მაშინ რა აუცილებელ, არსებით ნიშნით უნდა ატარებდეს ის, ვინც ეაციცია, ადამიანი, ერთი სოციალურად აქტიური ვრთველი — პიროვნება — შეიძლება დავრკვევას. ეს აუცილებელი ნიშანი მომცხნა იქნა შემდეგი ზოგადი ფორმულის სახით.

„უცვლ დღესა წესს თავს კეთხო, —
„აბა დღეს მე ვის რა ვარგე“
(ტ. I, გვ. 103).

ამ ფორმულის მიხედვით, სამოციანობრივად სასარგებლო საქმიანობა წარმოადგენს ადამიანობის უფლანჯ არსებით ნიშნს. ამით გადაჭრულია პიროვნების პრობლემა სოციალოგიურ სიბრტყეში, მაგრამ მას აქვს მეორე, — ფსიქოლოგიური, — მხარე, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საკითხის გადაჭრა, თუნდაც სოციალოგიურ სფეროში, სრული იყოს. საკითხი დგას ასე: მართალია, ადამიანის აუცილებელი მოვალეობაა ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა, სოციალურად სასარგებლო მოქმედება, მაგრამ საკითხები ერთი ესეცაა: თვითონ ადამიანის სულიერი ცხოვრება შეიცავს ეს ისეთ ელემენტებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება რეალიზაცია ადამიანური მოვალეობისა? ანუ: გააჩნია თუ არა ადამიანს ისეთი ფსიქიკური ძალები, რომელნიც შესაძლებელს გახდიან ადამიანის დანიშნულების ფაქტორურ განადგობას. პრობლემა, როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიურია და დადებითი პასუხიც გარკვეულ ფსიქიკურ ძალთა არსებობის დადასტურებით უნდა გამოხატულიყო. ასეთ ძალებად ილიას მიერ მიჩნეულ იქნა ნებისყოფა და ემოცია. ამიტომ, ბუნებრივად, მათზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული. ნებისყოფა და ემოციები იაზრება ილიას მიერ ამ შინაგან მოქმედ ძალებად, რომელნიც ადამიანის სოციალურად სასარგებლო აქტივობას უზრუნველყოფენ. პირველი ამათგანი უფრო ხშირად „ეკლასი“, „მოვალეობის“ ან „გონიერების“ სახეობებშია აღნიშნული, ხოლო მეორე — „სურვილის“ „სიფეარულის“, „გელისთქმის“ ან „გტომბის“ სახელით. პირველი ან არასასურველი საქმიანობის ამოკმედეების ან სასურველი მოქმედებისათვის თავისი შეკავების სახით იხიწა ხოლმე თავს, ხოლო მეორე კი — სურვილის სიყვარულის, ნდობის სახით, რაც სასურველი, საყვარელი, სანდომი საგნისადმი ძლიერი მისწრაფების ფორმითაა წარმოდგენილი.

„აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“ წარმოადგენს ისეთ კითხვას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ადამიანის ცნობიერების გაანატრებელს შენაარსს. ამ კითხვის გაეცნობიერება აუცილებელია, მაგრამ ან უპასუხოდ იქნას დატოვებული, ან საქმარისი არ არის: შეიძლება კითხვა კი დაისვას, უარყოფითი პასუხი იქნას გაცემული. ცხადია, ვერც ერთი ამათგანი ადამიანის სოციალურ არსებობას ვერ გააპართლებს. ადამიანის სოციალური არსებობის გამართლებისათვის მაკროსა დადებითი პასუხის გაცემა და ამ პასუხის შესაბამისად ამოკმედეება. ამოკმედეებისათვის აუცილე-

ბელი შინაგანი ძალები კი, როგორც ვთქვით, ნებისყოფა და ემოციური განდებები. **ნებისყოფა** ილიას კმნილებზე უკეთესად იხიწს თავს, სიდაც უკვე არსებობს და საქმარია დაძლეულ იქნას ემოცია. ამდენად, ემოციის არსებობა აუცილებელი ფორმალური წინაპირობა ნებულობის აქტივისათვის. ნებისყოფა უფლებითის ღირებულებისადმი მიმართული. რომელიც ფაქტის მიხედვით ღირებულებად, რასაკვირველია, შემეცნების, ვინების საქმეა, მაგრამ ვინების შეუძლია მხოლოდ დადასტურება ღირებულისა, ხოლო რეალიზაცია კი — არა. რეალიზაციისათვის საქმარია — ღირებულები სავალდებულო ელფერსაც ატარებდეს როგორმე. ღირებულების გარდაქცევა სავალდებულოდ მორალური მსჯელობის საქმეა, ხოლო სავალდებულის რეალიზაციისათვის ამოკმედეება — ნებისყოფისა. ამ გაკვებით შეიძლება ვეფთქვა: ნებისყოფა ობიექტურ ღირებულებათა ერთგვარი წარმომადგენელია ადამიანის შინისამყაროში.

სულ სხვაა ემოციური ვარცხები. ესენი თვითონ სუბიექტის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველია სუბიექტშივე და ისინი ღირებულებასთანაც რომ იყოს დაკავშირებული (საგანი ანუ მიზეზი ღირებულებაც რომ იყოს), ვარცხაში მანც ღირებულების კი არა, არამედ სურვილის, ნდობის, მისწრაფების ნიშნით იქნება წარმოდგენილი.

ნებისყოფისა და ემოციის აქ წარმოდგენილი დახასიათების შემდეგ ადგილი წარმოასდგენია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა და უპირატესი ადგილი უნდა დაეთქვას ნებისყოფის პირველბის მოლიანობაში. „აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“ თავისი წარმომობითაცა და არსებითადაც მორალური მსჯელობისეულია და რეალიზაციისათვის ნებისყოფას მითხოვს, როგორც აუცილებელ შინაგან ძალას. ამის მიხედვით, სოციალური ადამიანის ნებისყოფის პროლუქტია და, სრულიად ცხადია, მით უფრო მეტად დააკმაყოფილებს იგი მის წინაშე წამოყენებულ მოთხოვნას, რაც უფრო ძლიერი ნებისყოფა იქნება მასში წარმოდგენილი. მაგრამ ემოციები? ესენი ხომ თვითონ სუბიექტის წარმომადგენლებია თვით სუბიექტისავე შინაგან სამყაროში, მისი ინტერესების დამცველი და მისივე სიამოვნების მოსამსახურეა. ამასთანავე არც ის უნდა დაგვიწყვით, რომ ნებულობის აქტი მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როდესაც იგი ემოციის უპირისპირდება. მაშინ როგორც უნდა იყოს მისი მნიშვნელობა და რა ადგილი უნდა დაეთქვას მას პიროვნების მოლიანობაში? ერთი შეხედვით, გამოდის, თითქოს ემოციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა და მისი ადგილიც შეიძლება იყოს პიროვნების არა სოციალური, არამედ ინდივიდუალური (ეგოსისტური) სფეროში. ილიაც თითქოს ამ პრინციპზე უნდა დამ-

1 მითითება აქაც და ქვევითაც: 1937 წ. გამოც. ბ. ინტროუქცია და ალ. აბაშელის რედ.

დგარაყო და მისტლიყო იმ დასკვნამდე, რომ რაც უფრო სუსტია პიროვნება ემოციურად, მით უფრო დაკმაყოფილებს იგი ადამიანის ცნებაში ნავლისსმვე შინაარსს.

მაგრამ ფაქტები სულ სხვას გვეუბნება. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

1. ზაქარია და კაკოს („კაკო ყაჩაღი“) ძლიერ ნებისყოფასთან ერთად ძლიერი ემოციებიც აქვთ. მეტად ისინი უფრო ემოციურ ტიპებად გამოიყურებიან, ვიდრე ნებისყოფისად. ამათში ზაქარა უფრო ზომიერი ჩანს, მაგრამ მისი ზომიერება უფრო ნებისყოფის მოქმედების პრაღმატიკა, ვიდრე ემოციის სისუსტისა.

2. დედა („ჭარბლის დედა“) უძლიერეს ნებისყოფისთან ერთად უძლიერესი ემოციურობითაც ხასიათდება. მან დათმო შვილის სიყვარული ამაშელის ვალს“ წინაშე, მაგრამ ძვირად დაუჯდა ეს დათობა: ძლიერი ემოციის გავლენით იგი მოკვდა.

3. ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ძალა ათაბრანთ მერიეში უფრო ძლიერი: ნებისყოფა თუ ემოცია. მართალია, მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ნებისმიერი ქვეყნის ერთიან განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს, მაგრამ სრულიად უკველია ისიც, რომ ეს მოწესრიგებული ქვეყა მას უძლიერესი გრძნობების დათრგუნვის ფასად უჯდება გავიხსენით თუნდაც მხოლოდ ის, რომ იგი ძლიერი, აფექტამდე ასული ემოციის გავლენის ქვეშ კვდება შვილის საფლავზე.

4. ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნებამ გააწირობა თავი მეფე დიმიტრი თავდადებულს („მეფე დიმიტრი თავდადებული“), მაგრამ როდესაც იგი დასასჯელად გაიყვანეს, კინაღამ „გატყდა რკინის ველი“: — დამიხსენია“, მიმართა ვაზირს. თუმცა ეს „თქმული თით შეზარდა“ და სიტყვებთან ერთად „მა ჯალათო“ კისერი გაიშვარა მოსაქრულად, მაგრამ აქ მხოლოდ ძლიერ ნებისყოფას ვხედავთ ამ ფაქტში და არა ემოციის უქონლობას.

5. განდევნილმა („განდევნილი“) ძლიერი ნებისყოფის ძალით მოიგვრია ზორციელი სიტყბოების შეცდომება, მაგრამ უძლიერესი აფექტის გავლენით ისიც მოკვდა.

ყველაფერი ეს, ვფიქრობ, უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ ილიას აზრით, ნამდვილი ადამიანის, კაცური კაცის ანუ კაცად-კაცის ცნებას დაკმაყოფილებს მხოლოდ ის, ვის პიროვნებაშიაც თანაბარი ძალითაა წარმოდგენილი ნებისყოფა და ემოცია, ვისშიაც ზღვრულად ძლიერია ერთი და მეორეც. არ შეიძლება დაეუბნებო იმაში, რომ ილია მაღალ შეფასებას აძლევდა არა მარტო ნებისყოფის სიმტკიცეს, ზრამედ ემოციურ განცდათა ძლიერებასაც. ამის თავდებობა მთელი მისი პოეზია, მაგრამ არა მარტო პოეზია, კრიტიკულ სტადიებშიაც დაბეჯითებით მოუთხოვს იგი, რომ „კაცი რომელიც უფროა, რომელიცა უფრო ტრფიანებისა და სიყვარულისათვის და-

ხშული აქვს, ის კაცი კი არ არის, ნახევარ-კაცი, მოკლებული იმ ლეთაებურს ნებისა და მადლსა, რასაც სიყვარულს ეძახიან“ (ტ. IV, გვ. 196).

ამგვარად, იქნება შთაბეჭდილება ერთგვარი წინააღმდეგობისა: ერთი მხრივ, აღიარებულია, რომ ადამიანის ღირსება მის მაღალ ემოციურობაშია, რომ ვისი გულიც ემოციისთვის დახურულია, ის კაცი არ არის, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებულია, რომ ადამიანი, კაცური კაცი უნდა ფლობდეს უძლიერეს ნებისყოფას, რომლის ფაქტური გამოვლინება სწორედ ემოციის დათრგუნვის, მის დაძლევის, დათმობას წარმოადგენს. როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ თითქოს და წინააღმდეგობას? ამის დასაძლევად ილიას აქვს ორგვარი საბუთი — ფორმალური და არსებითი. ფორმალური საბუთი შემდეგში მდგომარეობს: ნებისმიერი ქვეყნის აქტი აუცილებლად გულისხმობს დაპირისპირებულ ძალთა არსებობას,

ეკრძოდ, ნებისყოფისა და ემოციების არსებობას. საუკეთესო ნებისყოფა ისაა, რომელიც ყველაზე ძლიერ ემოციასაც კი დასძლევს, უკუაგდებს და დათმობინებს. ამიტომ იმისათვის, რომ ნებისყოფა მოქმედებაში მოვიდეს, საჭიროა მისი მოწინააღმდეგე ძალის — ემოციის არსებობა. „გაწირობა მაშინ არის დღესულოვნების საქმე, როცა გაწირობელი თითონ დიდს რასმე ჰკარგავს ამით, როცა ვხედავთ, რომ ამ გაწირობამ გულში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გაწირობელსა, ერთი დიდი რამ დააკლო, ძნელად გასაწირო; ძნელად გასამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან“ (იქვე, გვ. 208). ამის მიხედვით, სრულიად ცხადია, ნებისყოფის ღირებულება განიზომება იმით, თუ რამდენად დიდი, რამდენად ძლიერი ემოცია დასძლია მან. მაშასადამე, ნებისყოფის არსებობისათვის აუცილებელ ფორმალურ წინაპირობას წარმოადგენს ემოციის არსებობა. ესენი ფრთხილ მთლიანი მოვლენის ორი პოლუსია და, როგორც პოლუსების ცნებისათვის, აუცილებელი ორის არსებობა, ისე აქაც — ნებისყოფა ემოციის წინააღმდეგ არსებობას მოითხოვს. მაგრამ არა მარტო ეს ემოციას აქვს თავისი უდიდესი დიდებობის მნიშვნელობაც, ამისი არსებითი საბუთი შემდეგია:

ემოცია თვითონაა ღირებული, რამდენადაც იგი პიროვნების, სუბიექტის ინტერესების წარმოადგენელია პიროვნებაშივე და რამდენად თვითონ პიროვნება წარმოადგენს ღირებულებას. ადამიანი, კაცური კაცი, კაცად-კაცი პიროვნებაა, უწინარეს ყოვლისა, და თუ მისი სოციალური ღირებულება განიზომება ფორმულით: „ახა დღეს შე ვის რა ვარჯე?“, მაშინ იმ საერთო ობიექტურ სინამდვილეში, ვისაც საჩვენებლობა მოუტანეს, ვისაც „არჯეს“, ზამ პიროვნებაც ივლისსხმება. მაშასადამე, ღირებულია სუბიექტის სამსახურში

1 1927 წ. გამოცემის მიხედვით (მ. ინგოროვიცა და ალ. ბაშვილის რედ.).

ყოფი შინაგანი ძალა იმდენად, რამდენად იგი პიროვნებას უმსახურება ისე, რომ საერთოს არ უჭირისპირდება.

მაგრამ ემოციის დადებითი შნიშვნელობა არც ამით ამოიწურება. ემოცია შეიძლება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის სამსახურშიც ჩადგეს. ეს იქნება უმშლესე ემოცია, რომელსაც ილია „ქეშპარატ, მართალ გრძობას“ უწოდებს და განასხვავებს „ყაღბი გრძობისაგან“, რომელიც მხოლოდ „წრიპინია, წუწუნია ცუდ-უბრალო მტირალისი“ (მდრ. ტ. IV, გვ. 204, 207). როგორ შეიძლება საერთოდ სუბიექტის სამსახურისთვის მიუწოდებელი განცდა, — გრძობა, — სოციალურად აქტიურ ძალად იქცეს? ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა ნებას გვაძლევს, რომ მისი პასუხი ამ კითხვაზე შემდეგი სახით ვავიხაროთ:

„ადამიანურ ემოციათა შორის არსებობს ერთი მეტად ძლიერი პოზიტიური ემოცია, რომელსაც საყვარელი ეწოდება და რომელიც საყვარელი საგნისადმი უდიდესი მისწრაფებით ხასიათდება. საყვარელ საგნის შეუძლია მიყვარული სუბიექტისადმი ისეთი ძალა გამოიხიროს, რომ ნაცულად მისი დაუფლებისა თვითონ მიიტანოს თავისი თავი მსხვერპლად და ამგვარად „აბა დღეს მე ვის რა ვარჯეს?“-ს პრინციპი ყოველგვარი შინაგანი ბრძოლის, შინაგანი დაპირისპირებისა და უიღბლის გარეშე იქნას დამაყოფილებელი. ემოცია თვითონ სუბიექტის მოსამსახურება, მისი სამომუნება-სიამოვნების ავიან-ჩავანია, მაგრამ თვითონ პიროვნება თავისი არსებით რომ სოციალური მოვლენაა, ეს გარემოება ხდის შესაძლებელს ემოციის (საყვარელის) საგანი ანუ მიზეზი იყოს არა მარტო ეგოისტურ ზრახვათა დამაყოფილებლის საშუალებანი, არამედ სოციალურად სასარგებლო საგნები და მოვლენები. ადამიანის ცნობიერების შინაარსში უამრავი სოციალური ფაქტორი მოიპოვება. მათ შორის ბევრი — სოციალურად სასარგებლოც, ემოციური სამყაროც ხომ თავის გარკვეულ ნაწილში ცნობიერების შინაარსებით იკავება, მათში პოულობს თავისი მიმართების საგანს. და ხდება არაშეიათად, რომ სუბიექტურად სასურველი ობიექტურად საეალღებულის ემთხვევა. მისწრაფების საგნად გამოდის ის, რაც საერთოდ სოციალურ ღირებულებას წარმოადგენს და რომ იგი მისწრაფების ობიექტი არ ყოფილიყო, მაშინ მორალური მსჯელობა მას საეალღებულო ნორმის სახით წარმოგვიდგენდა და, მაშასადამე, ნებისყოფის განკარგულებაში გადასცემდა სარეალიზაციოდ. ამის დამადისტურებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება ილიას მხატვრულ კმნილებებსა და კრიტიკულ ნააზრევში. საქმარი-

სია ვავისენათ ზოგიერთი მითვანი: კიაზოს („ქართლის დედა“) შინაბუნებაში „აღვილო, არა აქვს არავითარ ყოფმანს, არავითარ ქაბარსმარებას, შინაგან ბრძოლას. მას არ სჭირდება ნებისყოფის ჩარევა საქმეში იმისათვის, რომ თმში წასვლა ვადააწვევტინოს. თმში იგი ხალისით მიადის. ფაქტიურად იგი აკეთებს ღირებულ საქმეს, ხდის მოვალეობას, მაგრამ ის, რაც ღირებულა და არის ვაკეთებაც საეალღებულოა, ემოციის საგნად — საყვარელის ობიექტად ქცეულა. ამიტომ ემოცია აკეთებს იმას, რაც სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ქცევის საქმე შეიძლებოდა ყოფილიყო. ასევეა სხვა მრავალი ვმირი წარმოდგენილი ილიას მიერ თავის უცუდავ კმნილებებში, მაგ., მოხუცი „მეფე დობიტი თაედაღებულში“, ვაბტო „გლახის ნაამბობში...“

დასკვნა:

 სათვალე — სათვალ
 საკმეველი — საკმელ
 სარტყელი — სარტყ
 საფლავი — საფლავ
 საყდარი — საყდარ
 სიმინდი — სიმინდ
 სიმღერა — დირალ
 სიცილი — ლიცივანალ
 სკიფი — სკიფი
 სუღარა — სუღარ
 ტაბაკი — ტაბაკ
 ტანბანა — ტანბანა
 ტიტველი — ტიტველი
 ულაფი — ულაფი
 ულაფი — ულაფი
 უნაგირი — უნაგირი
 უღელი — უღელი
 უშობელი — უშობელი
 ფაშატი — ფაშატი
 ფატე — ფატე
 ფიშტი — ფიშტი
 ფრინველი — ფრინველი
 ფური — ფური
 ქალაქი — ქალაქი
 ქაჯი — ქაჯი
 ქლიავი — ქლიავი
 ქორწილობა — ქორწილი
 ღვინო — ღვინო
 ღმერთ — ღმერთი
 ღოში — ღოში
 ღონე — ღონე
 ყვარული — ყვარული
 ყმაწვილი — ყმაწვილი
 ყურჩინი — ყურჩინი
 ყიშველი — ყიშველი
 წალკოტი — წალკოტი
 წინდა — წინდა
 წიფელი — წიფელი
 წიწილი — წიწილი
 წმინდა — წმინდა
 შუა — შუა
 წყარი — წყარი
 ქალა — ქალა
 ხანჯალი — ხანჯალი
 ხარა — ხარა
 ხატი — ხატი
 ჯვარი — ჯვარი
 ჯორი — ჯორი

ბოლოს მიწერილია:
 „გვარები სენიეთში“

დღეთუნიანი, ჩარკვიანი, ასათიანი, სიჭარბე
 ტელიძე, ფარცხალაძე, დედგარიანი, უაფარძე,
 ყიფიანი, იოსელიანი, კორძიაი. თითქმის მთელი
 (sic) სენიეთში ყველგან ქართული გვარებია“.

ეს ძალიან საყურადღებო დოკუმენტია, რომე-
 ლიც მოწმობს დიდი ილღის ცხოველ ინტერესს
 ძირეულად ქართველური ენის — სენურის მი-
 მართ.

ამასთანავე, ეს სენური საღვთისკონო მასალა
 საინტერესოა სენურის მეცნიერული შესწავლის
 თვალსაზრისით: ჩვენ საშუალება გვაქვს თვა-
 ლი გავახედოთ ამ რამდენიმე ათეული წლის
 წინათ ფიქსირებულ ლექსიკურ ერთეულებს.

ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: აქ შერ-
 ჩებულია ქართულ-სენური ს ა ე რ თ ო ძ ი რ ა ს
 სიტყვები (რა თქმა უნდა, ეს არ არის ამომწურა-
 ვი მასალა); გვცნობა, ილიას აინტერესებდა სა-
 ლექსიკონო მასალაში აღნუსხულიყო ისეთი სიტ-
 ყვები, რომლებიც ერთი შეხედვითაც
 ერთმანეთს მსგავსია, საერთო ძირეული ფონდის
 ერთეულებია. ამას კარგად ადასტურებს სენ-
 იეთში გაფრცხლებული გვარების სააზრ მინაწერი
 („თითქმის მთელ სენიეთში ყველგან ქართული
 გვარებია“). ილია ქაჯევაძემ „ზომ მილიანი სა-
 ქართველოს უდიდესი მედროშა, და ამ მატარა
 ფაქტები მჭევრმეტყველურად მოჩანს ჩვენი დი-
 დი შერჩევისა და სახეობადი მოღვაწის საერთო
 ერთეული თვალსაზრისით.

ურადღებია რომ არის გამაზილებული ერთი
 შეხედვითაც საერთო სიტყვობრივ მასალა-
 ზე. იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ მომცროს
 ლექსიკონში არ არის ასახული განსხვავებული
 სინონიმები. ასე, მაგალითად, მოცემულია:

- მეწყარი — „მეწყარი“ და არა „წეღ“,
- ბეზა — „ბეზე“ და არა „დადა“,
- შუა — „შუე“ და არა „ნენსვა“,
- უშობელი — „უშობელ“ და არა „მესტოე“,
- ვენახი — „ვენახ“ და არა „ლაყურზელი“,
- მღელი — „მღელ“ და არა „ბად“,
- ნაბადი — „ნაბად“ და არა „ღაბი“,
- ბინული — „ბინილ“ და არა „ტეობრა“,
- ბაღახი — „ბაღახ“ და არა „მელ“,
- ფრინველი — „ფრინველ“ და არა „მემგერი“.

ჩვენ ვამბობთ, აღნუსხულია ერთი შეხედვითაც
 საერთო სიტყვები-თქო, თორემ იმ სინონიმების,
 რომლებიც განსხვავებული ჩანან, ადვილად ვიც-
 ნობთ საერთო ქართულ სიტყვებისა. მაგალითად,
 „მელ“ იგივეა რაც „მოლი“, „ლაყურზელი“ იგი-
 ვეა, რაც „საყურძნე“ (ე. ი. ვენახი), „დადა“
 იგივე ძირეული მასალაა, რაც „დადა“ და ა. შ.
 სენურის რომელი კილოს ფორმებია აღბეჭდ-
 დი მომცროს ლექსიკონში? შემოსენური მეტყვე-
 ლებისა, კერძოდ — უშულის მეტყველებისა. სენ-

ნორა სიტყვების ტრანსკრიპციის შესახებ უნდა ითქვას, რომ არ არის აღნიშნული უმლაუტები (უნდა იყოს „ადგილ“ და არა „ადგილ“, „ხატ“

და არა „ხატ“, „ჯეარ“ და არა „ჯეარ“ და ა. შ.), მაგრამ ეს გასაგებია, თუ გაითვალისწინებთ იმდროინდელი ჩაწერის ხერხებს.

შე მოკლებანი:

მ. — სახარება მათესი.

მრ. — სახარება მარკოზისი.

ლ. — სახარება ლუკასი.

ი. — სახარება იოანესი.

დავითნი — ფსალმუნი დავითისი.

იაკობ მოციქ. — უისტოლე იაკობ მოციქულისა.

საქმე მოციქ. — საქმე მოციქულთა.

ქილ. — ქილილა და დამანა. სპარსულიდან ტართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. ილია ბეონიას რედაქციით, 1886.

[] კვალირატულ ფრჩხილებში ჩასმულია ზეენ ზეერ აღდგნილი სიტყვები, გასწორებანი თუ მიითხებანი, რომლებიც არ მოიპოვება ილიას ავტოგრაფში.

შოთა შიშიშვილი

ასტყდა ომი

ასტყდა ომი!.. ამის მსმენელს გული თავის აღ-
გოლს აღარ აქვს. ომი სისხლის ღვრას, ომი უბე-
ღურებას, ომი დამოქმედებას ადამიანის სიცოცხლი-
სა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული
სწუხს და იტანჯება, როცა ეს აგონდება. თუმცა
ეს ასეა, მაგრამ რა რიგს შედიღვრს. დიდებულს
სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი,
როცა თავგაწირული ვერი აშლავებულა. ამხედ-
რებულა, თავისის პატოვის, თავისის ღირსების,
თავისის ვინაობის და თვითუბის დაცვისათვის.
მაშინ გულს ავიწყდება სიკვდილის მუხიც და სე-
ცოცხლის სიტკბობაც. მაშინ კაცი გმირია; მაშინ
გული ძვრს სულგრძელებისათვის, ვაჟკაცობისა-
თვის, პატრონებისათვის. საყოველღეო კუმჭო
საყოველღეო ცხოვრებისა შორდება კაცსა და
კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანის
სიკვდილისათვის, ან პატრონის სიცოცხლისა-
თვის. რამოდენად უფრო შედიღვრია, უფრო და-

1 მუბლიკაცია და შენიშვნა პლატონ კე-
შელავისი.

დებულა, როცა ვერი ამხედრდება და თავსა
სდებს სხვა ვერის დასახსნულად, სხვა ვერის სა-
ფარველად!.. აქ მარტო კერძობითი გრძნობა კი
არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა
საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც
ზღვას მდინარენი, ესე მიერთმევიან ხოლმე კერ-
ძობითი გრძნობანი ადამიანისა.

დღევანდელს ომს ეს გულის აღმტაცი, ეს ზო-
გადი ღეთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუ-
ძღვის წინ.

დღეს საომრად გამოსულს მხედრობას ეს უწე-
რია დროშაზედ: „ჩაგრულთა დასახსნელად და
მწაგვრელთა შესაკაველად... ამაზედ უწმენდო-
რესი, ამაზედ უპატრონისეი, ამაზედ უწმინდესი
საგანი ბევრჯელ არა ჰქონია ომსა. ადამიანის
სულგრძელებას უკეთესი ხაზრდო აღარ უნდა,
ადამიანის თავგამომეტებულს მსნეობას უკეთესი
ჯილდო.

სიცოცხლე შეწირული დევნულთათვის სახელო-
ვანია, სისხლი დაღვრილი ჩაგრულთათვის წმინ-
დაა!..

შენიშვნა

ეს წერილი, რომელიც ოთხმოცი წლის წინათ
გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ყოველკვირეულ
გაზეთ „ივერიაში“ 1877 წლის 21 აპრილს, ეკუ-
თვნის ილიას კალამს. იგი ილიამ ამოწერა და
შეიტანა ნაწერების იმ კრებულში, რომელიც
1892 წელს დაამზადა გამოსაცემად. ეს კრებული
ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების ფონდში.

სტატია ეხება რუსეთ-თურქეთის 1877—1878
წლების ომს. ენობილია, რომ ომი გამოიწვია
ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა იმ ატუ-

ნელმა ტანჯვამ, რომელსაც ისინი განიცდიდნენ
თურქ დამპყრობელთა უღელტეხვს.

რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ ომის
გამოცხადება ნიშნავდა თურქეთის მიერ მიტაცე-
ბული ბალკანეთისა და აჭარის განთავისუფლე-
ბის საქმეში რუსეთის სამხედრო იარაღის გამო-
ყენებას. ამიტომ უღერს დღესაც ილიას ეს სტა-
ტია, როგორც განმათავისუფლებელი ომისაკენ
მოწოდება. აქ ნათლად ჩანს ილიას პუშკინისძე.

პლატონ კიხეიავა

მონობრავია ალამ მიცკევიჩი



დიდი პოლანელი პოეტი ადამ მიცკევიჩი საყვარელი და ახლობელი გახდა მთელი მოწინავე კაცობრიობისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დაჯილდოებული იყო ცხოველმყოფელი და ღრმა პოეტური ტემპერამენტით, ნიჭით, სიცოცხლის მოყვარულობით, არამედ იმიტომაც, რომ მისი გული აღსავსე იყო კეთილშობილი მისწრაფებით, მისი ოცნება მალაღ საკაცობრიო დეალოების განხორციელებას ემსახურებოდა, მისი ფართო გრძელეცია და ნიჭიერება ხალხის ინტერესების სამსახურში იყო ჩაყენებული; მისთვის, როგორც პოეტისა და მოქალაქისათვის, მთავარი იყო მშრომელი ხალხის პოლიტიკური თავისუფლება და სოციალური უკუღმართობის მოსპობა. იმიტომ ესმურება ასე უშუალოდ წვეწმ ებოქას, საბჭოთა ხალხის გაწყობილებას ადამ მიცკევიჩის მრავალფეროვანი და მდიდარი, ყოველმხრივ მნიშვნელოვანი, ლიტერატურული შემკვიდრებაში.

აღსანიშნავია ის დიდი პოპულარობა და საყვარელი, რომლითაც სარგებლობდა ადამ მიცკევიჩის პირადება და შემოქმედება ქართულ საზოგადოებაში, მის მოწინავე წიქლში ის გავლენი, რომელიც მოახდინა ადამ მიცკევიჩის მხურავლე ტემპერამენტით და მებრძოლი სულისკვეთებით გაუღწილია პოეტურმა სამყარომ ქართულ ერთნულ-განმთავისუფლებელ მოძრაობის აზროვნების და, საერთოდ, პატრიოტული ლიტერატურის განვითარებაზე.

ამიტომ მეტად დროულად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზე მიხეილ კვესელავის წიგნის გამოცემა ადამ მიცკევიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს მონოგრაფია მრავალმხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. იგი ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც არსებობდა არა მხოლოდ ადამ მიცკევიჩის შემოქმედების შესწავლის საქმეში ჩვენში, არამედ პოლონურ და ქართულ ლიტერატურულ და, საერთოდ, კულტურულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში.

წიგნი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ამის მიზეზია ის, რომ იგი დაწერილია საგნის კარგი ცოდნით, ღრმა სიყვარულით, ნამდვილი პატრიოტული გრძნობათა.

ადამ მიცკევიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს. უნდა ითქვას, რომ დიდი პოეტისა და მებრძოლის შემ-

კვიდრობის შეფასებისას მკვლევართა შორის აზრთა სხვაობასაც აქვს ადგილი. არიან ისეთები, რომლებიც ვერ თმობენ ვიწრო კლასობრივ პოზიციებს და ა. მიცკევიჩის შემოქმედებას განიხილვენ ცალმხრივად. ამ მკვლევართა მიზანია ეს დიდი ადამიანი წარმოადგინონ როგორც ძველი პოლონეთის მომღერალი. ეს მკვლევარები ხალხთა მეგობრობის უებარ მომღერალს ა. მიცკევიჩის ნიჭიერენ ათის. ცოდვას და მათ შორის კონსერვატულ პოზიციებზე დადგომას, კათოლიციზმთან შეშარაგებელი პოლიტიკის წარმოებას და, რაც მთავარია, ნაციონალურ შეზღუდულობას — იგი ნაციონალიზმის მებნარდტრედაც კი გამოკყავთ.

მ. კვესელავა, განიხილავს რა დიდი პოეტის შემოქმედებას, გზადაგზა საქმარ მდიდარი საარგუმენტაციო მასალის მოყვანით და მხატვრულ ანილოზე დაყრდნობით, რასაც ავტორი თითქმის ყოველი ნაწარმოების გარწვევისას მიმართავს, ამათილებს ამ მკვლევართა ცრუმეცნიერულ შეხედულებებს და ხატავს ა. მიცკევიჩის ნამდვილ ცხოვრებისეულ სახეს, რომელსაც არ იყო მოკლებული დროით დაპირობებულ მცდარ ზოგიერთ შეხედულებას, მაგრამ თავისი მოღვაწეობით საერთოდ დიდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა და ხშიარ შემოთხვევაში ხალხთა მასებში რევოლუციური შეგნების შეტანას უწყობდა ხელს.

მ. კვესელავის შრომის ღირსებაა თვით მასილის დალაგების მეთოდია, მისი კომპოზიციური აღნაგობა, რაც ავტორს და, მასმასდამე, მკითხველსაც სრულ საშუალებას აძლევს მიიღვენოს თვალყურით არა მხოლოდ პოეტის ბიოგრაფიულ ფაქტებს, რაც ასე ცოცხლად არის გადმოცემული წიგნში, არამედ იმ შემოქმედებითს ვეოლუციას, რასაც პოეტი განიცდიდა და რაც ავტორის საგნებით მართებულად აქვს დაკავშირებული არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ საერთოდ იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სოციალურ-კულტურულ ვითარებასთან. დგას რა მარქსისტული ესთეტიკის პოზიციებზე, ავტორი ა. მიცკევიჩის შემოქმედების შესწავლისას მკითხველს სთავაზობს მრავალ ახალ, ვიტყვიანთ, თრივინალურ და საგნებით მართებულ, სწორ ინტერპრეტაციას იმა თუ იმ საკითხის გაშუქებაში.

მიხეილ კეცხელაძის შრომაში აღამ მიცევენი შეთხვეულ წარმოდგება, როგორც შესანიშნავი პატრიოტი, პოეტრი-მოქალაქე, ფართო ისტორიული პერსპექტივის მქონე მებრძოლი, რომელიც პოლონელი ხალხის განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა საერთოდ ყველა ხალხის განთავისუფლებულ ბრძოლას, მათს პოლიტიკურ და სოციალურ განთავისუფლებას.

ვიღრე უშუალოდ აღამ მიცევენიის ცხოვრებასა და შემოქმედების განხილვას შეუდგებოდეს, მის კეცხელაძის შეთხვეულს მკვლელ იენობს პოლონეთის ისტორიის ტრაგეზმით აღსავსე ცალკეულ მონაცემებს, მის საზღვარ დაქუცმაცების და დაყოფას მეფის რუსეთის, მონარქისტულ დასტრუქციონისტისა და მილიტარიზმის გზაზე აღმდგამი ბრუნვის შორის. პოლიტიკური ვითარების გადმოცემასთან ერთად ავტორი მკითხველს იენობს აგრეთვე ხალხის განთავისუფლებულ მოძრაობას და ამ მოძრაობის ისტორიულ მგალობლზე ცხადყოფს შეძლებული კლასების ეწროვოტორის მისწრაფებებს. შრომის ეს შესავალი წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს, რომელიც ახილებელია იმისათვის, რომ მკითხველმა ნათლად წარმოადგინოს, თუ რა ვითარებაში იზრდებოდა ა. მიცევენი და რა გავლენას ახდენდა სუვერენობის მოკლებული პოლონელი ხალხის ერთგული მოძრაობა მიცევენიის ნაყოფმწოდებლობის ჩამოყალიბებაზე, მისი შემოქმედების განვითარებაზე.

შემდეგ ავტორი ცოცხლად და ხაინტყურსოდ ჰყვება იმ განწყობილებებზე, რომლებიც თვით მიცევენიის შრომების რუკაში არსებობდა, ამ ტრადიციებზე, რომლებიც ამ რუკაში ასულდგმულდება და რომლებშიც შემდეგში ახალგაზრდა აღამ მიცევენიზე იქონიეს გავლენა.

მ. კეცხელაძე უფრო ვრცლად ჩერდება ჰაბუკი აღამ მიცევენიის იმ წლებზე, რომლებიც შინ კ. ნოვოგრუდოვში გაატარა, მისი პოეზიით პირველ გატაცებაზე და სტუდენტურ წლებზე, რომლებიც შინ ვილნიუსის უნივერსიტეტში დაკყო. ავტორს თანხმდევრობით აქვს გაშუქებული ფილომატია წრის (მეცნიერების მეგობართა საზოგადოება) მუშაობა, ამ წრისა, რომლის ხელმძღვანელსა და სულისამძღვემს ა. მიცევენი წარმოადგენდა. ამ წრეში მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მიცევენიის საზოგადოებრივი პოზიციების ვარკვევაზე, რამდენადაც ფილომატია ინტერესები შემდეგში მჭიდროდ დაუკავშირდა ერთგულ-განთავისუფლებულ მოძრაობას. შრომის ავტორი ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ფართოდ იმუშებს იმ ბრძოლას, რომელიც ლიტერატურის ფრონტზე იყო განაღებული განწინათლებული იდეების მიმდევრობით, კლასიციზმის ეპიკონიით და ახლად ჩასახული რომანტიზმის წარმომადგენელთა შორის. უკანასკნელია პოლიტიკის დამკველად გამოდის ახალგაზრდა ა. მიცევენი. მის, კეცხელაძე პოეტის ამ პერიოდის მოღვაწეობის განხილვა-

სას არ კმაყოფილებდა, კერძოდ, მიცევენიის რევოლუციური რომანტიზმის დასასრულბით, არამედ იგი აყენებს ზოგად ენტერტენს სპუტინგებსაც. ავტორი ა. მიცევენიის შემოქმედებით პრაქტიკაზე დაურდნობით დამაჯერებლად ამტყიცებს, რომ მიცევენიის შემოქმედებაში ღრმად იჭრებოდა სინამდვილე, ცხოვრების მოვლენები, რის გამოც იგი ვერ თავდება რომანტიზმის ფარგლებში და რეალიზმის გზაზე დგება, რითაც იგი უპასუხებდა იმ საკითხებს, რომლებსაც მისი მღელვარე დრო დღის წესრიგში აყენებდა.

მ. კეცხელაძე იძლევა პოეტის ლექსების პირველი წიგნის ვრცელ მხატვრულ ანალიზს. განსაკუთრებულ ადგილს ავტორი უთმობს იმ ლექსების ვარჩევას, რომლებშიც განმოსავალი პოემა პოეტის რევოლუციურმა ტემპერამენტმა. ავტორი დასკვნის, რომ „მიცევენიის რომანტიულ პოეზიას იმთავითვე თან სდევს ცხოვრების რეალისტური ასახვის უნარი“ (გვ. 40).

კენსაში ვატარებული წლები საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა მიცევენიის შემოქმედებაში. შესანიშნავი ლექსების ციკლთან ერთად მიცევენიამ აქ დიწყო მუშაობა პოემაზე „გრაჯანა“ და „ძიადები“. მნიშვნელოვან ადგილს თავის შრომაში ავტორი უთმობს მიცევენიის თეორიულ შეხედულებათა ჩამოყალიბებას და ესთეტიკურ კრედოს, რომლის მიხედვითაც, მთავარი — ეს არის პოეზიის ხალხურობა. ავტორის თქმით: „მიცევენიის იდეალს წარმოადგენს თავისუფალი ხალხური პოეზია, რომელიც ერის სასიათისა და კულტურის ამაღლებას დიდ საზოგადოებრივ ფუნქციას შეასრულებს“ (გვ. 94).

მიცევენიის „ბალადებისა და რომანსების“ ვარჩევას შემდეგ მის. კეცხელაძე გადადის მისი პოემების ანალიზზე და იმ მეთოდის გამოყენებაზე, რომლითაც პოეტი თავის ეპიკურ ნაწარმოებებს ქმნიდა. დიდი ადგილი აქვს დამოუხილი შრომაში პოემა „გრაჯანას“ ვარჩევას და იმ კონკრეტულ ისტორიულ ვარგებს, რომელიც ეს პოემა იწვევბოდა. ავტორი, როგორც საერთოდ მიცევენიის შემოქმედებას, ისე აღნიშნულ პოემისაც ვარჩევრულ ამოცანებს უკავშირებს — ეს არის პოლონელ ხალხში ერთგულ-განთავისუფლებული იდეების ვარკველება და, საერთოდ, პატრიოტული განწყობილების შექმნა ხალხში. ამ შემთხვევაში, როგორც მიცევენი, ისე შემდგომ ზეგნიში რეალიზმის დიდი წარმომადგენელი, ისტორიულ თემბატკის მიმართადნენ და მის თანამედროვეობის მტკიცებულ საკითხებს უკავშირებდნენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი შრომაში დამოუხილი აქვს „ძიადების“ ვარჩევას, რაც საყვებით ბუნებრივია, რამდენადაც იგი მოცულობით ყველაზე დიდია მიცევენიის ნაწარმოებთა შორის და მხატვრული შესრულებითაც მტად რთული და ადგილ-ადგილ ბუნდოვანიაცა.

შეთხველის განსაკუთრებულ ყურადღებას უმჯობესია მიიპყრობს შრომის ის ადგილები, სადაც აღწერილი და გამოქვეყნებულია მიცვეების ის წლები, რომლებშიც მან რუსეთში გაატარა და აღნიშნულია რუსული პოეტური აზროვნების კორიფებთან, პირველ რიგში პუშკინთან, ვაზნემსკისთან, რილევთან და სხვებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ავტორი მდიდარი მასალის დამოწმებით ნათელყოფს, თუ როგორ უყვარდა და პატივს სცემდა მიცვეები რუს ხალხს, ამავე დროს მთელ თავის სულიერ ძალას ოფიციალურ რუსეთთან ბრძოლას ანდომებდა. ამ ბრძოლაში ის სრულ მხარდაჭერას პოულობდა მოწინავე რუსი საზოგადოების მხრიდან, რომელთავე მიცვეებისა მალე გამოინახა საერთო ენა. ავტორი თანდათან გასაგებს ზღის შეთხველისთვის, თუ რა მიზეზების გამო იფანტებოდა მიცვეების პოლიტიკური ილუზიები, რაც უცხო სახელმწიფოების (საფრანგეთის) დახმარების იმედზე იყო დამყარებული და მუშათა მოძრაობის განვითარების ზეგავლენით როგორ მივიღა იგი ერთადერთ სწორ აზრამდე: მისი ქვეყნის განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ თვით პოლონელი ხალხის რევოლუციური აჯანყებით და რუსი ხალხის დახმარებით. ამიტომ იყო იგი ასე გულთბილად განწყობილი რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლებისადმი.

მ. კვესელავა არჩევს რუსეთში შექმნილ ლექსების ციკლს, სატრფიალო და ყირიმის სონეტებს. მათი ანალიზისას ავტორი ხაზს უსვამს როგორც პოეტის კონკრეტულ, ცხოვრებისეულ მოვლენებთან გამოძლიანებულ განცდებს, ისე ზოგად პოეტურ ხილვას, რომელშიც ანატოლს პოულობდა საერთო პრობლემატური ხასიათის საკითხები — იქნებოდა ეს სამშობლოს განთავისუფლების, სიყვარულის თუ სხვა პრობლემები. ავტორი საკვებით სამართლიანად დაასჯენს: „რუსეთში გატარებულ წლებს იგი თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებად თვლიდა. აქ ეზიარა იგი დიდ რუსულ კულტურას, აქ განუტყობდა მას ხალხთა ერთიანობის იდეა, აქ მიიღო მან ნამდვილი რევოლუციური იდეო-პოლიტიკური წრთობა“ (გვ. 117) ამ დებულებას ავტორი ამოკრებს მდიდარი კონკრეტული ისტორიული-ლიტერატურული მასალით.

შრომში კარგი არის წარმოდგენილი ქართული დრამატურგის გ. ერისთავის დამოკიდებულება მიცვეების შემოქმედებისადმი და, ამასთანავე, გაჩნეულია მის მიერ თარგმნილი მიცვეების რამდენიმე ლექსი ყვირილის სონეტებიდან. სამწუხაროდ, ავტორი მეტად მცირე ადგილს უთმობს პოემის „კონრად ვალენროდის“ გარჩევას, იმ პოემისა, რომელშიც ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა ა. წერეთლის ზოგიერთ ნაწარმოებზე და რომელიც საერთოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოწინავე რუს მწერლებს შორის.

კარგად აქვს ავტორს ილეროლი პოეტის შესვლერები მართა შინაინოესიასთან. ასევე სანტრესოდან აღწერილი შრომაში მიცვეების შეხვედრები რუსული პოეზიის მრწვერებულ-პლუტადსთან ზ. ვოლისკაას სალონში, სადაც მას განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი იმპროვიზებული ლექსებით სტუმრები, და მათ შორის პუშკინი, ევკოესკი, ვიანემსკი და სხვ.

ქართული შეთხველა განსაკუთრებულ ყურადღებას, უმჯობესია, მიიპყრობს შრომის ის ნაწილი, რომელშიც ავტორს გადმოცემული აქვს ქართულ-პოლონურ კულტურული ურთიერთობანი. მ. კვესელავა საკვებით გამოიციხავს მიცვეების დარისის გავლენას „მეჩანზე“ და ზოგიერთ მსგავსებას ხსნის ორივე პოეტის ბიოგრაფიული ხასიათის მოვლენათა ერთგვარობით, მაშინდელი საქართველოსა და პოლონეთის ერთნაირი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობით, ორივე ხალხის ერთნაირი ისტორიული ზედიით. შემდეგ ავტორი კონსპეტურად გადმოსცემს იმ პოლონელთა ვინაობასა და მათ შრომებს, რომლებშიც საქართველოს შესახებ საკმაოდ ვრცელი მონაცემებია მოყვანილი. მ. კვესელავა დროულად აყენებს საკითხს ამ კულტურული ურთიერთობის ფართოდ შესწავლის შესახებ.

შრომის შემდეგ თავებს ავტორი მიუძღვნის ა. მიცვეების იმ წლების ილწერას, რომლებშიც მან პარიზში გაატარა. ამასთან დაეკვირვებით ავტორი ფართოდ განიხილავს მიცვეების როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ისე მის პედაგოგიკურ მოღვაწეობას, ოჯახურ ცხოვრებას და საერთოდ იმ ინტელექტუალურ გარემოს, რომელშიც დიდ პოეტს უხდებოდა ცხოვრება. განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს „ძიებების“ შემდეგ თავებისა და პოემა „მან ტადეუშის“ გარჩევას. უკანასკნელს ავტორი საკვებით სამართლიანად ა. მიცვეების საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიიკეთებებს.

შრომის დასკვნათს ნაწილში ავტორი ჩერდება ა. მიცვეების დროებითს გატაცებაზე ტოვანობით, მაგრამ ამავე დროს იგი დამაჯერებლად უარყოფს იმ მველევარათა აზრს, თითქმის ამ გატაცების რაიმე მნიშვნელოვანი დისპარმონია შეტანას პოეტის სულიერ წყობაში. ავტორი მდიდარი ლიტერატურული მასალის მოტანით იმ დასკვნამდე მიდის, რომ მიცვეები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გამსვენებული იყო ხალხის გამარჯვების დიდი რწმენით და, მაშასადამე, შეუძლებელი იყო იგი ტოვანისტური მისტიკისტყობაში ყოფილიყო დიდხანს მოქცეული. მართლაც, მიცვეებისა მალე პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგამს იგი სათავეში ჩაუდგა პოლონელთა ლეგიონს, რომელსაც უნდა ებრძოლა თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ მისმა დაუსტებულმა სხეულმა ვეღარ გაძლო მოძალებულ ავიდყოფობას და გარდაიცვალა სტამბოლში 1855 წლის 26 ნოემბრის ღამით.

შრომის ბოლო ნაწილში ავტორს ვრცლად ზოგადი აგრეთვე ახალგაზრდა პოლონელ პოეტის ედუარდ ხლამბიციის საუბარი უკვე ხანდაზმულ შარბამ ვერეშიჩათან. საუბარი შეეხება ა. მიცევიჩს. არ შეიძლება ამ ნაწილის გულდამშვიდებით წაიკითხვა, ისეთი აღმომართი გრძნობით არის იგი გამთბარი. საერთოდ, მთელი წიგნი მიცევიჩის პოეზიის ღრმა განკლით არის

დაწერილი. წიგნის ცალკეული ნაწილები ერთობა როგორც კარგი მხატვრული ნაწარმოებები, ისეთი ხატვანი ვნით არის დაწერილი.

მ. კვესელავს შრომა ადამ მიცევიჩის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ქართული ლიტერატურაშიცოდნების უწყველი შენაძენია.

ზალვა ავხანიძე

ავსტრიული პროზის ანთოლოგია

სახელგამმა გამოსცა ავსტრიული პროზის ანთოლოგია კრებულის გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მკითხველისათვის, რათა უფრო ახლო გაეცნოს ავსტრიული მხატვრული პროზის ნიმუშებს.

კრებულში წარმოდგენილი ავტორები ესებიან ავსტრიის ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან ყველა ერთნაირი ღირსების არაა, მაგრამ უმრავლესობამ სიმართლიანად მიიძღვა ფართო საზოგადოების ყურადღება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ანთოლოგია იხსნება ავსტრიის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას მოთხრობებით. დ. გულია უმთავრესად ცნობილია, როგორც პოეტი, მაგრამ ის არის აგრეთვე ავსტრიული მხატვრული პროზის ფუძემდებელი. მის კალამს გუთუნის მკითხველს და დიდი ფორმის შრავილი ნაწარმოები. კრებულში შესულია დ. გულიას უძველესი და, სავსაშუალო, ავსტრიული პროზის პირველი ქმნილება „ელკანი“. ამ ნაწარმოებით მიწვევალმა ანთოლოგიის მიიქცია ყურადღება. მასში გადმოცემულია რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების სურათები, კერძოდ, თავიდანსურთა იფერაბსნილი, უღარველი და გარყენილი ცხოვრება.

მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი — ელკანი, რომლის სახელსაც ატარებს ეს ნაწარმოები, ავსტრიის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრია. იგი პატიოსანი და გამრჯე ოჯახის შვილია. როცა ელკანი წამოიზარდა, დაუახლოვდა და უმეტეს ფრთხილად ატარებდა თავად აღდგომას. მისი სიამოვნებისათვის თავს არ იზოგავდა, ქურდობასაც არ თაკობდა. ერთ დღეს, ნაქურდალი ცხენით ქალაქში წასული აღდგომის დაპატიმრებს. სასჯელისაგან თავის დასაღწევად მან განაცხადა, რომ ცხენი ელკანისგან იყიდა. გამოძიებელი საქმის გამოსარკვევად ჩაივიდა აღდგომის სოფელში. ქალბატონის დავალებით ელკანს ცხენის გამოიდგელობა უნდა ეკისრა და მხოლოდ ეს დაიხსნიდა აღდგომის განსაცდელისგან. თუ ვინცობაა საქმე ცუდ საბეს მიიღებდა, მაშინ ელკანს აღდგომის დაუდგებოდა თავიდან. ელკანი დათინხდა...

უნწის უფროსმა დაბატიმრა და გაუყენა ქალაქის ვხს. რამდენიმე დღეში საქმე გაარჩიეს, ელკანს ქონება ჩამოართვეს და ორი წლის პატიმრობით ცაშიირში გადასახლეს. გაიძიებულ ელკანი დაავადყოფდა და გარდაიცვალა. დიღხანს არ დაეწყებოდა თანასოფლელებს და ნათესავებს ერთ დროს მამაკი ელკანი, რომელმაც უცხო მზარეში, თანშეზრდილი ავანტურისტის წყალობით, მშობელთაგან დაუტარებლად დალია სულა.

გარდა ზემოხსენებული მოთხრობისა, კრებულში დაბეჭდილია დ. გულიას მკითხველის ნაწარმოებები „მატარა მოთხრობების“ სახელწოდებით. მათი გაეცნობის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მწერალი დიდი გულსიყურით ეპყრობა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, რადგან „მატარა მოთხრობებში“ ფართოდ არის გამოყენებული ფოლკლორული მასალები. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ზოგიერთი ნაწარმოებში უმნიშვნელო ცვლილებით არის დაბეჭდილი. საერთოდ კი ავტორმა დიდი მხატვრული ზომიერება დაიცვა და მსუბუქი, ძალდაუტანებელი და ჯანსაღი იუმორით გაავსა მასალები.

ავსტრიული ნაციონალური დრამატურგიის ფუძემდებლის, პოეტისა და პროზაიკოსის სამსონ ქანას შემოქმედება ფართოდაა ცნობილი. კრებულში შეტანილი მისი რამდენიმე მოთხრობიდან ყურადღებას იმსახურებს 1924 წელს დაწერილი მინიატურა „მატარებელი № 6“. აქ დაბატლოა ის დიდი საყოველთაო გლევის სურათები, რომელიც დიდი ღენწის გარდაცვალებამ გამოიწვია. მწერალი რეალისტურად აღწერს და განგვაღწევენებს მშობლიური ილიხის დაკარგვისაგან გამოწვეულ უსახლერო მწუხარებას.

გორკადან მოსკოვში ცნობა მოვიდა, რომ ლენინი გარდაიცვალა. დიდი და პატარა აცრემლა ამ ამბავმა. ყოველი კუთხიდან მოვიდნენ, რათა გამოთხოვებოდნენ საყვარელ ხელაღს. და, იი, პაველესის სადგურიდან დაიძრა ხალხით დატვირ-

თელი, შავ მამებში გახვეული მატარებელი ჩნდებოდა. ვხედავთ დღემლით აცოლებენ მას. სიღვრე გვრასამოვლადან გორკამდე თოვლიანი გზა ხალხის ნაკადით დაიფარა. წინ გორკა... არყისა და ფიქვის რიგებში გაიშალა მთითერთი სახლი, სადაც თავისი სიციხის უკანასკნელი დღეები გაატარა ვლადიმერ ილიჩმა...

საბატო ყარაულში ბელადის ცხედართან ერთმანეთს სცვიან პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები, მუშები, გლეხები და ყველანი, ვინც მოსულა ცხარე ცრემლის დასაღვრელად. ცხედარი გორკადან მოსოვეში, სვეტებინან დარბაზში გადაასვენეს. მწერალმა დამაჯერებლად გადმოგვცა იანჯიას სესხიან დღეებში აღმართა დამწერებელი და აცრემლებული სახეები, ლენინის გარდაცვალების გამო. მწერალმა შემოღო დავახა უკვდავ ლენინის ანდერძის დამცველი კომუნისტური პარტიის სახე.

ს. ჭანბას მეორე მოთხრობაში „ბერძენი“ ზღვისპირელ კოლმეურნეთა ხალისიანი შრომის პროცესია ასახული. კომკავშირელი ვაგონა — ნური ყურის მოკრავს მამის სიმღერის და გაზარებულა აბო. ის იჯანებს მებუნელ წარსულს, რევოლუციამდელი სოფლის მიმე სურათებს. ნურის მამა ნურიანი და მისი ოჯახი დიდ ტანჯვასა და შეეწირვბას განიცდიდა თავად ზოურბეგისაგან. მამინ ნური შეიდი წლის იყო...

ერთხელ თავადის კუთვნილ საძოვარში კამენი გადავიდა და მოტრავმა დაიჭირა. გამოსასულიდ მისულმა ნიურიზმა „წურბელა“ უწოდა ბატონს. ამისათვის მას ცოლშვილის თვალწინ სცემეს და შეიდი დღე პატიმრობაშიც აყოფეს. დრო გავიდა... 1921 წლის 4 მარტის დამეს გაზაფხულის ნილივარივით შემოიჭრა წითელი არმია, რამაც თავისუფლება, მდინარეება და სიხარული მათუტანა ნიურიზის ოჯახს.

ამ მოთხრობაში ს. ჭანბამ დამაჯერებლად ასახა საკოლმეურნეო სოფლის მშენებარე ცხოვრება, მოწინავე აღმართები და ამავე დროს გვიჩვენა რევოლუციამდელი სოფლის მძაფრი სურათები.

ანთოლოგიაში შესული მწერლებიდან აღსანიშნავია გიორგი გულიას მეორე მოთხრობები. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია აბალი ტბის აღმართების ჩვენება, შეგობობისა და სასამართლოს საყვარელი აღსავსე მამულშვილთა შესახებ წერა.

მოთხრობაში „თანამგზავრი“ ნათელი ფერებით არის დასურათებული აფხაზეთის, საქართველოს ამ უღამაზესი მხარის, ბუნების სიყველუცე. სოფელში მიმავალ მწერალს გაუნდა თანამგზავრი საბოლოო წლის მთიელის ესნატე არესა სახით. დღევანდელი ცხოვრებით გაქმბუებული მოზრევი უყვება მწერალს სოციალისტური სოფლის უძლეველობაზე, შრომითა და ბედნიერებით წელში გამართულ აღმართებზე. ავბედითი წარსულის მნახველი მთიელი გაზაფხუ იკრავს გლეხთა ყოფის მძიმე სურათებს. უყვება იმის შესახებ, თუ როგორ დადიოდნენ და დაეძებდნენ

ტყის წაბლს, რათა მიმშლისაგან გადარჩინათ ოჯახები. კითხულობთ ამ წყარებშიც და გრძნობთ, რომ მოხუცის გულედან ნაწყვეტი მდებლობის გამოშატეული სიტყვები მიმართულია კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

მოთხრობაში „ამის შესახებ, თუ როგორი სიყვარული იყოდა თემურში“, მწერალი მოხუცის პარით უყვება ახალგაზრდა აგრონომის — თემოს სიყვარულზე. ნიამბარე უბნული ახლახან დაბრუნებულა ფრონტიდან, მეკრძე უცილობელია. იმში წასვლამდე თემურისა და მოწინავე შენაიეს — გუნდის შორის, როგორც სოფელში ამბობდნენ, ურთიერთპატივისცემა არსებობდა. კოლმეურნეობის უხეირო თავმჯდომარეს მახანსაც მოსწონდა მოწინავე ქალიშვილი. ომიდან თემურის დაბრუნებამ გუნდასთან სატრფიალოდ მისსიყვრელი გზა დაუსწო მახანს. თემური სოფლად სწორედ მაშინ ჩამოვიდა, როდესაც მისის თვე ილიოდა და პლანტაციებზე ერთი ფოთოლიც არ იყო მოწყვეტილი... ამის მიზეზი ნესტიანი ამინდი იყო და ვიდრე მზე დანაშულ ფოთლებს დააცხენებდა და ხარისხს დაუკარგავდა, მანამ უნდა შესვლოდნენ კრეფის. თემურში დიდი ზნის კამათის შემდეგ, როგორც იქნა, დაიბნა თემურისადმი. დამით ჩამოვიდა კოლმეურნეებს და მთავარს შუჭზე დაკრთეს ჩაის ფოთლები. თემურის ინიციატივამ მთელი სოფელი ალაპარაკა. ოთხი დღის შრომით დაქმნული და მოღალა თემური ბუნდნიერებას და სიხარულს განიცდიდა, რადგან მან გუნდის წინაშე დადებულ სიტყვა პირნათლად შესრულა.

გ. გულიამ ამ მოთხრობით ერთხელ კიდევ დაგვანახა დღევანდელი სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის პატვისიცემა შრომისადმი, გვიჩვენა ქალსა და ვაჟს შორის გულწრფელი სიყვარულის მთავალი.

ივანე ჰაპსავიტი აფხაზეთი პროზის ნიჭიერი წარმომადგენელია. ის ავტორია მრავალი რომანისა და მოთხრობისა. მათგან ცნობილია „თემური“, „ერკახუს ძირში“ და სხვ.

მოთხრობაში „დიდი ზეიმის დღე“ მწერალმა აგვისახა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში. მასში ნაჩვენებია უღლეური შეწყვეტების ბოგანი აფხაზეთის ერთიერთ სოფელში. ნაწარმოებში გამოყვანილია მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები: და-ძმა სიმა და უბოგო, ნიკეა, ტამიზი და სხვანი. მწერალმა მათი სახით გავაცნო უღრავი სულისა და გულის აღმართები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მამაკე ქალის სიმათა დიდებება, რომლის გმობობაც მწერალმა უღრესად დამაბულ სიტუაციებში გადმოგვცა.

მოთხრობაში გამოყვანილი არიან აგრეთვე მოღალატე რფიკერი ბესო შეგუემა და ესლამი, როგორც დამალი სულის. თანამემამულეთა გამოყვანილი აღმართები.

უსახსრობისაგან დაბეწვებული ბაზალს უკუღმარა ბედზეა დაწერილი მოთხრობა „უშობელი“. ღარიბ გლეხს ბაზალს შვილი გავხდა ავად და არავითარი საშუალება არა აქვს მკურნალობისა. ბატონი მას საკეთარ ყანაში ამუშავებს, მაშინ როცა ბაზალს ყანა სარეველა ბალახით არის საყვ. და განა მარტო ბაზალა, მთელი სოფლის გლეხობა აუტანელ ტანჯვაში ჰყავს ბატონს. ერთ დღეს, როდესაც გლეხები ბატონის ყანას თობნიდნენ, ბატონმა მათ სადილი გაემზადა, ყველას გაუკვირდა ბატონის ესოდენი გულუზგობა; მაგრამ დახეთ უბედურებასი სახლში დაბრუნებული ბაზალა უშობლის თავსა და ტყავს პოულობს. თორემ ბატონი ბაზალს უშობლით გულისანძღვალად გლეხებს. ამალღებულად არის გადმოცემული გლეხის ცხოვრების მძიმე სერათები წარსულში.

საერთოდ, ივანე პასიკირის მოთხრობები გამოცდილი მხატვრის ხელითაა დაწერილი და დიდი ინტერესით იკითხება.

მწერალი მიხეილ ლაყერბაი ანთოლოგიაში წარმოდგენილია ექვსი მოთხრობით. მთავარი, რაც თავლში უცემა მკითხველს, ის არის, რომ ავტორს კარგად ეხერხება ჩანაფიქრის მოკლე და სხარტად გადმოცემა. მოთხრობებიდან გამსაკეთებელით აღსანიშნავია „მოხეტიალე ამბობენ“, სადაც გადმოცემულია სამამულა ომის დროინდელი ამბავი და, კერძოდ, ასოცდაათი წლის მოხუცის არღან უხაიდის გვირობა. პატრიოტი არღანი, რომელსაც მოხუცებულობის გამო არ აძლევენ ომში მონაწილეობის უფლებას, თავისი ნებით, მოხერხებულად და ვაბედულად მიაღწევს გერმანელთა შტაბამდე. ის მოითხოვს შტაბის უფროსთან შეხვედრას, თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ჯამუშვარი ცნობები მიაწოდოს საბჭოთა ჯარის განლაგების შესახებ. მოტყუებული გერმანელები შეიუფანენ შტაბის უფროსთან მოხუც პატრიოტს. არღანი დანით ჰკლავს გერმანელ ოფიცერს... მწერალს კარგად აქვს გადმოცემული ასოცდაათი წლის მოხუცის უღრვეი ზასათი და მისი პატრიოტული სულისკეთება.

სტუმარმასპინძლობის ტველი წესებია ასახულია მოთხრობაში „სტუმარი“. აქ დაცულია მა-

მა-პაპათა დროინდელი შეხედულება იმის შესახებ, რომ ოჯახში მყოფი სტუმარი, ღვთისაა, მიუხედავად იმისა, მტრია ის უფროსად ვინაა, მიუხედავად იმისა, მტრია ის უფროსად ვინაა, ერთ დღეს, როდესაც ხანაშე შვილის ქალამანს ჰკერავდა, გზოში ქლომინით შევიდა ვიღაც უცნობი. მან მოხუცს გაანლო, რომ კაცი შემოაკვდა და თან სთხოვა მღვვართაგან დაეცვა. მოხუცმა სტუმარი სხვეწზე დამალა. ცოტანის შემდეგ სოფლის ახალგაზრდებმა ნაბაღში გახეუული თემირის ცხედარი შეასვენეს მოხუცის სახლში და თან ანუგეშეს ერთადერთი შვილის მამა, ფიცი დასდეს, რომ ჰკლავს იპოვნიდნენ და სისხლს აიღებდნენ. ძლიერ ამადიდლებული ის სცენა, როცა ხანაშე ეუბნება ორი დღის საყოფი საგზლით ისტუმრებს შვილის ჰკლავს და თან აფრთხილებს, რომ სადმე არ შეეყაროს თემირის ამხანაგებს.

ყოველივე ეს მ. ლაყერბაის მეტად სხარტად და მიკებული მხატვრული ნიუანსებით აქვს გადმოცემული.

კრებულში წარმოდგენილ მწერალთა შორის ყურადღებას იმსახურებს ცნობილი პროზაიკოსების: დაბა-ფა ეთიმის, მუშნი ხაშხას, მუშნი პაპასქიანის და გარდაცვლილი მწერლის ქ. აგუმაას ნაწარმოებები. მათი შემოქმედების მრავალფეროვნებაზე მეტყულებს ანთოლოგიაში წარმოდგენილი მოთხრობები.

ახალგაზრდა პროზაიკოსების: ალ. ლისურის, ნ. კოკოსკერისა, შ. აიღინჯალის და ა. ჯენიას სახით აღზაზურ პროზას მრავალმხრივად ნიჭიერი შემოქმედებები ეზრდება. მათი ნაწარმოებნი ყურადღებას იქცევენ თემატიკის აქტუალობით, იდეურ-მხატვრული ღირებულებათა და აბლის დაუტკრომელი ძიებით.

საერთოდ, ანთოლოგიაში შესული მწერლების შემოქმედებებით ნომუშები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აღზაზა მშრომელების უნიათო, ბნულით მოცულ წარსულზე და ცოცხალ, მიზიდველ ფერებში გვიხატავენ ჩვენი დროის იდამიანთა ფიქრებს, განცდებს და მასწარავებებს.

გურამ კლდიაშვილი

3. ჯავუშანურის ლირიკა



ვისაც არხოტის მთადან გადმოუხედავს ხე-სურეთის ბუშნერაში მოთხრობათვის, ვისაც წინა-ღუსს (სოფელა) ვორი გულადებულ იორდა ცხენით აუღლა და არხოტის ხეობის სამი სოფელი—ამლა, ქილა, და აბიელი—საკეთარი თვალთ უჩახავს, დილაადრიან მთის ძირებში დანაშულ

მდღოზე რქაგადაგრებილი ჯიბგებისათვის თვალა შეუვლია, — იმისათვის ადვილი წარმოსადგენია—როდენ მიზაიდველი, წარმტაცი და მოუწყნარია ბუნების ეს გრანდიოზული სერი-თები. ამ ბუნების ცოცხალი აღქმა და განცდა მარად თან ვღვებს, სადაც უნდა წაბოდნ

და ჩვენ გვერნია, სწორედ ამ სანახაობითაა აღბეჭდილი გაბრიელ ჯაბუშანურის უკანასკნელ ხანს გამოსული ლექსების კრებული.

გ. ჯაბუშანური უმთავრესად იმას გვიხატავს, რაც მას უშუალოდ განუცდია, მის სულსა და გულშია გადახარშული. ამიტომაც, რომ მის ლექსებს ყოველთვის უშუალობის, გულწრფელობისა და ჯანსაღი ოპტიმიზმის ელფერი დაქარავს. მისი სიტყვა სადაა და უბრალო, შედარება — ზესტი და ორიგინალურია.

პირველ ლექსს „სიმღერა“ პეიია. და, მართლაც, ეს პატარა ლექსი მართალი გულის ამონაწერი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პოეტის გულისთქმაცაა. პოეტი, როგორც სარკეს, „წინ ზამოიდგამს გარდასულ დღეთა მთელეშარე ქარავს“, რათა კონტრასტის ბერხის გამოყენებით უფრო ნათლად და მიმზიდველად დაგვიხატოს ნათელი მოშავლის სურათი. რით არის მოშავლის სურათი კარგი? — სწორედ იმით, რომ იგი გუშინდელსა და დღევანდელზე უეთესია, წარმტაცი და ლამაზი:

წინ ჩამოვლდამ ვითაარ სარკეს,
გარდასულ დღეთა მთელეშარე ქარავს,
როგორ არ არის სიტუაცლე კარგი,
როს შარშანდელი წლევანდელს არ ჰგავს!

პოეტს ყოველი დღია უცხოდ ნაქარგი „რადი ახალს, ჯერ განუდღელსა და დაუნახველთ პიჩრდება, აღმამანისათვის და მითუშეტებს შემოქმედისათვის — ახალი აღმარენა და შთავონება მოაქვს.

პოეტისათვის ჩვეული სილაღითაა დაწერილი ლექსები „არაგვი — ჩემი გული“ და „მადლობელი ვარ“. მაგრამ მარტოოდენ სილაღე რთი იქმარებდა ამ ლექსებისათვის, რომ მათ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მხარეც არ გააჩნდეთ — აღმამანის განწყობილების პოეტური სახეებით ხატვანად გადმოცემა დაუვადლოდ უფრო, როგორცაა მთების ფონზე დაბატული არაგვი და მასთან ერთად ლირიკული გმირის შინაგანი განწყობილება:

გშენის ზვიადი ღახეარის ქნევა,
კლდენი უწვალად ჩაგიწიხლია,
შენს ტალღებს მღერიც არ დაერქმევა, —
შეგ უწმინდესი მთების სისხლია.
სიმშვიდეს გიჩვენებს ნისლეების ქულა
და უფაქიზეს წყაროთა ზარის,
შეგ ზმირად შენებრ მიბორავს გული,
მაგრამ ის მღერიც აროდეს არა!

პოეტის ყოველი ლექსი „შთავონებული“ ჩვენი მთის, ამწვანებული ქაღვებისა და ატეხილი არაგვის სიყვარულით; იმ აღმამანების სიყვარულით, რომლებიც თავისი შრახშით, საჭმირი საქმეებით კიდევ უფრო აღამაზებენ მადლიან ბუნებას.

უპირველეს ყოვლისა, პოეტი აღიდებს უბრალო მშრომელ აღმამანს, „ვისი ცეცხლითაც იგაიღვეფება“, ვინც უფრო უღებებს მის სიმღერას:

მადლობელი ვარ! —
ჩემს ჰახეკობას,
რომ შთაფრქვეით ცეცხლის ელფერი,
რომ ამაცილეთ დღეთა მტეკობას
და თქვენი ცეცხლით შეე ვიღველფებო.
მადლობელი ვარ! —
ამ ხმას
ამ სიტყვეებს,
რომ უფროს უღებებთ და
ნამღერი გჯერათ,
რომ მაქველებთ და
ახლის თქმას მიყვეთ —
გსურთ: — სამშობლოზე დამჩრებს სიმღერას!

პოეტი მადლობის გრძობით იგონებს განელი დღეებს, რომელთაც შრომისა და შემოქმედებით წვის ევლი ამჩნევით, მაგრამ იგი კმაყოფილი როდია, მას უნდა კიდევ მეტი და მეტი გააყეთოს სამშობლოსათვის, რომ საყვარელ მთას და ზარს, როგორც პოეტი ამბობს, „ამაგი აღუდგინოს“ უანგარო, გულწრფელი სიმღერით:

შე მრავალ ღამეს გავესვი ხაზი,
როცა მტანჯავდა განცდა მსუსხელი,
თან ბვერი ღამეც — აისის მსგავსი
მასსოვს და მრჩება ხაზგაუსმელი.
გულს განთიადი მიეზიდება
და მომავალი ზალისით მავსებს,
წემს რცი ათას დილას დიდება,
ევაშ ღამეებს აისის მსგავსებს!

პოეტი ზან ზარს უმღერის, ზან დილის რაიხ ცად აქრილი მთებისკენ უგზავნის ნამდაკურებულ სიმღერას და ხანაც თვით ეწვევა რაკის, „ეთი ბავშვი უმწეო“, — არაგვის, „დაბლა რით გლუჯავს მთების ავშარას“.

დიღხანს მიზნავდა თელავ-პანკისი,
მელტვოდა ილტო ჰარმავ ხევიდან,
მაგრამ ისროლეს მთებმა ანკესი
და დამიჭირეს კალმახითათა.....

ამ სტროფში — და ლექსშიც მთლიანად — ყარგ განწყობილებასთან ერთად, პოეტური შე-

დარებად ერთობ მოხდენილია: შვებამ ისროლეს მთებმა ანკესი და დამიჭირეს კალმახივითაო... ამგვარი შედარებებითა და მეტაფორებით, აგრეთვე ალტერაციის ოსტატური გამოყენებითა და ვერაწმოდებულ არაზუსტო, ანუ დისონანსური რითმებით (მას ზნირად მიმართავს პოეტი) თითქმის ყოველთვის კარგ შედეგს აღწევს, „თითქმისა“ რომ ეამბობთ, ვგულისხმობთ ზოგორთ შემთხვევას, როცა ასეთი რითმები ძალიან შორეულად ისმის: მაგალითად, მაყარი — სამყარი...

შრავალფეროვანია გ. ჯაბუშანურის ლექსების თემა, მათი დაწერილობით განხილვა შორს წაგვიყვანდა. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ისეთი ლექსები, როგორცაა: „სიმები“, „გავილილი შარა“, „სიციოტლე“, „მშვიდობით“, „თბილისის ბუქსთან“, „ელნათურები ხევისტოსის ქობში“, „ხევისტურები თელავის ბაზრობაზე“ მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ და ამავე დროს ისინი დაწერილია მაღალი პოეტური ოსტატობით.

წიგნის ბოლო განყოფილებაში დაბეჭდილია პოეტის სატრფილო ლირიკა ციკლიდან „მზე-ქალი“. ამ შეტანილი ლექსების უმრავლესობა ახალია და ამდენად საინტერესოც. როგორც პოეტის სხვა ლექსები, ასევე სატრფილო ლირიკაც იდამიანის ფიქრი გრძნობების პოეტურ აღმწერბას წარმოადგენს. ამ ციკლში შეტანილი ლექსები თავს იყრიან მზექალას გარშემო, რომელსაც ასეთი მოწიწებით მიმართავს იგი:

რომ დაეტკებ ტებილი წუთებით
შენთან და სევედა შექაროს!
შორიდან გესათუთები,
ცხვარში მიმავალს, მზექალა!

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ წიგნში გვხვდება აგრეთვე სხვა ქალის სახელიც „სისყარი“, რომელსაც პოეტმა ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი უძღვნა და სადაც პირადი გრძნობა სამშობლოს სიყვარულის მაღალ გრძნობამდე განზოგადებულია:

ურმა რომ ვიყავ, განა ვიდექ მიწაზედა —
დაფერიანელი ჩიტი ფრთამწვეული;
მე ამქვეყნად სამი რამე მიტაცებდა:
სიყვარული,
სიმღერა და
მამული!
გავლენ წელნი და ხმა უფრო გააზრდებდა,
დამიტკებება ქართლის დილა სისხლში;
გულს უმაღლე სამი სიტყვა აღმოხდებდა:
საქართველო,
შარა და
სისყარი!

ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კარგ ლირიკულ ლექსებთან ერთად გვხვდება შედარებით სუსტი და იოლად დაწერილი ლირიკული სიმღერებიც. ასეთებად მოგვიჩნია „მე და მერცხალი“ და „შახარობელი“. რამდენადმე დუნედაა დაწერილი, ცუტხლსა და ტემპერამენტს ერთგვარად მოყვებულა „მალია მონადირისა“, თუმცა ამავე კარგი და საინტერესოა, ამასთან ერთად შეყვარებულთა ჯანსაღი განწყობილებაცაა გადმოცემული.

გ. ჯაბუშანურის „ლირიკა“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის წინსვლასა და პოეტურ დაოსტატებაზე.

ირაკლი არაბული

ჯანგური ხალხური ზღაპრები

☆

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ზანგებმა (მათი რიცხვი 15 მ. აღმეტება) ფსადრდებული წვლილი შეიტანეს ამერიკის კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში. ამ მხრე განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ზანგი მწერლისა და კომპოზიტორების ლ. პიტუზის, რ. ჯგონსონის, ჩ. ჩენსატისა და სხვების ნაყოფიერი შემოქმედება, რომელსაც საფუძვლად დაედო ეპრობრევიდ მრავალფეროვანი და მდიდარი ზანგური ფოკლორი.

ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა ხალხური საუნჯის შეკრება-გადმოცემის საქმეს. ჩვენი დიდი კლასიკოსები გეროვან ყურადღების აქცენდნენ ხალხურ შემოქმედებას, როგორც ყოველი კვმმარტი ხელოვნისათვის შემოქმედების და-

შრეტელ წყაროს, როგორც ხალხის შემოქმედებითი ძალის ნათელ გამოხატულებას. აკაკი წერეთელი „ხალხური ლექსები, იგავ-არაკები, ლეგენდები და სხვანი, რაც კი შეადგენს ზემბისრატყვიერებას, საზოგადოდ, ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საფუძველი მისი ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა“.

ცნობილია, რომ გეროვრობით არ არსებობს ზღაპრების ზუსტი მეცნიერული კლასიფიკაცია, მაგრამ მაინც განასხვავებენ ისტორიულ, ავანტიურულ-ნაოველისტურ, ჯადოსნურ, საყოფიერო ხასიათის ზღაპრებსა და ცხოველთა ეპოსს, ანუ ზღაპრებს ცხოველთა შესახებ. უკანასკნელ ჯგუფს, რომელსაც, ჩვენი აზრით, მიეკუთვნება საბლიტგამის მიერ გამოცემული კრებულში შე-

ტანილი ზღაპრები, წამყვანი ადგილი უჭირავს აფრიკის, ჩრდილო ამერიკისა და სსრკ ჩრდილოეთის ხალხთა ზემორისტიკურიერებში. ზანგურ ზღაპარში ვერ შევხვდებით ვერც დევებს და ვველე-შაბებს, ვერც მფრინავ ხალიჩებსა და ჭკვიან მელისს, როგორც ეს ჩვენს ზღაპრებს ახასიათებს. ზანგური ზღაპრები სიუჟეტურად ენათესავენ აფრიკაში გავრცელებულ ზღაპრებს მოხერხებულ კერძულს შესახებ, რომელიც ჭკვითა და მოხერხებით ისეთ მხედველზე კი იმარჯვებს, როგორცია ლომი, ნიანგი, სპილო და სხვ.

ამერიკელი ზანგების ზღაპრების შთაბეჭდილებით კერძოდ ლა. მის უთვალე მტერი ჰყავს. ყველა მისი მტერია, ვისაც ბასრი გილები, ბრწყალები და ნისკარტი აქვს. დიზიკურად სტესტი კერძოდ მხოლოდ ჭკვითა და მოხერხებით თუ ვაიწყობს რაიმეს, თორემ ძალა და ენონი მისი მტრების მხარეზეა. კერძოდ ამ უთანასწორო ბრძოლაში განსაზღვრებულია თვით ზანგი ხალხის ბრძოლა მის ექსპლოატატორებთან. სუსტ და პატარა კერძოდლისათვის „გრძელგზილბიანი და გრძელბრწყალბიანი“ მგელი და დათვი ხომ იგვეა, რაც ადამიანურ უფლებებს მოკლებული, დამცირებული და დამხინებული ზანგისათვის სისხლისმსმელი პლანტატორი თუ მიწათმფლობელი. მაგრამ რა უთანასწოროც არ უნდა იყოს ეს ბრძოლა, კერძოდლის დამარცხება მინც არ ხერხდება. პარიჟით, სიბოლოოდ თუ იგი სპობს ყველა მის მტერს და იმარჯვებს. ეს ოპტიმიზმი მარტოოდენ პროტესტი რადიკალიზაციისაა წინააღმდეგ, იგი წარმოგვიდგება როგორც საუკუნეების განმავლობაში თავისუფლებისათვის მებრძოლი ზანგი ხალხის უკეთესი მომავლის სიმბოლო.

ზანგური ზღაპრები ყურადღებას იპყრობენ ღრმა სოციალური აზრითა და ცოცხალი იუმორით. კრებულში შეტანილ ზღაპრებს ახასიათებთ დიალოგების სიმრავლე. დიალოგებში კი — ლექსებისა და სიმღერების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ზღაპრებში თავისებურადაა ახსნილი, მაგალითად, რატომ აქვს კერძოდლის გადმოკაცული თვალები, მოკლე კელი და გრძელ

ლი ყურები, რატომ არ აქვს დათვი კელი, ხოლო ოპტიმიზმი კელზე ბალანი და სხვა. ყველაფერი ეს კი დიდად იტაცებს მოზარდ მკითხველს. ცნობისმოყვარეობას. ამიტომაც, „საქართველოს“ ზანგური ზღაპრები მარცხენა ტენი: „ბავშვები ზანგურ ზღაპრებს ისე უსმენენ, როგორც ვინმე სახელმძღვანელო ბრძენსა და წინასწარმეტყველს“.

ნათელი და ვახვევები ყოველი ზღაპრის შთაბეჭდილი, იგი გარკვეულ ცოდნას, რწმენა-ღაბრებებს იძლევა. აი, კერძოდ დათვირება და ჩამოძირების თავისი მტრის მელიას სახლში... მაგრამ რაღაც სასწაულოდ გადარჩება. როცა სახლში მივლი, მოხუცი მამიდა მემი-ხევის ნათქვამი მოაგონდა: „ნუ დაძინებ შეილა რაილი, როცა გარს მტერი გახვევია. ლენიო ცოტა დალიე. ნუ დაითვირები. არ დაგვიწყდეს, რომ კანონი ძლიერთა მხარეზეა და არა სუსტებისა“ (გვ. 16). „პოროტი ადამიანება, რომლებიც სხვების ცეცხლში ზაგდებანს ლამობენ უნა ყოველთვის თვითონ იწვიან“ (გვ. 29) წერია მეორე ზღაპარში.

ზანგური ხალხური ზღაპრები ინტელსურ ენიდან ქართულდ თარგმნა ა. გომიკიძემ. ჩვენთან ასეთელ წლებითა და თასიყულ კალიმეტრებით დამორბეული ზანგური ზღაპრები ქართულ ენაზე კარგად ელერს. ჩანს, რომ მთარგმნელი იცნობს ქართული ზღაპრული ენის ბუნებას, ზღაპრულ ტერმინებს, შედარებებს, ბატონს თქმებს. განსაკუთრებით კარგია დიალოგი. ლექსები ნიჟიერადაა თარგმნილი ა. გურგულიას მიერ. რა თქმა უნდა ორავინალთან შედარებისას აღმოჩნდა მცირეოდენი ლაფსუსი, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ჩრდილავს კრებულის საერთო ღირსებას.

კრებულისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ ზღაპრები კომპოზიციურად მტკიცედაა ერთმანეთზე გადაბმული და, იმავე დროს, კარგად ილუსტრირებულია. კარგი იქნებოდა მას მოკლე წინასიტყვაობაც დართოდა მთარგმნელის ან რედაქტორის (რედაქტორი ნ. რაზვიაშვილი) მიერ ზანგური ხალხური შემოქმედების, კერძოდ კი — ზღაპრების შესახებ.

გ. დოლიძე.



ახალი წიგნები

სახალწიფო გაცემისათვის



- ვ. ლენინი — პარტიის ერთიანობის შესახებ, გვ. 100, ფასი 1 მან.
 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება
 ვ. მ. მაღლევსკის, ლ. მ. კავანოვიჩის, ვ. მ. შოლოხოვის ანტისაბურთალო გაცემის შესახებ,
 გვ. 14, ფასი 15 კაპ.
 ა. ნუცუბაძე — რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, რედ. ნ. კუპრაძე,
 გვ. 254, ფასი 4 მან. 15 კაპ.
 გ. ევანია — ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელი-
 სუფლებს დამყარებისათვის, რედ. ვ. შალამბერიძე, გვ. 122, ფასი 3 მან. 25 კაპ.
 ი. სოკოლოვი — რა მნიშვნელობა აქვს შიმშილს ინდუსტრიის თარგ, ვ. სვანიძისა, რედ.
 ე. ჩიკოტიძე, გვ. 40, ფასი 45 კაპ.
 ელ. მენაბდე — საქართველოს ახალგაზრდობა შეექმნე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძო-
 ლაში, გვ. 51, ფასი 40 კაპ.
 ი. ჭავჭავაძე — ტომი 9, რედ. პ. ინგოროყვა, გვ. 317, ფასი 20 მან.
 ფარაბი — მამულეტი, რედ. პ. ბუბია, გვ. 96, ფასი 1 მან. 35 კაპ.
 ალ. შენგელა — რჩეული, რედ. ი. ბოშტარია, გვ. 270, ფასი 6 მან. 30 კაპ.
 ალ. შანიძე — ჩემი აღენების ცისკარზე, რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 99, ფასი 1 მან. 20 კაპ.
 გ. თელია — ტერორიტი ხმა, პიესა, რედ. ი. არაბული, გვ. 63, ფასი 1 მან. 40 კაპ.

სახლითგამი

- ნიკოლოზ ავაშვილი — სერჯანტის, რედ. ე. ლორთქიფანიძე, გვ. 251, ფასი 6 მან. 40 კაპ.
 დ. მდვდვდი — სულით ძლიერნი, თარგმანი რევაზ კიკნაძისა, რედ. ა. გაბესკირია,
 გვ. 631, ფასი 10 მან. 70 კაპ.
 დიმიტრი კოსარიკი — დაგზო გურამიშვილი უკრაინაში, თარგმანი გ. ნამორაძისა, გვ. 119,
 ფასი 3 მან. 30 კაპ.
 დ. ფურმანოვი — ჩაპაევი, თარგმანი შ. აფხაძისა, რედ. ბ. ნინიტაშვილი, გვ. 257,
 ფასი 8 მან.

ტექნიკა და ზრომა

- ახალი ტექნიკა ქიათურის მადაროებში — რედ. ელ. ცისკარიშვილი, გვ. 173, ფასი 6 მან. 50 კაპ.
 შ. ნ. ვადაშვილი — ქადრატი 1400 წლის მანძილზე, რედ. თ. შ. გიორგაძე, გვ. 181, ფასი 5 მან.
 პროფ. ბ. ბ. კუდრიავცივი — არსებული მგერების შესახებ, თარგმანი ზ. თ. ჯიბლაძისა, რედ.
 შ. ლ. შარანაშვილი, გვ. 118, ფასი 1 მან. 90 კაპ.
 დ. ს. წყალაური — წყლის ენერჯის გამოყენება, რედ. ნ. თ. მინჯავაძე, გვ. 285, ფასი 6 მან. 70 კაპ.
 ე. წულაძე — ორი ტიპის, რედ. რ. ნ. ნიკოლაძე, გვ. 231, ფასი 8 მან. 40 კაპ.
 გ. მეფისაშვილი — ერთი ქარხნის რაციონალიზაციები, რედ. შ. ანდლელაძე, გვ. 34, ფასი 65 კაპ.
 ა. ვ. მამულაშვილი — კოტონ მანქანები და ბრტყელსაწინდე წარმოების ტექნოლოგია, რედ.
 ი. ტ. ჯერგიაშვილი, გვ. 160, ფასი 4 მან. 60 კაპ.

საბ. სსრ მცხედრებათა აკადემიის გაცემისათვის

სარგის ცაიშვილი — ეფუხისტეაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, რედ. ა. ბარამიძე, გვ. 118,
 ფასი 3 მან.

საბ. სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკა მცხედრებათა ინსტიტუტი

- ე. ნ. მდინსკი — განათლება სსრ კავშირში, თარგმანი გრ. შავჭავჭავაძისა, რედ. დ. ლორ-
 თქიფანიძე, გვ. 320, ფასი 8 მან. 30 კაპ.
 ელ. შაპაბაძე — ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები, რედ. დ. ლორთქიფანიძე, გვ. 298,
 ფასი 6 მან. 60 კაპ.
 გ. შალამბერიძე — ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში, რედ. შ. ჩინჩილაძე, გვ. 140, ფასი
 2 მან. 50 კაპ.
 მხ. ხაშიია — საშუალო პედაგოგიკური განათლება საქართველოს სს რესპუბლიკაში, (1921 —
 1941), რედ. ე. ჭავჭავაძე, გვ. 195, ფასი 5 მან. 10 კაპ.
 ქართული საზნაო წიგნის პედაგოგიკა (1620 — 1955) — რედ. გ. თალავაძე, გვ. 137, ფასი
 4 მან. 80 კაპ.

ფასი 8 ა.



310/379

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ